

K 7024  
4



გალაკტიონ  
ტაბიაშვილი

საქართველო



# გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე



რ ხ ე უ ლ ი

რ 7.027  
4




ს ა ს ე ლ მ წ ი ფ ო   გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

თ ბ ი ლ ი ს ი

1 9 5 4






გამარჯვებულნი

ბრძოლის

სიძლევა





ბაბარჯვებული ბრძოლის სიმღერა

დღევანდელი დღის  
თვალი და ფიჭვი  
უმხურვალესი,  
გრანობით და რწმენით —  
ეს მხედარია,  
რომელიც მიპქრის,  
რომელიც მიპქრის  
ფოლადის ცხენით.  
რა საბრაკო  
დრო მიგვაქანებს,  
რა საამაყო  
ამბებს ვესწრებით,

ცა დაუფარავს  
აეროპლანებს  
და მოედნები  
ქუხს ორქესტრებით!  
მზე, ის ბრწყინვალე  
მზე, ამოენთო  
და ნაკადებად  
გადმოიქცეო,  
რომ ეს სიმღერა  
არის პოეტის  
გამარჯვებული  
ბრძოლის სიმღერა!

1937

დროშები ჩაბრა!

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...  
დროშები ჩაბრა!  
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,  
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...  
დროშები ჩაბრა!  
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,  
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა.  
მათ ხსოვნას ქვეყანა სახთლებად აინთებს...  
დროშები ჩაბრა!  
დიდება, ვინც კიდევ გამბრძოლებს იმედით,  
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას...  
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!  
დროშები ჩაბრა!

1917

## ათრობდა ხალხთა მწუხარება

ათრობდა ხალხთა მწუხარება, სისხლის აუზი,  
მისი სასახლე მონად ჰყავდა შეფერთოვანებას,  
მოლაღატეთა შთაგონებით სცემდა ბრძანებას  
და მედიდურად ხელს აწერდა: ნიკოლაოზი.

ლაჩარი იყო. ჭეცენის ბედი, დეღვა, ქაოსი  
ფრეილინების და დედოფლის ეინს მიანება.  
ჩვენ კი სიმართლის ციხეებში დავვიანება  
გულს გვისერავდა, როგორც ხარი სასაფლაოსი.

კუმბებისთვის მეკუმბოვით ხე აღარ გყოთ,  
ხე არ ყოფნიდა მეფეს კაცთა ჯვარზე საცმელად,  
მაგრამ გამოჩნდა სიხარული კაცთ დასახსნელად...

ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,  
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება:  
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

1917

## ოქტომბრის სიმღერა

ქუჩებში ქუსდნენ ორატორები:  
დრო დადგა... ტყვიის სუნთქვა გროვდება,  
და ჩვენს ცხოვრებას არაღეგალურს  
აღფრთოვანება უახლოვდება.  
გვინახავს ციხე, დევნა, კატორღა,  
ბორკილის ყლერა, ბრძოლების ზეავი,  
მაგრამ ვერ სძლევენ ორგანიზატორს...  
აი, რა არის თავი და თავი!  
როცა გრიგალი მოეჩვენება  
სხვა რომელიმეს, უქმად მოვლენილს —  
ზოგს შიშით სძინავს, ზოგს მართლა სძინავს,  
ბევრს სძინავს, მაგრამ არ სძინავს ლენინს!  
ჩვენ ვიყოთ ფხიზლად, მსოფლიო მალე  
საბედისწეროს გაიგებს ხმისა —  
ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენა ვართ  
მებრძოლი მისა,  
მშრომელი მისა!  
თვალწინ იშლება სხვა პორიზონტი,  
იმავე ლეღვით გუგუნებს ფრონტი:  
ფრონტების სიწითლემ ჭეცყანა შეღება.  
ომს მკაცრს და საზიზღარს ბოლო არ ეღება.

ვინ ნალვლობს მუშისა და გლეხის რუხ შინელს!  
რომელი იყენებს სისხლის ღვარს საშინელს?  
— იყენებს ამ ბრძოლას ბურჟუა — ჯალათი,  
ჩვენ კი ვართ ამ ომში ჩაბმული ძალათი!  
რა ვიცი — თხრილიდან ვინ დაიქვრ, ვინ მოკვალ?!  
ჩემივე კლასის წინ რად მინდა ვინტოკა?  
მოვა დრო — იმ ტყუიას ირგუნებს ჯალათი,  
რომელმაც ამ ომში ჩაგება ძალათი!  
ჩემი და მონაა, ის ქუჩის ქალია,  
დედ-მამა სადღა? შიმშილში დალია!  
ეს არის გაყიდვა, ეს არის დალატი,  
რომელმაც ამ ომში ჩაგება ძალათი!  
პოდისო ლენინი — ამბობენ — ლიდერი  
პარტიის, რომელსაც არ უყვარს მდიდარი,  
მდიდარი, რომელსაც სძულს მუშის ხალათი.  
მუსრი მტერს, ომში რომ ჩაგება ძალათი!  
ამდენი ჩაგვა და მონობა გვეყოფა —  
საუბრობს ღარიბი გლეხობა.

სოფელს გულში ღარიბის ირგვლივ ბევრი უარა,  
ყველას ვეითხებოდი: — „საშველია თუ არა?“  
— გვეშვებება, — მცინოდნენ, — როცა დაგვძლევს შეგნება  
და სიცოცხლეს არაფრის ხალხის არ ექნება!  
სოფლად, სადაც თარეშობს ათასი მატყუარა,  
მეც შენებრ ვეითხულობდი: — „გვეშველება თუ არა?“  
— რა შევლასა მოელი გამველ-გამომველდიდან,  
თუ რამ მემამულეებს არ წაართვი ხელიდან?  
ბევრმაც ჩემი წუხილი ასე გაიზიარა:  
— შეიძლება გვეშველოს, მაგრამ მაღე კი არა!  
გზით წამოველ ღარიბი, გარს მინდვრები უხვია,  
გულმა კარგა ხანია იმ გზებს გადაუხვია.  
არ მსურს სხვის სატიელო ნახნავი და ნათესი...  
მივალ, სადაც ხრამია ბნელი, უწყვედიადესი...  
მარჯვნივ კლდეა საზარი, მარცხნივ ტყის ღერებია,  
ციხე უზარმაზარი ლეჟარს შესჩერებია.  
უელი ამ მიდამოებს, ჟრჟოლამ ტანს დაუარა,  
როცა კვლავ გაეფიქრე: „გვეშველება თუ არა?“  
ამ დროს რაღაც ხმაურმა სმენას შორით უწია.  
— რა, რა მოხდა? — ვეითხულობ, მითხრეს — რევოლუცია!..  
მაგრამ რევოლუცია იგი სხვისთვის გამოდგა:  
შედგა მანვე მთავრობა, როცა მეფე ჩამოდგა.  
არც ზავია, არც ბური და არც თავისუფლება;  
ისევ ბურჟუაზიას დარჩა ხელისუფლება.  
კარგი დაპირებები იქნა მხოლოდ უარად...

„გვეშველება თუ არა?“  
 გვეშველება თუ არა?  
 უფრო დიდმა ხმაურმა,  
 სმენას ახლო უწია:  
 — რას ელით, ქალაქებო?  
 — ნამდვილ რევოლუციას!  
 მოგვცეს ზავი და პური  
 და კაცური უფლება,  
 შრომის უფლებებისთვის  
 ერქვას ხელისუფლება!  
 და გლებობა: — ეს ხსნაა  
 ტიტყელის და შიშველის!  
 ის გვიშველის ღარიბებს  
 სხვა ვერაფერს გვიშველის.  
 ამგვარად —  
 ომითა გაპარტახებული,  
 აღარ მქონე თმენის.  
 მრავალმილიონიანი  
 მისა უცდის ლენინს.  
 წითელ დროშის ქვეშ  
 საომრად მდგარი,  
 მომსწრე მრავალის დღეების ბნელის,  
 ფაბრიკათ რივი, ქარხნების ჯარი —  
 უცდიან ლენინს.  
 მილიონობით დამშვეულ რიგებს  
 ამოოდ ხელი არ გაუწვდიათ,  
 არ მოელიან არვისგან შველას —  
 ლენინს უცდიან.  
 რასა ჰგავს ყანა და ფარეხები!  
 რამ დაგვიშხამა სიცოცხლის დღენი!  
 ღარიბ-ღატაკი სოფლის გლებები  
 უცდიან ლენინს.  
 ფრონტიც შხად არის  
 შეატრილოს ტყვია სიზუსტით  
 კლასობრივ მტერზე იერიშისთვის —  
 ჩვენ ლენინს ვუცდით.  
 ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი,  
 ბარიკადები ქუჩების ვრცელის,  
 ჩიხში მოჭეულ რუსეთის ბედთან —  
 უცდიან ლენინს.  
 ლენინი მოდის!  
 პროლეტარიატს ექნება გეზი:  
 სად გამოვიდეს, ვისთან და როდის, —  
 იმ მატარებლით ქობთა მშვიდობა  
 და სისახლეთა გოდება მოდის!  
 ლენინი მოდის!

მოდის სიკვდილი ბურკუაზიულ  
ციხე-ბორკილის და ეშაფოტის!  
იმ მატარებლით მოდის ნამგალი.  
იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის!  
ლენინი მოდის!  
თავისუფლება და ზავი მოდის!  
ამხანაგებო, ლენინი მოდის!  
ლენინი მოდის!  
წინ, ამხანაგო, ჯერ არნახული  
ცეცხლის დანთება გვაქვს განზრახული.  
წინ! ვადაუდექ ბურჟუებს თოფით!  
არ დაგავიწყდეს: ამ ნებისყოფით  
სამუშებს შევექმნით ჯერ არგაგონილს.  
გასწი - იდეას მიჰყვი გვირუღს!  
ვადაბიჯე მტერს გულგანგმირულს!  
ვადაბიჯე მოკლულ ამხანაგს!  
ბრძოლის სიმწევე აღწევს უალტრესს...  
ჩვენს მაღალ დროშას ვერავინ დახრის —  
იგი მიუძღვის ოქტომბრის ხანას,  
დაღლილო მხარე!  
ჩვენ გავიმარჯვებთ, აბა შეხედე,  
როცა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე  
ვაშლილ ოქტომბერს შევძახებთ: ვაშას!  
დაჰკა სისახლეს, დაჰკა სისახლეს,  
ჰეი, დაჰკარი!  
გადმოანგრე ძველი ლოდები  
ნიადაგარი!  
ახალს ააგებს მშრომელებისთვის  
მკლავი მიგარი...  
დაჰკა სისახლეს, დაჰკა სისახლეს,  
ჰეი, დაჰკარი!  
მშრომელი კლასი ლენინის დროში  
მთელ მსოფლიოში,  
მთელ მსოფლიოში დაირაზმება  
ლენინის დროშით.  
ყოველი ქვეყნის პროლეტარების  
გული აქ არი!  
მშვიდობა ქოხებს, ომი სისახლეთ,  
ჰეი დაჰკარი!  
ყოველ კუთხეში, ყოველ მხარეში  
და ყოველ დროში  
განმტყიცდეს ძალა მუშის და გლეხის  
ლენინის დროშით.  
დაჰკა სისახლეს, დაჰკა სისახლეს,  
ჰეი, დაჰკარი!

კომუნა იყოს ამ ოქტომბერის  
ნაამაზიარი.

არ დახვედრიო ოქტომბერს  
არც ოქრო, არც ვანძეული, —  
დახვედა ოქტომბერს ქვეყანა  
ცივი, პარტახი, ნგრეული.  
არ ჰქონდა რამე სახლვარი  
შიშნის და გამათხზვრებას,  
ამიტომ შრომა მიეცეს  
შენებას, ცოცხალ ცხოვრებას.  
კილოვატებში გაეშვას  
მილიონთ მძლეთამძლეობა,  
ახლა ჩვენ უნდა ვიკისროთ  
ეს დიდი მოვალეობა.

ხე-ტყე, თლილი ქვა, აგური  
ცემენტში, კირში ეფლობა —  
ქვეყანას ჟუდიდესი  
მოედო აღმშენებლობა.

ახალი ხუროთმოძღვარი  
დასძლევს ხე-ტყეს და ხარაჩოს,  
რომ ქალაქისას მისწედეს ხმას  
და სოფელს დაუდარაჯოს.  
კარგია შრომით ნთებული  
ქურების ცეცხლთან სახება  
და შემდეგ გამარჯვებული  
სიმღერის შემოძახება!

არის საბჭოთა მახვილი —  
ნებისყოფა და ძალ-ღონე,  
ბევრი ქარიშხლის მნახველი,  
ბევრი გრივალის გამგონე.  
იმისი ომი ამეამად  
ქვეყნის აღდგენის ომი.

საკეთებელი ბევრია  
და ხმა ვაისმის: აკეთე!  
მანქანებს რომ ეუფერება  
შრომის გუგუნე ზეიადი, —  
ეს არის ბედნიერება  
ვინუსაზღვრული, დიადი.  
თუ როგორც ტოტი ქარისა,  
მიღელავს შრომის დროება,  
იმისი შესაღარისი  
ჯილდო არ მოიპოვება.

სოფელშიაც ვთესოთ  
გაზაფხულის თესლი!

დე, ბობოლის კლავედს  
 სიყვითლე და გესლი,  
 დარჩეს ოხრად ყანა,  
 ერგოს ხრამი ეზოდ,  
 ჩვენ კი თავდადებით  
 ვთესოთ, ვთესოთ, ვთესოთ!  
 წინსვლა როდი ხდება  
 ხელაღების წესით, —  
 საქმე საქმეს აპეაგს  
 მხოლოდ ერთგულ თესვით.  
 არც მანქანა მოდის  
 მისით, უმიზნოოდ,  
 უნდა დროზე მოეხნათ,  
 უნდა დროზე ვთესოთ.  
 ხედავ მატარებელს,  
 აღმართს როგორ უხვევს?  
 შორი ქალაქიდან  
 ესაღმემა მუხებს,  
 ლეჩაქივით ბოლი  
 ბუჩქს ედება ლურჯად...  
 საიდან სად მოდის  
 ასე მძლედ და ურჩად!  
 მატარებელს მოაქვს  
 იარაღთა ჯარი,  
 არ აშინებს სიცხე,  
 არც წვიმა და ქარი.  
 მოიფინა მხარე  
 რკინიგზების ქსელით,  
 ქალაქის და სოფლის  
 შეერთებას ველით.  
 ორთქლმავალი მოდის...  
 როგორც ჩვენი გული,  
 იგიც ბევრჯერ იყო  
 ტყვიით დაცხრილული.  
 შიმშილი და ტიფი  
 მასაც გადააჭონდა,  
 მიდიოდა, სანამ  
 ცოტა ძალა ჰქონდა.  
 ვის არ სჭირდა ჩვენი  
 ორთქლმავლის ჟინი:  
 სცემდა ინტერვენტი,  
 ხერტლა ლენიკინი.  
 ოო, საზიზღარო,  
 როგორ მწარედ ვკებენდი!  
 ჩოვსპეთ თეთრი ძალა,  
 ჩოვსპეთ ინტერვენტი!

დაგერჩა ორთქლმავლები,  
როგორც ჩვენი გული —  
გამხეცებულ მტრების  
ტყვიით დაცხრილული.  
გაჩერებულ ტრანსპორტს  
აღარ ჰქონდა ღონე,  
როგორც ქალაქის ფულს.  
ფასდაკარგულ ბონებს.  
მატარებელს ჩიხით  
ვინ დასძრავდა, სანამ  
მოაღწევდა ჩვენი  
აღდგენისა ხანა.  
მხოლოდ ოცდახუთში,  
ვით შეგვეწვედა ღონე,  
აღვადგინეთ ომის  
წინა დროის ღონე.  
მატარებელს დაკვირვს  
მოეხვია ჯარი,  
განუკურნეს სრულად  
წულული მრავალგვარი.  
ახლა მოდის, მოაქვს  
მას საღამო მშური,  
მოაქვს ჩვენთან რკინა,  
მოაქვს ჩვენთან ბური.

როგორც ხის რტოებს  
აპრილის დღემდე  
ჩამოშორდება თოვლი და ყინვა.  
ქვეყნის ხელახლა  
აღდგენის შემდეგ  
სხვა ლოზუნგების გაისმა გრგვინვა...  
ახალ ცხოვრებას  
ვაწყობდით ახლად  
და ეს დაწყება თუმც იყო ძნელი,  
ქარხნებში ისევ იჭრება ხალხმა,  
რომ ეს ბრძოლაა უკანასკნელი!  
მხარეს უცებ ვერ  
გადააკეთებს  
სხვა ვერ-რა ძალი, ვერ-რა ნიჭი —  
ცვლის ფაბრიკებს და მიწის ნაკვეთებს  
რევოლუციის  
მტკიცე ნაბიჯი...

ძველებურად ქარს არ ატანს  
 არცინ თავის შრომას,—  
 რკინასა სკედს თუ თხრის მადანს,  
 არ იფიწყებს, რომ მას  
 ურჩევს კლასი გაფრთხილებით  
 მანქანასთან დგომას,  
 ხელი უწყოს ხარისხების  
 გადიდების ზომას.  
 აი, ჩვენი მინდორ-ველი,  
 იქ აღარ ჩანს მრავალი.  
 ფეოდალი ძველისძველი,  
 მეფეთ შთამომავალი!  
 დი გაისმის შორით-შორი  
 იღუმალი ქუხილი,  
 მოსდებია ველს ტრაქტორი,  
 არის შრომის დუდილი!...

მორჩი ოთხწლედში გვიანტის მსგავსი  
 ჩვენი ხუთწლედია.  
 ეს არის ჩვენი და მთელი ქვეყნის  
 მშრომელი კლასის იმედი, ბედი.  
 ხუთწლედია იყო ბურჟუაზიულ  
 ქვეყნებისათვის რისხვა და მეხი.  
 ჩვენი სტალინის მაღალი დროშით  
 იბრძოდა მისთვის მუშა და გლეხი.  
 სოციალიზმის საძირკვლის ჩაყრა —  
 აი, რა იყო ხუთწლედის ხაზი.  
 ამ გენერალურ ხაზზე იბრძოდა  
 პარტია მტკიცე და ბუმბერაზი.  
 „ჯერ დავეწიოთ, მერე ვაყუასროთ“  
 ძველი ქვეყანა მულამ მტერია...  
 ხუთწლედის ფრონტზე თავდადებულად  
 იბრძოდა ჩვენი ინჯენერია,  
 აგრონომები, ტრაქტორისტები,  
 კოლმეურნეთა მაგარი რაზმი,  
 და დამკვრელების გაისმოდა ხმა,  
 როგორც მქუხარე ენთუზიაზმი.  
 ჩვენი ერთგული მასწავლებელი  
 იყო მანქანა, მისი ტემპები,  
 ჩვენი ფაბრიკა, ჩვენი ქარხნები,  
 ჩვენი ეპოქის მონუმენტები.

1929



რწმენით იარ, რწმენით იარ!  
 მტკიცე გქონდეს ბიჯი, —  
 ყოველ ნიჭზე ძლიერია  
 ქვეყნის დაცვის ნიჭი.  
 ასე იყო და ასეა  
 ბრძოლა ჩვენი მიწის,  
 რწმენა ბევრად ძვირფასია:  
 მან ვატანა იცის.  
 ურყველი რწმენის მტერი  
 გზას ვერა-რით აგნებს,  
 როს სხვადასხვა გზით უცქერის  
 ათასნაირ საგნებს.  
 ფერს საგანიც მისთვის ხშირად  
 იცვლის იმის გეარად —  
 როგორ ხედავ, რანაირად,  
 რომელ მხრიდან და რად.  
 განა ვისზე ვიყავ მონა,  
 როცა მდევდა ზრახვა,  
 და მრავალი დღეთა კონა  
 ძლიერ ლეღვას გაბჭვა?!  
 არა მონა! ო, პირიქით,  
 თავისუფალ ამბით  
 ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი,  
 საკუთარი შტამპით.

მაგრამ, გრძნობათ სიმაისევე,  
 ფიქრო ნათელ ფრენის,  
 თუ მონა ხარ, მონა ისევ —  
 საკუთარი რწმენის.  
 რწმენით იარ, რწმენით იარ!  
 მტკიცე გქონდეს ბიჯი, —  
 ყოველ ნიჭზე ძლიერია  
 ქვეყნის დაცვის ნიჭი.  
 ერთხელ, ღამით, ცეცხლის აღზე  
 მივდიოდით ტოლნი,  
 მივდიოდით და, ჰა, თვალწინ  
 აღიმართა სმოლნი!  
 სმოლნი, სმოლნი! აქ — იმ დროის  
 მახვილი და ბრძმედი —  
 ქუხდა რწმენით მსოფლიოს  
 ერთი შეეჭსედი.  
 ის, ტიტანი, ვინ სთქვა სახლად,  
 მრავალ ღამენათევს  
 სწევს იღვა მიღლა-მიღლა,  
 ზრუნვა ტვირთად ადევს...  
 და როდესაც თვალს აცეცებ  
 ლულა ტყვიამდებქვევის,  
 გუშავის ხმას: — თქვენ ვის ეძებთ? —  
 ვუპასუხე: — ლენინს!

1922

პროლოგი 100 ლექსის

რა საოცარი დასრულდა წლები!  
 მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი:  
 მოშორდნენ ტახტებს ვილქელში, კარლოს,  
 ნიკოლოზი და ფერდინანდი.  
 მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,  
 სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:  
 იმ მრისხნანე წელს პოეტი-მეფე —  
 გარდაიცვალა აღექსანდრ ბლოკი,

ჰანგების მეფე — დიდი სენ-სანსი  
 და დირიგორო ნიკიში შძლავარი...  
 ეკლიან გზაზე დაცვა ბევრი,  
 მხოლოდ მე ერთი გადავარნი მგზავრი,  
 რომ გამომეველო ჯერ არსმენილი  
 ქართველები ცეცხლთა ფენისა  
 და მომეტანა საქართველოში  
 სიმღერა ქვეყნის გადარჩენის!

1921

გემი „ღალანდი“

განომალეობა ღამის ღანდმა ნელმა და ქურდმა,  
ბალი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბურჩი,  
ორგველიე ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,  
ბალს იქით მიძიმელ ხმანურობდა ზღვა უდაბური.

მე მიედოდი, მალა იდგა გემი „ღალანდი“,  
შავი ზღვის ცაზე და ზვირთებზე შეყვარებული;  
მე კი სამშობლოს მიტაცებდა ლურჯი მანდილი,  
ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული.

გემით „ღალანდი“ მიედოდი სამშობლოსაკენ  
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა.  
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ  
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა.

გახსენებების მომახოდა მტანჯველი ღანდი:  
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!  
შავი ზღვის ზვირთებს მიიპობდა გემი „ღალანდი“  
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

1918

მღვრიე ძარი

თოვლის მხარე,  
ნისლიანი მთა და ბარი.  
მოვიმხარი მისი გზები, სიცივე და მღვრიე დარი.  
ზარზე ზარი, სწრაფი, ჩქარი, მღვლვარებათ  
ჩქეფდა დგარი,  
ტრიალებდა, როგორც ფარი,  
შემოდგომის ჩქარი  
ქარი...  
მეფის კარი,  
ნანგრევები, ნატახტარი...  
მეფე ტყვე; ტყვეა მეფის ამირბარი, სპასალარი.  
აქეთ ქუჩა, იქით ჯარი და დროშები გარი-გარი...  
ისევ ქარი...  
მოდის მტერი —  
იქეცება ალყათ ჯარი.  
ცხენზე მჯდარი მწარედ ჰკივის მეომარი.  
კანონადა მშობლიური და ღრუბელი შავად მდგარი...

127-024





ისევ ქარი,  
 შაფრი ქარი,  
 თქემი, მთელი ნიაგარი...  
 სული ძლიერ აფეთქების და სიცივე ჯადოქარი.  
 ისევ მძიმე პეტერბურგი და ამინდი ბობოქარი...  
 მღვრიე ქარი..

1917

როგორ ებრძოდნენ ზარმებს ზარმბი

ეს მე ვარ ქარი, ეს მე ვარ ქარი,  
 დაქტივობა ბარად, ვოცნებობ მზეზე...  
 ერთმევა ფერი ყვითელ არეებს...  
 მე დაჭრილი ვარ, როგორც აფთარი.  
 აცივდა გარეთ, დაცივდა ფარჩა,  
 აწვიმდა ყველგან, შხამთა მიზეზი:  
 მანტიით შხარებზე, თეთრი გვირგვინით,  
 ელვარე გზებით მოდის ზამთარი!  
 დამპრეს! ეს მე ვარ! ეს მე ვარ ქარი,  
 გამიღეთ კარი, გამიღეთ ჩქარა!  
 მე მომდევს ცივი საშინელება,  
 მე მომდევს ჩემი ცოცხალი გული.  
 ჩემთვის უცხოა სითეთრის რკალი  
 და ნათელივით არის აშკარა  
 იუდას სახე, კენის ლანდი  
 და ღამეების შავი გუგუნე.  
 მოდის ზამთარი, მოდის სიცივე,  
 მოდის სიკვდილი... ჰე, ლურჯა რაშო,  
 მედგრად, კვილით მოედე ტყეებს...  
 უსწარო იყოს შენი ავდარი!  
 შენთვის სამოთხედ გადაიშლება  
 ღამე უენებო და ურიფრაფო.  
 ეს მე ვარ; მე ვარ, ეს მე ვარ ქარი...  
 მე დაჭრილი ვარ, როგორც აფთარი.  
 მე ისევ მიყვარს დალილთა ცრემლი  
 და ბრძოლა, ბრძოლა მოუსვენარი,  
 ქარიშხლიანი მეხი და ელვა,  
 რისხვით მრისხანე ტალღებთან შეგმი,

ყელამდე მოსულ ვარდების გროვა  
 და დამსხვრეული სწორი კენარი...  
 სხვა საყვარულის მოგონებები,  
 დეე აღმინთონ მოგონებებმა.  
 სანამდე დროშებს ეძებდა თვალი,  
 დროშები ქარში გაშალეს უცემ!  
 დღითა და ღამით, დღითა და ღამით  
 გრვეინვით ებრძოდნენ ზარებს ზარები.  
 მოსკდა კიდევებს, გასკდა ნაპირებს  
 და გრიგალივით მოედო ქუჩებს,  
 სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის  
 ზვითი, ყველაფერს ნაზიარები,  
 იღუმალ ფიქრთა ჯაჭვაწყვეტილი,  
 აღუვებელი მორევის ქაფი,  
 არეულ ჯურღმულთ აღმოჩინებით,  
 საესე საზარლად მცურავი მკვდრებით —  
 მოედო ქალაქს, მოედო სოფლებს,  
 ისევ მონახა ძველი სარდაფი.  
 შემოჭა ერთი მძლეველი ძალით  
 და გადალუკა აღფრთოვანებით.  
 დაეცა კრემლი! და ნაფოტებად  
 იქცა წარსულთა ტანჯვით მიზეზი.  
 მე ვალმოხდილი ისევე ველი,  
 როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი.  
 ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ ქარი,  
 ვისვენებ ახლა, ვოცნებობ მზეზე,  
 ერთმევა ფერი ყვითელ არეებს  
 და მოკლული ვარ, როგორც აფთარი.

1917



სადაც სადგურის მიხლობლად მუდროდ  
 დღე ეუბნება: „მშვიდობით“ — ივლისს.  
 ორკესტრმა დაჭრა „ინტერნაციონალი“  
 და ქრუანტელი სხეული მივლის.  
 მუდამ მაღლევებს ეს ჰიმნი ჩვენი,  
 ეს ქრუანტელი ჩვენი დროისა,  
 ადგილს რომ მოსწყდა კაცობრიობა  
 და უფსკრულეგში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.  
 ამ ჰიმნმა დასძრა ძველი ტაძრები  
 და ეარსკვლევები აჰყარა ცაზე,  
 მწვერვალს მოსწყვიტა სასახლეები  
 და დააქანა მოლიპულ გზაზე.  
 მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ,  
 როცა ორკესტრის ჰანგი მინდლდა,  
 გამარჯვებამდე ტერორის მომხრე  
 მტკიცე რაზმები იაკობინელთა;  
 მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ,  
 სკენა პარიზის საშინელ დღეთა —  
 ვერსალელების მიერ მხეცურად  
 კომუნარების რბევა და ქლეტა;  
 მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ,  
 ფრანკო-პრუსიის მძვინვარე ომი —  
 სადგურის იქით უკრავს ორკესტრი,  
 და ემატება ფანტომს ფანტომი.  
 აი, პარიზის რიგები მუშის,  
 აი, გამოსვლა ტყვიის ზუზუნის,  
 ჯერ გამარჯვება სიხარულისა,  
 სისხლში ჩახრჩობა მშვედვე კომუნის.  
 ისევე ამძაფრებს გრძნობას ორკესტრი,  
 სანახაობა აღარ ახარებს.  
 აგერა მამა და კალატოზი  
 აეგებს სახლებსა და ყავახანებს.  
 კისკისი ისმის უღარდელ ქალთა,  
 მარჯნისფერ სასმელს სვამენ ფრანტები —  
 აი, ვის უგებს სახლს კალატოზი,  
 თვითონ სარდაფში განაღანდები.  
 ახსოვს მას რვაის ორმოცდარვიდან  
 სუსხი, დღეები მწარე ივლისისი,  
 როცა საშინელ გამაძაფრებაში  
 დახვრიტეს ბევრი და მამამისიც.  
 თვითონ ის იღებს ბელში იარაღს,

იგი მიიღო მუშათა რიგმა,  
 მაგრამ დაეცა მალე კომუნა  
 და სხვებთან ერთად ის მოკლულ იქნა.  
 შემდეგ, როდესაც კვლავ ხერტდნენ ტყვეებს,  
 ქალმა კისკისმა — მოსიღმა შავში —  
 მოკლა ამ ცაცის პატარა შვილი,  
 ის, კომუნარი, ოთხი წლის ბავშვი.  
 მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ,  
 ჰიმნი მომაველ რევოლუციის,  
 ჰიმნი მასისთვის მებრძოლი გულის,  
 ჰიმნი ხალხისთვის ანომავალ მზის  
 და ციხეები, გამოთიება,  
 სისამართლოთა განაჩენები,  
 გადასახლება, რბევა, კატორღა,  
 და შემუსვრილი მუშათა ფენები;  
 თითქო მიწის ქვეშ ისმის გუგუნის  
 არალეგალურ სტამბათა ბორბლის,  
 ცხრაას ზუთი წლის მღვღვარე ფონზე  
 სქართველის მრავალი ორბის;  
 იშლება პრესნის ბარკადები,  
 და იღვრებიან სისხლის წყარონი...  
 ორკესტრი გრგვინავს, ვით გვიანტური  
 ბორკილებისა მძიმე ელარენი.  
 ორკესტრმა დაჭრა „ინტერნაციონალი“ —  
 ეს ხმა არ არის მშვიდი და ნელი,  
 კოლოსალური, ძლიერი ხმა,  
 ეს ხმა ცხრაას ჩვიდმეტი წელი.  
 თქვენ მარტო არ ხართ საღარაჯოზე,  
 და თქვენთან ერთად იბრძვის ათასი —  
 ჩვენი და მთელი კაცობრიობის  
 გაღვიძებული მუშათა კლასი!  
 წაღით პირდაპირ ამ გზით და მუდამ  
 მაღლა გეჭიროთ წითელი დროსა,  
 ჩვენ კი ყოველთვის თქვენთან ვიქნებით  
 იმ ბრძოლის დროს და ზეიმის დროსაც!

მუდამ მაღლევებს „ინტერნაციონალი“,  
 ეს ქრუანტელი ჩვენი დროისა,  
 ადგილს რომ მოსწყდა ძველი ცხოვრება  
 და უფსკრულეგში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.



სახელოვანი და სანაკებო  
და უფრო მეტი  
როს გრევიზავდა ხმა: „ამხანაგებო!“  
ცხრაას ჩვიდმეტი,  
აი, ეს იყო მართლა ქარბუქი,  
მუსიკის ხმათა —  
რათა „ფაუსტი“, ან „რიგოლეტო“,  
ან „ტრავეიატა“?  
როგორ არ მახსოვს: ქუჩაში ბრძოლა,  
თეატრში — ტაში,  
იქ ბარიკადის ტყვიების ქროლა,  
აქ — ერთიტაფი.  
დღემდე ვერ ვიცხრობ იმ გულისწყრომას.  
სისხლში ნაბანი  
ჰკიოდა ქუჩა, აქ კი მღეროდა  
ცნობილი ბანი!  
რა გული უნდა გამღერდეს ნეტა,  
რომ იმნაირ დროს  
თუნდაც „რომეოს და ჯულიეტას“,  
„ქარმენს“, „ფიგაროს“  
უჯღღე, ეს იმ დროს, როდესაც, რომ კრემლს  
შორი თოვიდან,  
ცეცხლდუმიანი ქვემეხები სცემს  
ლეფორტოვიდან!  
ეს იმ დროს, როცა ბავეი კირა —  
ყრმა თექვსმეტი წლის.

დაქრილი, ქოხით — მდინარის პირად  
ნაცად ნავანს სელის:  
ოცდაჩვიდმეტი მხედარნი რიგიდან  
ეცემა ერთი, მეორე... კიდევ...  
ორკესტრმა სხვა ხმა უნდა აღმართოს,  
და თუ იქნება,  
ცოტათი მაინც რევოლუციის  
იყოს მიგნება.  
დაცხრეს ორკესტრი,  
რომელიც გვართობს  
მსუბუქ ვართობით,  
ორკესტრმა სხვა ხმა უნდა აღმართოს  
მილიარდობით.  
იყოს იმ რიტმის ბგერა ზღვაურნი  
ხმობით საჩინო,  
ბერლიოზმა რომ ქუჩის ხმაურში  
აღმოაჩინა.  
არა ლაქვარდის თოვლი და ციგა,  
ან ბგერა მშვიდი.  
რევოლუციურ კლასის მუსიკა!  
მუსიკა დიდი!  
გადსახვაფერდა მთა და ტაიგა,  
ველი და შინა,  
ვის უნდა ძველი ბალალაიკა  
და მანდოლინა?

1924

ენამ მირ ბამოხატა

თუ ყურს უგდებდი ბარიკადის  
ხმას ჩასაფრებულს,  
თუ ყურს უგდებდი ყუმბარების  
სიმღერას მწარეს,  
იგი პანგები ტალღას სცემდა  
გულს გამძაფრებულს,  
იგი გვამცნებდა მისაწყვლომელ  
პანგების არეს.  
ვერა, ბუნებავ, სუსტი ენა  
ვერ გამოხატავს  
ცხრაას ჩვიდმეტის სიდიადეს  
და აღმაფრენას.

არ შეუძლია იმის წინ რამ  
თქვას ენას მოკვდავს,  
აღარ აქვს ძალა იმ ძალასთან  
უბრალო ენას.  
თუ ყურს უგდებდი ცეცხლს და გრიგალს,  
მრავალ მშვენივით,  
განა ვერ ამჩნევ, რომ მზის სხივი  
მიმოიფანტა.  
გავიდა ხანა. ახლა მაინც  
ხარ მოსვენებით,  
მაგრამ იგი დრო ენამ მაინც  
ვერ გამოხატა.

1927



ბოძთან ტრამეაის უცდიდა მგზავრი,  
 გათვრებული თოვლიან მზრებნით,  
 და იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი  
 თავის ქარიშხლით და ამბოხებით.  
 უღვა თეთრ წვიმის, ჰქროდნენ ეტლები  
 და ტრამეაების მიმე ტივები.  
 ნისლში სახლები და გამვლელები  
 მოჩანდნენ, როგორც ნეგატეები.  
 თოვლქვეშ კი, როგორც ქსოვილი ბადის,  
 მრავალ მიუვალ გზით დაფარული,  
 ათი ათასი გაჩნდა ნაკადი,  
 მქეფი, ანკარა და მოხარული.  
 მიწის ქვეშ გზები ვიდოდნენ წუნარად,  
 და იქ სხვადასხვა ადგილას რგული,  
 ერთიმეორეს ეძებდა მარად  
 ასი ათასი მდინარის გული.  
 გადათვრება ზამთრის დროული!  
 ყველას სწყუროდა ზეცა მზიური,  
 და, აი, როგორც ვადანათოვლი,  
 მიწით აღმოსკდა ხმა მაგიური.  
 გზებიც დაიხსნა მაშინ, ჰიალა!  
 ჰაილა, გასწი! მკაცრი, ულუგვი  
 მეწყერად, რღვევად და ხეტიალად  
 ამოიღვარა ნაკადულები!  
 რა ხანა იყო! რა უკმარობას  
 ქუხდა და გამობდა გაათვრებული,

რასაც მიწის ქვეშ ჰფარავდა გრძნობას  
 ასი ათასი მდინარის გული.  
 არა მისტიკურ ფრთებით ფარული,  
 არა ოცნება და ზეფირები,  
 არამედ ნაღდი და რეალური  
 დაქანდნენ ხიდი და ჯგებირები.  
 იყო მაშინ იქ და ახლაც არის  
 გრძნობა, რომელსაც ფარავს პოეტი —  
 მთელი სიმძიმე ეპოქის ქარის,  
 ყველა მდინარე და ოქროეთი.  
 რა დაეინებით, რა უკმარობით  
 გაიძახოდა გაათვრებული,  
 რასაც იღუშოლ ჰფარავდა გრძნობას  
 ასი ათასი ნათელი დროშის,  
 და მაისის ღღეს მაშინ და დღესაც  
 და მომავალის ბედნიერ დროშის  
 უძლეველ გრძნობით ფრიალებს აღი  
 ასი ათასი ნათელი დროშის!  
 ბოძთან რომ ვაგონს უცდიდა მგზავრი,  
 გათვრებული თოვლიან მოხრით,  
 ამ ვაზაფხულის ღღეს იმავე მგზავრს  
 ირონიულად და ამოოხვრით —  
 უფლება აქვს, რომ შეხედვს ძველ რუსეთს.  
 წლების სხვა წლებთან გადამწინდელი,  
 იმის კითხვაზე: ის დრო სად არის? —  
 თქვას: სადაც თოვლი შარშანწინდელი...

1928

შრიცხვ დროშების მოსიძლიერანი

ცხრაას ჩვიდმეტი! კიხეინებდა შენი მერანი,  
 ბარიკადების მღლევარება გებარა ოდეს.  
 ურიცხვ დროშების მიდიოდნენ მსიძლიერენი,  
 ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!  
 უკანასკნელად გვილიმოდნენ გზაზე ქალები:  
 გახსოვდეს მასა და მიზანი მისი გახსოვდეს.  
 ბედნიერებას გეპირდებოდნენ მათი თვალები,  
 ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!  
 მუსიკა, რისხვა და ქვეყანა, ზრუნვის საგანი...  
 თითქო ყველაფერს კარი მძიმედ გადარაზოდეს...  
 ოჰ, არასოდეს არგენ მოვა იმათთანა!

1927

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,  
 ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია;  
 მან ბევრი რული და მშვიდი ნანა  
 ქარიშხლის ხმებით მოიგერია.  
 მებრძოლ დროშასთან ელავს კალამი.  
 ეს ათი წელი — ათი ავური  
 დამკვიდრდეს, როგორც ძმური სალამი  
 მხურვალე, მხნე და ამხანაგური!  
 მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,  
 დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;  
 ამ ინდუსტრიულ აღს გაუმარჯოს  
 და პროლეტარულ აბოზოქრებას!  
 გაუმარჯოს ფიქრს, რომ ალებერ მნათი —  
 ხაცსმოკიდებულს, ნელს და ბორიოს —  
 ააყირავენს ეს წელი ათი  
 ათი ათასი წლის ისტორიას!  
 მუიდრო კავშირი ერთმანეთს შორის  
 დღეს საჭიროა, როგორც არასდროს,  
 რევოლუციურ დღის დირიჟორის  
 ამღლეფარებამ რომ არ გავგასწროს!

აუ მსოფლიოში კვლავ შორით შორად  
 გიგანტიური იგრგვინებს ქნარი,  
 ჩვენ იმ ფულკანთან ვიქნებით სწორად:  
 გული, სიმღერა, შრომა — აქ არი!  
 ხელოვნებათა არმია! ჩქარი  
 ეპოქის გვერდით იარე, წადი!  
 თუ დღეს რამ არის გაუგებარი,  
 ხეალ ნათელივით იქნება ცხადი.  
 ხომ განელილია ნაწილი გზისგან —  
 სხვა ამოცანა — აღმოსავლეთით,  
 როგორ შორის ვართ იმ ნაპირისგან,  
 ვემზე პირველი ვზით რომ ავდიოთ —  
 ოკეანესი ქუხს შუაგული!  
 და ახალ ნაპირს იმედად ათოვს  
 მზე, რკინისავით შემოდაგული...  
 ჩვენი მხურვალე სალამი მნათობს!  
 სალამი ხანას, რომ გასცდა ჩარჩოს!  
 დროშას, გაწვევას, ძალთა მოკრებას!  
 ინტერნაციონალის ხმას გაუმარჯოს,  
 ინტერნაციონალის აბოზოქრებას.

1927

### თ ა ნ ა ს ყ რ ი

იმ სიმძლავრეს, იმ სიმაღლეს  
 ჯერ ძლივს ხედავს ჩვენი თვალი,  
 რამდენ შვებას და სიცოცხლეს  
 მოაქვანებს მომავალი.  
 ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას  
 დაუკარგოს ფეროვნება,  
 როს თანასწორ მზესთან მივა  
 თვითველი ეროვნება.

1917

### ამირანი მიჯანმშობლი

თუ მიაყურებ დღეილს ღამისას  
 და მახვილ სმენის შეგწვევს უნარი,  
 მოისმენ გულის ცემას ამ მოთასას:  
 ის კრთის, იღუმალ მოგუგუნარი.

გამიგონია, რომ ამირანი  
 გაბედვისათვის მისცეს წამებას —  
 ფლობდა სიბნელე გულგამგირავი  
 მის გათენებას და შეღამებას.

ადამიანებს მოსწყვიტეს ის, ვის  
ასე უყვარდა ადამიანი,  
ვერ შვიხედა ელვარე მზისთვის,  
კლდე იყო ცივი და ნამიანი.

თოვლის ნამკერი, წვიმა და ქარი  
გარე შვილიდნენ ველურ კივილით.  
საუკუნეთა ურიცხვი ჯარი  
მის წინ ვიღოდა ასე ტკივილით.

თუმც გულს უწიწდა ყორნების გუნდი,  
დღე ღამეს ცვლიდა და ღამე—დღესა,  
გმირმა იცოდა, რა არის ხუნდი  
და არ იცოდა, რა არის კენესა.

წლიდანწლით იგი არყევდა პალოს  
და ყოველ ასი წლის დასასრულზე  
ღამის მოპვლიჯოს, ღამის დასძალოს,  
ღამის სურვილი გმირის ასრულდეს...

ყოველთვის მაშინ ხმადამცინელი,  
კაცასიონის კლდე ფრიალოზე,  
მოფრინდებოდა შავი ფრინველი,  
და დაიწყებდა ფრთებს ამ პალოზე.

მოსწვედა გმირი უროს საძალოს,  
მაგრამ ფრინველი უცებ სწყვდებოდა;  
ურო სიმძიმით სწყვდებოდა პალოს,  
და ბალო ისევ გამაგრდებოდა.

და ერთხელ ფრინველს დაუწყდნენ ფრთანი,  
დააკვდა პალოს და, აი, ბოლოს,  
თავისუფალი დგას ამირანი  
და აწ ვერავინ ვერ დაიმონოს.

თუ მიაყურებ დუმილს ღამისას  
და მახვილ სმენის შეგწევს უნარი,  
მოისმენ გულის ცემას ამ მთისას:  
ის კრთის, იღუშალ მოგუშუნარი.

1921

### რამდენ ღამის მოიღო ბოლო

მომავონდება ძველი ცხოვრება  
და განთიადი ჩენი ბედისა,  
ვეუქრობდით, როდის გამოაშუქებს  
მზე გათენების და იმედისა;  
როდის იქნება ხალხის ტანჯულის  
სამართლიანი ქვეყნად უფლება —  
თანასწორობა, შრომა, სიბატონე,  
ერთობა, მშობა, თავისუფლება.  
ბოლო მოეღო ხალხის წამებას  
და ფუქ ცხოვრებას, უნაყოფობას,  
მან, რამდენ ღამეს მოეღო ბოლო,  
რამდენ წურბელას, რამდენ ობობას!

1925



### ბაუმარჯოს მიხრობილ თაობას

დიდი ხანია მას შემდეგ განა,  
რაც ბანსიონის ქუხდა კედლები?  
რა ფერადებით ჩანდა ქვეყანა,  
რარივ გვეჩახდა სიცოცხლის ხმები.

შენ ჩრდილოეთში გადაგასახლეს  
და წერილებში გული გწყდებოდა —  
გელირსებოდა ისევ ჩამოსვლა  
თუ არასდროს არ გელირსებოდა.

პოეტის სული ირგვლივ უვლიდა  
აბობოქრებულ მშრომელთა მხარეს,  
ყვავ-ყორნებს წყველა-კრულეას უთვლიდა,  
მათზე სატირებს თხზავდა მქუხარეს.

მაგრამ იქუხა რევოლუციამ,  
შენც გამოაწყვეი ზომ მოძრაობას...  
მამ, სადღეგრძელო აეწიოთ თასი:  
ეს გაუმარჯოს მიხრობილ თაობას!

1927

### იმიტომ ხდება რევოლუცია

იმიტომ ხდება რევოლუცია  
და დაგრიანებს მსოფლიოს თავზე,  
ჯვარედინებზე მყოფი პოეტი  
ახალ სიცოცხლით შეიქნეს საესე.

იმიტომ ხდება რევოლუცია,  
რომ მოიტანოს დიადი რწმენა,  
გვეტროდეს საქმე და სიხარული,  
აღფრთოვანება და აღმადრენა!

იმიტომ ხდება რევოლუცია,  
მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნნი,  
რომ პოეტების არ გაისმოდეს  
უიმედობი, კენესი, წუწუნნი.

სასოწარკვეთა, უსასობა;  
ძველ ხანას ჩვენთვის რომ მოუცია,  
უნდა გადიწვას და აღიავოს,  
ამიტომ ხდება რევოლუცია!

პოეტი, ახლა გამდგარი განზე,  
დროგადასული და მოხუცია,  
უნდა შეერთო მასობრივ ტალღებს,  
ამიტომ ხდება რევოლუცია!


1927

რევოლუციურ, საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
 უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უაღრესს,  
 თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,  
 მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;  
 აღფრთოვანების მასებისას, მილიარდიან  
 ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,  
 უსასტიკესი დაეინებით რომ ანგრევს კარებს  
 მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან;  
 ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას —  
 კარჩაკეტილი ცხოვრებიდან გავიდეთ მზეზე;  
 უღმობელ ტრიალს ისტორიის შედგარი ბორობლის,  
 რევოლუციურ საქართველოს —  
 ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს,  
 რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
 ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

1928





საქართველო  
საქართველო  
საქართველო



ახალი მკვებანა შენადობა

რამდენი მძლავრი  
მკვიდრდება სახლი  
და ემატება  
იგური იგურს,  
თვალი სიახლეს  
ხედება სიახლით,  
გულიც უჭყარებს  
რიტმს ამხანაგურს.

არაფერია,  
თუ ამ ლექსითა ცვლის  
სისწრაფეს ბევრი  
თვალსაც ვერ მოჰკრავს,  
ცოტათი მაინც  
სისწრაფე მისი  
ჭგავს ზენთა დღეთა  
კინემატოგრაფს.

ვინ იფიქრებდა,  
რომ ამოდენა  
გრანდიოზული  
საქმე გველოდა.  
ასეა ტემპი,  
ასეა ღვინა  
რეგოლუციურ  
საქართველოდან.

როცა ვიგონებ  
ძვირძვას სახელებს,  
სხვა რომ ბატავდა,

აწ არც მამშვიდებს  
და არც მახელებს...  
მორჩა, ვათავდა!

ვათავდა, მორჩა!  
ჩვენ საქართველოს  
სხვის ველით წრიდან—  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან!

წაილო ცხოვრებამ  
ოცნება  
მოსილი ლაქვარდი-  
კორდებით...  
თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან,  
ყოველდღე  
იმ წარსულს ვშორდებით.

გზებიდან მიიჭრა ინძისთან  
ტრიერით, ბენზინით,  
შორ ფრთებით...  
თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან,  
ყოველდღე  
რუტინას ვშორდებით.

ხარაჩოც, ქცეული  
ლანდადა,  
და კერაც, რომელიც  
ენტება,  
თანდათან,  
თანდათან,  
თანდათან  
ახალი ქვეყნისთვის  
შენდება.

სასახლე, რომელიც ჩანდა თან,  
ჩაგრულის  
სისხლი და ოფლია...  
თანდათან,

თანდათან,  
თანდათან  
ახლის  
გახდება მსოფლიო.

ვინ იფიქრებდა,  
რომ ამოდენა  
გრანდიოზული  
საქმე გველოდა.  
ასეა ტემბი,  
ასეა დენა  
რეგულაციურ  
საქართველოდან.

1928

### ს ტ ა ლ ი ნ ი

იყო მთლად შეუმოსავეი  
კაცობრიობის აკენი,  
იყო ერთ მუქა ბრბოსადმი  
მრავალთ მრავალის თაყვანი.

იყო ბორკილი მონობის,  
გზა უამურს შრომისა,  
იყო ცა უბატრონობის,  
ვით ნისლი შემოდგომისა.

აღამიანმა დაკარგა  
სინარული და მზე ტბილი,  
ცხოვრებამ გადააჭარგა  
მწარეზე მწარე ღიმილი.

ბევრი დაღლილა ჯალათი  
მებრძოლთ თავების წარკვეთით,  
იყო ომი და ღალატი  
და ყოფნა სასოწარკვეთით.

დღეს კი მსოფლიოს შექვეცდეს,  
ჩემს სამშობლოში სვიანი,  
სხივმოსილი და მოღუქსე  
ღამვეიდრდა აღამიანი.

სტალინი ბელადია და  
მხატვარი უდიადესი!  
ქართვით გადიიდა  
გზა ნაქედი და ნათესი!

ასწია დროშა მაღალი  
კაცთა შრომის და გონების,  
მსოფლიო აზრის, ძაბილის,  
მიღწევის, გამოგონების.

მიპყავს, ვით სიმაღლეების  
არწიეთა ხმობა ალური,  
ჩვენი უბადლო დღეების  
მსველეობა გენიალური.

უღევი დროს ეფუძლება  
ვეფხეთა ნიჭი და გენია,  
უმაღლეს თავისუფლებას  
სამშობლო აღუდგენია.

და ხანა უხვეად ამდიდრებს  
არნახულ ბედნიერებას:  
ჩანგს, მახვილ კალმებს, პალიტრებს,  
სიმღერას, მეცნიერებას.

უმდიდრეს მემკვიდრეობის  
საგანძურია ნახული,  
სადმე მთისა თუ ხეობის  
კლდეებში გადანახული.

შეტრიალებულ რკინიდან  
ალი მოღვივის ფერადი,  
შრომის ეცემა მინიდან  
ნათელი ათასჯერადი.

მარადი სიმაისეა  
ჩვენი ქუჩა და შენობა,  
და სიხარულიც ისეა,  
როგორც ტყის ფოთოლფენობა.

და თუ რომ მტერი ფიცხელი  
მოგვეტბორება დგარებად,  
ჩვენი ლითონის სიცხელის  
შეხვედბა გაფარვარება.

სტალინი ბელადი და  
მხატვარი უდიადესი!  
ქართიით გაადიადა  
გზა ნაპედი და ნათესი!

ეს გაზაფხული სიახლის ძალით,  
მედგარ შეტევით ვაარღვევს საკანს.  
შემოქმედ შრომის თრთოლვა-კანკალით  
არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს!

გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი.  
მფეთქავი ძალა არეს ჰყენია.  
სულ რომ არ იყო ღიმილი ქვეყნად,  
შეხედე, ახლა რაოდენია!

მჩქეფარე წყარო, ამოყრილი ხე  
ჩვენს განახლებას ეუბნება ბანს.  
გაზაფხულს მოჰყავს ეს მზიური დღე  
და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს!

1927

სალამი ახალი გზით გამართიანებულ  
სატარბეგლოს

წინათ მეტეხის ბურჯი  
და ნარიყალა აგეს,  
ახლა მძღაფრი და ურჩი  
სიტყვა გუთუნის ზაჰესს.

დრო მიდის ნათელ გზით,  
რომ მტრობა დითრთვილოს,  
სალამი ახალ გზით  
გაერთიანებულ საქართველოს!

სიბნელე?.. არასდროს, არასდროს!  
სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს,  
სინათლეს გაუმარჯოს,  
სინათლის ყვავილებს!

სიბნელე?.. არასდროს, არასდროს!  
სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს.  
სინათლეს გაუმარჯოს,  
სინათლის ყვავილებს!

1927

ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა

მატარებელიც მოიჭრა თუჯის,  
ბოლს ლეჩაქებად ჯაგებზე სტოვებს  
იქ, სადაც მთები ეპყრა ელგუჯას,  
სად ველარ ნახავ იმავე ფანტომებს,  
უცებ ტრიერის გუგუნს მოისმენს  
დილა ლაფარდი და ნამიანი.  
იქ, სადაც ძველად, ოდიო-ოდესმე,  
თვლემდა „კაცია-ადამიანი“,  
ახალთახალ გზად დაიწყებს კრთომას  
ავტომობილი ელვათა მფენი;  
სად მორბელაძეს, \*რაინდს\* სოლომანს,  
ერთხელ ბელტებში წაეჭვა ცხენი,

და სად სიკვდილი მოისხა ქოხმა,  
ის მწუხარება დარჩება გაღმა,  
ქაინების ბოლი ავა გამოდმა,  
რომ ელექტრონის იფეთქოს ჰაღმა.  
იქაც, სად საესე არის მითები  
ნადარბაზვეი ან გუბაზეთი,  
აეროპლანის გაბედითებით  
მივა რადიო, კინო, გაზეთი...  
ყველაფერს ძველი ფერი წაერთო,  
რაც კი რამ ახალ დროს შეეტოქა,  
რომ ყველაფერი იყოს საერთო,  
ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა.

1927



ვდარაჯობ იმ დროს, როცა ძილიდან გამოგადვიებებს სულის მუდარა, რომ ხალხს ადგილი ექნეს იმ გულში, ეამბა ხანჯალი რომ გაუტარა. მიჰქრიან ღღენი. გული არ გმწყდება, რომ რაც გვეჯეროდა, ღღენი აღარ გვეჯერა. თვალთ ღღენებაში არ გვენანება ის აღმაფრენა, ის გულის ძგერა. ცხოვრებისათვის ძველ აღმაფრენით საუკეთესო ახალში ვცხრებით, ვიპოვეთ გზები და ამ ღრმა რწმენით სიცოცხლისაკენ მივეშურებით. ვიპოვეთ ქვეყნად ჩვენ მეგობრობა და სიყვარულით გამთბარი სხივი. თანამედროვე ცხოვრების გრძნობა, მუდამ მართალი, მუდამ ხანგრძლივი. ნუთუ ღირს დროთა კვლავ მოგონება, წარსული წყლული რომ განიხსლო?

არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე, შენ გაიარე სიცოცხლის ახლო. შენ აარიდე ყველაფერს თვალი. არ დაგინახავს წრფელი ღიმილი. ყველაფერს, ირგვლივ რაც კი რამ გერთყა. შენ დასცინოდი მშვიდი, გულგრილი. სასწაულს რასმე ელოდა სული, გიჟურ ფიქრებით იკლავდი შენ თავს. შენ გაიარე სიცოცხლის ახლო და სიცოცხლისთვის არ შეგინებდავს. ყველაფერს მისწვდი შენ სიცოცხლეში, ბედნიერებით სიცოცხლის გარდა — რომ შრომა არის ბედნიერება, ვერ იგოქმენ, ისე დაეშვა ფარდა. ძველო ქვეყანავ, ნიშნად იმისა, რომ მკაცრი იყო შენი სიმრულე, შენს იღვებში ობობა ზღაბათავს ქსელს და მიკიოტს ჩაუხამს ბუდე!

1927

სამბისო სიმღერებიდან

საქეტრი, შუქთ გუნდი მოაწყდა კარებს, სხივით ისარი გულზე ღამასო. ისევ გაბრუნდა და მე მომესმა მისი ძახილი: „სიცოცხლე, არსო!“ ჩვენ გვასწავლიდა რაზე ვიღწოდეთ ან რაა ჩვენი დანიშნულება — თავდადებულთა ძლიერი რიგის მუდამ ახალი და მძლე თქმულება. ბევრ დიად საქმეს დაუზარებლად აქ განაგებდნენ მიაგარი ხელით. ასრულდა ბევრი, რასაც ველოდით და ასრულდება ის, რასაც ველით. და ბევრ ადგილას, სადაც კი ღღენდებ ვერ მკვიდრდებოდა მისთა რკალი, ახლა უკვდავი გრგვინებით გაისმის უძლევი „ინტერნაციონალი“.

1921

ვით არ ვადიდო  
 ქვეყანა ჩემი,  
 დროშით რომ ხვდება  
 დღეს უზენაესს,  
 მოიწივებს, როგორც  
 ღელვის დროს გემი,  
 მსოფლიოს ხმებით:  
 სალამი მაისს!

ცა უსაენესი  
 სიალით ბრწყინავს,  
 მაისის ნახი  
 მოდის სურნელი,  
 რაც ვარდი ყინავს  
 ვადაუყინავს,  
 გაზაფხულია  
 მისი მკურნალი.

გაქრა ზამთარი  
 გულგამყინველი,  
 მკვლელი სითბოსი,  
 ალერსის, ფერის...  
 ხნოვან სიმღერას  
 მღერის ფრინველი.  
 იგი ბუნების  
 აღდგომას მღერის...

მაისთან ერთად  
 შენც იგრძენ, გულო,  
 ახალგაზრდობა  
 ჩემი მამულის.  
 მისი დღეები  
 საგაზაფხულო  
 გამოღვიძების  
 და ქრიაშულის.

შეიგრძენ ველთა  
 აყვავილები.  
 შეიგრძენ ტყეთა  
 შრიალის გრძობა,  
 როგორ იზრდება,  
 როგორ იშლება  
 ბრძოლის წყურვილი  
 და ნებისყოფა.

იმღერე კაცთა  
 დიდი მიზანი —  
 დიდი კავშირი  
 შრომის, მშვიდობის  
 იმღერე ვარდნი  
 მაისისანი,  
 სიყვარულისა  
 და ერთა ძმობის.

პირველ მაისის  
 საბრძოლო ხმებთან  
 ცხოვრობს მსოფლიო  
 ხმაგანუყრელად,  
 უკვდავ იდეათ  
 გამარჯვებებთან  
 მიდის მაისი  
 გზაგანუხრელად.

მიეცეთ მხარი მხარს,  
 მიეცეთ ხელი ხელს,  
 დედამიწაზე  
 იმედთა მფენი,  
 პირველ მაისის  
 აყვავებულ დღეს  
 მოწოდების ხმა  
 ვაისმის ჩვენი.

რომ გრძნობა იგი  
 ბრძოლით ახალჰყო.  
 გამარჯვების მზეს  
 მოეფერები,  
 რომ ვაიშალოს  
 ფრონტი სახალხო,  
 რომ საბრძოლველად  
 აღსდგენ ერები.

ერთად წავიდეთ,  
 ძმო და ტოლო,  
 სოლიდარობა  
 რომ გავამეფეთ —  
 პროლეტარებო,  
 დრო არის, ბოლო  
 მოედოს ზალხის  
 ამდენ წამებს!

ოქტომბრის გრიგალს  
რომ შეეჩეია  
კაცობრიობის  
გზის პატრონობა.  
ამაოდ ხომ არ  
შეუტრუყვია  
ათასწლოვანი  
ჩაგვრა-მონობა?  
სიერციდან მალე  
გამოანათებს,  
დამაბრმავებელ  
დღის ელვარება!  
ის თავზარს დასცემს  
ბნელ მუხანათებს,  
ის გამარჯვებით  
გაეჩქარება.

მთელს მსოფლიოში  
„ბროლეტარებო  
ჰველა ქვეყნისა,  
შეერთდით!“ — ისმის.

ამ სიტყვას სიტყვა  
არ ედარება,  
რომ სამაისოდ  
ათბობდეს ვისმე

ამ სიტყვებშია  
ზომავლის ძალი,  
შემარყველო  
კიდით კიდესი.  
მათში მარადი  
ფეთქს იდეალი,  
და იდეალი  
შუდიდესი!  
ის ხატებაა  
სვლის დაუცხრომლის  
და შეტევების!  
ხალხი კი ახლა  
ოკეანეა,

ტალღები რომლის  
ადელს სწევენ  
მიღლი, სულ მიღლი!

არვის არ ძალუძს,  
რომ ჩვენი აზრი  
სივანეს მისცეს  
შავს, უსადგუროს.  
არვის არ ძალუძს,  
რომ ჩვენი ბასრი  
სიტყვა. მძლე სიტყვა  
გაინადგუროს!

ფაშიზმს სისხლიანს  
არა აჭვს ეშხი.  
ჩაქროს გულთა  
ღეღვა მრისხანე;  
არვის არ ძალუძს,  
საპყრობილეში  
რომ მოათავსოს  
ის ოკეანე...

მძლავრო ტალღებო,  
სელა გააახლეო.  
ხომალდს — მტრის ხომალდს  
დაეჯახენით;  
თავისუფლების  
შქვდავ სახელით.  
სამართლიან მზის  
შქვდავ სახელით.

დღეს, სამამულო  
ომის ფიცხელ დღეს,  
მაისის ისმის  
ხმა მოწოდების,  
ერთი ღროშის ქვეშ,  
რათა შეერთდეს  
ბროლეტარები  
ქვეყნის ყოველის!

1944

თითქო მხრებს ესხას ბრწყინვალე ჩოხა,  
 დღეთა უღმობელ სასაფლაოსთან,  
 ჩვენი ელვარე ოქროს ეპოქა  
 ქმნის სულ სხვი, ახალ „ვეფხისტყაოსანს“.  
 განთიადისას აღნაღვივები,  
 კთომა-კანკალით და მისალმებით.  
 ფერებს მყინვარზე წერენ სხივები  
 მარადიული ოქროს კალმებით.

1930

გამარჯვებას თანაბრად წერს

სამშობლოს გზას მრავალფერს —  
 შარაა თუ ვიადუკი —  
 გამარჯვებებს თანაბრად წერს  
 თმაქალარა და ქაბუკი.

მოხუცი არ გულმავიწყობს,  
 ახალგაზრდას ძალა სწელება,  
 და ორთავეს სურს დაიწყოს  
 ერთმანეთთან შეჯიბრება.

მოხუცს ქუდი წარბზე ხურავს,  
 ახალგაზრდას ცოტა გვერდად,  
 მაგრამ კედლებს და სახურავს  
 თავს ეცლება ორივე ერთად.

სამშობლოს გზას მრავალფერს —  
 შარაა თუ ვიადუკი —  
 გამარჯვებებს თანაბრად წერს  
 თმაქალარა და ქაბუკი.

1929

ძალადი ზეპალკვეფი

ლეღვის დროს გემზე „ტეოდორ ნეტრე“  
 ანძები დატყდნენ, როგორც მშვილდები.  
 ფიჭვებს მორგეში რაც უნდა კეტდე.  
 ერთს მათგანს მაინც ვერ მოსცილდები.  
 რომ დააყარა ქარმა ფაფარი  
 უზარმაზარი გორების ეტლებს.  
 პოსეიდონის ძველი ზღაპარი  
 ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.  
 ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით  
 ცა ჩემზე უდიდა ძალთა მოკრებას.  
 მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი  
 ცხოვრების ჩემის ამობოქრებას.  
 გადმომავრეე შენი ზვირთები,  
 რომ მხარეებმა მხარეს გაასწოროს...

იქუხე—გასწყვრი! არ ავტირდები,  
 არც შებრალებას ვითხოვ არასდროს.  
 მე სხვანაირად ზვირთი მოვსახე,  
 მზემ ჩემკენ სხივი რა მოიღერა,  
 ბოლოს ზომ მაინც მე შემოვცახე  
 გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.  
 როგორ? მე ვქმნიდი იმედებს ვანგებს!  
 და მისთვის მსურდა ვარდების ფენა,  
 მისთვის ვფერავდი მრავალჯერ ჩანგებს,  
 რომ მხოლოდ მტრისთვის დამეტკბო სმენა?  
 არა და არა! მრავალი სტანჯა,  
 მრავალს დაუფრთხო სიმშვიდის ძილი —  
 ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,  
 ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი.

მოგხვდეთ? იგრძენით? შევატრიალებ  
თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?  
იყო თუ არა ქექვა-გრიალი,  
ჩენი დღეების ცა ნაქორფალი?..

ო, შავო ზღვაო! ასწიე გემი,  
შუქი დაენტოს ქაფთა მოკრების —  
დაე, კვლავ ჰგაედეს მგზავრობა ჩემი  
ცხოვრების ჩემის აზობოქრების.  
მაგრამ შორს ლურჯი გამოხნდა მთები,  
ახლა იქ მყუდრო ნაფსადგურია.  
წყალში შთასული არის მითები  
და ძველისძველი დიოსკურია.  
ზღვის ფსკერზე ახლაც მგზავრები  
ძველ კედლებსაჲს ჰპოვებენ ხეაფებს,  
ამოაქვთ ოქრო აუარება  
და სიგანძურით ავსებენ ნაფებს.  
ქალაქი წყალქვეშ მძინარი მზარის!  
როს შეღამდება ნაქრისფრად ასე,  
მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის  
და აღმაცურად იშლება ზღვაზე.  
ნაპირებიდან კავკასიონის  
მთებამდე მოსაეს ბინდები შავი —  
მაშინ მძინარე პონტიის დონეს  
მე მიმაქანებს ფარული ნაეი.  
ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში  
თითქო სხვა მესმის იღუმალება —  
ილუზიაა! ჩვენება! მასში  
სულ ახლო, ახლო რომ იმალება.

თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა  
მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს,  
მათში წყალქვეშა გუგუნებს ზარა  
და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.  
მივეყურადებ: ისევ და ისევ  
განწეორდება ხმა უცნაური —  
ის იღუმალი ქალაქი-სფინქსი  
მეძახის უცნობ აღრწავლით...  
ვგრძნობ, თითქო ფსკერზე ვეშვები ცურვით,  
ხელით ვეხები წყალქვეშა თხემებს,  
წყალში დამარხულს ვიგრძნობ მომდღვრვით  
ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს.  
აქ დაფარულა მთელი კრებული  
და სინნელეში ელავს თვალები —  
ის ძველთაძველი შთამომავალი,  
ის უძველესი ფეოდალები...  
მათი ვერა გრძინობს ფიქრ და ბაგე,  
რომ მცხეთის ახლო, ახალ ნათებით  
ელექტრონების გაჩნდა ქალაქი  
ათასეული კილოვატებით.  
იყო ქალაქი, იყო სიგანი,  
ოდესმე მძლავრი და ალიერი,  
ახლა ცივია გზა შინაგანი,  
იღუმალია და ცარიელი...

„ტელორ ნეტტე“ ახლა ისვენებს,  
და ფრინველების დაცხრნენ გუნდები...  
მშვიდობით! სსოფნით დაკარგულ ფენებს  
არასდროს აღარ დაუბრუნდები!

1927

**თამისუფალი და ძლიერი ადამიანი**

ჩვენ ხომ იმისთვის ვაჩენილვართ  
და ის გვაქვს შინადა:  
მივცეთ სიცოცხლე, თუ გაქრება  
დღე ზნაშიანი —  
შეუზღუდელად არსებობდეს  
ამ სოფელ-ქვეყნად  
თავისუფალი და ძლიერი  
ადამიანი.

1930

## მწვერვალები ახალი მთბარის

კავკასიის ჩაღალ ქედზე  
მიდიოდნენ სვანები,  
ექვეოდნენ ბილაკებად  
გზები დანაქანები.

შუალამე რომ გადვიდა,  
ერთი რაზმი ვეება  
დაეწია დაღლილ მგზავრებს  
და სასტიკად შეება.

რა დრო იყო და რა მტრობა...  
დადგა სისხლის ფეშხუმი,  
გადიკიდნენ აქ სვანეთი,  
იქით—რაკა-ლეჩხუმი.

წაიშალა მოგონება  
ძმობის სიამაგეთა —  
ისეც ვიწრო გზები მთისა  
ძმათა მტრობამ ჩაპკეტა.

შვიდ წელიწადს მთელი კუთხე  
რატომ უნდა ჩაპკირო —  
ველარ მიდის სამუშაოდ,  
ველარც საჯამაგიროდ.

შვიდ წელიწადს არ უნახავს  
სვანეთს გემო მარილის,  
მერე მთლად რომ გაუჭირდათ,  
მულამ ასე არ ივლის...

ეს დიდი ხნის ამბავია...  
ივრინეს რა ერთმანეთი,  
დამშვიდებულ შრომით მოდის  
იმ მთებიდან სვანეთი.

გზები გაპყავთ. კრიამული  
ცეცხლად შემოსდებია  
ყველგან, სადაც მიუვლი  
და უღრანი მთებია.

შეერთებულ შრომას მღერის.  
ნისლები რომ ეხურა,  
ხანისწყალი, გუბისწყალი,  
ცხენისწყალი, ტეხურა.

შეერთებულ ძალას, შრომას  
მღერის, ვით მაყრიონი,  
ლიახვი და ალაზანი,  
ქოროხი და რიონი.

შეერთებულ შრომას მღერის  
ჩანჩქერების მარავი,  
ნატანები, იმერხევი,  
ენგური და არაგვი,

მაშავერი, მტკვარი, ქსანი,  
ალაზანი, ძირულა...  
აქ მრავალი ათასი ხმა  
ერთად გადაკირულა.

მთებო! დასწვით ძველი შავი  
ახალ დროის სიალეთ,  
თავისუფალ მწვერვალების  
დროშა ააფრიალეთ!

1929

აღსდგა სიმღერა! ისევ სიმღერას  
 დიდი სიმაღლის აიქვს რეკორდი.  
 შენ შეეთვისე ამ სიმაღლეებს.  
 შენ ამღელვარდი და ამთავორდი.  
 მუღამ ეძებდი შენს სიციცხლეში  
 თანამგრძნობელებს, მეგობრებს ერთგულს,  
 მუღამ წყვილიაღში ნათელს ეძებდი,  
 და უწოდებდი ცხოვრებას ბედკრულს.  
 დაკინვას, ჯგობას და დამციროებას  
 სიმართლისათვის ქვეყნად იტანდი.  
 ახლა სხვა დროა, დიღო სიმღერავ,  
 კვლავ გაფოლადი და გატიტანდი!  
 ისევ აენთო აღმოსავლეთი,  
 ისევ ბრძოლაშეც იცვალა ფერი.  
 რაც ცხოვრებაში არის სიმართლე,  
 დაბრუნდა ყველა და ყველაფერი.  
 მზე, ამოსული აღმოსავლეთით,  
 დასავლეთით არ ჩაესვენება,  
 ისევ რეალურ უკვდავებათა  
 ეპოქას მოაქვს მთელი მშვენიება.

1930

ქუხდე, გულისტქმე! სული მღელვარებს.  
 გული მწველ ცეცხლით კვლავ გაიმსკვალი,  
 გაშუქდი, სანამ მძლავრია გრძობა,  
 გაშუქდი, სანამ გეგნება ძალა;  
 გაშუქდი, სანამ სიმნი შესძლებენ  
 და სიღრმეს კიდევ ცეცხლი ექნება.  
 მნათობნი სხივებს გადმოგაფენენ...  
 გაშუქდი, დიღო ბედნიერება!  
 არის სიციცხლის დიდი მიზანი  
 და უფრო დიდი დანიშნულება:  
 ფერფლი არ იყოს აღამიანი,  
 სანამ ახარებს თავისუფლები.  
 ბედგანათებულს სჯეროდეს ერთი:  
 მზე თანაბარი კაცობრიობის,  
 იბრძოლოს შრომის სუფივისათვის,  
 იყოს მღერალი მზიური ყოფის...  
 და პოეზიის სიმაღლეები  
 ერთგულ მფარველად დარჩება თანა —  
 რა არის მასთან სხვა ძლიერება,  
 რა არის მასთან თვითონ ქვეყნა!

1916

და უ ძ ლ ე მ ე ლ ი

ვერდაძლეული—გზით მხამიანით,  
 სიციხით, ჭაობით და ტრამალებით —  
 მოდის მდგარი აღამიანი  
 და გული მისი ძგერს გაშალებით.

წინათ სიმბიმედ მას თავზე აწვა  
 ამინდი მთების, ამინდი ზღვისა,  
 მაგრამ გავიდა მცირე ხანი და  
 ზღვა შეისწავლა, მთაც შეითვისა.

აღამიანმა სძლია ბუნება  
 და მისი სუხისი, მტრობა მრავალი,  
 და ახლა მის გულს ესაღბუნება  
 ცა სილაყვარდით ამომივალნი.

აღამიანი აქ მოსულა, რომ  
 მძლედ შთაისუნთქოს ზეცა მზიანი,  
 რომ სინარულად აქციოს შრომა  
 და იყოს მართლა აღამიანი.

1935



არგონავტები ახალი დროის

მიჰყვ, გაუგონე გორბლემს!

იქ, სადაც მთანი დარაჯად დგანან,  
ბიზინი გაიქვთ ზურმუხტის ჭალეგს,  
სადაც არწივი მწვერვალებიდან  
დიად ბუნებას ხარბად თვალს აელეგს,  
სადაც ფაზისი მოქუხს და გრგვინავს,  
ხან მკაცრი, ხანაც დაღონებული —  
დიდა ხანია შრომის სახლი დვას.  
ძებნათა ეზებით დამონებული...  
დრომ რომ წაიღო უბოროტესმა,  
აქ საწმისია იმ ოქროსია,  
მოვდივართ ახალ აღმოჩენისთვის  
არგონავტები ახალ დროისა!

1921

რკინა, ფოლადები, რკინა, ქვანახშირი,  
ქუჩის ხერხემალი, ქარხნის საფეთქელი,  
შრომით იბურება სუნთქვა განახშირი,  
როგორც მასალები ასაფეთქებელი.

დვანან მშენებლები, როგორც ქვა-პიტალო  
არის ანგარიში მაღალ სართულებით,  
მოსჩქეფს ზაჭესიდან ალი მოწითალო,  
ბინდში გატანილი მწყობრი მავთულებით.

მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული —  
არის საუკუნე ინდუსტრიალური!

1927

საუშირმა დაჰკრა

ორთქლმავეილს  
სოციალისტურს  
მტერი ჰყავს ჯერ დაუმცხრალი.  
თუ არ დაეუხედიოთ,  
როგორც გვსურს,  
თავი რად გვინდა ცოცხალი?!  
საყვირმიც  
დაჰკრა დილისამ,  
აჰყარა გარეუბნები.  
ცისკარო  
თვალეზთილისმა,  
რატომ ხანს არ ეუბნები!  
შენი ცა  
სხვაფერ ოცნებობს,  
ლამეც ბევრი გაჭეს ნათევი.  
აქ კი სხვა  
სახელოსნოა  
და სულ სხვა ნაძალადევი.  
ამქარი  
ხილს გადასცილდა,  
ხილს გადასცილდნენ ლანდები

დაჰკარით.  
რკინიგზელებო!  
დროვ, ასე გაფოლადდები!  
აქ თვითეული  
მკრებელი  
მებრძოლი არის მდგარი,  
რომ დასძრას მატარებელი  
ახალ ლიანდავს შემდგარი.  
სტვენს ორთქლმავეალი  
ქარდაქარ,  
კვამლი ფრიალებს ნაქარი.  
საყვირმა დაჰკრა,  
შენც დაჰკარ!  
დაჰკარი, ცეზო, დაჰკარი!  
სამშობლოს  
სოციალისტურს  
მტერი ჰყავს ჯერ დაუმცხრალი,  
თუ არ დაეუხედიოთ,  
როგორც გვსურს,  
თავი რად გვინდა ცოცხალი?!

1928



### მხარი მხარს

მხარი მხარს, მხარი მხარს,  
 კოლექტივო, მხარი მხარს!  
 აბა, ჰე, აბა, ჰე,  
 აბა, მიეცეთ მხარი მხარს!  
 წავიდეთ, მივედლოთ  
 თავისუფალ მთა და ბარს,  
 მივიდეთ, მივუდგეთ  
 გაერთიანებულ ჯარს!  
 არიქა, არიქა,  
 ჩავეჭიდეთ გუთნის ტარს!  
 არიქა, ბოზოლა  
 ძველ ლობეებს უვლის გარს...

აბა, ჰე, ქილატო.  
 ველით მანქანების ღვარს!  
 მხარი მხარს, მხარი მხარს!  
 კოლექტივო, მხარი მხარს!  
 წავიდეთ, მივებდლოთ  
 ცეცხლმოდებულ მთა და ბარს,  
 დროშებით მივუდგეთ  
 გაერთიანებულ ჯარს!  
 ვინ ნახავს რამე დარს —  
 ახალ საქართველოს დარს!  
 მეხი მეხს, ქარი ქარს,  
 ჩვენ კი მივცეთ მხარი მხარს!

1928

### მამილეების კუჩაბ

სიღამო ხანად სოფლად აღუზის  
 აშრილიება კი ნუ გგონია —  
 თვალუწვდენელი მჭედლების ქუჩის  
 ალტაცებაა და სიმფონია.  
 გრგვიწვა, გრიალი, რეკვა, ტეხილი,  
 ელვა, ქურაზე მაჯა მაგარი,  
 ფოლადი, რკინა გადაგრებილი  
 ვადააბრუნე, ასწი, დაჰკარი!

1929

### ამჟღავნადი, მანქანაკ!

კაშკაშა მზის მხურვალეებით.  
 თბილ წვიმებით შეშლილები.  
 ზურმუხტოვან-მშვენიერი  
 სწორდებიან ჯიჯილები.

და შავი ზღვის მათზე ქარი  
 მზიარულად გადამღერებს,  
 აშრილიებს აყვავებულს  
 და ნაყოფით სავსე ღერებს.

მოაგროვეთ მოსავალი  
 სამკალო და ძნის საკონო.  
 არეზარეს ახალი ხმა  
 ხშირად უნდა გაავანო.

ახალი რომ გაგაქვს კვალი,  
 მისთვის ჩქარობ, მისთვის ღელავ.  
 ამუშავდი, მანქანაკ,  
 ახმაურდი, საღვწელავ!

1929

## შრომა და მოსპენიება

როს ხელს გიშლის ხეობები,  
ცივი კლდე და ხმელი ნერგი  
შენ მიდამოს ეომები  
და ხმაურობ, როგორც თერგი.

და ყოველ წუთს, ყოველ მხრიდან  
გამოძახილს ისმენს ხევი,  
რომ სიმძიმეს მკერდით იტან  
და ზეცამდე მიირხევი.

მე ვხარბდები ხმაურს ხმოვანს,  
მქუხარებას, წინსვლის გრინობას.  
მასში ვხედავ ყველალოვანს  
სიხარულის მუღმიეობას.

ცად ფოლადის გედებია,  
ძირს ქუხს თერგი და რიონი,  
მთვარე თითქო ედებია,  
საყვარელნი გარემონი!

ხომ შენია, ხომ ჩემია  
ეს მდინარე და ეს მთვარე,  
დიდ ზრუნვას რომ მისცემია  
მშობლიური არემარე.

საშშობლო თავს გვადგას—დედა  
მოსვენებულთ მუუდრო ძილით.  
რომ სიცოცხლით აღსაესე და  
ბედნიერნი ავღვეთ დილით.

1932

## ბამნიარულდი, ბუხარო!

თოვლი და ქარის ფაფარი, გაფითრებული მთა-ბარი.  
ქოხნახი მიუსაფარი, უსახურავო, უკარო.  
ისიც გადასწეეს ცხრაას შვიდს, აბობოქრებულს, განა მშვიდს,  
შენლა იხილდი პანაშვიდს, თავმონგრეული ბუხარო!  
ის გაქრა! იმ სამწუხარო გზისკენ ვერ გადაუბარო,  
გამზიარულდი, ბუხარო, ბუხარო თვალეგვიზგიზა!  
ოც წელს, ყოველ წელს თრთის გული: მოზღვევა ბეშეშეა კრებული,  
და თავის გახარებული სიცოცხლით ვადიქისქისა.  
ცხოვრება—მზის თანაბარი, ვაცოცხლებული მთა-ბარი,  
ვართ დიდი ცეცხლით გამთბარი ტიტანის — ჯუღაშვილისა.

1937

## მი მოცნებობ ახალ საბართველოზე

მკათათვის მზე ამწვანებულს უვლის ველს.  
აქა-იქ ჩანს დაშთენილი კიდევ მნა,  
გაენთები მოგონებებს უღარდელს,  
დავიწყება არ იქნა და არ იქნა...

ხავერდივით ამწვანებულ მდელიოზე  
ცხენით მივქრი, გული იწვის და ღნება.  
მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე,  
იმ მინდვრებზე, ზვალ რომ დაიბადება.

1929

## ლარის სიბირიკა<sup>1</sup>

ფიქრს დღე და მოსწრება  
რად გადავალე?  
ლენა, ენისეი,  
ზაბაიკალიე...  
აწ ჩემი ოცნება  
და ჩემი ლირიკა  
ობოლი ნაძვია —  
ლარიქს სიბირიკა.

სხვა იტყვის: სად ჩვენი  
ქართველი პოეტი,  
სად მზე კოლხიდისა  
და სად ჩრდილოეთი!  
განდევნა მიწაში,  
ცამ ვერ შეირიგა  
მაღალტანოვანი  
ლარიქს სიბირიკა.

ონევის სიშორე,  
ურალის ქარ-თოვლი.  
ყოფნა ლარიქისა  
ცივი, მარტოული.  
დღეები სითბოსი  
გვრეინ დაირიგა  
და აღარც შენ გერგო.  
ლარიქს სიბირიკა!

იყო დაკარგული,  
წიაღს რაც ებადა  
ადგილს კატორღით და  
გადასახლებათა.  
დიდი გარდატეხის  
ხარი დაირეკა,  
და შენც მოგესმა ის,  
ლარიქს სიბირიკა!

აწ ვით უსაზღვროა  
სივრცე შენ გარშემო,

იტყვი: ვაიღვიძა  
მხარემ მძინარემო —  
ვითარ დიანია  
იმ გზით, იმ არეთა  
მძლავრი ენერჯია  
წყალუხე მდინარეთა.

აგერ მონადირე  
მოდის, ვით წვეული.  
და მას ათასფერი  
მოაქვს ბეწვეული.  
თოვლი, როგორც მტვერი,  
ისე დაირეკა  
შენმა განრტოებამ.  
ლარიქს სიბირიკა!

ზღაბრულ სიმდიდრეთა  
დროა მოგროვების,  
აჟრაცხელია  
ოჭრო — ოქროების  
შემჭიდროებულთა  
არა აქა-იქა  
გადაჭიმულია  
ტუნდრა და ტაიგა.

მიწას ციმბირისას  
ტყეთა ამაღებით  
მისდევს თვალწევდენი,  
ვრცელი ტრამალები.  
რაც კი ფაბრიკების  
დიდი მილებია,  
დიდი ქარხნების ხმას  
შეხმატებლებია.  
ყინვა გადავიდა,  
ნისლი გაირეკა —  
მაისს გაუშარჯოს,  
ლარიქს სიბირიკა!

1947

1. ლარიქს სიბირიკა (*Larix sibirica*) — ციმბირის ნაძვი.



### კოლხიდის დაბლობზე

მალარია!  
 ხან სიმინდი უტყვია,  
 ვით ეს ყანა,  
 ფარცხი, ფაცხა მებრული,  
 გული კაცის  
 მოკლულია უტყვიოდ.  
 ხელები აქვს  
 უბოროტოდ შეკრული,  
 სასიმინდე,  
 ნახე, როგორ მოხრილა,  
 ძლივს იკავებს,  
 ჩამომპალი შორები.  
 ტაროებიც  
 როგორ მიყრილ-მოყრილა,  
 რა სიშმაგით  
 დრიალებენ ღორები.  
 არა შორი  
 და ელური სბილოა.  
 არამედ სხვა,  
 სიციხიანი დინება,  
 რომ გაშლილა —  
 ეს სოფელი ტილოა,

მალარიის  
 ყვეთლად იბიბინება.  
 აქ აყვავდეს  
 უნდა მხარე ფლორიითა.  
 ბაღზე ბალი  
 გესალმება გორიდან —  
 აქ ასეა.  
 მალე აშრიალდება  
 ფორთოხალის  
 და ღიმონის ბაღები,  
 დაიჭროლებს  
 სიო ჩვენი შვეი ზღვის  
 და პალმების  
 აიწვეა თაღები.  
 ბურუსში ჩანს  
 სუბტროპიკის მცენარე,  
 ამ უაბზე  
 ხვალ რომ გადაიშლება.  
 ვაჟმარჯოს  
 აყვავებულს ამ არეს,  
 პირველყოფილს  
 რომ სპობს გადაიშვლებას!

1929

### ემკალიპტი

მოგონებებმა  
 შენს ჩრდილში ნახა  
 მზე გამჭვირვალე,  
 როგორც თივითკი.  
 ვესაუბრებო  
 შენს ჩრდილს — რაა, — რომ  
 მე პოეტი ვარ,  
 შენ — ემკალიპტი!

მწუხრს შვეი ზღვიდან  
 ქარი მოღვლავს.  
 შენს მხოლოდ მწვერვალს  
 ბრის, უაღერსებს,  
 ის ბალახბულახს  
 თუმცე გადათელავს,  
 ვერას დააკლებს  
 შენს მტკიცე ფესვებს.

ასე: თუ აბლო  
 ფიჭვი დაერთო,  
 ეხმაურება  
 ოცნება შორისს.  
 მაინც საერთო,  
 დიდი საერთო,  
 ძვირფასო ხეო,  
 რაა ჩვენ შორის?  
 სულთქმით დიადით,  
 გულთქმის ხმაურით,  
 მხრების აზიდვით  
 და ძალშეგებათ —  
 მცენარე მკვიდრობს  
 ფესვებით მძლავრით,  
 ადამიანიც —  
 ამოზის ფესვებით.

1947

### მედულება ოცნებისა და სინამდვილის

აღბათ, იმიტომ ხომალდის აფრით,  
იღუპალ წყენით და გულდიდობით,  
ვერ მოახერხებს გული ვერაფრით  
უკანასკნელად ვითხრას: „მშვიდობით!“ —

რომ დრომ ზეირთები მხარით გადიშვა  
და დააჯახა ერთიმეორეს,  
რომ სამლოროდ მოხდა გათიშვა  
სინამდვილეს და ოცნებას შორის.

მაგრამ მოწყენით ნუ ხარ, მხნე მუხავ!  
როგორ არ არის ეს გაოცება:  
ოქრომ ლაგვარდში კვლავ დაიდულა  
სხვა სინამდვილე და სხვა ოცნება!..

1942

### ბემრნაირი ახლა ნატმრა

რა ტკბილია დასვენება  
სალამო ჟამს, შრომის მერე.  
მოალერსე ფრთით განაზნენეს  
დალლას სიო მოჩანქერე.

ფოლადივით ელავს წყალი,  
მიაზურებს ზეირთებს ნელა,  
სად ვენახთა დარაჯებად  
დგანან მუხა და წიფელია.

დარბაისლად დაბრუნდება  
ქრელ ძროხების დინჯი ღვარი,  
სახლთან, დახურულთან ყავრით,  
მიქუჩდება. უეცარი

ჩონგურისას აწვობს სიმებს  
ნათელ ქოხის ყრიაშული,  
გაიშუქებს ელექტრონი  
ბინდის ცვარით მონაშული.

და წერწეტა ალგათ შორის  
ისე, როგორც ვერცხლის ნავი,  
გამოცურდა მთვარის დისკო  
ლურჯ სიწმით მონართავი.

მაგრამ მისი მოკამკამე  
მკრთალი შუქი მშვიდი ფერის  
იჩრდილება ელექტრონის  
ცეცხლოვანი აფეთქებით.

რეკავს თარი. უძველესი  
კაკლის ხის ქვეშ, თარის ხმაში  
მოხდენილად უფლის ქართულს  
წყვილი, ცხარე ისმის ტაში.

მხიარულობს ახალგაზრდა,  
ახალგაზრდა სწავლობს კიდევ.  
მებალე და აგრონომი  
მისევია კიდით კიდეს.

დასჭირდება მხარეს მრავლად  
ჰედაგოგი, ინჟინერი,  
ახალ ქვეყნის სამუდამოდ  
შეცვლილია სახე, ფერი.

გრძნობა დიდი, მშვენიერი  
ძველ ჭრილობას უმკურნალებს,  
მოხუცები სიხარულით  
შლიან წიგნებს და ჟურნალებს:

როგორც ცხოვრობს სოფელ-ქვეყნად  
ახლობელი, შორეული?  
რა ხდება იქ, ევროპაში,  
რა სდება აქვთ მორეული?

რისთვის უნდა იაბონელს,  
რომ მახვილი ჩასცეს ჩინეთს?  
რისთვის ესხმის იტალია  
თავს საბრლო აბისინელს?

რისთვის შხამავს ამერაკა  
ფორთოხალის მთა და გორებს,  
დასაწვავად ხორბლის ტომრებს  
ცეცხლისკენ რად მიაგორებს?

ზღვაში რისთვის ყრიან ყავის?  
კაცს შეიპყრობს გაოცება —  
ზღვაში ყრიან საზრდოს, ხალხი  
კი შემშლით იხოცება!..

ან ეს კიდევ რა წიგნია? —  
ხანში მყოფი ჰაბუკს ჰკითხავს —  
ტრისტანისა და იზოლდას  
შენ ამბავი წაგიკითხავს?..

სმენა იყოს, გაგონება!  
და ღიმილი დაჰკრავს სახეს:  
ვაჰტრებმა და ბობოლებმა  
რა ხანია განიზრახეს

მოეწიათ ჩვენში ჩაი,  
გამდიდრებას, დიდი ყინით,  
მოელოდნენ ფორთოხალით,  
ღიმონით და მანდარინით.

არაფერი გამოვიდა —  
ჩაი იყო უგემური,  
და ხეებიც მუჟე ნაყოფს  
იძლეოდა, უღლეური.

ალბათ, ჰავე აქაური  
მათ არა რგებს, ხეებს სცივა...  
და სტალინიმა ციტრუსებზე  
გამოგზავნა დირექტივა.

შეიკრიბნენ სწავლულები,  
ძვირფასია თითო წუთი,  
ითათბირეს და კვლევითი  
აღმოცენდა ინსტიტუტი.

იწყეს კვლევა და გარდაქმნა  
ბუნებისა. მიაღწიეს  
მას, რომ ჩაი და ნაყოფი  
შემოსავლის ზღვად აქციეს.

ჩაი და მანდარინიც  
გემრიელი რამე ვახდა.  
სადაც კერძო თაოსნობა  
გაკატრდა და გაპარტახდა.

კოლმეურნე მილიონებს  
იქნს კოლექტორ ზევით.  
განცვიფრებას ეძლევიან  
მობხუცები ამ ამბავით.

თანაც ჩიბუხს აბოლებენ,  
თან მსჯელობენ, რომ მობრუნდა  
მათი ზედი, რომ ყველაფერს  
ცოდნა, განათლება უნდა.

რომ არც ბაღი შემციირდება,  
არც ვენახი რას წააგებს,  
და ახალი კულტურები  
შეცვლიან ტყის ჩირვებს და ჯაგებს.

რომ კულტურის დაღს ატარებს  
თვითთული ჩვენი ნივთი,  
რომ ციების კოლოს მოსპობს —  
ჰაობს აშრობს ეყვალბატი.

და დროც მიდის საღამო ხნის  
მშვიდობიან ლაპარაკით,  
რომ ტუნგოს ხე განთქმულია  
იშვიათი რამე ლაქით.

მისით გადაფარულ რკინის  
არ ეღება ქანგი მწვავი,  
ვერას აენებს რამეგვარი  
სინესტეა თუ სიმკავე.

დაფიჭრებით მოხუცები  
ბრუნდებიან თავის ბინად:  
სრულებით არ იზრდებოდა  
ამგვარი ხე ჩვენში წინათ.

ხომ ცხოვრობდნენ, თავის სოფლის  
იქით არა ენახათ-რა...  
ძლიერ, ძლიერ იცვალა დრო,  
ბევრნაირი ახდა ნატურა!



ვერა, ვერ იგრონო ძველმა ეშმაკმა,  
 ვერც ძველმა ღმერთმა, იმ ელვის ძალით  
 თუ რა სისწრაფეს გამოლმა-გაღმა  
 ამოძრავებდა აჭარისწყალი.  
 ახმაურება მისი იმ ღამის  
 ათასი ქარის იყო ხმაური,  
 ძლიერი ქარი კოლხიდის შლამის.  
 მსუბუქი ქარი მახინჯაურის.  
 და აყრუებდა ტყის ძალისძალად.  
 ვით უეცარი სიტკბო და ელდა.  
 მრგებელი ქარი ატეხილ ჭაღათ  
 და მიაწე ქარი ლაქაშის ველთა.  
 იყო თანაბარ აფრენა ქარის:  
 უახლოვდება კარებს თანდათან  
 გრივად ქარი ტრიალ სამგორის.  
 აღერსის ქარი ჩვენს ლაზიკიდან.  
 თავაწვეტილი ვეფხვი, რომელიც  
 ვერ იგრონობს რაა ჯაჭვი და რკალი,  
 აღიდებული, დაუდგრომელი  
 ეშურებოდა აჭარისწყალიც.  
 ხიდებს და სახლებს, მწყემსთა სადგურებს.  
 ტყეებს და ველებს, ადგილებს მზიანს  
 მდინარე ანგრეებს და ანადგურებს,  
 ანგრეებს ყველაფერს და მიაქვს, მიაქვს...

გამოწვეული დაბურულ ტყიდან  
 ინდუსტიული ყიფინით, სტვენიით.  
 ის უცებ შედგა... დასაბამიდან  
 პირველად შედგა ბრაზით და წყენით.  
 შეხედეთ მიმჭროლს სხვა ბედის ეტლით!  
 რა დაბრკოლებას შეხედება სამტროს!  
 შესაყენებლად ამართულ კედლით  
 სურს გადაეშვას და, აი ამ დროს —  
 თითქო ვიღაცას სურს, რომ გადაუღვას  
 გოგანტიური ფოლადის ხმალი,  
 და უგონობით ქანებაში ხმალს  
 ტანით შეეპრას აჭარისწყალი...  
 შეხედეთ: სისხლი, წყლული, იარა  
 პაერში როგორ იშლება ალის,  
 მაგრამ ეს შეუი სისხლი კი არა —  
 ცისარტყელია პიდროცენტრალის!  
 იგი აშუქებს ქარსა და ნიავს...  
 აჭარისწყალის ელვარე ბედი  
 მას შემდეგ მიდის, მიდის და მიაქვს  
 ახალი დროის შარავანდელი!  
 სხვაგვარ ვარდის და იის საქრფად  
 გველიან წყალნი აჭარისანი,  
 გმირებს ეძახის თავშესაქრებად  
 სოციალისტურ დღეთა მიზანი!

1940

ჩრდილმა ბაღნიძეოლა

რა ჩრდილი აერობლანის  
 ველებზე გადისრიადებს,  
 გაზაფხულის დღეს დიადი  
 ტყე საიდუმლოდ შრიადებს.  
 შთა-კლდენი უზარმაზარნი  
 შესტვერენ: რა ამბავია?  
 მთიდან ჩანქერი გადმოქუხს,  
 თითქოს გრგვინვა და ზეავია.  
 ველი, მინდორი, ქალები  
 გადიქტევიან თვალეზად  
 და თითქო არაფერია —  
 ის ჩრდილიც მიიმალება.

1934



### მთხარის ნაამბობიდან

ვიცი, ცაო გულსივიწყო,  
მე ზრუნეა ვარ, შენ — ოცნება.  
არ იქნება, არ დავიწყო.  
ოცნებათა შემოწმება.

რუსთაველი მახსოვს ბავშვი,  
ოცნებობდა ოქროს ნაეში,  
მიცქეროდა და თან თრთოდა,  
ვით ფოთოლი თრთის ნიაეში.

ბევრი მხარე მოვიარე —  
ასე იწყებს ამბავს მთვარე, —  
მაგრამ საქართველოსთანა  
არ მინახავს არსად მხარე.

ვიცი, ცაო, ფანტომიდან  
ზრუნეა ვარ და შენ — ოცნება.  
მრავალ ხხალ კარგს მომიტანს  
ოცნებათა შემოწმება.

ბრწყინავს მისი ძეგლისძეგელი  
უძლეველი მთა და ველი,  
მისი წყალი, მისი სივრცე,  
მისი შოთი რუსთაველი!

კაცთა შრომამ მაღარიით  
მოშახმული ატმოსფერა  
ახალ ჩიით, ახალ იით  
ახლად გააოქროსფერა.

აგერ მძლავრი და ტიტანი  
მოჩანს კავკასიის ტანი,  
მიჯაჭვული აქ იყო და  
აქ აეშვა ამირანი!

1938

### მაშინ ამღერდა

განთიადისას საქართველოს სამხედრო გზაზე  
მიეშურება ქალაქისკენ ზანტი ურმები.  
მოაქვთ კაკალი, მოაქვთ ლვინო, მოაქვთ ხორბალი...  
სიმჭიმით მწარედ იგრიხება ურმის ბორბალი.  
გამოიარეს წყალთ ნაპირად სიმწვანე ტყეთა...  
გამოჩნდა მცხეთა.  
„ე, რამოდენა სახლებია,  
ვინ ააშენა ამდენი სახლი?!“  
უცებ ქალაქის გზიდან მოჰქრის ავტომობილი,  
კიეის და ანჩლობს, კამეჩებს აფრთხობს:  
„რამ გადარია?!“  
უცებ მოისმა სიშორეში მძლავრი ზუზუნი —  
ახლა მაღლა ფრენს არა ჩიტი, არამედ სახლი...  
გათენდა კიდეც, საშიშროება შორს გადითესა,  
მაშინ ამღერდა ჩვენებიანთ ბიჭი ქიტესა.

1926

ბანიახლე, ბანიახლე!

ვანიახლე, ვანიახლე,  
მძღვითა მძღე,  
დიახ, მძღე და მშვენიერი  
სიმაღლე,  
ჰე, მამულაო! გულისთქმად ეს  
იახლე;  
ყოველი დღე იყოს მხოლოდ  
სიახლე!

გუშინდელმა გაიარა  
გუშინა,  
წინანდელმა გული ვერ  
შეუშინა,  
დღევანდელ დღეს ბალი  
შემოუშინა:  
ყოველი დღე უნდა იყოს  
სიახლე!

ამ სიახლის სიხარული .  
განაგებს  
ახალ ველებს, ახალ დაბა-  
ქალაქებს.

კოდნა, შრომა სახლ-კარს შიშო-  
ალაგებს:  
ყოველი დღე უნდა იყოს  
სიახლე!

ეს დიდი დღე ახლა მას  
გვეუბნება —  
ადამიანს დაემონა  
ბუნება,  
გვმართებს კიდევ ერთხმად დაგუ-  
გუნება:  
ყოველი დღე უნდა იყოს  
სიახლე!

აწმყო გვეტყვის: განვლილს  
დევგმირთა მიერ  
თქვენ გაივლით ნათელი გზით  
ამიერ!  
სამშობლოს კი — ერთხმად მრავალ-  
ქამიერ!  
ყოველი დღით მარადისი  
სიახლე!

1950

ჰყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს

ვანთიადისა პირველი ალი  
ნარიყალისა ნანგრევზე წყება...  
ელექტრო ტრება და შუქი მხისა  
იფეთქებს, როგორც ახალი შვება.  
ჰყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს,  
ხმა სიშორიდან გულს ღეღვად ხედება.  
ჩემი სალამი გიგანტის ჩანგებს...  
ბნელს სული ხდება, სიბნელე კედება.

1927



რა კარგზე კარგი დროა თენება,  
 ელექტროსუქთა ქრება მშვენება,  
 მიღის აბრისად, როგორც ჩვენება,  
 ლანდი ქარხნისკენ, ვით გახსენება.  
 დაჭკრეს! საყვირის ხმით იღენება  
 ქალაქის ძილი და მოსვენება.  
 შემოდის დროის გადაქენება:  
 შენება, ძმებო, ისევ შენება!

და იყო დილის სისხამი ცვარი.  
 რეკავს პირველი მანქანათ ზარი.  
 ავტომობილის ხმა ისმის ბზარი.  
 სადღაც შორიდან ბრუნდება ჯარი  
 მეღვარი, მტკიცე, მავარი, მყარი.  
 ბალებს ფერადი და მრავალგვარი  
 გამოცოცხლებათ ედგება ღვარი.  
 დილის გაზეთებს იტაცებს ჩქარი  
 ბაზარი, ქუჩა, სახლი და კარი...

იმღერე, დილავე, ხმა ისმის მკვეთრი,  
 იმღერე — ითხოვს ბაღის დღე თეთრი,  
 იმღერე — ღელავს ზღვის ტალღა მუვედრი,  
 იმღერე — ამბობს ყველა შემხედრი,  
 იმღერე — რეკავს მთელი ქალაქის  
 ყოველი მეტრი და კილომეტრი!

არის მჩქეფარე, ცოცხალი დილა...  
 ჯერ მზის ისრებიც არ ამოწვდილა!

1935

ნიაფი, ია, ნარგიზი,  
 ავტომობილი კრილა —  
 დილამ ასფალტის სარკვეზე  
 ნაფივით გაისრიალა.

აგერ მზის ამომთოვრება,  
 მიღლა ღრუბლების გარდავლა,  
 მან ერთი ჩემი ცხოვრება  
 ათას წელს გადაამრავლა.

გადაზრავლა უმალი  
 მსგავსი წუთისა, ჩრდილისა  
 და მესმის ხმა იდუმალი:  
 „წამოდექ, ძეო დილისა!“  
 ო, ძეო დილის! აწ განელის  
 გრძობა სიმბელის ნაფლეთის  
 აღმოსავლეთის, დასავლის,  
 ჩრდილოეთის და სამხრეთის.

მზემ, ხმალი რომ არ დაჭკიდე,  
 რაც ფერებია, რაც დავლა,  
 ცხოვრება კიდევ და კიდევ  
 ათასზე გადაამრავლა!  
 მზემ, ლავეარლი რომ შეზრდილა,  
 თავისი სახე ნახა და  
 ეს ყვეილები, ეს დილა  
 მარადისობად გახადა.

1924

ძველი და ახალი ხიდი

მცხეთის ახლო, სადაც მტკვარის  
 მორევია დიდი,  
 ძველისძველი დაჭყურებს წყალს  
 ხავსიანი ხიდი.  
 ხიდი დაბერებულია.  
 აღარ უჭრის თვალი.  
 ნატახტარზე აწ აიღვს  
 სხვა გეზი და კვალი.  
 გააუქმეს ძველი ხიდი,  
 ღიმი არ სდევს ბავსი.  
 ახალ ხიდის ძლიერება  
 უერთდება ზაჭკის.

თუმც ბებერ ხიდს ძველებურად  
 სახე უჩანს მშვიდი,  
 ხედავს, მაგრამ ვერა ხედავს:  
 დგას ახალი ხიდი.  
 ხედავს, მაგრამ არა სჯერა  
 ახალი გზა, რომ ის  
 დროშა არის უძლველის,  
 თავისუფალ შრომის.  
 ხედავს, ხედავს ეს მოხუცი,  
 არ სჯერა კი, რომა  
 კიდევ მრავალ გზასა და ხიდს  
 შექმნის მძაფრი შრომა.

და, როდესაც ზაპესს ანთებს  
ელვარება დიდი,  
ციხარტყელად იუტრება  
ახალ ხანის ხილი.

\* \* \*

ჩემს პატარა ბიჭობაში  
მივლია ამ ხილით.  
ამხანაგო! ჩვენ ყველანი  
აქ წიგნებით ველიდით.  
ჩვენ ყველანი აღებს ვკვსდით,  
ვკვსდეთ, როცა ბნელა...  
„კომუნისტურ მანიფესტით“  
ვიზრდებოდით ყველა.  
მოვიტანეთ ასე მართელი  
გრძინობა კარგზე, ლექსი —  
ყრმობის დღეთა დროინდელი.  
მარქსი და ენგელსი.  
თან გამოგვევა სიხალისე,  
გამჭრიახი თვალი,  
ჩვენთვის წიგნად ისევე ისე  
ღარჩა „კაპიტალი“.  
ვისაც უნდა, ისე ხარჯოს  
ღრო, მე ვერყვი ტყუილებს:  
იმ ყრმობის დროს გაუმარჯოს,  
იმ გარდასულ დღეებს!..  
მე არ ვიცი, როგორ შეზრდის  
დღე სხვა დღეებს რიგით,  
„კომუნისტურ მანიფესტის“  
მღელვარების იქით.

ეს სხვა იყო, ეს ალური  
იყო დაბადება —  
ჩვენი არალეგალური  
ყოფნის განათება.  
ამ წიგნიდან კლასის სრული  
ხმა გვიძლოდა ბასრი,  
წრფელი იყო ჩვენი გული,  
და ნათელი — აზრი.  
აქ არ იყო შეცოდება  
მოკამათე ტოლის,  
იყო მხოლოდ მოწოდება  
დაუნდობელ ბრძოლის.  
და ამ მტკიცე ბრძოლის ხმამდ  
ასე მძაფრად, კმარა,  
კლასი კლასის წინააღმდეგ  
არასდროს არ მდგარა.  
ვინ არის, რომ გზას არ შესცდეს,  
როს წვიმა, ქარი —  
„კომუნისტურ მანიფესტის“  
იხსნის თითო პწკარბი.  
სხვა რომელი, საბჭოს გარდა,  
როცა ცეცხლი ლევის,  
ყველა ქვეყნის პროლეტართა  
შეერთებას ჰყვიეს?  
იქ სხვა სტაქებს მუშას საარჩოს,  
თუმც გრძნობს შიშს და ძრწოლას.  
მედგარ ბრძოლას გაუმარჯოს,  
კომუნისტურ ბრძოლას!

1927

### ახალი დღისთვის მზადება

უროებს, გრდემლებს  
აჭვთ დავა-ღუგო  
და ალთა მერნებს  
იქერს ალვირი,  
რომ შეაკავოს,  
ვაისმის ბუჯი,  
ლიტავრის ცეცხლში  
ყვირის საყვირი.

ბლოკის კრიალი  
ქიანურს უტევს,  
ხმა არის მკვეთრი,  
ფერი - ვით ზანგა,  
ყოველმხრივ ისმის  
რკინის ძვრიალი  
და ქშინავს, როგორც  
ცეცხლების ჩანგი.

რა ორკესტოია,  
 რა სიმფონია,  
 რა აღმადრენა,  
 რა შთავგონება,  
 გადავარდნილხარ,  
 ასე გგონია,  
 და არსად არის  
 ეს გაგონება!

აქ თვითეული  
 ხელსაწყო მღერის,  
 ერთის გუგუნთან  
 სცემს ბარაბანი  
 და ღელავს კვამლის  
 ამონაღერის  
 ნაპერწკლიანი  
 ცხელი საბანი.

არ დაჩუმდება  
 გრძელი ფაგოტი,  
 არის ქუხილი,  
 ქეჩა, გრივალი,  
 შორეული ზღვის  
 მოისმის შფოთი,  
 ტყდება მინები,  
 კლდე და ფიჭალი;

ვერცხლის თითებად  
 ხმოვანებს ღვედი,  
 მუშათ მკერდები  
 ღვანან მთავორად;  
 მძიმე გრიგალში  
 აფწოთ ბედი —  
 ხმა ისმის: დაფძრათ,  
 გადავავაგროთ!

როგორ ხმოვანებს  
 ტალღათა სვეტი  
 ხან ბენდნიერი,  
 ხან გულსაკოდი,  
 ომობს გობოი,  
 რეკავს კლარნეტი,  
 ოხრავს ფლეიტა,  
 გრგვინავს ფაგოტი.

ეს ხმაურია  
 დროს შესაფერი,  
 მსოფლიო ენა  
 აქ იბადება,  
 აქ ყოველივე  
 და ყველაფერი  
 ახალი დღისთვის  
 არის მზადება.

1929

შავი ობროს ჭალატი

მოქრილიებს შავი ოქრო,  
 ოქრო მიჰქრი-მოჰქრის...  
 ახალგაზრდა გვარდია დღეს  
 გზნებას ვით არ მოგგვრის?  
 ის სადგურთან გვესალმება  
 ხელში ოქროს რტოთი.  
 ოქროს ხანას, ოქროს ხანას  
 გაუმარჯოს, მოდი!

მეგობარო ძველო, ყრმებთან  
 ძლივს გიციანი შენა;  
 მოგებგვეი, მიხარია  
 კვლავ შენი ხმის სმენა.  
 როდი არის კაცის გული  
 ყინული ან ლოდი,  
 მეგობარო, ძველი ხანა  
 გაგიხსენოთ, მოდი!

გახსოვს ჩვენი სიყმაწვილე,  
 ჩვენი მთა და ველი?  
 ჭიათურა, ჭიათურა,  
 ჭიათურა ძველი!  
 ეჰ, სწრაფია ცხოვრების გზა,  
 როგორც ჭარის ტოტი,  
 იმ დღეების გულწრფელობა  
 გაგიხსენოთ, მოდი!

გახსოვს, შრომა უზარმაზარ  
 კატორღას რომ ჰგავდა?  
 ამ შავ ქვაზე ფრენა იყო  
 ყოვანთა და სევთა.  
 გახსოვს მემალაროეთი  
 გაფიცვა და შფოთი?  
 იმ ბრძოლების საღვებრძელო  
 გამოცვალოთ, მოდი!

გახსოვს? გახსოვს, რომ ამბობდნი:

„თუმც სტენია ჭარის —

ჩვენი უნივერსიტეტი

ეს მალარო არის“.

ბნელში არალეგალური

ფურცლებით რომ ჰქროლი,

იმ ბრძოლების სიდადღე

ვადღეგრძელოთ, მოდი!

შენ ამბობდი: „არი მისთვის

ვდგამთ შავი ქვის გორას,

რომ მოგება მოგებაზე

დარჩეს შეუთხოვრას,

არამედ დიდ ხალხისთვის

ესუნთქაეთ მალაროთი“.

იმ შენს ოქროს სიტყვებისთვის

მოგებხვევი, მოდი!

მაგრამ ბნელში ვბრძავდებოდით...

არ მახსოვდეს ნეტაე —

ამბობდი თუ: „სანთელს თვალწინ,

რა გქნა, ვერა ვხედავ!“

ბრძავდებოდი მალაროში,

მეგობარს ეი გრძნობდი,

მეგობრობის სადღეგრძელო

თასით შეგვავთ, მოდი!

გახსოვს ბნელში გაწეულ

წლები ათეული,

დღე და ღამე უსინათლოდ

ასე გათეული?

იჩივრათა, მოეცალა

თვალებს ბნელი ზღონდი;

ჩვენ ოქტომბრის სადღეგრძელო

ზე ავწიოთ, მოდი!

ხალხის ხელში გადმოვიდა

იგი ოქროს თასი,

ხალხის საკუთრება გახდა

მალარო და ვაზი,

შავი ოქროს ქალაქის შვე,

შავი ოქროს ზოდი,

შავი ოქროს ელფარება

ვადღეგრძელოთ, მოდი!

მოქრიანებს შავი ოქრო,

ოქრო მიჰქრის-მოჰქრის,

ოქროს ხანა შემოიჭრა,

მზე სიხარულს მოგვეკრის,

მონაველი გვესალმება

ხელში ოქროს რტოთი,

თავისუფალ შრომის ქალაქს

ვაუმარჯოს, მოდი!

გიათრა  
1949, 27 მაისი

ამტომობილი და ურემი

ახალთახალ შარაზე  
მიჰქრის  
ავტომობილი —  
ჩემი გადარეული  
და კეთილი  
ძმობილი.  
გზა მიეცით მანქანას,  
მომავალი  
მისია —  
იგი ჩვენში ახალი  
ყოფნის  
დასაწყისია!  
არსად არ გიღუბეთო —  
ეს გზა  
სწორზე სწორია:  
მარცხნივ

მხოლოდ ხრამია,  
მარჯვნივ —  
პრესტორია.  
რა თქმა უნდა, სხვა იყო  
ჩვენი ძველი  
ურემი,  
მისი ხარ-კამეჩები,  
მისი  
აპერურები.  
ვერსად ნახავ იმნიირს,  
დაიარო  
ხმელეთი,  
მისით იფინებოდნენ  
ცხრაზუსხა და  
თელეთი.

მაგრამ ავტომობილმა  
 როცა შემოუტია,  
 გადინაცვლა ჟრემმა,  
 ცოტათი  
 გზა უტია.  
 უცხო შინის სისწრაფე  
 ივრძნო თვით  
 აბეურმა,  
 მაგრამ ძველი, ცხიერი  
 არ დაიბნა  
 მეურმე:  
 — გამარჯობა, შოფერო!  
 მიცან?  
 აი, დედასა!  
 იმ დღეს კამჩები რომ  
 ვადამეფრთხე  
 ქვედასა?  
 და შოფერი ღიმილით  
 მეურმესთან  
 მივიდა:  
 — რას ჭრიალებ მავ შენი  
 ძველი  
 ურემივითა?  
 — დააყენე, ჯობია,  
 შავ ვარსკვლავზე  
 შობილი,  
 დააყენე, მე გირჩევ  
 შენი  
 ავტომობილი.  
 მაგ მანქანას ეს ჩემი  
 ძველი ღერძი  
 სჯობია —  
 ოცდაათი წელია  
 ნეკიც  
 არ უღრძობია.

არხეინად მივდივარ,  
 დღეობას ვარ  
 წვეული,  
 ურემია კაკლისა,  
 მამა-  
 პაპისეული.  
 შენაც ჰქუას მოეგე,  
 სიტყვა-ცა სთქვი  
 წყობილი, —  
 ურემს როგორ აჯობებს  
 შენი ავტომობილი?  
 არხეინად მივდივარ,  
 დღეობას ვარ  
 წვეული,  
 ურემია კაკლისა,  
 მამა-  
 პაპისეული.  
 შოფერი ყურს არ უგდებს,  
 მიჰქრის  
 ავტომობილი —  
 ჩემი გადარეული  
 და კეთილი  
 ძმობილი.  
 არსად არ ვადუხვიო —  
 ეს გზა  
 სწორზე სწორია:  
 მარცხნივ  
 მხოლოდ ხრამია,  
 მარჯვნივ —  
 პრეისტორია.  
 უფრო სწრაფად ისე, რომ  
 ის მეურმე  
 სამხრეთით  
 ჩანდეს, როგორც წერტილი,  
 თავის იფნის  
 სამხრეთი.

1928

ხუთწლელი ოთხ წელიწადში

არა გადაზვირთება,  
 არა სიტყვი ლიტონი —  
 ჩვენს ქვეყანას სჭირდება  
 უამრავი ლითონი.  
 ნიავქარს არ აჩუქო  
 ერთი წამი ან წუთი,  
 ჩვენს ქვეყანას სჭირდება  
 მანქანა და მახუთი.

შრომა არ შეანელო —  
 ტემპები დაახშირე,  
 რადგან მხარეს სჭირდება  
 შავი ოქრო, ნახშირი.  
 გაუმკლავდი ამ შრომას,  
 წინათ რომ ვერ უძლებდი.  
 მორჩეს ოთხ წელიწადში  
 დასახული ხუთწლელი!

1931

ტ შ მ ა რ ჩ მ ლ ი

როგორც მფლობელი  
ფისუღებ ტახტის,  
ამაყად ჩადის  
ქვათა მზგრველი  
იქ, სადაც დუმილს  
წარბშეკრულ შახტის  
სძრავს სიმღერის ხმა  
დაუძღვეელი.  
აქ მიწის გულის  
ქანაობს ღეღვა,  
მადიდებელი  
გულთა კავშირის,  
იმ უშავესთა  
ფენათა ყელვა —  
ბრწყინავდა ელვა  
იმ ქვანახშირის.  
გზა აცხოველებს  
ქამთა სიახლეს,  
როგორც სარკესი  
სხივების მტვრევი,  
მალარობის  
იღუმალ გრიალს  
სდევს ქვანახშირის  
მონგრევა, ნგრევა.

შენ გაოცდები,  
რომ ამოდენა  
განძის მიწაში  
ხმა ცასაც ესმის,  
რომ ქვანახშირის  
ზეამოტანა  
ამოტანაა  
ღღის უახლესის.  
და იტვირთება  
რკინიგზა ქვითა,  
ლიანდაგები  
იცვლება კვანძით,  
ასენთაირი  
ქვებით დატვირთვა  
დატვირთვა არის  
ქვირთუასი განძით.  
სანგრევი სანგრევის  
რომ აგრე ელის,  
ელექტრომავლით  
მიწის ქვეშ, ჩქარა,  
გასაბრწყინებლად  
ახლად ტყვარჩელის  
მოდის ქვეზანი  
და აკარმარა!

1947

მკობა იშვა და ბანიზარდა

ემოქა იშვა და გაიხარდა  
სამოქალაქო ბრძოლების რკალში,  
ქვემეხ-ტყვიამფრქვევთ კორიანტელში  
და ზარბაზნების მეღვარე გრიალში.

მოგონებანო,  
ხან საესე სპაზმით,  
გრძნობას რომ ევლარ აუთავადებით,  
ხან აღგზნებულნო ენთუზიაზმით,  
გმირული რწმენით და თავდადებით.  
იყო სიცივე და წყალიდობა,  
ყირიმს მიწისძვრა ანადგურებდა  
და საჭართველოს — უმინდობა.  
ზღვისგან დაღწილს ჰგავდა ბათუმში,

იყო კერზონის ულტიმატუმი,  
იყო ჩინელი მუშების ჭლეტა.  
ამ დროს, ევროპა, შენ უფრო ძლიერ  
სერავდი ხალხის მძიმე იარას,  
უფრო და უფრო და განუწყვეტლევ  
აქლარუნებდი მის წინ იარადს.

ის მაშინ იყო კლასის, რომელმაც  
წყენით დასტოვა ალი ქურისა,  
და ერთის დაკვრით გაანადგურა  
შემოსეულნი ყველა ჯურისა.  
მისი პასუხი არ იყო განა  
არა მშოზარა და დაგუბული  
ხმა საჭაერო ესკადროლის,  
მრავალრიცხოვან მოტოროთ გუგუნო?



მისი პასუხი არ იყო განა,  
რომ დარამზული, როგორც მზეობა,  
იბრძოდა წითელ დროშასთან ერთად  
მთელი მშრომელი მოსახლეობა?

რა დარჩა შემდეგ, დანგრევის გარდა?  
შრომა მიეცა სხვა ამთავრებას,  
რევოლუციამ ახადა ფარდა  
ამშენებლობას, ცოცხალ ცხოვრებას,  
და მილიონთა მძლევამძლეობა  
კილოვატებში გაეშვა ისრად,  
პასუხისგება, მოვალეობა  
მრავალთა ერთად მას დაეკისრა...

არ იყო სიტყვა: «არ შეიძლება»,  
ჰაის და ჰოის  
ხმა ხომ ქვევრია

და შეცდომებიც ახალი დროის  
არის, თუმცა არც ისე ბევრია.  
მაგრამ, როდესაც შენდება მხარე,  
როცა კულტურის ხე-ტყე მკვრივია,  
ხარაჩოებში, ხე-ტყეში, მწარე  
შეცდომა ზოგჯერ ბუნებრივია.  
ისე ბევრია ხე-ტყეში ძველი:  
ისე ბევრია იქ ნახერხები,

კირი, თლილი ქვა, ცემენტი, მტვერი,  
ხელსაწყოები, ლოდი, ვერხვები —  
უხერხულია იქ სიარული,  
მათზე გადასვლა და მიმართება.  
მაგრამ შენობა მიიწვ შენდება,  
შენობა შრომით მიიმართება.  
ხუროთმოძღვარი რკინის კონებით  
რომ იმორჩილებს დროის სიფიცხეს,  
სავსე ახალით და შთაგონებით,  
იგი არასდროს არ დაივიწყებს  
და არ იფიქრებს ახლაც კი უფრო  
მოაწესრიგოს სუფევიადფერი,  
მშენებლობას რომ არ ასცილდებო  
ზედმეტი ქვა და ზედმეტი მტვერი.  
და მასზე ცაა გადასახული,  
შენობა მძღვარი — არამონური,  
უზარმაზარი, ჯერ არნახული,  
რევოლუციური...

დროა კულტურის რევოლუციის —  
ყოველი ლექსი ამანიარ ხმაში  
ის მოქმეტია, როდესაც სიტყვას  
უნდა ჰფარავდეს მჭუხარე ტაში.

1929

ბ ა მ მ ე ლ ა ო ბ ა

თაობას მოსდევს კიდევ თაობა,  
გამბედაობის დიდო გენია,  
აღმოჩენანი ახალ-ახალი  
ქვეყნად, შეხედე რაოდენია!

თაობას მისდევს კიდევ თაობა,  
და მიღწევების დამახსოვრება  
ქმნის ახალი გზის, ახალი ქვეყნის  
ადამიანის ახალ ცხოვრებას.

სხვაგან, სხვა მხარეთ განვითარება  
რალაც უმიზნოს მიჰყავს დინებას,  
ჩვენი ეპოქა მიზნად ისახავს  
კაცობრიობის აღორძინებას.

ეს განსხვავება უფრო მკაფიო  
სინათლითაა ნაზინდუნდები,  
როდესაც უცხო საზღვარგარეთით  
მშობლიურ მხარეს დაუბრუნდები.

და შენ განიცდი დიად სიხარულს  
სახლში, ყანაში თუ ქარხანაში —  
შრომის სიხარულს, წინსვლის სიხარულს  
ჩვენი საქმისთვის, ჩვენი ქვეყანაში.

სხვა ქვეყანაში კაპიტალიზმი  
უფლებას იცავს ყველა ბრჭყალებით:  
ესკადრილიის, დესანტებისა,  
ხერტის, დარბევის საშუალებით.

კოლონიალურ მუშების ბედი  
ნუ დაესიზმროს ჯარს და ჯამაათს —  
იმ «კულტურული» ბორკილის მუშა.  
მუშაობს 14 და 18 საათს.

კაპიტალიზმი ცდილობს ააგოს  
და განამტკიცოს თავისი ბედი  
მუშათა კლასზე გააფთრებული  
და გამარჯვებულ ბრძოლის იმედი.



კაპიტალიზმი ცდილობს დაიბანს მუშათა კლასი მაგარი შრებით. მის ნერვებისგან კიდევ ზედმეტო ღირებულების მთლად ამოწურვით.

კაპიტალიზმი ცდილობს ომისგან მოხდენილ კრიზისს გაართვას თავი და ემუქრება პროლეტარიატს იგი, ბურჟუა, სულთამბუთავეი.

კაპიტალიზმი სხვა გამოსავალს ვერ ხედავს, მუშის დარბევის გარდა. ჩვენში სხვაგვარი არის ეპოქა: აქ სახელმწიფოს თვით მუშა მართავს.

ყოველმზოივი ხრდის და გამარჯვების თვითული დღე არის ფაქტორი მხარეში, სადაც მშენებლობაა დღეს ჰეგემონი და დიქტატორი.

მეტეორების, ტექნიკის, ყოფნის და ხელოვნების დასაყრდენია გამბედაობა ახალ-ახალი, გამბედაობის დიდი გენია!

გამბედაობა, დიღო გენია! თაობას მისდევს კიდევ თაობა, გამბედაობა, გამბედაობა და ერთხელ კიდევ გამბედაობა!

1929

პ რ ი ს ა

ომი სიმშვიდეს, ომი რუტინას!  
 ზაპქის დამეს ელვარედ ლესივს.  
 ვარსკვლავებს სძინავთ,  
 გრივალსაც სძინავს,  
 მთებს სძინავთ,  
 მაგრამ არ სძინავს პრესას.  
 მანქანასთან ვწერ.  
 ღამეა. ზრუნვას  
 ერთი ლაქაც არ ამეციელებს.  
 როტაციონის მანქანა ბრუნავს  
 და ხეალისათვის რაზმავს გაზრთებს.  
 მწყობრი მანქანა  
 გრგვინვას მოიღებს,  
 თათო ბრძოლის დროს ქექვდეს მხედარი:  
 თუ ცოცხალი ხარ, ხმა ამოიღე,  
 სამარტეს მიდი, თუ ხარ ცხედარი!  
 ვით ჩქერი მღორეს  
 სჭრის და ერევა,  
 მორევს ღამისას სძრავს ეს ჭენება,  
 ასე შეხედება ერთმანეთს ნგრევა —  
 ძველის ნგრევა და ახლის შენება.  
 პრესა აქ უღრის  
 მერანზე უმაღლს...  
 პრესასთან ეცხოვრობთ, პრესასთან ვყვივით...  
 ძველი ცხოვრების ყოველ სასათუშაღს  
 პრესა აღვიძებს ახალი სხივით.

ყოველი სოფლის მიწის და ტატონის  
 გამოფხიზლება უნდა ახაროს:  
 ტემპი! — მოესმის ქარხნებს და მაღნებს,  
 ტემპი! — მოესმის ტყეს და მაღაროს.  
 ველუხზე მისით  
 ღელავს თივები,  
 მანქანა მიაქვს სახლისოდენა:  
 ტემპი — მიჰყვირის კოლექტივები,  
 ტემპი! — ძაძვებს ელექტროდენა.  
 აქ წყალვარდნილი  
 წაჰკავს ნიაგარს,  
 იქ მძიმედ მიღის ალაზნის არხი,  
 ეძლევა ბუჩქებს მტკიცეს და მაგარს  
 ელექტროძარღვი, სიცოცხლის ძარღვი.

ახლახან, არა  
 დიდი ხნის წინით,  
 როს პირზე ეკრათ მარტკი, ბებელი,  
 ბურჟუაზიის პრესა და ბინა  
 არ ჰქონდათ ჩვენში ხელუხლებელი?  
 ხელუხლებელი  
 არ იყო განა  
 ველად ნაშთები ფეოდალობის?  
 მემამულეებს ეკირათ ყანა —  
 ნიშანი ძველთა მეფეთ წყალობის.

მდიდრებს უმღერდა  
 პრესა, პოეტიც,  
 როს საქართველოს გზად გასადები,  
 ვით კოლონიას, სწვდნენ უცხოეთის  
 ბურჟუაზიის ავაზაკები.  
 ელვის სისწრაფით,  
 ვით კინოლენტი,  
 წინანდელ პრესის გაიჭრნენ დღენი.  
 პრესა, შენ ვითომ სინათლეს ჰყენდი,  
 მაგრამ რა იყო ცხოვრება ჩვენი?  
 ანთებდა ხმლის და  
 დანების წვერი  
 გაპარტახებულ ქოხსა და კარავს,  
 ჩამოძონძილი, ავი, მშიერი  
 ხმა აყრუებდა მიდამო-შარას.  
 პრესა მდიდრების  
 იყო მორჩილი.  
 სისხლში ტურავდა ქუჩა ნაგები...  
 ვინ ეცემოდა ყულგამოჭრილი? —  
 მხოლოდ დარიბი და ლატაკები!  
 და შერცხენილი  
 გზის მეწამულის  
 იმბოდა პრესა გაუტეხელი,  
 რომ მეფეაბრიკეს და მეშამულეს  
 მარადის სახეც დგამდათ ბეღელი.  
 ისევე მდიდრებს  
 და მხოლოდ მდიდრებს  
 თვით პოეზიის ართობდა ჩანგი.  
 აქ კი მონობა მშრომელთ აფითრებს  
 და დიად მიზნებს ეღება ქანგი.  
 აივსო ციხე  
 კომუნარებით,  
 იწვის სოფელი აჯანყებული:  
 აქ აზიისკენ გაჭრილ კარებით  
 ორი გზა იყო დაჯახებული.  
 ნამდვილ პრესას კი  
 ელო ბორკილი.  
 ისე გადახდა მტერს ერთი ასად,  
 როგორც დალილი და დაჯორგილი  
 იხუთებოდა პრესასთან მასა.  
 ტალღები მისი არა ცხრებოდა,  
 დინამიტები ხან იქ და ხან აქ  
 იმუჭრებოდა, ეშაიდებოდა,  
 მოუწოდებდა მეზობლოს, ამხანაგს.

ბოლოს მრისხანე  
 მზემ ამოხეთქა  
 და გადალექა  
 მძიმე სურათი.  
 ახალმა ძარღვმა დაიწყო ფეთქვა  
 რევოლუციურად-  
 რევოლუციურმა  
 პრესამაც აცრე  
 მძლავრად შემოაჭრა და მტვრად აქცია  
 მლიქვნელი პრესის ციხე-სიმაგრე,  
 შავი ცხოვრება და რეაქცია.  
 ეს იყო თავისი  
 დანახანება —  
 მომენტი რისხვის და წყველა-კრულვის,  
 როცა უფსკრულში მიდის წამება  
 და ალწერულს იწვევს სიძულელი.  
 ის საქართველო  
 გაჭრა მონების,  
 გზა მისდევს მთაში კლდეებს ფრიალოს,  
 რომ იქ სიმართლის გაბატონების  
 წითელი დროშა ააფრიალოს.  
 მიწა სახალხო  
 არის ქონება,  
 სასახლეებიც მისია სერზე.  
 ერთ ერს ნურასდროს ნუ ეგონება,  
 რომ გაბატონდეს მეორე ერზე.  
 სქედს პრესა კედლებს,  
 სვეტებს და თაღებს,  
 მას მოაქვს რკინა, ფოლადი, კირი —  
 დღეებს სიახლით აიარაღებს,  
 როგორც დამკვრელი და შრომის გმირი.  
 ახლა ვერაიენ  
 გაანადგურებს  
 საქართველოში დარისდარებას,  
 ფეროზარგანეცს და ელსადგურებს,  
 მსხვილ ინდუსტრიის განვითარებას.  
 ღიაა შუბლი,  
 ღიაა მკერდი,  
 რომელს აწნია ბევრი ჭრილობა,  
 მრავალთ მრავალი ქუსს, როგორც ერთი:  
 მარჯვედ, პირდაპირ! ძირს გულგრილობა!  
 ჩვენი პრესა სდგას  
 ხელაღმართული  
 თავის უსივრცოდ დიდ ასპარეზზე.

უზარმაზარი ააქვს სართული  
ინდუსტრიული ზეცყის არეზე.  
მძიმე ბორბლებს რომ  
აბრუნებს ღვედი,  
მსოფლიოს უნდა გახდეს მფლობელი,  
მისით შეტყუებებს მშრომელთა ბედი.  
მისი ქალაქი, მისი სოფელი.  
არის სიახლე  
და მოძრაობა  
ამობდეს გრიგალს, კლდესა და ღრესა.  
პრესას არ უყვარს ტბა და ჭაობი,  
მუდამ სიცოცხლით გუგუნებს პრესა.

შრომა ამ ჭაობს  
არღვევს მოსილულს,  
გზა ახლა ლაფში აღარ ეფლობა,  
პრესა აშუქებს დიდს, ძღვეთმოსილს  
სოციალისტურ აღმშენებლობას.  
ახლა ყოველგან, ყოველ კარავთან,  
ყოველ დაზვასთან მივიდა პრესა.  
ექებს შინერალს  
საგაზაფხულოს,  
უკან დახევა მას არ სჩვევია.  
გამადიდებელ შუქით ნახულობს  
მასაც, რაც ძნელი შესამჩნევია.

1931

### ისტორიის ახალი გვერდი

საქართველოში წინათ მრავალი,  
ისტორიულად არწამავალი,  
ვიღოდა მტრობა — გესლით მიავლი,  
და სისინებდა ქვეწარმიალი.

მისგან სიბნელე არეს ჰქენია,  
შეხედეთ: გესლი რაოდენია!  
ის ანადგურებს „ვეფხისტყაოსანს“,  
რომ რუსთაველის ჩაპკლას გენია.

ის შხამავს ასე უბრალოდ მზიანს  
ვაჟა-ფშაველას დეკას და ღვასს,  
ის წიწამურთან ილიას ხედება  
და მზიურ შუბლში უმიზნებს ტყვიას.

ყოველი კარგის წინააღმდეგი,  
პირმშვენიერ დღის როს არს დამდეგი —  
მშობლიურ მიწას სწყვეტს ბარათაშვილს,  
და სიგიჟემდე მიჰყავს ყაზბეგი.

და პოეზიის, ვით ბედისწერა,  
ბნელ მწუხარებათ იცვალა ელერა —  
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან  
დისტრიალებდა ბედითი ძერა.

ჭაობებიდან იყო ეს ასე...  
მგარამ საღ კლდიდან ახლა ძვირფასად  
ამოსკდა წყარო ანკარა ასად,  
მსგავსი რის ქვეყნად არ არის არსად!

სიცოცხლე დილის გულმომობიერი  
სხივთა კრთომამა არის ძლიერი.  
უფრო და უფრო, სულ მიღლა-მიღლა  
იწვედეს მნათი პირმშვენიერი,

აღტაცებული მწვერვალთა სულით,  
სამშობლოს მგრძნობი არსებით სრულით,  
მგრძნობი სიცოცხლის ძალთა ფარულით,  
მთელი სიცოცხლით, სულით და გულით.

ჩვენს ხანას ვერვინ ეტყვის: შეჩერდი,  
ძგერს ყველას სიმი დღეს, როგორც ერთი.  
თვალწარბტაცია ახალი ხანა  
და ისტორიის ახალი გვერდი!

1936



ახალი ნაწი

დაიძინე, ალვისტანა,  
ბევრია კი შენისთანა?  
მშენებლობის დიდი დროა,  
რომ არ თქმულა იმისთანა!  
წინანდელი თოხის ყანა,  
ჩაჩება მამა-ბაბასთანა —  
შეესია ტრაქტორები,  
კვალი კვალზე გაიტანა.

ინეინერი თუ ბარ, განა  
ცოტა არის ამოცანა?  
სახლი დადგა იმისთანა,  
საუბრობდეს ღრუბლებთანა.  
ნეტა რაა იმისთანა,  
ამომავალი მზისთანა,  
შრომასთან რომ დროშებია,  
ვაერთიანებისთანა!

1928

ეს წელიწადი

მოვითხოვ სიტყვის!  
კვლავ იმას ვიცავ,  
სულით და გულით,  
რასაც ვიცავდი.

ეს არის ოცის —  
როგორც ათასის —  
წლის ბრწყინვალეობით  
დაგვირგვინება!

მაინც რას ნიშნავს,  
მშობელო მიწავ,  
ეს დღე, საათი,  
ეს წელიწადი?

ეს წელიწადი  
მჭიდრო ფუტეა!  
შეუდარებელ  
წლებს გადაჩება —  
მზე: საბჭოური  
კონსტიტუცია!  
სოციალისტურ  
მზის გამარჯვება!

ეს არის წლების,  
ეს არის მასის  
უზენაესი  
მარშით ვლინება!

1937

1 9 5 0

ძვირფას მეგობარს, თანამებრძოლს,  
თანამოკალმეს,  
ვის სიტყვას ვადრი სიფრცევებში  
ანთებულ აღმასს,  
გაკრიალებულს, უბრწყინვალესს  
ელვაბე მზეზე —  
რომ ვუძღვნი ამ ლექსს, გულო ჩემო,  
აი, მიზეზი!

ძვირფას მეომარს, ძვირფას მესხის  
სიმთ მიმოყლერას,  
შეუდარებლად მოყვარულს და  
თანამომღერალს —  
შემდგომ თაობად ბედ-იღბლისათვის  
უმახვილესი  
რომ შექმნა ლექსი, გულო ჩემო,  
აი, მიზეზი!

მოუსყიდველი, მომავალის  
შემგრძნობი სვეტის,  
ბრძოლებში იყო ბევრის მიმინი  
გული პოეტის,  
ლითონზე უფრო უმძლავრესი  
და უმტკიცესი —  
აი, მიზეზი გამარჯვების,  
აი, მიზეზი!

ამ საუკუნის ზვიად წყლთა  
პირველ ათეულს  
ვიგონებ. როგორც ალტაცუბას,  
ზღვად ვერ დატეულს —  
ცხრაასის, კიდევ ცხრაას ხუთის  
მხნე იგი გეზი  
რომ გაღელვებს შენ, ჩემო გულო.  
აი, მიზეზი!

დღეს მოვიგონებ იმ პირველი  
ოცნების სახელს  
და მოლოდინთა მშვენიერთა  
სპერტაც სიხალეს,  
რაც მგზნებარებად და ჰმატებდა  
სიბრძნეს სიბრძნეზე —  
აი, მიზეზი გამარჯვების,  
აი, მიზეზი!

ჩანვო, შენ ჩემო გულის ძვერავ  
და იარაღო,  
იმ კარგ წარსულთ, მითხარ, როგორ  
არ ვიამაყო?  
ერთ არ ვადილო შეუქი ყრმობის  
მოგიზვიურისი —  
მედგარად რომ იყავ, გულო ჩემო,  
აი, მიზეზი!

ჩანვო, აღსავესებ საშშობლოზე  
მრავალ ზმანებთო,  
მაოცებ შენი მაშინდელი  
აღფრთოვანებთო.  
შენ შენი გქონდა და სხვის კიდევ —  
თავისი წესი —  
წრფელი რომ იყავ, გულო ჩემო,  
აი, მიზეზი!

ვინაც მებრძოლთა უშიშართა  
რიგებში ზადგა,  
კიდევ ცოცხალი ახლაც ჩვენში  
ბევრია მათგან.  
მათ რომ იხსენებ, ვისიც მარად  
მძლავრობს ძირ-ფესვი —  
ეს მიზეზია სიმხნევისა,  
დიდი მიზეზი!

ვინაც პირველად უწრფელები  
დროშა აღმართა,  
ბრწყინავს მათ მიერ თვით ზეცამდე  
ახდილი ფარდა.  
წარვიდა, განქრა დადიქრება  
სხვა რაიმეზე —  
აი, მიზეზი, გულო ჩემო,  
აი, მიზეზი!

და, პა, კარები გაბედულად  
რომ შემოადლო  
ცხრაას ჩვიდმეტმა, მითხარ, როგორ  
არ ვიამაყო?  
რომ თავდადებთა შეიმოსა  
გზა უწმიდესი —  
აი, მიზეზი, გულო ჩემო,  
აი, მიზეზი!

იმ ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის  
ალური გზნებით,  
ლენინ—სტალინის მიერ ნათლად  
ნაჩვენებ გზებით,  
დედამიწის ერთ მიეგვსედის  
გამლილ სივრცეზე  
ძმობის დროშა რომ აფრიალდა —  
აი, მიზეზი!

წელნი ილტვიან და სულ მალა,  
მალა ადინან.  
იშლება თვალწინ ოციან და  
ოცდაათიან  
წლების ეპოქა, უმძლავრესი  
და უმკვიდრესი —  
აი, მიზეზი, გულო ჩემო,  
აი, მიზეზი!



დაუვიწყართა წელთა ხანა,  
 ებოქა ჩვენი,  
 უღარებელის და გადამწყვეტ  
 დიდების მჩენი,  
 შემოქმედებით მოალერგე-  
 მოფაქიზესი —  
 აი, მიზეზი, გულო ჩემო,  
 აი, მიზეზი!

იმ გარდატეხათ სიმძლავრეებს  
 ოდეს ვიგონებ,  
 ძლიერაც მსურდეს, უკეთესს ვერ  
 გამოვიგონებ.  
 ავწიოთ თასი ისევე ღროშის  
 მომთხრობისი —  
 აი, მიზეზი, მეგობრებო,  
 აი, მიზეზი!

სახე გამქრალა, თუმც არ უცხო,  
 მინც უსახო,  
 და სხვა მოვლენით, მითხარ, როგორ  
 არ ვიამაყო?  
 ვმირთა ვმირების ჯობს ხანა თუ  
 თათქარიძესი? —  
 აი, მიზეზი განსხვავების,  
 აი, მიზეზი!

უცებ მოვარდნილ სამამულო,  
 მსოფლიო ომის  
 საშიშროება, ველურობა  
 მომხდურთა ტომის.  
 რა იყო ქვეყნად უფრო მძლავრი  
 ჩვენს სიმტკიცებზე? —  
 აი, მიზეზი, გულო ჩემო,  
 აი, მიზეზი!

ო, ჩემო ჩანგო, ო, სულისდგამე  
 და იარაღო,  
 იმ გამარჯვებით, მითხარ, როგორ  
 არ ვიამაყო?

გაისმოდა ხმა სიმართლის და  
 სინათლის მთესი —  
 აი, მიზეზი, გულო ჩემო,  
 აი, მიზეზი!

ჩანგო, აღსავსევე კვლავ მტრისადმი  
 მკაცრ მრისხანებით,  
 ვმადლობ, იმ შენი მაშინდელი  
 ახმოვანებით.  
 საწმინდოს თვისას დარაჯობდეს  
 ერთგული მწყესი,  
 თუ უნდობარი კვლავ თავდასხმის  
 იქნა მიზეზი.

საღლეგრძელო ვთქვათ ჩვენი ჯარის  
 და ჯამათის —  
 პა, დღე თენდება ათას ცხრაას  
 ორმოცდაათის!  
 რომ თენდება და იბადება  
 ლექსიდან ლექსი —  
 აი, მიზეზი, მეგობრებო,  
 აი, მიზეზი!

დიდებულა საუკუნის  
 ეს ნახევარი.  
 სამირკელის ჩაყრა, ფუძემდებელ  
 დღეთა მრჩევიანი,  
 და რომ მეორე ნახევარის  
 ვდგავართ კიდზე —  
 აი, მიზეზი ალტაცების,  
 აი, მიზეზი!

ასე ბრწყინვალე, ასე ლალი,  
 ასე სახალხო,  
 დღე რომ თენდება, გულო, როგორ  
 არ ვიამაყო?  
 ჩვენი იგი მომავალი,  
 უუღიდესი —  
 აი, მიზეზთა მიზეზი და  
 კიდევ მიზეზი!

1950





### სამშობლოს

სამშობლოს წინსვლა გასიკვირებელი,  
მზის მხურვალეება გარს რომ აელია —  
აი, პირველი! აი, პირველი!  
რის სიყვარულიც მე მისწაველია.

შენს გამარჯვებას, ჩანგო, მოველი!  
ოჰ, შენთან დღენი ჩემნი წარვლიან,  
მედგარი ბრძოლა! — აი, ყოველი,  
რის სიყვარულიც მე მისწაველია.

გაეშლი ძვირფასი ლექსების კონებს:  
რა სიუხვეა! რა სიმრავლეა!  
გაღამასწავლოს, ნურავინ ჰგონებს,  
რის სიყვარულიც მე მისწაველია.

1933

### ჩემი სიზღირა

ზოგს ოქრომკედით შონაქსოვარი,  
სურათი რამე, კარგზე მგლოვარი,  
ზოგს ვარდი, წიგნში ჩანატოვარი —  
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ბარათი, სისხლის ცრემლნატოვარი,  
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,  
საყურე, ტყბილის ჩრდილის მთხოვარი —  
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,  
წიგნი რამ, ომით მონაპოვარი,  
საფერფლე, მიმის დანატოვარი —  
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

სამშობლოვ, მარად მსასოვარი,  
ჰა, გულიც, შენი თანამგზოვარი,  
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი —  
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

1934



„მზ არის და გორის ციხე!“

ყოველ ახალ გამარჯვების  
შემდგომ წესად შემოვიღე,  
ალტაცებით შემოვძახო:  
„მზ არის და გორის ციხე!“

ამბობდნენ, რომ აქ ბჭეები  
ინგრეოდა, როგორც რიჟე,  
დღეს რომ სახლი აგვიგია —  
„მზ არის და გორის ციხე!“

ამბობდნენ თუ, რის სინათლე,  
ყურთა სმენა ნუ წაიღე,  
მაგრამ აქ რომ სინათლეა —  
„მზ არის და გორის ციხე!“

ომში ვიყავ. მტერს-ბერლინი  
მივეუგრიხე, მოვეუგრიხე,  
ცხრა მაისით შემოვძახე:  
„მზ არის და გორის ციხე!“

ოშს აქეთაც დიდი შრომის  
დღე დღეებზე ვათარილე-  
გადახედეთ ქართლის ბაღებს —  
„მზ არის და გორის ციხე!“

მაშ, წინ გასწი, მშენებელო,  
გზას მ.ჩხედე, სტალინს მიჰყე-  
ვე არის და ჩვენი ძმოზა —  
„მზ არის და გორის ციხე!“

1948

ნატავ მალე მიაღწევდე მიზანს

შენ შუბლს იხსნი და სიბნელეს ღეწავ,  
საქართველოს მოღრუბლულ ზეცავე...  
ნეტავ მალე აღმობრწყინდეს მნათი,  
მალე სხივი მოედინოს ნეტავ!

წინ მიიწეე და ხმაურობ, გღვიძავს.  
საქართველოს სევდიანო მიწავ.  
ნეტავ მალე დაამსხვრედე ბორკილს.  
ნეტავ მალე მიაღწედე მიზანს!..

1908

მადალი კოშკი

ჩვენ იფაშენეთ მადალი კოშკი,  
და დაფასხლეთ მასში ლანდები,  
მაგრამ გამოიჩნდა ქიმერა ოშკის  
და მოირტაცა ანდამატები.

დავიღუბებით?—ეს სულ ერთია,  
სიცოცხლეს არ ვთვლით ჯერეთ შემდგარად,  
ვის შეუძლია გვითხრას: ბრძოლაში  
იგი სიცოცხლე დასწვა ჩვენგარად?

1916



სამი დიდი ოკენე  
 გარე უელის ნათელ მხარეს.  
 მთვარიანი და მზიანი  
 ზეცა აფრქვევს საიწკარეს.  
 ორ ზღვას შუა ძველისძველად  
 საომარი იყო ლელი —  
 ის გადარჩა და სახელად  
 ეწოდება საქართველო.  
 მშობლიური ჩემო მიწაე,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ.  
 რომ დავიცავ შენს დიდებას,  
 წინაპართა ძეგლებს დავიცავ!

ასწით კავკასიის ფარდა! —  
 ეს ამერი და იმერი,  
 მისი „ხელი ხმალს იკარ“ და  
 მისი „მრავალფიმიერი“.  
 მიყვარს ნარად მზენ და ძმური  
 ის გურია და სწანეთი,  
 თუში, ფშავი და ხევსური,  
 აჭარა და თრიალეთი.  
 მშობლიური ჩემო მიწაე,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ.  
 რომ დავიცავ შენს უფლებას,  
 შენს უფლებას სისხლით ვიცავ!

აღმოსავლეთ-დასავლეთის  
 გზა მიხვეულ-მოხვეული,  
 იფენანა მერგულ დედის,  
 აფხაზური, მოხვეური,  
 ლაზთა რბევა, სისხლის ტბორით  
 შეღებილი ქართლ-კახეთი,  
 რაქა-ლენჩხუშია შორით,  
 ახლო — მესხეთ-ჯავახეთი.  
 მშობლიური ჩემო მიწაე,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,  
 შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ!

და ვიგონებ იმერეთის  
 ომს ვეფხეებრივს, შინ — ზრდილობას,  
 მის ჩონგურებს და წერეთლის  
 უღარებელ წერეთლობას.  
 „გამავგონე ეგ ხმა ტკბილი,  
 დაჰკარ გრძნობით დაირასა“ —

განა გული ძველის ჩრდილით  
 სამუდამოდ დაირაზა.  
 მშობლიური ჩემო მიწაე,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ.  
 რომ დავიცავ ფაზისის ეას,  
 საირმეთა ეშხს დავიცავ!

ავერ წინამძღვრინთქარის  
 ქარი არხვეს ზეარის სამოსს,  
 და ხვერდი საესე მთვარის  
 მოჭფენია საფურამოს...  
 მეცხრაშეტეე! განთიადით  
 გვეგებება ოხვრა კაკლის...  
 ახალგაზრდა გოლიათი  
 ახლა ავსებს ამ დანაკლისს.  
 მშობლიური ჩემო მიწაე,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს სიმალეს,  
 შენს მგზნებარე ჩანგს დავიცავ!

დიდი გზებით მიდის ძველთა  
 დიდება თუ დამარცხება,  
 ეთისება ზაჰესს მცხეთა  
 და არავეიც არა ცხრება.  
 უსიერტოა დროთა სივრცე  
 და მდიდარი — ფეროვნება,  
 მისი შრომა, მისი სიბრძნე,  
 მისი დიდი ხელოვნება.  
 მშობლიური ჩემო მიწაე,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს სიმართლეს,  
 სისხლით ნაბოენ გზებს დავიცავ!

მტკვარს დაჰყურებს მაღლით ჯვარის  
 მონასტერის სიამაყე,  
 მოვიარე შთა და ბარი,  
 მაგრამ მსგავსი ვერსად ვნახე.  
 ხუროთმოძღვარს აქ ჰყავს მტკველი  
 მეომარი და მგოსანი,  
 და ჩუქურთმა უფრო ძველი,  
 ვიდრე „ვეფხისტყაოსანი“.  
 მშობლიური ჩემო მიწაე,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ იმ ლექსთა ხმას,  
 იმ ჩუქურთმის შუქს დავიცავ!

მიწა, სადაც ეხნავთ და ვთესავით,  
 მოკირწყლული იყო ძელებით.  
 მოლაღდე უკეთესად,  
 ვინემ უსახელი წლები.  
 იმ წარსულთან რა ძლიერი  
 ანათებს აქ დროის თვალი —  
 რარიგად ჩანს მშვენიერი  
 საქართველოს მომავალი!  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ იმ მომავალს,  
 იმ მომავლის მშენ დავიცავ!

და ხმალივით ბასრი გრძნობა  
 არის ფუძე ახალ ხანის,  
 ჰგავდეს რკინას ნებისყოფა  
 თვითთული ჩვენთაგანის.  
 გამარჯვების გზებით მიდის  
 თვითთული დღე ფრთამაღლი,  
 რომ არ ჩანდეს კვლავ იმ დიდი  
 სიღუბნების ნატამალი.  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს მიღწევებს,  
 შენი დროშის ფერს დავიცავ!

ოცდაექვსი საუკუნის  
 წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს,  
 ხელნაწერნი განვილი დროის  
 მოგვიტხოზობენ გმირთა ამბავს —  
 სუნთქვა ძველი წიგნებისა,  
 მშვენიერი ძველი ენა,  
 სული ქართლის ცხოვრებისა.  
 რუსთაველის აღმადრენა!  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ უძველეს განძს,  
 იმ უძველეს წიგნს დავიცავ!

შლა წიგნების მიყვარს ძველის,  
 მშვენიერი ჩვენი ენა,  
 კიდევ — რაიც ამ ოცი წელის  
 გაიშალა აღმადრენა,  
 რაც ამბავი მოგუგუნე  
 ამ ანბანით აწყობილა...

სხვა მეოცე საუკუნე  
 არასოდეს არ ყოფილა!  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს ახალ გზებს,  
 შენს უახლეს წიგნს დავიცავ!

ახლა ვეღარ გეტყვის ბედი,  
 საქართველო ნაწამებო,  
 ქართლს განუღვა იმერეთი —  
 საკუთარი სურს სამეფო.  
 თემურ-ლენგის ვერ წამოვა  
 ველურობის ხმა და ზახი,  
 თბილისს რომ არბედა ხროვა  
 ჯალალ-ედინ-ხორეზმ-შაჰის.  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს მშვიდობას,  
 შენს მთასა და ზღვას დავიცავ!

ქარმა მიანგრ-მოანგრია  
 ძველი ქვეყნის საზღუდარი,  
 აწ სხვაგვარნი ქარნი ჰქოიან,  
 ჩვენ მზარე გვაქვს საკუთარი.  
 ის ვერ ითვლის გმირთა მზარ-მკლავს,  
 ვერც სიუხვეს გენიისა,  
 და ბრწყინვალეს ანთებს ვარსკვლავს —  
 ვარსკვლავს აკადემიისა.  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ ერთა ძმობას,  
 მეგობრობის ფიცს დავიცავ!

თუ მრავალგზის დანგრეული  
 კვლავ ძლიერი გახდა მზარე,  
 თუ მოედო მევესეული  
 მშვენებლობის ნიაღვარი,  
 თუ სწრაფვანი ბრწყინვალენი  
 აღავზნებენ თვით ქვა-ლოდებს —  
 ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი  
 ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს მიღწევებს,  
 შენი დროშის ფერს დავიცავ!



თუ ბუნების მოკვდავ კაცებს  
 გვიერთდება ალტაცება,  
 თუ გვაშხნებებს და გვოტაცებს  
 განახლების დიდი მცნება,  
 თუ ყოველ დღის მძაფრი ძინი  
 ახალ სიმაგრებს აგებს —  
 ეს მისთვის, რომ ჩვენ სტალინი  
 მუდამ წინსვლას გვიქადაგებს.  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,  
 შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ!

ქვეყნის მეტის შხით ავსება  
 საგანია ჩვენი ზრუნვის,  
 ჩვენ შევძელით დაფასება  
 ჩვენი მძლავრი საუკუნის.  
 გავიარეთ სევდისმგვრელი  
 გზათა სივრცე და საზღვარი,  
 გადავლახეთ ღამე ბნელი  
 და ბურუსი ყოველგვარი.  
 მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,  
 გიცავდი და გიცავ მარად,  
 გიცავდი და კვლავ დავიცავ!

1940

ს ა ნ თ ე ლ ი

ღამის ნათელში, მტკერში, მთვიარეში  
 მიყვარდა სულის შეხება შენი,  
 თბილისის დაღლილ ქარის თარეში,  
 კოშკები ძველად ნაგებ-ნაშენი.

მსუბუქი ალით გზებს ეკიდება,  
 ტალღები ნელი და სურნელება,  
 მე მახსოვს შენი ძველი დიდება  
 და გაწმორება აწ მიძინება.

ყოველდღე მოდის ახალი ტალღა  
 მყვარალა, სუსტი და დღევანდელი.  
 და ღროშასავით მე მიმაჭკს მალღა  
 სანთელი — შენი სული, სანთელი.

1915

მასთან არიან

საღამოს ნისლი შემხუთველიდ  
 თბილისს ფარავდი,  
 როცა გაისმა ჰანგი ხმათა  
 გულშემზარავთა.

კაცი შეჩერდა. მოიხადა  
 მწუხარედ ქული.  
 ბნელ, უმოძრაო ამოხედვით  
 შეჩერდა წუთი.

ის ატივტივდა მიწყნარებულ  
 ჰაერში გაბნით,  
 აყვირდნენ შემდეგ საყვირები  
 გრძნეული ამბით.

იხედება წინ... რა დიდია  
 ტკივილი გულის!  
 რაირვად ღრმბა მწუხარება  
 ხალხის ერთგულის!..



და გუგუნებდნენ, გუგუნებდნენ  
კვლავ საყვირები,  
ჰაერს ერთვოდა გულის ცემა  
განახშირები.

გულს რაღაც სწურავს, მძიმე ცრემლი  
თვალს მოაჯარდა.  
თვით ის, მარადის მიმავალი,  
თვით დრო გაჩერდა.

მოულოდნელად, ოჰ, რა ძალა,  
რა გული ჩაქრა!  
მან თქვა თავისი მოწოდება,  
მან ცეცხლი გაჰქრა.

აწ იგი, ვისაც დაღლისათვის  
დრო არა ჰქონდა,

გადაიღლა და გაჩუმდა...  
მხარე დაღონდა.

არ დინებდებოდა მაინც იგი  
ღრმა მწუხარებას,  
ვინც არ ჩვეულა ამნაირ დროს  
გულხელდაკრევას.

დიდი ლენინის აზროვნების  
სინათლე მიწის  
მიადწვევინებს სასურველს და  
ბედნიერ მიზანს.

სტალინის ფიცი ამის მტკიცე  
საწინდარია —  
თავდადებული სამშობლოსთვის  
მისთან არიან.

1924

### ჩემის ძვირფას სტალინს

70 წლის შესრულების გამო

გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,  
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,  
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის  
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!  
სივრცენი ველთა და კლდეთა ქიშინი.  
ბუნება — სახე ყოველი ტანის —  
ეს არის ჰიშინი, ეს არის ჰიშინი,  
ვუმღეროთ ჰიშინი, ჩვენს ძვირფას სტალინს!  
გმირული ხალხის საყვარელ ხალხის,  
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით  
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის  
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

კრემლის საათი! რა მხნედ, რა მარჯვედ  
სამამულო ომს ხედებოდა წუთი:  
„ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ,  
ჩვენ გავიმარჯვებთ! — სალუტს სალუტი!“  
დიდებულია კრემლის საათი  
იმით დღეს რეკავს კოშკი და ველი:  
სამოცდაათი, სამოცდაათი,  
სამოცდაათი შესრულდა წელი!

გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,  
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,  
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის  
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

ერთა ძმობა პირველი მცენება,  
ვინც შექმნა იგი პირველად, წრფელად —  
ქებათა ქება, ქებათა ქება,  
ქებათა ქება ჩვენს ძვირფას ბელადს!  
ხაშს შეტყევა და არღარიდება  
რვაას მილიონ კაცთ ერთად მკრებელს,  
დიდება, კიდევ ქება-დიდება  
ხალხთა ბელადს და შემკავშირებელს!  
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის  
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,  
სტალინ! გილოცავთ წელთა სიახლის  
დაწყებას, გულის მთელის ძახილით!

გზით შუქმფრქვევადით თამამად მიდის  
სამოცდაათი წელი დიდებით,  
მებძოლის დიდის,  
სასწაულების მაგალითებით!

სტალინი ყოველ მხენ კომუნისტის  
უმშვენიერესს მიმართავს სახელს:  
ეპოქა გვიცდის, ეპოქა გვიცდის,  
და ითხოვს საქმეს სულ ახალ-ახალს!  
გმირული ხალხის საყვარელ ხალხის  
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,  
სტალინი! გილოცავთ წელთა სიახლის  
დაწყებას, გულის მთელის ძაბილით!

აჰ, გაისმა ასეთ დღისათვის  
სიტყვა, სიმართლის სივრცელ შემდგარი:  
მშვიდობისათვის, მშვიდობისათვის,  
მშვიდობისათვის ბრძოლა მედგარი!  
ის დღეა, ოდეს მსოფლიო მხატვრებს  
აღფრთოვანება შემატებს თემას,  
თავისუფლების იდეებს, ნატურებს,  
ნიჭის, ღირსების პატივისცემას!

გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის  
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,  
სტალინი! გილოცავთ წელთა სიახლის

დაწყებას, გულის მთელის ძაბილით!  
და იქაც ხალხის დიდი იერი  
მალე ამოყად დროშ ბს ჩაუვლის:  
მონახოს ფერი, შეიგრძნოს ფერი,  
ფერი საბჭოთა დღესასწაულის!  
და სიამაყე სიახლეთ ტალღის  
კაცობრიობის ხმად გასწვდენია  
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,  
ჩვენი ქართველი ხალხის გენია!  
გმირული ხალხის, საყვარელ ხალხის,  
ჩვენი ქართველი ხალხის სახელით,  
სტალინი! გილოცავთ წელთა სიახლის  
დაწყებას, გულის მთელის ძაბილით!

1949

მით არ მიჰყარდეს სამშობლო ჩემი

ვით არ მიყვარდეს  
სამშობლო, ლამაზ  
და სურნელოვან  
ველებით სავსე,  
ნანგრევი, რაიც  
სცდება აკლამას  
დაუტბრომელი  
მდინარის ხმაზე!

ვეტრფილები  
მაისის საფლობს,  
კორდებს საირ მეს,  
ველებს სათაფლოს,  
აფერადებით  
რომ სცდება დაბლობს,  
მიდის თანდათან  
და აღის მთაზე!

მუდამ ხმაურობს,  
კვლავ, უწინარეს  
ჩემთვის მყინვარის  
გიყი მდინარე  
(მასთან ყრმა ვიყავ  
და აწცა ყრმა ვარ) —  
მოუსვენარი,  
დაუტინარე!

ვით არ ვუმღერდე,  
გაშლილს უგრცესად  
უმშვენიერეს  
ქალას და ტყესა,  
ასე რომ ელავს  
იმათი ზეცა,  
იმათი ზეცა  
პირმოციწინარე!

ვით არ მიყვარდეს,  
ვით არ მათრობდეს  
მოზიბინეთა  
ამ არეთ ბედი...  
ეს არის ღვიათ,  
ეს არის ვარდთა,  
ეს არის შქერთა  
უსაზღვრო ტბეთი!

თვალს როგორ მოგწყვეტ,  
თუ ვით მუხა შორს  
დაფიჭრებული  
გასტქერის მთა-გორს,  
როგორ გადახნის  
თვალწინ ჰორიზონტს  
ასწლოვანი ხის  
მოხრილი ქედი!

მე მუდამ ვიგრძნობ,  
 ვით მშვენიერ ფრთებს,  
 ალაგზნებს ვერხვებს  
 ჩრდილ-ფერიები,  
 და დაეცემა  
 ყანებს და ვანებს  
 ულულურჯესი,  
 ვინემ იები!  
 როგორ არ გაფუფე  
 ფრენად ცვლილ რონინს,  
 მოგონებების  
 ტალღათა მკრეფი,  
 როს დავინახო  
 კაეკასიონის  
 უამაყესი  
 ბრგე რელიეფი!  
 ვით არ მაგზნებდეს  
 დაბლიდან ნელი,  
 სიამეთ მგვრელი  
 შეხება ქროლვის,  
 დასახამიდან  
 უარმყოფელი  
 ყოველნაირთა  
 კვდომათა ჟრეოლის!  
 მშობლიურია,  
 გარს რომ მევლება  
 ხალისიანთა  
 ნიაეთ ჭეველება,  
 თავბრუდახვევა  
 და სურნელება  
 გადასარევად  
 ცოცხალ ფოთოლის!  
 კარგი მიდამო,  
 აღმართ-დაღმართით!  
 ვინმე იმნაირს  
 ვერ ნახავს ეზოს,  
 რომ ხე არ ერგოს  
 და ია-ვარდი  
 და სილაკვარდე  
 გარს არ ეთესოს.  
 ახლაც იქ ვღვაფარ,  
 სადაც მრავალ ხის  
 ჰაეროვანი  
 თრთის ძოწეული,

და ილუშება  
 წარბი ძველ ციხის,  
 კედელს ხშირ-ხშირად  
 სურობეული.  
 ახლაც იქ ვღვაფარ  
 ღორღზე, ხევეზე,  
 მწვანით დაბურულ  
 მოსახვევებზე,  
 სად ყოველ ბიჯზე  
 მღვარ ნანგრევებზე  
 აფეთქებული  
 ჩქეფს ბროწეული.  
 ახლაც იქ ვღვაფარ...  
 ფეხგადადგმაზე  
 რაც კი წუთია  
 და ნაბიჯია —  
 თითქო ამ წმინდა,  
 სპეტაკ ადგილზე  
 თანდაყოლილი  
 რამე ნიკია —  
 დგას დილდილობით  
 შეურხეველი,  
 უნარნარესი  
 ალგათა წელი,  
 მუხები ძველი,  
 ცაცხვები ძველი.  
 ძელქმები ძველი  
 და გლედიჩია.  
 როგორ დაეტოვო  
 ყოველივე ეს,  
 რაც უწვეულო  
 მშვენებას ახვევს  
 ამ საოცარი  
 მიდამოს ისეც  
 უბურუსო და  
 უღრუბლო სახეს?!  
 ოდეს ფერი ცის  
 ამ საფვარელ გზებს  
 გადეფინება  
 და დაინათებს,  
 კიდევ უფრო მეტ  
 მშვენებას მატებს,  
 მეტ სიდიადეს  
 და სიამაყეს!

მე არ გავცვლი გზას.  
 რომლის წარსული  
 თვალწინდელი  
 წელიწადთ ტყუი,  
 უხსოვარ ხნიდან.  
 დროგადისული  
 აქ დარჩენილი  
 მისი სახეა.  
 ამბობენ, თითქო  
 სამი ათას წლის,  
 და იქნებ მეტთა,  
 მანძილთა მწვდომის,  
 მომსწრება იგი  
 მრავალი რისხვის,  
 მრავალი ცეცხლის,  
 მრავალი ომის.  
 ამბობენ, თითქო  
 ამ გზების წინა,  
 აწ დანგრეული  
 ზღუდე და ბინა,  
 უფრო ძველია,  
 ვიდრე ათინა  
 და უფრო ძველი,  
 ვიდრე თვით რომი.  
 როგორ დავტოვო  
 და წაიღოს დრომ.  
 რომელიც ვზნებათ  
 მრავალთ საწყევია.  
 იქ რომ კორდია  
 და იმ კორდზე რომ  
 ვადარჩენილი  
 სამი ცაცხვია?!  
 ის სამი ცაცხვი...  
 მათ ქვეშ შთენილთა  
 აღფრთოვანებათ,  
 იმედთა შლილთა  
 და ოცნებათა  
 გადახდენილთა,  
 ჩემთა ოცნებათ  
 გროვა აწყვია.  
 იქ ძველისძველი,  
 უხსოვარ ხნომის,  
 რაც კი ბილივი  
 და ნანგრეულია.

მათ ჩემი ყრმობის,  
 საოცარ ყრმობის,  
 უნელღებელი  
 ოხერა მხვევია.  
 ნანგრეეი!..  
 როგორ მიყვარდა მე ის...  
 რამდენი სევდის,  
 რამდენ სიამის,  
 მე. დაფიქრებულს,  
 ვინ უწყს რა წვიში,  
 მღელვარე ღამე  
 იქ მითევია...  
 როგორ არ მიყვარს  
 გაშლილი ფარად  
 კედლებზე, კარად,  
 ფერფლზე იმ დროის -  
 ლელავს მთელი ტყე.  
 მთელი ზღვა, მარად-  
 მწვანე ხეების,  
 მწვანე სურვის!  
 იგი მკვიდრია,  
 რაც მათ შრიალა  
 ჩემს სიყმაწვილეს  
 შობებრეს ძალა:  
 ვამბა ხელით ვერ  
 ვამომცალა  
 იგი ტკბილი თუ  
 მწარე ფილა.  
 მენდგრა! გრძნობამ წინ  
 რომ გაიწიოს,  
 მეშინის ვისი,  
 მეკრძალვის რაის?  
 ამ ნანგრეეებთან  
 მშობლიურ სიოს  
 მარად ვუპოვით  
 უშკნობელ მისის!  
 და მგზნებარ ხელით  
 ნართულ-გადართულს,  
 რაც ოცნებისკენ  
 ამ გულს წაიღებს,  
 ვინაც გაიგებს  
 ჩუქურთმის ქართულს,  
 ის პოეზიას  
 ჩემსას გაიგებს!

1946

## ქართული ორნამენტი

მკვეთრი, ნათელი და შორი  
გრძნობიერია ზმანება —  
ეს მზე-ჩუქურთმა, ეს სწორი  
ხაზების ახოვანება!

ღვრის იისფერი დღე ღმობილი  
ოცნებას ცისფერ რამეზე:  
ნანგრევზე არის გაშლილი  
დიდება და სიღამაზე.

ველური, მოუნათვლელი  
ქვის ცივი, რუხი გაგება,  
ადვილად არის სათლელი,  
და თბილად — დაქანდაკება.

ქვა, განა ქვაა? ეს რთული  
ნიშნები, ჩემთვის ნათელი —  
გაცოცხლებული ქვის გული  
ქღერს, როგორც კოროინტელი.

ქვა, მოწყვეტილი აქ კლდეებს.  
ქვა კი არ არის — სიმიო.  
გარდასულ საუკუნეებს  
მტკიცე: ეს თქვენი ღიმიო.

აქ ბევრი სისხლი დაღვარეს,  
მებრძოლი, ბევრჯერ მინახავს,  
ჩუქურთმის ნატეხს საყვარელს  
ომის დროს უბით ინახავს.

1941

## ს ი ძ მ ე ლ ე ნ ი

ნახე ნანგრევთა ქვები დიადი:  
რა სიმაგრეა მასში ჩართული.  
ო, ეს ჩუქურთმა, ეს იშვიათი  
მშვენიება, სიერცით შემოკვართული.

იმ საუკუნის, იმ მეთორმეტის  
დიდებას — თამარს რომ აწერს ყველა,  
სიმაგრეები მაღალ ორბეთის  
ძველია, მაგრამ რამ დაიძველა?

კედლები ციხის მნახველთ აოცებს  
მძლავრი დღუღებით, მტკიცედ ნაგები  
ასე ურყევი ძალით რომ მოსაგეს  
გარედან მსხვლი ქვის პერანგები.

არა ამოოდ იგი ნათები  
წარსულმან აწმყოს შემოაჯარა:  
ჩანდი, ჩანხარ და უფრო გაჩანდები  
ქვათა მშვენიერ ხმეშში, აჰარავ!

1947

## მ ა მ უ ლ ი

ცერიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
არ გავიარე — რაა მამული?!  
წინაპართაგან წავიდა ყველა,  
სხვა ხალხის ისმის აქ კრიაბული.

გაშალა ველი ნელმა ნიაემა,  
და მელანდება მე მის წიაღში  
მოხუცი მამა, მოხუცი მამა  
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი  
მასზე ოცნებას დაეგვანება,  
ისევე ამწვანდა მდელი და კორდი...  
დავდივარ... ვწუხებარ და მენანებ!

1915

დამიბრუნე ჩემი სამშობლო

აპა, ის კუთხე, ის არემბარე,  
სადაც ოცნება გვირგვინებს ჰქმნიდა.  
სად სიყმაწვილე სწრაფი, ვით ტალღა,  
ვით ტალღა სწრაფი, გაქრა, წავიდა!..  
აპა, ის მთები, ცად ზვიდულნი,  
მულღივით თოვლით მოსილი მთები!  
წავიდა, გაქრა სუყველაფერი,  
როგორც ზვირთები, როგორც ზვირთები!  
აი, ტყე, სადაც ვხეტილობდი,  
მთის ნიაფივით თავისუფალი...  
სადაც ყმაწვილურ აღტაცებაში  
ხარობდა გული, ხარობდა თავი!

რას აქნევს სული თავისუფალი  
ჩვენი დღეების დრტყინვას უმიზნოს —  
აქ მშვენიერი თავისუფლება  
დღეს არვის ძალუძს იგრძნოს და იცნოს...

ბედო, წაილე, რაც მოგიცია! —  
წაილე კაცთა პატივისცემა!  
წაილე ჩემი მგოსნის გვირგვინი,  
მანოვანთ ოხვრა და ნაზი კლემი...  
წაილე ყველა!.. მე არ ვინანებ,  
რაგინდ საშინელ ცეცხლში ვდნებოდე —  
მე ამ მიწებში ცხოვრება არ მსურს,  
არ მსურს, რომ მათში მეც ვითვლებოდე!..

გთხოვ, დამიბრუნო ჩემი სამშობლო,  
სადაც მალხენდა ოცნება ყრმობის,  
სადაც არ ვგრძნობდი, თუ რას ნიშნავდა:  
ფიჭვი სირცხვილის, ფიჭვი მიწობის,  
სადაც ფრთამსუბუქ ღამის სიოსთან  
შემეძლო ფიჭვის წირველად განდობა...  
ოჰ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო,  
ჩემი სპეტაკი ახალგაზრდობა!

1912

15 საუკუნე უსრულდება

შენი სიბერე —  
სიახლე ორბის  
15 საუკუნე  
ელოდა წინამორბედს.  
15 საუკუნე  
გიკლავდა დღეისს,  
ქალაქო ფენიქსო,  
ყრუ ლამეები  
ცეცხლის და ნგრევის..  
15 საუკუნე  
შემოსალტული,  
თითქო განგებით,  
ჯალალ-ედინებით,  
თემურ-ლენგებით.

15 საუკუნე  
ხსოვნას აზარებს —  
ზღვა არაბების,  
სკივითი, ბერძენი...  
ცელიდნენ ხაზარებს.  
მძლეოა მძლეე, ბევრჯერ  
გასციდი ყოფნის ფონს,  
სწვევდი რა ხიდებს,  
ცელიდი რუბიკონს.  
შენს სისხლიან თასს  
სცილიდა შაჰ-აბას  
და ვერ დასცალა.  
აწ აღსადგენად  
მოღის სხვა ძალა!

1921

### სადღეგრძელო იყოს მისი

სადღეგრძელო იყოს მისი,  
ვინც ოცნებით იწვოდა,  
ვინც პოეტის მირადისი  
აღტაცება იყოდა.  
მოდიოდა ერთზე ასი,  
გზა გვეწვინოდა დიდების,  
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი  
ბედთან არდარიდების.  
სადღეგრძელო იყოს მისი,  
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.  
ავდგეთ ფეხზე! ჩვენ თბილისი  
ვადღეგრძელოთ ქალარა.  
აქ სიცოცხლე და ხალისი,  
ვის სხეულ არ ესვენება,  
სადღეგრძელო იყოს მისი  
და დიდებით ხსენება!

1921

### წამყე ბეთანიისაკენ!

წამყე ბეთანიისაკენ! იქ, სადღაცა ახლო-მახლო,  
იყო ორბელიანების  
და ირაკლის სამოსახლო.

გზაზე, სადაც ცაცხეებია და მუხნარი უმეტესი.  
არსად ჭეყნად არ მინახავს  
ადგილები უკეთესი!

ადგილები ასე მშვენი ვარდისაგან, იისაგან...  
სანადირო ადგილები...

წამყე ბეთანიისაკენ!

მოდი, სადმე უდაბური ვბოვოთ კუთხე ქედმო-  
მაღლო,  
გადმოვხედოთ მალლით თბილისს —  
მე აქ უნდა დავესახლო!

წამყე ბეთანიისაკენ! იქ, სადღაცა ახლო-მახლო,  
იყო ორბელიანების  
და ირაკლის სამოსახლო.

1930

ჩემი ჭუთაინი!

წყალტუბოდან ქუთაისში  
მიმავლო ქარო,  
თუ მაისის ქუთაისმა  
გკითხოს — ვინა ხარო,  
უბასუხე, რომ სუნთქვა ხარ,  
არ კი უთხრა — ვისი:  
ისეც იგრძნობს ქუთაისი,  
ჩემი ქუთაისი!

1922

უ ძ ი

ჯერ ისევ შორს ეხედავ უძოს,  
ზმანებით რომ გულის ასურებს.  
აველ — ვიტყვი: თვალი ჩემი  
საქართველოს გადაჰყურებს.

აღმოსავლეთ-დასავლეთით  
სულ მთებია და მუხნარი,  
ჩაშვებულა დაბლა ხევი,  
როგორც დევის ნამუხლარი.

სამგორის მთას სულ სხვაგვარი  
ამოძრავებს დრო და ხანა,  
მიჰქრის აეტო, გავიარეთ  
აზეულა, ოქროყანა...

მივიჩქარი: მე მახარებს,  
რომ ეს მთაი ასაღები,  
და დავცხრები, როცა ვიტყვი:  
ხელთ მაქვს უძოს გასაღები.

1949

არ ა ბ ვ ი

მიძებნია, მომინახავს,  
ჯანმრცილა ზვირთთა ნანა,  
მაგრამ ქვეყნად არ მინახავს  
მე მდინარე შენისთანა.

სამას არაგველი კაცის  
შენ იმღერე იაენანა,  
თავდადება სააკაძის  
და ირაკლის მძაფრი ხანა.

თერთან შენმა მეომარმა  
თავი დასდო გმირთა თანა,  
და მეგობარს მეგობარმა  
გამარჯვება მიუტანა.

მიძებნია, მომინახავს,  
მომივლია მთლად ქვეყანა,  
მაგრამ ქვეყნად არ მინახავს  
მე მდინარე შენისთანა!

1942

კ უ მ ი ს ი

სილაგვარდე მთვარის ჩუმის  
მოჭყენია ცისფერ კუმისს,  
ტბას დასცქერის მღვმარე ტყე  
მოდარაჯე ჩამიჩუმის.

დაფიქრების, პირმოკუმვის  
მორჩილება უელის კუმისს,  
ღელავს ფერი ხავერდისა  
და სიღბილე აბრეშუმის.

უეცრად შორს არღვევს ღუმოლს  
ხსოვნა ცეცხლის და სამუმის,  
და ხმა ოძელაშვილისა  
სიმშვიდეშიც აკრთობს კუმისს.

1946

### მშვენიერი აფხაზეთი

მშვენიერი აფხაზეთის  
ჰყევის დედაქალაქი.  
იმ მარჯვენას გაუმარჯოს,  
ვინც მას დასდვა ამაგი!

სასახლე თუ მშვიდი ბინა.  
საოცარი ბაღები,  
არემარეს მოეუინა  
მშვენი ბაიროლები.

ლამაზი და მდიდარიო  
აფხაზეთის ბუნება.  
მიყვარს შეე ზღვის, ზუმბერაზის.  
დაძვრა-აგუგუნება!

1945

### ზოთა რუსთაშვილი შავი ზღვის პირად

ნაპირს, რასაც საოცარი  
სილაქვარდით ავსებს წყალი.  
სადაც დაუნის ტყეებია  
და მხიური ფორთოხალი,  
ნაპირს, რის მსგავსს ზღვით მავალი  
ვერსად ნახავს კაცის თვალი —  
გადმოვიდა მოყმე ვინმე,  
ანაყი და სახე მკრთალი.

პირველ მუხლი მოიყარა,  
მოწიწებით გადვა შორა,  
თაყვანი სცა მშობელ მიწას.  
რამდენჯერმე ეამბორა,  
კვლავ დაეზო, კვლავ ცრემლები  
სისხლის რუებრ მოატბორა —  
მელირსაო შენი ნახვა,  
აწუც ვინ დაგვაშორიშორა?

ამბობს: ჩემო სამშობლოო,  
ღვიძლო დედაე, ჩემო კარგო,  
დაგბრუნდი შენი შეილი,  
ვეჭე, რაიმე დიდი გარგო,  
გარნა ერთი სიცოცხლე მაქვს,  
მინდა შენთვის გარდავაგო,  
სიბრანეს — ვეყმო, მოამეს — ვეძმო.  
საკადრისი მტერს მივაგო.

მე შენ შემკერ სხვა ცხოვრების,  
სხვა გარემოთ უცნობ ზეაში,  
როსმე წყნარი და უღრუბლო.  
ხამახივით ნაზი ბაეშვი...  
ვნახე უცხო მხარეები,  
გადაეშვი სიბრძნეთ ზღვაში.  
ხან სიტყვაში, ხან ავღარში,  
ხან გრიგალში, ხან ნიავში.

მერამდენედ უნდა ვითხრა,  
მშობლიურო, კვლავ მადლობა  
ცისკრისათვის, რასაც დილის  
ჭკვია მიმოსინათლობა;  
იარისთვის, ჩემს დასისხლულ  
ფეხს რო მ აჩნის, ვითარ გზობა,  
ყველაფრისთვის, რაც არა მაქვს  
და ან კი მაქვს: გრძნობა, ცნობა.

აი, დიდი, დაბურთული  
და ზვიადი ჩანს ტყეები.  
ზევით, ქვევით ცის ლაქვარდი.  
გადაშლილი სიერტეები.  
ცადაწედილი დგას ხეები,  
კვლავ კლდეები, სახეები,  
ახლო მესმის: ჩონგურები  
აშრიადღნენ, ვით დღეები.



რალაც უცხო სიმსუბუქით  
მივყავარ სივით ოქროს ნაგებს,  
ნაყოფიერ მინდორთ ნუგეშს,  
მზეთა ნუგეშს, ოქროს ზევეებს.  
გმადლობ ზღვისთვის, არემარევე!  
ამგვიარად რომ ააყვავებს  
აღმომხდარ მზით, ჩამავალ მზით  
იმ მთვარესა და ვარსკვლავებს.

მე რუსთველი ამა ზღვიდან  
შემოვდივარ ჩემს ქვეყანას.  
მოიარო სხვა ქვეყანა,  
ვერ მოისმენ ამგვარ ნანას.  
ხაშს შესწირო კაცმა თავი  
მხარეს— ეღმის ამისთანას...  
მის ვეფხვობას, მის სიუხვეს,  
სიყვარულს და ოქროს ხანას!

1947

არა აპვით ზღვა

და არის ქვეყნები სხვა,  
რომელთაც არა აქვთ ზღვა,  
ანუ არც მდინარე.

ჰქვეთავდა უნდოს და ნავსს—  
კრეისერს; წყაღქვეშა ნავს  
მოქნეულ დაშინათ.

აქ კი ცად ასულა ფრთა,  
უშორეს ტალღების მთა  
თეთრი და მყინვარე.

დალწა ნაღმები მტრის,  
და მაშინ დამშვილდა ის...  
ო, როგორ დამშვილდა!

ზღვა ჩვენი მრისხანე ომს  
შეხვდა, ვით შეჭფერის ლომს.  
არსმენილ განგაშით.

გრძნობ ზღვად გასულთა ხმას,  
სად იალქანი დგას  
აღბიურ კარავის.

გრგვინვასა და ქუხილს სტეხს—  
შეაწყდა გრივალი მეხს  
გემების კანკალში.

რას იტყვი? რა უნდა თქვა?  
ვისა აქვს ჩვენსაგეთი ზღვა?  
— არავის, არავის!

1947

მხარე, გმადლობ!

მხარე, გეთაყვა!  
ცა გაქვს ისეთი,  
თითქო ლაქვარდებს  
მოსტირის ზეთი.  
ერთი ღრუბელიც  
ცაზე არა ჩანს,  
სახეზე კი გცემს  
წვიმების წვეთი.

მხარეო, გმადლობ...  
გასაკვირველი  
ჩვენ შავი ზღვა გვაქვს  
პირველთ-პირველი.  
აქ ყველა მღერის:  
არაგვის, თეოგის,  
ენგურის, მტკვრის და  
ფაზისპირელი.

1948

ჩვენი მხურვალე საღამი	მომოუფინა ბალებს
მხარეს,	ყვავილი.
რომელსაც ჰშვენის სახელი	იმ ორთავეიან მტაცებლის
ესტი.	თვალი.
ჩვენებრ ჰფარავდა, თუ არ	ის წინანდელი სკანდინაველი
უარეს	გაქრა, ვით ბნელი
შავი ღრუბელი.	ლამის
ცივი ნორდ-	ზღაპარი.
ვესტი.	
მაგრამ გაიორღვა რკინის	ახალი სიბრძნით საკესე
კარები	მხარეში
და გადაეშვა	ყველანი ბედიით
მსგავსებელ	ვართ თანაბარი
ტალღის—	ერთა მშვიდობის
	სიღვწარეში.
	და მეგობრებად
	გვეხვევიან
თავისუფლები, დარის-	გარს
დარება	
და ნებისყოფა	მზიურ ქვეყნების
მშვენიერ	მკვიდრი
ხალხის.	მღგმურები.
განათლა გმირის კალევის	მეც Esti Kannel-ს (ესტონეთის ქნარს)
ქვალი.	მღელვარე ჩანვით ვეხმურები.

1940

მ ო ს კ ო მ ი

800 წელი დაფუძნებიდან

მოსკოვი მახსოვს ჯერ ისევ  
თოვლში ხვეული ცარცივით,  
გმინავდა სულისშემზუთავ  
ორთავიანი არწივით.

მოსკოვი მახსოვს გაჭრილი  
დიდი ხნის ნანატრ სხივივით,  
ახლა მოსკოვი მათფლიოს  
გაქუურებს სხვა არწივივით.

სხვა რომელია ქალაქი,  
სიცოცხლე ასე მწუჭრვალე!  
არწივებს იქ აფრენილებს  
ჩვენი სალამი მხურვალე!

1947

ქ რ ე მ ლ ი

შუქი უუდიდესი,  
ალი ცეცხლთა ნათების —  
იყო ცხრაას ჩვიდმეტე  
ცხარე ბარიკადების.  
ცეცხლი რევოლუციის,  
მსოფლიოზე მთოვარი —  
ქვეყნად უდიადესი  
არის მონაპოვარი.  
მახსოვს კრემლი, ის კრემლი  
საესე იდუმალეებით,  
ფხიზლად იყურებოდა  
თვით ლენინის თვალებით —  
სიმბოლო სიმშობლოსთვის  
ბრძოლის და თავდადების,  
შუქი აღმოსავლეთის,  
ცეცხლი ბარიკადების!  
ვერ ეღირსა ფაშისში  
ყუმბარათა მთოვარი,  
რომ მოსკოვი ეხილა  
ჩვენგან დანატოვარი.

1942

სალამი ახალგაზრდობას

ბედნიერების ახალი წიგნით  
შეაღებთ კარებს,  
თავდადებითაც შეაღებთ, შიგნით  
აზრი ელვარებს!

გვაქვს საგანძური: მეცნიერება,  
რომლის სიმდიდრე  
არ დაიღვეა. ქვეყნიერება  
არსებობს ვიდრე.

ყოველი წვეთი დაღვრილი სისხლის  
გვითითებს ფარად  
წიგნთან სიფხიზლეს. ომში სიფხიზლეს,  
სიფხიზლეს მარად!

ვეფხვებს სალამი! ვუღიეთ სიძნელე,  
გზად რომ დაგვედვა,  
ეძლიეთ სხვა მტერიც: ეძლიეთ სიბნელე  
და კარჩაკეცვა.

აზრს, — თვით ბუნება უამრur ეჭვით  
რომ იბურება,  
ჟანგარიშო მალღობით და ნიქით  
ემსახურება.

ხალხისთვის. როცა ის ასეთნაირ  
შრომას ჩაერთო,  
მეცნიერება, როგორც ჭაერი,  
გახდა საერთო!

თქვენ, როგორც ახალ დროის სიალე,  
მომავლის სახე,  
იმ კარგ მომავლის იმედი, ძალა  
და სიამაყე —

მიჰყვებით ჩვენს დიდს მშობლიურ სტალინს,  
მიჰყვებით სტალინს!

მისით დიდების საქმეა სწავლა  
და ციცხლი სწავლის,

მისით წყვილის შავ სადარაჯოს  
ძალა ეცლება.

ბრძულს, სამართლიან აზრს გაუმარჯოს,  
ძირს უმეცრება!

1947



ისმ ახალგაზრდობას

ცხოვრების ზღვაზე მენავეს  
ტაღლა სცემს ხმაონავარი.  
სულის სიმტკიცე აქ გმართებს—  
აი, რა არის მთავარი!

მეცნიერება კი მზეა,  
ფუძეა, მტკიცე ჯავარი.  
შრომა, ცოდნა და სიმართლე  
გწამდეს—ესაა მთავარი!

რაც ომმა ჩვენ მოგვყენა  
კრილობა სხვაღისხვაგვარი,  
უნდა მოშუშდეს—აი, რა,  
აი, რა არის მთავარი!

თუ აღამიანს გეტყვიან,  
მასზე ძვირუფასი რა არი.  
სახელი აღამიანის —  
აი, რა არის მთავარი!

გეჟაფოთ, რაც უღრანია,  
აგეუათ, რაც ხარვეზია.  
სამშობლო არ დაივიწყოთ,  
სამშობლო — უმთავრესია!

1949

დროშები მაღლა!

ვინ უნდა იყოს  
ისე მზიანი,  
როგორც საბჭოთა  
აღამიანი?

ვინ არის ჩვენებრ  
თავდადებული,  
ჩვენებრ ამაყი,  
ჩვენებრ სვიანი?

დროშები მაღლა! შოგროვდეს ყველა,  
ოცდაათი წლის მზეა ვარგარა.  
მსოფლიო მისგან მოელის შეელას —  
დროშები ჩქარა,  
დროშები ჩქარა!

მშენებლობაა  
ლალი, მზიური,  
და ემატება  
აგუოს აგური.  
მხარეს ეკუთვინის  
საქმე დიადი

და სიტყვა წრფელი,  
ამხანაგური.  
დროშები მაღლა! მძლავრი და სრული  
წინ ერთი ძმობა მიგვიძღვს ის ძხლა,  
ოქტონბრის სხივით განათებული —  
დროშები მაღლა,  
დროშები მაღლა!


ვმღერით სიმღერებს  
მძლავრსა და ხმოვანს,  
სიმღერა ჰმეინის  
მხარეს, ხელოვანს.  
სიცოცხლეს ვუმღერო  
მხოლიდ მშვენიერს,  
და ვგმობთ სიცოცხლეს  
არსახელოვანს.  
დროშები ცამდის! დიდება სტალინს!  
გვახსოვდეს ფიცი ლენინისადმი.  
გრდემლით და ნამგლით, ჩანგით და ხმალით,  
დროშები ცამდის,  
დროშები ცამდის!

მას ემონება  
 მკლავი, გონება,  
 ბრძოლა, შრომა  
 თუ ხელოვნება—  
 დიადი მიზნით  
 ნიშავალ გზაზე  
 ჩეენი ფარია  
 ერთსულოვნება.  
 დროშები ხალხის, ამაყი რხევით,  
 ნისწრაფებაა მრავალი ტალღის.  
 სიმართლისათვის ფრიალებს ზეგით  
 დროშება ხალხის,  
 დროშები ხალხის!

არ ცბრება მტერი,  
 ქვეული ეინად,  
 მაგრამ ჩვენ კლდე ვართ  
 ისე, ვით წინათ.  
 ძირს იგი ომი!  
 მაგრამ თუ ატყდა,  
 ქვეყნისთვის ომი  
 მიგეაზნდეს ლხინად.  
 დროშებში ჩაინ მთანი და ტყენი.  
 შეგნების უმად არ არის დალა.  
 ვადიდლოთ ყველამ სამშობლო ჩვენო—  
 დროშები მაღლა,  
 მაღლა, სულ მაღლა!

1947





სამსახური და მართება



### ჩვენში და გარეთ

რას, რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ,  
რომ ის ჩასთვალო მზედ ანდა მთეარედ?  
არ ღირს მსოფლიოს მთელი სიმდიდრე  
ერთ გაქროლებად სამშობლო მხარედ.

იქ ხომ გზა ცრემლით არ ინამება,  
არც სიერცხეებზე წუხს შეღამება.  
ჩვენიმ არც მწარე მარტობაა,  
არც სასიყვლილო არის წამება.

სტუმართმოყვარე ჩვენ გვაქვს სახლები,  
მათ ხალისიან ღიმილს ეახლები...  
დეე შორიდან ჰკიოდეს კოტი  
და თავგადაკვლით ყფუნენ ძაღლები!

ჩვენი გზა ცრემლით არ ინამება,  
არც სიერცხეებზე წუხს შეღამება.  
ღიღი ხანია გათენდა, გულო,  
ღიღი ხანია გაქრა წამება!

1935

### მოგონება მშობლიური მხარის

მისცემია ძილს ბრეტანი,  
ალიველებს ზეირთებს მთეარე...  
ნამეტანი, ნამეტანი  
შორი გზები მოვიარე.

მისცემია ძილს ბრეტანი...  
მე კი მახსოვს მსხმოიარე  
ჩვენი მთა და მოედანი,  
მშობლიური არემარე.

იქ კაობი იყო. გაქრა  
უამური, სინწრის ჯაფა,  
შფოთიანი ძველი გაქრა,  
უშკაცრესი ბაპისპაბა.

ოკი ათას ჰექტარ მინდორს  
ციტრუსების გვინდა ვარდი,  
მილიონი კი არ გვინდა,  
მილიარდი, მილიარდი!

ასეთ მიღწევებზე ქუხდა  
ხანისწყალი და რიონი,  
და ძვირფასად აზურმუხტდა  
ხე მრავალი მილიონი...

გრეიბურუტი, მსგავსი მთეარის,  
მისი ფერი და ამინდი,  
გრეიბურუტი კი არ არის —  
ყუნბარაა, ღინამიტა!

1935

### შიძრები საშობლოზე

ნავსადგური დიდი, ვრცელი,  
ტეირთებს ზიდავს კაცი მონა,  
შორს გაჭურებს ზღვას მარსელი  
და ისტუმრებს გემებს რონა.

გამახსენდა! დაბადება—  
განთიადით შუქს აპკურებს,  
სხვა ახალი ემატება  
ჩვენი ქვეყნის ნავსადგურებს.

სიყვითლით და დაობებით  
რომ ბორგაედა წინათ ფოთი,  
შრება ძველი კაობები  
და რიონის ცხრება შფოთი.

ცხრება მისი მავნე შფოთი,  
გადალექვა ველიარ ართობს:  
გასჭრეს სულ სხვა კალაპოტი,  
ძველი—შურცეს სტოვებს ფართობს.

სად ხედვბოდნენ ზღვა ძლიერი  
და რიონი მედიდური,  
მშვენიერზე მშვენიერი  
დაფუძნდება ნავსადგური.

აქ კი სილატაკე ვრცელი,  
ტეირთებს ზიდავს კაცი მონა,  
შორს გაჭურებს ზღვას მარსელი  
და ისტუმრებს გემებს რონა.

1935

### ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე

ბრწყინავს დარბაზი,  
სინათლე ნაზი,  
როგორც ნანატრი  
რამ ფეერიია,  
იატაკიდან  
ჭერს შერია  
და ელვარების  
მისცა სიახლე.

როგორც სიზმარი  
რამე ნანატრი  
გადაეხვევა  
ათასფერ მიწას—  
ასე დიადი  
სასახლე ბრწყინავს,  
შეთანხმებისა  
ბრწყინავს სასახლე.

რა შორიდგება  
და დიდი ხათრი,  
რა სიყვარული  
ხალხის წერიი  
გამოძახილში:

მშვენიერიი  
ბარბიუსის სიტყვა,  
მისი—შეტადრე.

იმ გამოძახილს  
იმ მომენტს ვადრი,  
როდესაც ცეცხლი  
აღლღებს რკინას...  
დიდ იდეებით  
თეატრი ბრწყინავს,  
გამარჯვებული  
ბრწყინავს თეატრი.

პრეზიდენტში,  
ჩემ გვერდით, წყნარი  
და მომღიმარი  
ზის ბარბიუსი;  
მას აქვს ღიმილი  
დაუფიწყარი,  
თვლებშიც ნაზი,  
ლურჯი ბურუსი.

პარიზთან მკიდროდ  
გადაზრდილია



ბარეკადები  
წითლად ნაბანი,  
ეს პერ-ლაშეზი,  
ეს ბასტილია,  
ზარბაზნების ხმა  
და ბარაბანი.

გარეთ კი მტერი  
დადის იოლად,  
სადაც პალმების,  
მწვანე ქაფია,  
მას უნდა არა  
კარმანიოლა,  
არამედ ღუჩეს  
ბიოგრაფია.

სახალხო ფრონტს და  
ინტერნაციონალს  
სურს ხალხში მკვიდრად  
გაიდგას ფესვი,  
მის ბრწყინვალე და  
მზიურ მომავალს  
ეხმარება  
ჩვენი კონგრესი.

ამოლ კი მტერს  
სურს დაარბიოს,  
ის სიციცხლესთან  
თამაშს ვერ იგებს —  
არა ერთს და ორს  
ჰანრი ბარბიუსს  
დაუკავშირებს  
მებრძოლთა რიგებს.

ამოლ სიყვდილს  
სურს დასცეს გმირი  
და ამოგლიჯოს  
საგულეს გული —  
თვით დაეცემა  
გულგანაგმირი,  
სიციცხლის ცეცხლით  
შემობუგული.

ახალი გზისთვის  
ჩვენ მიგვიგნია —  
მსოფლიო ცეცხლით,  
მსოფლიო ცეცხლით!  
წიგნით სტალინზე!  
ეს ის წიგნია,  
სად დინამიტა  
ელავს ნაკერცხლით.

1935

იმ დღეს პარიზში

იმ დღეს რომ იყო  
კოხი და თქეში,  
პარიზზე ქარის  
რომ ქუხდა სვეტი,  
მძლავრმა გრიგალმა  
ბულონის ტყეში  
ხე ამოგლიჯა  
ეჭვსასზე მეთი.

ძირფესვიანად  
გულაღმა დაწვა  
გადაღუწილი  
ალვა და წაბლი,  
თანბრად გრძნობდა  
სიტყვას: თავდაცვა!  
უბრალო ჩიტი  
და ღირთიბლი.

ვერსალისაკენ  
განადგურების  
აზვირთებული  
ტბა მიედინა,  
შემდგე ეკვეთა  
რადიოსადგურს  
და კაბინებს ხმა  
გააკმენდინა.

როგორც ქალს შიშველს  
სულით და ხორციით,  
ბულგარს ის სეტყვა  
სცემს კმაყოფილი.  
აცურდა ქუჩა,  
ნაგები ტოროზით,  
ნიაღვარს მიაჭვს  
აეტომობილი.



რა საოცარი  
ისმოდა მარში,  
როს ქარი ჩადგა  
და გზები მოშრა.

ამგვარ პარიზში,  
ამნაირ ქარში  
ევაფრიალეთ  
კონგრესის დროშა.  
1935

მიფილის კოშკი

არის მთასავით  
კოლოსალური  
მარსის მიწოდორზე  
მდგარი შენობა:  
მე ავდიოდი,  
ვით მოხარული  
სვეტებზე აღის  
შუქთაფერობა.

მე ამ კოშკს ჩემი  
შევწირე ნსხვერპლი,  
ისე შევწირე,  
ვით სახსოვარი:  
ზრუნვის საათი,  
ჩუმე საფერფლე,  
ერთიც იღვა  
სწორუპოვარი:

ოთხკუთხიანი  
ეს პირამიდა  
პარიზზე ასე  
განით მქურტელი,  
ახლაც იგონებს,  
ვით ამოვიდა  
ამ სიმაღლეზე  
აკაცი წერეთელი.

რომ ეიფელის  
მწვერვალზე დადგმულს  
რადიოსადგურს  
უსმენს პარიზი:  
უთანაბრობა  
დროებამ შთანთქა,  
ახლა ჩვენია  
ეს ასპარეზი!  
1935

„ლ უ მ ა ნ ი ტ ე“

მეტი გზა არა  
დარჩენია-რა:  
თვეზე მეტია,  
სად არ იარა,  
სამუშაო კი  
ვერსად ვერ პოვია,  
გულის სიმხნევემ  
ის შიატოვია.

„ლუმანიტი!“  
„იყიდე  
„ლუმანიტი!“  
და შეიცვალა  
დღე სულ სხვაგვარიად,  
ახალ იმედთა  
მიღე ნიაგარად.

მზადაა ახლაც  
წყალს მისცეს თავი,  
მან გადაწყვიტა...  
და უცებ ზვავი,  
ხმათა მოგარდნა:  
„იყიდე  
„ლუმანიტი!“  
„ლუმანიტი!“

როგორც დაცემის  
და ავზნობის,  
რცხენია თავის  
სულმოკლეობის.  
მეტი გზა არა  
დარჩენია-რა,  
ბრძოლით დააცხროს  
გულის იარა.

სიკვდილი უფოფეგრისა

შენი ცხოვრება —  
ყოფნა დაღლილის...  
სარდაფში კედლები  
ცივი, ბებერი,  
შენთვის არ არის  
ამქვეყნად სახლი,  
არც კარებია  
შესაღებელი.

შენი ცხოვრება —  
არის ეს ბუჩქი,  
ჩამოფლეთილი  
ყოფნის კარამდის,  
სადაც სიკვდილი  
და სადაც კუჭკუი  
განუყოფელად  
მიდის მარადის.

შენი ცხოვრება  
ლონმინხილი —  
არის ტალახი,  
ბოსელი, ქართა.

ვერ შეგაშინებს  
თვითონ სიკვდილი —  
გრძნობ, არეინ მოვა  
შენთან, მის გარდა.

სადმე ვერაგი  
გაღიხარებარებს,  
როცა გაიგებს  
სიკვდილის ზეელას.

შენი სიკვდილი  
იმას ახარებს,  
როგორც ცხოვრება  
ახარებს ჯეელას.

ამის მნახველი  
ვით არ ვიქნებით  
უქმყოფილო  
შექმნილი წესით?..  
წაეალო დროშებით,  
წაეალო წიგნებით,  
წაეალო მტუხბარე  
ჩვენი კონგრესით!

1935

ბ ა რ ე ლ ი ი ზ ი

მარჯვენა მკლავზე დაყრდნობით გძინავს...  
ვიწრო გვირაბის ქვაზე მჯდომარეს,  
აქ არასოდეს მზე არ ჯიბრწყინავს,  
გააოღვიებების ასე მდომარეს.

და მაინც წერაქვს, რომ ჯდია გვერდით,  
ველარ შორდება ხელი მშრომელი,  
ძილშიაც მასთან ისვენებ მკერდით,  
დღეც ასე მიდის... მაგრამ რომელი?

გამოიღვიძე! გამოდი ბაღში,  
მაგრამ იქ, სადაც ჰყვავის იები —  
შენ მშრომელი ხარ, შეჭრილი თაღში,  
ვით პოეტური ბარელიეფი.

1935

მონმარტრში ზენი თვალეში—  
ღრმა, უბოლოო, უსაბო.  
შენ კენესი, შენ იმალები,  
არც ვინ გყავს, რომ დაუძახო.

უღაბნოდ გაქრა მრავალი  
სიკეთე, ზნე და ზნეობა.  
არაფინაა მავანი,  
გაგიყოს მოცალეობა.

ატარებ ნიღაბს და რიდეს,  
არ უცდი გამოდარებას,  
ოჰ, სასიკვდილევ, სიმშვიდეს  
ვინ მისცემს ზენს მშფოთვარებას?

ულევი, უანგარისო,  
შიშით და ჟრჟოლით ამტანი —  
შენს არემარეს, პარინო,  
აშუქებს კაფეშანტანი.

1935

ციცკრისას თოვლის  
გვიდა ქსელი,  
იხველიტბოდა  
ყინვა, ვით ნემსი.

მოლუმულეყენენ  
ქუჩები სველი,  
ბურუსში ძველი  
ჩანდა რეიმსი.

თითქო ტიროდა  
რეიმსის ზარი,  
რომ ღიმილისთვის  
ღრო აღარ არი,

რომ მთელ ევრობას  
ჩუმად ეღება  
რალაც ახალი  
თავგამეტება.

1935

ბალთან ძმგლია

ბალთან ძეგლია,  
ცათამდე აღის,  
ხელში უჭირავს  
რა თავის ქალა,  
განთიადიდან  
განთიადამდის  
ღგას — გარანდება  
მან დაივალა.

მას გაზაფხული  
ვარდის ღილებით  
რთავს, მოწიწება  
არ აქვს მონურნი;  
მისთვის ერთია:  
ეს ყვავილები  
ნამდვილი არის  
თუ ხელოვნური!

ის ლაპარაკობს  
ღროთ საზღვარს იქით  
დემონიური,  
სასტიკი, ხმელი,

და სიერცივებში  
თანაბრად — იგი  
შეშლილია და  
წინასწარმეტყველი.

მაგრამ როს ნისლი  
დაიფანტება  
და ეამი მოვა  
აღთა დანთების,  
მის წინ ქუჩაზე  
გაიღანდება  
მთელი მდინარე  
დემონსტრანტების.

მასში მიმავალთ  
ის ხელებს უწვდის.  
იგი აქ არის  
ამ გამთენიას.  
ის ახლავ ხედავს  
და აღარ უცდის  
თავისუფლების  
მებრძოლ გენიას.

1935

## მუსურგოთ ესპანეთს

სალიმო. ჩვენს სუფრას  
უხვსა და განიერს  
მოაწყდა სიუხვე  
ბანანის, ატამის.  
რატომღაც იკონებ  
სხვა მრავალეამიერს —  
მეოთხე, მეხუთე  
მუხლამდე ატანილს.

ბევრგვარი უნახავს  
მგზავრ პოეტს მწვანილი,  
ამჟამად მას მხოლოდ  
ერთი რამ აოცებს:  
რავგვარად მიაჭავს  
ჭართველს ესპანელი —  
არც ბორღო ათრობს და  
არც ციკვა აოსებს.

სწორი ხარ, სწორი ხარ!  
ნეტავი მსგავსება  
იყოს და კიდევაც  
სჯობნიდნენ ერთმანეთს,  
იმგვარის დროშებით  
და შრომით ავსება,  
როგორც ჩვენშია,  
ვესურვოთ ესპანეთს!

წელან კი ამ კაფეს  
ზმანებას გადრიდი,  
ესმით კი? ესმით კი? —  
როდესაც ჯაზია,  
რა ილში ეხვევა  
ლამაზი მადრიდი,  
ის კატალონია  
და ანდალუზია!

1935

## გვაღალკვივირი

რა გაჭრა სხივის  
აღერსი ძვირი,  
წფოთავს და ჩივის  
გვაღალკვივირი:

„რად მინდა ვაზის  
ნაზი ოცნება,  
ან სილამაზის  
გაჯადოსნება,

ანდა ჩრდილები  
მძიმე მტეგნების,  
ან ყვავილები  
ძველ ზეივნების,

ზეირთების სუნი,  
მეთევზის მღერა,  
ფუტკრის ზუზუნი,  
ნიავის ბგერა,

ლაქვარდი ელვით  
მწუკარე ტბები,  
ზურმუხტის ველით? —  
ვერა, ვერ ვტკბები!

მე მფარავს ისლის  
შავბნელი სვეტი,  
ჩემს ზვირთებს სისხლის  
ლაეცა წვეთი.

მას შემდეგ მეტი  
არ მეფერების,  
თუნდ ერთი წვეთი  
ბედნიერების!“

სწორი ზეფირი  
ტირის, ვით სირი,  
ჩივის და ოხრავს  
გვაღალკვივირი.

1935



### ნ ი ა ვ ო ლ უ ი

სიკვდილს მე როდი  
 შევეუშინდები:  
 იგი — ძმა მუდამ  
 ჩვენს მხარეზეა.  
 მე მეშინია  
 იმგვარ სიუცხლის,  
 სიკვდილს რომ ჰგავს და  
 უარესია.

აქ გაზაფხული  
 არაფის ჰკოცნის,  
 არც ეს მაისი,  
 არც პოეზია.  
 მაშ გაუმარჯოს  
 იმგვარ სიუცხლეს,  
 სიუცხლესე რომ  
 უტკბოესია!

1935

### რ უ რ ი

რური! რამდენ რამეს ამბობს  
 მხოლოდ ერთი სიტყვა: რური.  
 ქვანახშირის მრავალ ამბავს  
 თან სდევს ბრძოლა უამური.

უთელის სამას პროცენტს გეზი  
 თვიურ გეგმით ამონავებს —  
 ეს საქმეა უდიდესი  
 და ამ გმირსაც საქმე აქვებს!

რა ოფლის და სისხლის ღერაა,  
 რა ხუნეშაა განახშირი,  
 აქ მტაცებლის ოცნებაა:  
 ქვანახშირი! ქვანახშირი!

ჩვენში შრომა დიალია,  
 სასახელო, საამური,  
 არა სისხლის ნაკადია,  
 ან საარი, ანდა რური.

ჩვენს მთებში კი გმირი შრომის  
 გზით გვირავს რომ დაჰხაროდა,  
 მას ბელადის სახელობის  
 ქვანახშირის მადაროთა

ჩვენში სიხარულის ზღვია,  
 აღტაცება განახშირი.  
 დიდ შენობის ერთი ქვია  
 და აგური — ქვანახშირი.

1935

### რ ა ღ ი ო

ხედავთ. რაგვარად შეამოკლა  
 რადიომ სივრცე!  
 ხოლო აქ. პარიზს,  
 ნიუ-იორკს, ლონდონს თუ ენას —  
 იმპერიალისტურ  
 ხმაჩახლეჩილ რადიოსმენას —  
 ავსებს მუდმივი  
 შანტაჟები და ექსცესები.

აქ კი —  
 გასძახის სივრცეებს თბილისი,  
 პოეტი ხალხის,  
 იგრძნობს რა ხანას,  
 ამ აღგვილიდან რადიოთი  
 ამცნობს ქვეყანას,  
 რომ მასთან მიაქვს მღვლევარე გული,  
 შრომა, ლექსები და სიხარული.

1930



ლ ა ნ კ ა შ ი რ შ ი

ლანკაშირში ახლაც დგას  
ერთი იმ ცაქხეთაგანი,  
სად მუშების გაისმოდა  
ხმადაბალი ყაყანი.

იგი ბოლშას იკაევებდა  
ვარჯგამლილი, ლამაზი,  
როცა მუშებს ისეც მცირე  
აქლდებოდა ხელუასი.

იგი ცაქხეი ახლაც დგას  
საშიშარი ნაძრახი,  
სად უპერდა საზიზღარი  
მომალადის მითრახი,

სადაც ხშირად გაისმოდა  
ქადაგება უერცხისი,  
რომ აქ ქრისტეს მოადგილე  
არის მხოლოდ ხუცესი.

საით გასწევს? მუშას სად აქვს  
სათიბი ან საყანე...  
ხმამალა ზღვად გადაიქცა  
ხმადაბალი ყაყანი.

და პოეტმა, დიდმა შელდომ,  
სწრაფად იგრძნო ეგ გზები,  
იგრძნეს ლანკაშირელებმაც  
მშვენიერი ლექსები.

1935

მონუსვი კალი

ყოველ საღამოს  
მონუსვი კალი  
მარტოდ დგას სენის ნაპირებს იქით  
დღემ ლილისფერი დახუჭა თვალი,  
და აელვარდა  
აღების ქიქით.  
არის პატარა. სულ მთლად პატარა,  
და მთლად შავებით არის მოსილი,  
ვიხ იცის. ბედმა სად არ ატარა,  
სიდან მოსული?  
ახლა არავის არ უცქერს იგი,  
თითქო ვერ ხედავს  
ვერავის გზაზე,  
თითქო არც ხმა აქვს, არც გული უძგერს,  
ან ეშინია  
და ან ვერ ბედავს.  
პირჯვარს არ იწერს მონმარტრის კართან,  
არც თავდახრილი  
დგას გარინდებით,  
ვერაფერს ხედავს, იმ ფიქრის გარდა,  
რაც დაიბურა  
წლების ბინდებით.

ჩანს. არ ასვენებს რაღაცა აზრი,  
რაღაცა მწარე  
და საშინელი  
წარმოდგენისა მახვილი ბასრი,  
ცივი და ძნელი.  
ჩანს, რაღაც ღრმა და განუქურნელი  
გულს მწუხარება  
ღრღნის დაფარული.  
მისთვის არავენ არის მკურნალი.  
სახე ნაოჭით  
ვადაბარული,  
ჩანს, არავისგან ნუგეშს არ ეძებს  
და ვერავისიც რამე ნუგეში—  
მწუხარებაში ვანცდებს ასკეცებს,  
ვერ გადაიყვანს  
სიმსუბუქეში.  
ჩანს, არც სიცოცხლე მიაჩნის არად,  
თუმცა ვინ იცის  
სიცოცხლე მისი?  
ომში მოკლული შვილების ხსოვნამ  
გაუნადგურა  
მთელი ხალისი.

1935

უცხოელი ბავშვი

შორს გაფენილო  
მინდვრების ტილო  
და გიგანტური  
ღრუბლების ჩრდილო!

ნისლეები მძიმე  
მტვენები ვაზზე —  
რა სიმდიდრეა!  
რა სილამაზე!

ნარინჯის ვრცელი  
და ფართო ხალი,  
თურინჯი, თუთა  
თუ ფორთხალი,

მძივები ნაზი —  
ცვარი კამაზე...  
რა სიმდიდრეა!  
რა სილამაზე!

ეს ოცნება,  
ოცნება ლალი.  
შენ რა, პატარაე? —  
სხვისია ბალი.

სხვისია მძიმე  
მტვენები ვაზზე,  
შვება, სიმდიდრე  
და სილამაზე.

1935

უბინაო ღვინა

როს შეგზედე,  
გულს მოედო სევდა.  
რაღაც მწარე,  
თვალს ბურუსი ხვევდა.  
იმ ყოფაში  
არ მენახე, ნეტა,  
ბავშვის ღვინა,  
უბინაო ღვინა!  
მთელი ჭვეყნის  
რას გიზამდათ მტრობა,  
რომ გქონოდათ  
ერთი მტკიცე გრძობა:  
საარაკო  
ბრძოლის ნებისყოფა,  
ბავშვის ღვინა,  
უბინაო ღვინა!

1935

ბანანები

ბანანებს ჰყიდის  
ელვარე ზანგი.  
ის მართალია,  
ის არ შეცდება:

მუდამ ერთი და  
იგივე ჰანგი,  
ნირშეუცვლელი  
როგორც წესდება:

მკლავდება ფილტვი,  
სივდება ფრანკი,  
ყოფნა დღითი დღე  
უარესდება!

1935

რაც ამ დიდებულ სასახლეებს  
ჭყენია ოქრო,  
ნუ გეგონება ის უმანკო  
და უჯადოქრო.

იყო დროება, მყუდროება  
და მოგროვება,  
ყველა სივანის ამნაირად  
მოოქროვება.

მშვენიერ ეტლთა, ქანდაკებათ  
შადრევნად თოვა  
დრომ შეაყენა, დაიტოვა,  
მოაოქროვა.

ძვირფასი თასი, აზარფეშა  
ჩქარა მოიტა!  
ო, ყველაფერო აესებულო  
ამ ოქროითა!

მოგროვდით, ძველო ტილოებო,  
ჭეი, მოგროვდით!  
ქვლავ გამოცოცხლდით ჩარჩოებში,  
ქვლავ მოოქროვდით!

იყო დრო, ძვილო ფეოდალო,  
როცა მოქპროდი  
ამ გარეგნული ელვარებით,  
ვერცხლით, ოქროთი.

და შემოიჭრა უტყარი  
ვაჭარი, პროზა  
და სხვანიირი შეფასება  
მისცა ოქროსიც.

ის იყო ტლანქი, იყო სწრაფი  
და მისებური —  
მას ოქრო სურდა, არა რამე  
ოქროსებური.

ამ სასახლეში ერთხელ მძაფრად  
მოიჭრა შრომა,  
რევოლუცია სისასტიკით  
იგრძნო ოქრომა.

მეფე ბრწყინვალე ქვეშ მოექცა  
ტალღას ბობოქარს,  
ოდეს პარიზი მიაპყვდია  
ცუცხლოვან ოქროს.

არა საწმისი ოქროსი  
მეღღეს მიწის,  
არც ლეგენდარულ მამიებლის  
ოქროს საწმისი —

არის ახალი კლონდაიცი,  
ოქრო, ბადახში,  
ოქრო მიწაში, ოქრო წყალში,  
ოქრო ტალახში.

ჩამავალი მზის ნაზი ქარი  
ვერ დაათავებს  
ჩვენი მინდვრების აღერსიან  
ოქროს თავთავებს.

თანამედროვე სხვა ოქროს  
შექმნას კედელი,  
არ დაიღლება ქალაქების  
ოქრომკვედელი.

მშვენიერ ბაღებს ამ ფიქრების  
გაეჭრა ფონი,  
როს ვინახულე მე ვერსალი  
და ტრიანონი.

1935

აუწერელი გარყვნილება  
და ფუფუნება —  
აი, რა არის, კაპიტალო,  
შენი ბუნება.

აუწერელი, ბუნებიდან  
გადანაწალი,  
აუწერელი ცოდვები და  
დანაშაული.

ასე ჩაფლული, გამოსავალს  
დაეძებს ტომი,  
გამოსავალი შენ იბოვე  
კიდევ: ჰკა! ომი!

საკუთარ მოძღვარს ეთხოვება  
განა შენდობა?  
ვერც საკუთარ ჯარს შენი გული  
ვერ მიენდობა!

მიინც საზარი ომი კართან  
არის მოსული,  
ომი სასტიკი, უბადლო და  
ბარბაროსული.

მის მეშვეობით გზა კარგად გაქვს  
გამოსახული —  
განადგურება საოცარი,  
ჯერ არნახული.

ურაგანულ ცეცხლს მიეცემა  
გალერეები,  
წიგნთსაცაფებზე ავარდება  
აღთა ტყეები.

მუზეუმები უმდიდრესი  
და ყველაფერი,  
რაც გონების და ნიჭის პიერ  
არის ნაფერი,

რითაც ამყავთ კულტურული  
და მტკიცე რიგი —  
წინააღმდეგი არის ომის,  
არ უნდა იგი!

უკეთეს პოეტს ევროპისას  
სალამი ამ დროს.  
მის მგზნებარე ჩანგს გაუმარჯოს,  
მის ნათელ დროშას!

არა მათ, რომელთა მოქმედება  
ნაქები დიდად,  
ძველმა ევროპამ შეითვისა  
და შეისყიდა,

რომ ექო მისი განცხრომის გზა  
და ფუფუნება,  
შენი სიცოცხლე, კაპიტალო,  
შენი ბუნება.

1935

### თვითმფრინავით

სულ შეიდი კაცი ვყავართ თვითმფრინავს,  
მას გამოცდილი მართავს პილოტი,  
ზევიდან ზეცის წიაღი გრგვინავს,  
ქვეშ ევროპაა ნისლის ტილოთი.

კუბრით მოსილი არის მზე იგი,  
წვიმაც სცრის, თითქოს შეჰკრეს პირობა;  
რომ ამ ტაოსში შექმნა წესრიგი —  
აი, რა არის მართლა გმირობა.

1935

### და მაინც კვნესდო

მთელი ქვეყანა რომ გადაიწვეს,  
ცეცხლი მოედოს შრომას და აშავს,  
ჩემი ერთი ხეც კი არ დაიწვის:  
ერთი ხე რაა — ქვეყნად არა მაქვს.

ევროპა ვერცხლით აურაცხელით  
ძუნწ მათხოვარს ჰგავს, დააცხრა ტახტებს,  
მის მდიდარ ჯიბებს თუ არ სწვდი ხელით,  
ხელიდან ის ჯოხს არ გადააგდებს!

რაა იმაზე მეტი სიბრძნევე,  
სიღარიბესთან რომ სიმწეიდეა.  
მისით სიკვდილის კარებთან იყვე  
და მაინც კვნესდე: ღმერთი დიდია!

1928

### მშრომის დიკლომატი

რა მშვენიერი  
ძაფებით ქარგავს!  
ჩქეფს. მიდი-მოდის.  
ხავსს არ იკიდებს.  
ღამით საბანში  
ეშმაკ თავს ჩარგავს,  
და ჩუმად, ჩუმად,  
ჩუმად ხითხითებს:

ხა, ხა, ხა! — წრფელი  
გგონივარ ყველას...  
არ მეცინება  
და ვიცინი კი —  
გამოცდილს, ბებერს  
ვერ გრძნობენ მელას,  
არ იციან, რომ  
მე ვარ ცინიკი.

1935

### მშრომის უფირული დღე

დღე ეუბნება ფერადი გემის  
სილუეტს ზღვაზე:  
განა შე მსურდა ცხოვრების ჩემის  
მოწყობა ასე?

ოკეანეთა ხარ მძლავრი გემი,  
ხარ ბედნიერი —  
მძაფრი ქარიშხლის ტალღების ცემით  
ხარ შენ ძლიერი.

თუ უნდობლობამ გაბზარა კაეი,  
შენი დიდება  
არა ჭიობში, არამედ ზღვაში  
ჩაეკრდება.

მოწმე მრავალი ხრწნისა და ლბობის,  
მაეღური ფიცის —  
მე უფირული დღე ვარ ევროპის,  
შენ კი... ვინ იცის?!

1935

### ჩემს სამშობლოს იქით

... და ჩემს სამშობლოს იქით კი.  
სად შრომის აღდგეს ბორკილი,  
სად შეუბოქავს, ვით ქვეტკირს,  
მისი სიტოცხლე და ძილი:

სად ფიქრი, გრძნობა და აზრი  
შავს კლანჭებშია ქცეული.  
სადაც ფერები ლამაზი  
მიხინჯია და სწეული:

სად ბატონობა-მონობის  
ბარიკადებზე მღვერები,  
სრიალებს მილიონობით,  
პირბასრი ხანჯლის წვერები:

სად ყალყზე მდგარი ქვეყანა  
ომშია გადაჩეხილი —  
უქმობაა ყველგანა,  
მიადერი გრიგალის ტეხილი.

მოდიან ლეგიონები  
მედგარნი, გულმხურვალენი,  
მთელის გრძნობით და გონებით  
გაიძახიან: „სტალინი!“

და ეს ხმა საზღვარს იქითაც  
ღროშია ტიტანიური,  
როგორც მსოფლიო იმედი,  
როგორც სიმბოლო მზითრი.

1914

### მრავალი სული მონათესავე

კოლონიალურ მხარეთ გენია.  
ის აძლევს პასუხს უზამიან ენით.  
განა ბრალი გვაქვს, რომ მსოფლიო წუხს  
სიმძიმისაგან გამწყდარი თმენით.  
განა ბრალი გვაქვს, რომ გემს აჩნია  
ქარიშხლიანი იარა მწვევე,  
და ციხევეთში ჩვენ გაგვაჩნია  
მრავალი სული მონათესავე?

1929

### ბრმა ცალი თვალით

მან დაიბრმავა ეს თვალი განგებ  
და აწმირად გახდა ცბიერი,  
მეორე თვალში არის განგება:  
მეტი სიმკაცრე და სიმღიერე.  
უმარუღიან ღენათა შორის,  
მწარე დაციხეთი მათი მგმობელი,  
იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის.  
ეს საუკუნე — მეფისტოფელი.

1921

### ინგლისი და ამერიკული შტატები

აქ კი ინგლისი და ამერია —  
ორი ქვეყანა, ორი გიგანტი,  
ახლო მოჯარდა და მოერეკა  
ყალუხე ამდგარი გათიშვის ლანდი.

ვერ მოახერხეს მათ შორიგება,  
შტატების მეფე დოლარი არის;  
ვეშაპს, მსოფლიო ექსპლოატატორს,  
სურს შეებრძოლოს მეორე მხარეს.

ზღვების მეუფეს — ბრიტანეთს ძლიერს  
ოკეანეზე სურს ბატონობა,  
დეპატრონოს ბაზრებს ქვეყნიერს,  
კოლონიების სწუტრის მონობა.

ამერია ქმნის საზღვაო ძალებს,  
მან კარგად იცის, რომ უდიერი  
ზარბაზნების და ტყვიების ძალით  
თუ დაშინდება ეს ურცხვი მტერი.

იარაღდება! რა არის მისთვის  
დოლარი? ის იქ აღარ ეტევა  
და აღვილს ეძებს, რომ დაიბანდოს  
და გადასწყვიტოს დოლარის რუფეა.

ორი გიგანტი — ორი მტაცებლის  
უსინიღისო, ურცხვი სახება,  
შეუბრალებლად, აღრე თუ გვიან,  
ერთიმეორეს დაეჯახება.

1951

### ინდოელების იყო გიტინგი

ინდოელების იყო გიტინგი.

იქ განაცხადეს:

ჩვენთვის მრავალი ხიფათი დიდი

ამზადებს ბადეს...

ახმაურდება, სულ მოკლე ხანში,

მრავალი ტომი...

იქნებ სულ მალე იქნეს რევანში

მსოფლიო ომის.

პროტესტები და მუჟარა ისმის:

ვერ შეგეთვისეთ!

უნდა დაიმსხვრეს იმპერიალიზმი

ბრიტანეთისა.

მრავალი ღელვის იქნება თემა

ქვეყნის უფლება,

სახამ ინდოეთს არ მიეცემა

თავისუფლება.

და ეს სვირდება თვით ინგლისის ერს,

მის გულს, მის გრძნობას,

სიმშვიდის საკითხს.

ინგლისს, ევროპას.

1930

ეს არის — სიერცე, ბევრ ათეული ხვეული, ერთი გზით მონადენი, მილიარდ ციფრზე ვერ დატეული, რამდენი ტყვია, შებმა რამდენი.

ეს არის — ისევ აღდგენა მთელი ბელორუსიის და უკრაინის, მოსკოვის სალუტთა ხმა დღემანდელი, და ყრუანტელი ბნელი ბერლინის.

ეს ის არის — რომ აეგოს წესი და ჩაკედეს კრების გაყაჩაღება, რომელსაც ჯარი უძლიერესი მტვრად აჭყევს, როცა დაიეჯახება.

ეს არის — ნგრევა ტრესტის, შაგნატის, მიხაქისფერთა დღეობათ ნგრევა, მეურნეობა ქვესკნელს რომ ჩადის, კრიზისების რომ არ არის ტევა.

ეს არის — მარცხი ერზე ძალობის, უიდგობის ყალბი ტრიუმფის, გამოფიტული კინო-გალობის, გაყალბებული რადიო-რუმბის.

ეს არის — ხსლა ძალაგამტყდარი, ხავსმოკიდება და ცბიერება, როს შეველას ითხოვს ჩონჩხად გამხდარი, სუნთქვაშეკრული შეცნიერება.


ეს არის — ბნელა შხამით დათრობის დამპყრობელების მდაბალ მოძღვრების, ცეცხლს მიცემული ტილო მხატვრობის, ნაღმში მყოფი ბჭე ხეროთმოძღვრების.

ეს არის — პრესა: შლის ყვითელ ალაშს, პრესა გახრწნისა. პრესა დაცემის, ამოოდა სხრის მოსყიდულ კალამს მწერალს ბუნავი ქურდობაცაცების.

ეს არის — უხვად დაღვრილი სისხლი, მასთან სხვა სისხლი მონავონია.

ეს არის — მტერთა სიციხე და ზიზღი, იმათი დაგვა და აგონია.

ეს არის — სიტყვა: ძირს მოძალენი, ეს გამარჯვებით არის კანდელი, ეროვნებათა მარში, სტალინი — ია, რა არის დღე დღემანდელი!





საზღვაო საზღვაო

საზღვაო საზღვაო



### საზოგადოებრივი სამართლის

უსსოვარ ხნით მდინარეობს  
უსამართლო ძლიერება,  
არის მხარე და მხარეობს...  
შეხედავ და... უცებ ქრება.

წილოსიდან ვიდრე ტიგრის  
და ეფრატის ზემო-კარის,  
ხმელთაშუა და შავი ზღვის  
პირად ფენილ შემოგარეს,

მხარე, სხვა მხარეთა ოდენ  
ბუნებისგან ნაფერები,  
სდგებოდნენ და ეცემოდნენ  
ძველი ხალხი და ერები.

სახელმწიფოთ მათ ნაქები  
ხსოვნანი სად იქჟარიან,  
ის მდიდარი ქალაქები,  
ის ციხენი სად არიან?!

სად არიან ის სარდალნი,  
მედროშენი ურიცხვ ჯარის,  
ისტორიის სამართალი  
გადამჭურელი აქ სად არის?

მხარეებზე ძარცვით გავლით,  
მონურ შრომით ღირთამქმელი,  
ბეგარითა და ნაღავლით  
მოპოვებულ სიმდიდრეთი —

ფარიანთა და წათ მოგვთა  
აწ რომელი ჰმეუნის ნარჩო,  
მეფე ისე როგორ მოკვდა,  
რომ ხსოვნაც კი აღარ დარჩა?

თუნდ აწრდილი ჰპოვეთ მისი,  
რომელს ერთ ღრის ერქვა მცველი,  
სად შთაინთქა ის მეფისი,  
ის ქალაქი ძველისძველი?

ბრწყინვალეობა და დიდება  
ქარვისლეზით, კოშკით, ბაღით  
აწ რატომ არ იკვირებდა  
წარუშლელი სიამაყით?

ვერვინ ჰპოვებს თვით ნანგრევებს,  
სივრცე არის ირგვლივ ფართო,  
სძინავთ კორდებს, სძინავთ ხევებს,  
მიკიოტი ჰკვივის მარტო...

აზიდულა ერთი პალმა  
და მძიმეა სუნთქვა მისი,  
ამ მიდამოს მიესალმა  
ღავიწყება მარადისი.

სსახლეებს, მაღალ ტაძრებს,  
სად ეფინათ აღი ბრწყინვით,  
ვერავინ ვერ მოისაზრებს,  
რომ აქ რამე იყო წინათ.

ბაბილონის უწვდომელი,  
მიუღვამელ კედელთ რიგის  
დარჩა, თუნდა ქვა რომელი  
ან სადაა ნეტავ იგი?

მხოლოდ ზღაპრის, მხოლოდ ზღაპრის  
არაბულის დარჩა რკალი,  
ამსახველი იმ სიმძაფრის,  
რომ არ ჩაღდა ქარისშხალი.

სად სიუცხლის დღელდა ზეაფი,  
 მთელის გულით, მთელის ვენებით,  
 სად ჰყვოდა დრო უცვლადი  
 სიბრძნის ესდენ გატაცებით,

იმ ვენებით და მისწრაფებით  
 გაიზარდა სხვა იარა —  
 აჩქარებით, აღქაფებით  
 ყველაფერმა ჩაიარა...

სად სიმდიდრემ აიყვანა  
 მალა კენესა და ვაება,  
 სიბეჩავეს სად ქვეყანა  
 სასიკვდილოდ გადაება,

სად მეფეთა უგონობა,  
 სიხარბე და სისხლწყურვილი  
 იყო ოქრო და მონობა,  
 ხოცვა-ჟლეტის მძლე სურვილი —

იქ აწ შავი ჩანს ხეებში,  
 სიბნელე თრთის უამუროდ ..  
 ქოხმახები, ნანგრევები,  
 მტვერი, მტვერი და ლამურა...

ვის ვასალად არის ახლა,  
 გაბნეული ბზედ და ჩალად,  
 ვისაც ომი, რბევა ზეხლა  
 გარდაჟვლად ედო ვალად...

რას ჰფენს ეამთა მერთალი ვადა,  
 ისტორიას ჩადრით ფარულს,  
 სხვა მშვენებას, სხვა ტროადას,  
 იმ ტროადას ლეგენდარულს?

რა შეემთხვა ერთ კართაგანს,  
 უალრესად მძლავრს და ზვიადს,  
 რომთან ქიწმწი მყოფ კართაგენს,  
 ფრთით იმ რომს და ბიზანტიას?

და რამდენი მხარე მერე,  
 რამდენს აღარ აქვს ხსოვნება...  
 სად გაქრა ის სიძლიერე,  
 სიმშვენე და აზროვნება?!

ყველაფერი შთანთქა ომმა —  
 ის ძალა, ის ღონეა:  
 სტალინიმა თქვა, ბრწყინვალედ თქვა,  
 რომ ეს მგლური კანონია.

\* \*

მეომრებო, მეორდება  
 ისტორია ეამთა დენის,  
 ახლა იგი გზას შორდება,  
 სადაც ტყეა კომპიენის.

და ჰიტლერი, ასე წყრომით  
 გამომჭერეტი წამწამებით,  
 ანგრევს ქვეყნებს, შექმნილს შრომით  
 სისხლითა და გაწამებით.

აწ მოუნდა, შრომითა და  
 თაყვადებით ანაგებით,  
 ცსკხლითა და მახვილითა  
 მოსპოს დაბა-ქალაქებით.

ქვლავ საშინელ აფეთქებებს  
 მწყურვალეა ძველი ჟანგი,  
 ცეცხლის, სისხლის ქებათ ქების  
 ელერს ტვეტონის ურცხვი ჩანგი.

ვერა, ის ვერ გაიმარჯვებს! —  
 მთელის აზრით, მთელის გრძნობით  
 საბჭოეთი ძლიერია  
 ხალხთა ძმობა-მეგობრობით.

დაეჯახე უნდობარ მტერს,  
 ხალხთა რისხვა-ყრიამულო.  
 რადგან სამართლიანია  
 ჩვენი ომი სამამულო.

სამშობლოსთვის, სტალინისთვის  
 სდგას მებრძოლი და პოეტი,  
 უშიშრად სდგას — იი, რატომ  
 გაიმარჯვებს საბჭოეთი!



### მამულო, სიცოცხლიო!

სიცოცხლეო, მამულო, მძაფრი, არა ფარული  
შვილთა შენთა ხმამაღლა თქვან შენი სიყვარული.

სიცოცხლეო, სამშობლოვ, მტერი დაუნდობელი  
რომ თვალს არ გაცილებდა, ვიყავ წინამგრძნობელი.

აი, როგორ მოხდა ეს: ირითრატა თუ არა,  
აღისფერმა სინათლემ ღრუბლებს გადაუარა,

ტყეში, სადაც ვიდოდა ტყის მკაფავე მცინარე,  
ველად, სადაც ბაღებში ჩაფლულიყო მდინარე,

იყო დილა მშვიდობის და არ იყო ტკივილი,  
ფრინველების გაისმა სტვენა; ქვიფილ-ხივილი.

აფრიალდნენ საზღვარზე შავზე შავი სვადები —  
მძიმე ყუმბარათმტყორცნები, მძიმე თვითმფრინავები.

სურთ, რომ გადმოაწერიონ ხალხის ნახნაყ-ნათესი,  
ქალაქები, სოფლები, გზები უღიაღესი.

იგი მტერი ჩვენი და მსოფლიოს მტერია,  
მაგრამ მის უგონობას ბედი არ უწყერია.

და ამაოდ ტანკები იძვრიან ყაჩაღებით,  
ჩვენ მას უძლიერესი ცეცხლით დავეჯახებით.

რაკი მძლავრობს ხალხის ხმა და სტალინის გენია,  
ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია!

1941  
24 ივნისი

### ჰე, მამულო!

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა  
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.  
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,  
თქვა: „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!“

აიროშიშარს ქარისა და თოვლისა,  
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება  
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:  
მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!

მზე ჩაქრება ყველა სისხლისმწოველისა,  
მზე ამოვა ყველა დაიფარულისა,  
წამლად იქნას ყოველ დაქრილ გულისა:  
გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა!

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითთულისა  
საქართველოს მკერდი ორდენოსანი,  
მისი მიწა, მისი მზე სხივოსანი,  
ის გვიყვარდეს, უპირველეს ყოვლისა!

1941

თ ა ს ი

თასს სადღეგრძელოს  
ხელში ვიღებ...  
ასსა და თასს,  
დაე, ესმოდეთ:  
ერთმანეთის  
გატანა ვიციით.  
შეხედეთ ამ თასს,  
შეომრებო,  
შეხედეთ ამ თასს,  
იგი საესეა  
არა ღვინით,  
არამედ ფიცით;

ქართველის ფიცით,  
ვისიც ახლა  
ისმენთ გულისთქმას.  
მარად ერთგულის  
გრდემლის, კალმის,  
ხმლისა და გუთნის;  
მებრძოლის ფიცით,  
რომ არასდროს  
არ ჩავაგებთ ხმაღს  
მის დასაცავად,  
ვის სიცოცხლე  
ჩვენი ეკუთვნის.

უსამშობლოოდ  
დე, ის ღვინო  
გადმეჭეცეშხამად  
და სასიკვდილო  
განმორებად  
მოედლოს ძარღვებს,

როგორც ეკუთვნის,  
როგორც უნდა  
განსაცდელ ჟამად,  
ვინაც ფიცსა სტეხს,  
ვინაც ძმობის  
სიმტკიცეს არღვევს.

სამშობლოს ჩვენსას  
ბევრი ომი  
გადუტანია,  
მრავალ ქარიშხალს  
გვიხატავდა  
ცხოვრება ქართლის,  
ის თავდადების  
და გმირობის  
მატიანეა,  
ესმეურება  
ამ ხმაღს ჩვენი  
ხმაღი სიმართლის.

თასს უკანასკნელს  
ვცლრ, დაეცალე-  
გადავდივარ მას,  
დაე, დაიმსხვრეს  
მტერი ჩვენი  
მძლავრი სიმტკიცით!  
ახსოვდეს ყველას,  
ვინც აიღებს  
ამ მშობლიურ თასს,  
რომ ის საესეა  
არა ღვინით,  
არამედ ფიცით!

1942

დიდი არმია! არის  
შენი მდგარი მხარი  
ჩვენი სამშობლო მხარის  
მარჯვე ხმალი და ფარი.

მებრძოლმა ჩვენი ველის,  
ჩვენი მთისა და გორის —  
ჩვენ რუსთაველმა გვითხრა:  
კავშირი გულთა შორის!

იყოს ერთისთვის ყველა  
და ყველასათვის ერთი,  
რომ მთარღვევდეს ბურუსს  
გაკაშებული მკერდი.

ვერავენ დაამარცხოს  
მგრძობი მიზანის სწორის,  
მარადეამს მზიანია  
კავშირი გულთა შორის.

კავშირი გულთა შორის —  
როცა გულს იცნობს გული,  
რაა ამაზე უფრო  
მშვენიერი და სრული!

გზა გეჰონდეს გამარჯვების  
არა ერთის და ორის,  
ყველაფერს გადალახავს  
კავშირი გულთა შორის.

ძველო ასპინძის ველო,  
ძველო ციხეო გორის,  
მკერდით გიცავდა მძლავრი  
კავშირი გულთა შორის.

მარად სიცოცხლეს უდგა,  
და ისტორიის მღორის  
ამფეთქებული იყო  
კავშირი გულთა შორის.

უძლეელია ციხე —  
ბუდე ორბის და ქორის,  
რაიც აავო დიდმა  
კავშირმა გულთა შორის.

დიდო არმია! მძლეო  
ფიცი ტოლის და სწორის—  
კავშირი გულთა შორის!  
კავშირი გულთა შორის!

1941

ჯარი სიმღერით მიდის

ქარი მოარხევს დროშებს,  
ქუხს ორკესტრების წყება,  
ყველგან რადიოს გუგუნს  
მთების გუგუნე ხედება.

ახლა ნაბიჯით მწყობრით  
მიდის ქვეითი ჯარი,  
არტილერიას დასცქერს  
თვითმფრინავების ღვარი.

და გამოდიან ხალხის  
წრფელ მოწოდების ხმაზე  
მეზღაურებო, გზისგან  
დაღანძულები ასე.

ქარი მთარხევს დროშებს,  
ქუხს ორკესტრების წყება,  
ყველგან რადიოს გუგუნს  
მთების გუგუნე ხედება:

„არ ვილატებო, სანამ  
მზე გვინათებს და მთეარე,  
ყოველ მხარეზე კარგო,  
ჩვენი სამშობლო მხარე.“

აქ იცლებოდა სისხლით  
ჩვენი მამა და პაპა,  
ჰქონდათ ერისთვის ბრძოლა  
და სიმართლისთვის ჯაფა.



ასე მძლავრია მხარი  
ჩვენი მამულის დიდის;  
მშვიდი დღეა თუ ქარი  
იგი სიმღერით მიდის.

ერთი სიმღერას იწყებს,  
აჰყვა მეორე მშვიდიც,  
ჯარი არ უფროთხას სიღებს,  
ჯარი სიმღერით მიდის:

„არ გიღალატებთ, სანამ  
მზე გვინათებს და მთვარე,  
ყოველ მხარეზე კარგო,  
ჩვენო სამშობლო მხარე!“

1942

მშობლიური მოწოდებით

კვლავინდებურად ამოდის მზე  
და ისევ ჩადის,  
ჩასვლისას სივრცე ოქროვდება  
მთების ფერადის.  
კვლავინდებურად უსაზღვრობის  
გზებით მივალთ.  
ცაზე ენთმა ვარსკვლავების  
რიცხვი მრავალი.  
ამოდის მთვარე და თავისი  
ციხფერი გზებით  
ვერცხლისფერ ნათესს მიმოავლებს  
მიდამოს გზნებით.  
სიზმარებში ხვეულ მეოცნებე  
მდინარის ველებს  
არიგვის ქარი საამურად  
აამეტყველებს.  
ვლიან ღრუბელნი. ახლა მათში  
ისეენებს მკრთალი  
თბილი წვიმები, ელვა, მები  
და ქარიშხალი.  
ღელავენ ველნი, ჯეჯილები  
და ყვავილნარი:  
ყვავილებს ოდნავ წიებება  
ბაგებზე ქარი,  
რათა აილოს და გადასცეს  
მსუბუქი მტვერი —  
წარმოშობათა საიდუმლო,  
ნაზი, ციხფერი,

მარად უკვდავი სიყვარულის  
ოხვრა-სიღამით,  
აყვავილებს მომავალის  
ბედნიერ წამით.  
შეებ ცას შმაგი არყუეს. ქარი  
ღუშმანი მტერის,  
და მას ხედება ხმა, სახენიტო  
არტილერიის...  
შენ ხომ ამაყი ხარ მებრძოლი  
და ახალგაზრდა,  
სისხლში ღელავენ ნაბერწყლები  
ქედმაღალ აზრთა.  
შენში მშობლიურ მოწოდების  
მომბრახს ალი,  
გებევა ბრძოლა, როგორც ქარი,  
როგორც გრიგალი,  
ბრძოლა — გაშლილი მთელ სივრცეზე,  
სასტიკი, მკვეთრი,  
ბრძოლა — მეტყველი ყოველ მეტრით  
და კილომეტრით:  
ვერ შესძლებს მტერი, რომ ჩააქროს  
ახალის ალი,  
ვერ შესძლებს დასწვას ხალხთა აწმყო  
და მომავალი.  
ცეცხლად ღელავენ ნაბერწყლები  
მშობლიურ აზრთა...  
სამშობლოს იცავს დღეს მოხუცი  
და ახალგაზრდა.

### თავდადებულთა მილიონები

სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ.  
იგი გვეძახის — ბევრის მოწმე, ბევრის მგონები.  
მოახლოებულ გამარჯვების დიდებას გრინობენ  
აღამიანთა მატისანთ მილიონები.

კავკასიონი, ლავარდებით მაღალ ცარცივით,  
მზებზე ელვარებს და ოცნებობს თავის არწივით —  
რგოლებს რომ ხაზავს და ტრიალებს ამაყად, ფართოდ,  
იმ მეომრის ფიქრს მოუწოდებს ცალ სანაგავრდოდ.

აიწვევს მაღლა, უფრო მაღლა, აჰა, ეშვება,  
ქვლავ მილიელეებს, მაგრამ ღრუბლებს არ მოეშვება,  
დარწმუნებული სილაღეში, სიძლიერეში,  
სწორია მისი ფრთის სიმშვიდე თუ იერიში.

ქვევით ქვემებთა გრიგალია, დაცხრენ სიონი —  
ქვევინებს უსიერტოს გადასცქერის კავკასიონი.  
ძალით, სიცოცხლით, გატაცებით, მკლავით, გონებით  
აღამიანთა მტელვარებენ მილიონები.

ელვარებს ქურა, აქ მზადდება ისრები სხივის —  
აჩქარებული მონათება ალისფრად ღვევის.  
შეიმოსება, აზვავდება რკინის კონებით  
აღამიანთა თავდადებულთ მილიონები.

მტერს სურს ტექტონურ ციხე-კოშკში დამარბოს ჩვენი  
თავისუფლება, ფიქრთ საგანი, ნათეს-ნაშენი,  
სურს, რომ ჩააჭროს სიმართლის და სინათლის ალი,  
ფერფლად აქციოს ჩვენი აწმყო და მომავალი.

აღსდგენენ მომხდურის წინააღმდეგ არა მონები —  
სამშობლოსათვის თავდადებულთ მილიონები:  
გლები ნამგალით მკლავზე იწვევს თავთავს მონაქუჩს,  
გამათყარებელი სცემს მშრომელი უმძიმეს ჩაქუჩს,  
რომ შეომართა გამოსსქედოს ხმალია წკრიალი —  
„მუსრი მტარვალებს!“ და ტანკების მიღის გრიალი.

მოსიყვარულე, ხმამაღალი, მძაფრი და მაღი  
ხევიდან ხევეზე მიგუგუნებს ძახილი: „სტალინი!“  
„სტალინი!“ — გაისმის და იგი ხმა უსაზღვრო ნების  
ხმაა ქვეყნისთვის თავდადებულთ მილიონების.



გმირებს ვერ ითვლის ჩვენი მხარე, ურიტებს და უღევს,  
 ისინი ქმნიან, რომ არ ქნნილა იმ სასწაულებს —  
 გზებს რომ კაფავენ ნარ-ეკლიანს, ახშობენ ოდეს  
 უნდობელ მტერთა ძალადობას და სიბოროტეს.  
 გმირი სიციოტხლეს თვისას სწირავს სამშობლოს მზიანს,  
 ვაშა გამბედავს, ვაშა სულით მძლავრ ადამიანს!

გზა ისტორიის გულზე იწერს გმირთა სიმარჯვეს —  
 ვაშა და ვაშა! ხალხის გულში მათ ვაიმარჯვეს!  
 ქებათა ქება მათი ქვეყნად ქუხს, არ დატხრება,  
 მათგან რისხეისებრ თავს დაატყდეს მტერს დამარტება!

1942

მ მ რ ი ნ ა მ ი

ისეთმა ქარმა დაბერა,  
 ქვეყანას რომ არ სმენია,  
 ისეთ სიმაგრეს მიაწყდა,  
 ზღვიდან ზღვას რომ გასწედენია.  
 მოპქრის ისეთი ალალი,  
 ცას რომ არ გაუჩენია.  
 გაწითლდა ცა და ხმელეთი,  
 ცის კიდეს სისხლი ჰყენია.  
 ოკვანემდე მისულა,  
 კიდევს გადადენია,  
 გადაულეკავს ნაპირი,  
 ყველგან აღმურის მჩენია —  
 არასდროს ასეთი ფრენით.  
 გასტელო, არ გიფრენია!  
 სხვისი შენ არა გინდა-რა.  
 შენი რაც არის, შენია.

დაპქრიხარ კილით კიდემდე,  
 ცას ვარსკვლავები ჰყენია.  
 ზედავ: მშობლიურ მწვერვლებს  
 შუბლი ცას მიუბჯენია,  
 ძირს გაფენილი სამოთხე,  
 დახედავ, იჯრძნობ: ჩენია!  
 არასდროს ასეთი ფრენით,  
 გასტელო, არ გიფრენია!  
 მტერი სწყვეტს ბავშვს და მოხუცებს,  
 გულს მოედება გენია,  
 თავი რად გვინდა ცოცხალი...  
 განა ეს მოსათმენია?  
 გასწი, გასტელო, შენთვის მზე  
 ვერ დასთვლი რაოდენია —  
 შენს სიკვდილს მოაქვს სიციოტხლე,  
 და ვამარჯვებაჲ ჩენია!

1941

ი ა მ რ ე ა მ ა

შენ იძინე  
 პატარა ხანს,  
 მე არ მძინავს  
 ამ ქვეყანას.  
 მე გომღერებ  
 იაენიანას.  
 ნანა — ნანინა.

რომ დაიცვას  
 დანამშვენნი  
 ჩენი მიწა  
 და ნაშენი,  
 საზღვარზე სღვას  
 მამაშენი.  
 ნანა — ნანინა.

რომ წაგიდა,  
ღამიბარა:  
გამიზარღე  
ეს პატარა,  
წამოვიღეს  
ჩემთან ჩქარა.  
ნანა — ნანინა.

მან იგრძნო, რომ  
ჩვილზე ჩვილი  
გმირი არის  
მისი შვილი,  
გმირი, ვით  
ოქელი შვილი.  
ნანა — ნანინა.

შენი თოფი,  
შენი ხმალი.  
სულ მზადია,  
გენაცვაილე.

მიმისკენ  
გასწი, მალე.  
იფენინა.

შევაზმული  
არის ცხენი —  
გზას გილოცავს  
ღელაშენი:  
წა, საგმირო  
საქმე ჰქმენი.  
იფენინა.

შენ ჩემი ხარ  
ბიჭი შავი.  
გაღალაზე  
მტერთა ზევი,  
მამულისთვის  
დასდე თავი.  
ნანა — ნანინა.

1942

### მეტყვის ხილთან

ჩქარი დენა ზვირთზე ზვირთის.  
ყრუ ჩხრიალი დაბახანის,  
სუნი ბავსის და გოგირდის,  
თვალი ალა-მამადა-ხანის...

ბანი წელში მოხრილ სახლის,  
დაირის ხმა და დივანი,  
ნარიყალა და ირაკლის -  
ღროინდელი აივანი...

ო, ირაკლის იცნობს ხევი,  
მისთვის თერგი სხვა თერგია,  
არ ჰქონია ტყვიამფრქვევი,  
არც ატომის ენერგია.

არც ჰაერო, სიერცეთ მწვედომი,  
ტანკის ხმაც არ გაუგია,  
ისე გასჭრა ასი ომი,  
ერთიც რომ არ წაუგია!

მხოლოდ, აი, ამ ადგილას,  
სადაც ქარი აგეთია,  
იმ სისხლიან ღროის დილას  
განიცადა ტრაგედია.

ახლა ჩქარი დენა მტკვარის  
და ჩხრიალი დაბახანის  
გამარჯვების მოწმე არის —  
მოწმე ჩვენი ახალ ხანის.

1951



შინი არის ეს ბუბუნნი?

- ვისი არის ეს გუგუნნი, ეს მეღვარი ხმა ვისია?
- ეს კორპუსი კორპუსებს სდევს, დივიზიებს—დივიზია!
- ვისგანაა ეს გრიალი, გზა რომ გადუქენებია?
- ეს ტანკები არის ჩვენი, ჩვენი ბომბდამყენებია!
- ვისი არის ეს ქარბუჭი, მტერს ხედვა რომ აურია?
- ცხენოსნების, მფრინავების და ტანკების ხმაურია!
- ეს რა ცეცხლი აიშართა და ჩვენს შერთალ გზას ანათებს?
- ცეცხლი არტილერიისა ანადგურებს მუხანათებს!
- ეს რა ხმაა სასახელო? — სიხარულით გულმა ახსნას.
- ეს სამშობლო ესალმება ჩვენი ქვეყნის მტრისგან დახსნას!

1944

დ ნ მ ზ რ ი

ფიქრითაა დაფარული  
 უკრაინის წყალთა ბურჯი —  
 წარბშეკრულთა ტყეთა გული  
 მოდუღუნებს დნებრი ლურჯი.

გადუღეკავთ მხარე ვრცელი  
 ბარბაროსებს, ახალ ჰუნებს,  
 როგორც შურისმძიებელი.  
 დნებრი ოხვრით მიდუღუნებს.

მაგრამ ახლო, ახლო არის  
 განათხულის დღე უებრო,  
 და ყინულთა არემარეს  
 ქარიშხალი დასძრავს, დნებრო!

უსწრაფესი გაქანებით  
 საქმე, ფიქრი ვინ არ განდოს?  
 მტერი ხალხთა მრისხანებით  
 საბოლოოდ გაიფანტოს.

არა'ლოდის და არა ქვის  
 ქღერდეს შენთა გრძობათ წყარო,  
 დნებრო, მტკვრისა და არაგვის  
 ძეგლისძველო მეგობარო!

1944



# ს ტ ა ლ ი ნ გ რ ა დ ი ა ნ

მეომრებო! მთელი ქვეყნის თქვენკენაა ახლა თვალი,  
მისი აწმყო, მისი ხვალე, მთელი მისი მომავალი.

მეომარო! მსოფლიოსი სტალინგრადი თ წყდება ბედი.  
აზიისა და ევროპის გზაჯვარედნით მიდის ქედი.

დაეჭებდნენ უკვდავ სახელს თემური და ჩინგის-ხანი  
და ეს იყო დამპყრობელთა ბრწყინვალემა სისხლიანი.

მეომარო! შენ გინახავს არა ერთი ბრძოლის ქარი,  
დროშა თავისუფლებისა შენ გინახავს სულ სხვაგვარი.

რაც სამშობლოს ემუქრება დამპყრობელი ასე ცხადი,  
ასე დიდი სიმართლისთვის ომში იყო სტალინგრადი.

მეომარო! მთელი ქვეყნის შენკენაა გული წრფელი.  
ცეცხლი, მეომარო, ცეცხლი!—მტერზე შურისმძიებელი.

ცეცხლი შურისძიებისა, ვინც აღამებს ცას სრულყოფილს,  
უდიერად ვინც ეხება ყოველ კარგს და კეთილშობილს!

მოუფინოს ციხეს მალალს მზე მალალი და დიადი,  
და მაისებს ახალ-ახალს გაიშლიდეს სტალინგრადი!

1942

## სეზასტოპოლის დამცველს

მიიღე, პირველ ყოვლისა,  
ჩვენი მხურვალე სალამი,  
გრძნობა სამშობლოს მოვლისა  
დროშაა სისხლით ნალამი!

თავრიდის მზიანს კიდეზე,  
ვით მარგალიტი ობოლი,  
ბეერის მომსწრე და ამტანი  
ელვარებს სევასტოპოლი.

ბეერი კარგი დრო, კარგი დრო  
მის კიდეს მიტარებია,  
რაც მძულდა და რაც მიყვარდა,  
სულ იმ ზღვას მიდარებია.

ჩემი ცხოვრებაც მას ჰგავდა:  
ხან მშვიდი და ხან მქუხარე,  
ხან მოელვარე მასავით,  
ხან მგზნებარე და მძულარე.

ეჰ, ჩემო ურჩო ცხოვრებაე,  
ილტაცებულო ყოფნითა,  
სიმშვიდედ, ასაღიღვეზლად  
რა მცირე რამე გყოფნიდა!

შორს სადღაც იალქანია,  
ახლო გემები... თოლია.  
ზღვა ლურჯად გადაფენილა,  
ცა ლურჯად ვადასწოლია.

შემდეგ უეცრად ტალღები  
და მოვარდნილი გრივადი.  
ცასაც ჩაუტყვამს თალღები  
ტყვიისფრად ჩანარბავლი.

ქუხილი გააქვს ქვემეხებს,  
ტყვიანფრქვევები კაკანებს,  
ქალაქზე ცეცხლის ალია  
და იმას ქარი აქანებს.

მრისხანე თვითმფრინავები  
ცას კიდით კიდე ჰფენია,  
ზენიტით ჰორიზონტამდე  
ქვეყანა ცეცხლსა შთენია.

გამბედაობა მედგარი,  
გამბედაობა! დღეს იგი  
საბჭოთა გმირში დულს, როგორც  
ძალ-ღონით სავსე წესრიგი.

გმირო ქართველო, დაჰკარი!  
დღე გამარჯვებით იწყება.  
დაატრიალე თავარი —  
თავდასხმა, თავდავიწყება!

შესძარ მტრის ბნელი საფარი  
და ცხარე ბრძოლის სასწორო,  
შენთან ჰკვეთს წვეთანაბარი  
მომღეევი ტალი და სწორო.

იფეთქე და იელვარე  
ქვეყნიურ ლელვის მტარებლად.  
ძამულისათვის მღელვარევე,  
დასცხე მტერს შეუწყნარებლად!

შენ წინაპართა ხარ ხატი  
და ჯაჭვი გაუწყვეტელი;  
სიმტკიცის მარჯვე ოსტატი  
და გამარჯვების მკუდელი.

მცხეთა, ასპინძა, მუხრანი  
შენი ცითაა ნაბური,  
შენს ხმალთან გადააკინძა  
მან ხმალი მანაბაპური.

გაუმარჯოს გმირს, უშიშარ  
მებრძოლს ბრწყინვალე ხვალისა,  
გაუმარჯოს გმირს, სიკვდილთან  
მხნედ გამსწორებულს თვალისა,  
გმირს დღევანდელ დღის და დიად,  
ნათელი მომავლისა!

1944

ბ ა ტ უ შ ი

მიყვარს ბათუმი!... მისი ბუნება,  
მის ოქრორეულ ლავარდის ბლონდი.  
მისი ზღვის მილაგრი აფუგუნება,  
მისი ზენიტი და ჰორიზონტი!

მიღის გამზირი სწორ ისარავით,  
კურავს ფოთლებში სუფთა და ჩუმი,  
ფლორის სიმშვიდით და გადარევით  
სავსე ლავარდი — მიყვარს ბათუმი!

ვერც ისე საშიშ წინემების ხშირი  
და მზიარული ულტიმატუმი  
შესძლებს, რომ გულს გულთან კავშირი  
შეწყვიტოს. ისე მიყვარს ბათუმი!

ვით შავი თუჯი დასახო მერნად,  
სადავებში მიუშვა მერნებს,  
ისე ცისტერნის მისდევს ცისტერნა  
და თელა არა აქვს ნავთის ცისტერნებს.

კვლავ ვახსენება იმ ტრიბუნების,  
კვლავ ჩაქურების და თავსაფრების...  
მიყვარს გულუნი ჩვენი გემების,  
გაფრიალება მძაფრი აფრების!

შავი ზღვის პირად დგას მეზღვაური  
და დაფიქრებით თოთუნს ამოლგებს...  
ტალღების მძლავრი და მხნე ხმაური  
შლის მოგონებებს და პარაბოლებს.

მის წინ იზღებდა მთელი ელემი  
 ზურმუხტისა და ოქროს ფერებით,  
 კვლავ აგონდებდა ძლიერი გემი,  
 გარშემორტყმული კრეისერებით.

კვლავ აავსებენ ნაბირებს ნაღმით...  
 ტორბედოს ახლა სხვა ეწირება:  
 მტრის გემი, მსვლელი უკულმა-წაღმით,  
 იხრება, წვება და იძირება.

ხვალ სამხრეთისკენ გაიწევს ფლოტი,  
 რომ გადალახოს მთელი განელი.  
 ასეთი არის შავი ზღვის შფოთი:  
 ზღვას და სიმშვიდეს სძულთ ერთმანეთი.

ვერვინ იპოვის მტრის გემს ადგილას,  
 სადაც ოდესმე ახსოვდა ნაპირს:  
 წყალზე მოდებულს შეამჩნევ დილას  
 ნავთის ნიშნებით ფარულ ზედაპირს.

მოიგზავნება მაშველი ძალა,  
 განიგშირება იმისი ცული,  
 ბომბარდირების შემდეგ ბრიალა  
 ცეცხლში იქნება ის გაბეული.

ამჩნევ გემს, როგორც ბუმბერაზ ქალაქს.  
 გამოხედვა აქვს მსიძე და ავი...  
 დაატრიალებს, როგორც ბზრიალას,  
 ჩვენი პატარა წყალქვეშა ნავი.

თრთის მებლავურის გული, ოდეს ის  
 მოგონებათა არეში ჰპოვებს  
 ჩვენი ყირიმის, ჩვენი ოდესის  
 და კავკასიის სანაპიროებს.

იძვრის ხეული თუთუნის ბოლის,  
 გახსენებათა სივრცემდე მწვდომი...  
 გმირული დაცვა სევასტოპოლის —  
 ორას ორმოცდაათი დღის ომი,

სად იშუშებდა წყლულს დას-დასობით  
 ძველ ნავსადგურის წყალი მშზინავი,  
 სადაც დაკარგა მტრომა ასობით  
 ტანკი, ქვემეხი და თვითმფრინავი.

და ბნელი ღამის უწყვედიადესი  
 ზრახვებით საესე ხმა ველარ მღერის,  
 დიპარტებულ მტრის სამას ათასი  
 ჯარისკაცისა და ოფიცერის.

ტალღას ფერი აქვს უმანკო იის.  
 ქაფი ტალღისა ჰგავს ფერად ნაქსოვს...  
 მაგრამ თქვენ ჰკითხეთ ნოვოროსისკს,  
 რა საოცარი გრივალი ახსოვს.

მიყვარს ბათუმი!.. მისი ბუნება,  
 მის ოქრორეულ ლაქვარდის ბლონდი,  
 მისი ზღვის მძლავრი აფუგუნება,  
 მისი ზენიტი და პორთოზონტი!

რამდენ განგავის იყო საათი —  
 საბრძოლო უამის: დილა, საღამო;  
 რამდენ მტერს მძაფერი წაეჭრა თითი,  
 ჩვენი ძვირფასი ბათუმის გამო.

რა მშენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,  
 რა მომავალი ძვირფასი ბედით!..  
 ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
 აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ქალაქი ქვეყნად მრავალის მცნობის,  
 ამაყად მთქმელი გრძნობის ქართულის,  
 შუაზიის, შემდეგ ევროპის  
 გზების მრავალფერად წინ მიმართულის.

და სამამულო ომის ხანაში,  
 გამარჯვება რომ ამზადებს მისს,  
 ორი ზღვა არის ჩვენს ქვეყანაში:  
 ზღვა შავი და ზღვა ციტრუსის, ჩაის.

ბათუმი!... მისი ზეცა და გემი,  
 იმისი მიწის ხმა სიჯადოქრო,  
 სად დაიბადა სიმღერა ჩემი:  
 „ოქრო აჭარის ლაქვარდში“ — ოქრო!

1943



ბ ა რ კ ო მ ს

დღეს კი სიზმრის შავიერი  
შუბა ცხაღზე ცხადი:  
ხარკოვის ცას მხარძლიერი  
ანთებს განთიადი.

შეესწრებოდეთ კიდევ მრავალ  
გამარჯვების დღეებს —  
არ ეუფურობოდეთ გარდამავალ  
ჭირთა სიძნელეებს!

და იქ უკრაინელ ქალის  
წინანდელი კენისის  
ნიკელად — გზა მომავლის  
ცხაღზე უცხადისის.

და ვინც თვისად გაიხადა  
ხალხის იგი უირო,  
ხალხის გულშიც ჩაიხატა,  
ვით სიცხადის გმირი.

წელგამტყდარი შორს მიცოცავს  
შხაშიანი გველი...  
მომილოცავს, მომილოცავს  
ეს სიცხადე წრფელი!

ეს სიცოცხლე დალაგებს  
მიმორგარულ ბინას,  
სოფლებს, დაბებს და ქალაქებს  
და მთელ უკრაინას.

ამ სიცხადით მისწვდეს ლელოს  
ჩვენი მთი და მდგლო,  
უკრაინე, საქართველოს  
მეგობარო ძველო!

1944

კავკასიონის კლდეებზე

კავკასიონის კლდეებზე  
მეომარი სღვას მზიანი,  
თავდადებული, მებრძოლი,  
ომში არაღერსიანი.

დაჭურა ლეკლიდისა  
ხმამ ადგილები მთიანი:  
„ჩვენს მიწა-წყალზე ღუშმანი  
ვერ გაიხარებს გვიანი“.

გუშინ, როს კავკასიონთან  
მტერი მოვარდა ხმიანი,  
მან მიაგება მახვილი  
მკაცრი და განგებიანი.

მტერმა მას — თავისუფალსა,  
ვერ მიაყენა ზიანი,  
მშვენიერია ააზნევი  
ლალი და ოცნებიანი.

გკვეთა ურლოს ლომებრივ  
ძვრით ნახტომიანაზდიანი,  
სამშობლოსათვის დევმირთა  
რისხვა ქარიშხალურთიანი.

მას მარად მედგრად იცავდა  
უანგარო და სვიანი,  
იგივე მძლე, იგივე ამაყი,  
მებრძოლი ადამიანი.

1942

უბზებვის მხრები

• როგორ არაა.  
ჩემთვის ძვირფასი  
უბზებვის ცაშდე  
მსეღელი იერი,  
რომ ვერას აკლემს  
ქარი პირხასრი  
და ცისკრის ალი  
რთავს მშვენიერი.  
მზის ამოსულისას  
საგსეა თასი  
ათასი ლალის  
და კლაპტარის...

როგორ არ არის  
ჩემთვის ძვირფასი  
და საყვარელი  
როგორ არ არის!  
ო, მოზღვაგებავ  
მღვრიე აზრისა,  
ყოველი გრძნობის  
წინააღმდეგის...  
ვერა-რა ძალამ  
ვერ გადასრისა  
ეს მშვენიერი  
მხრები უბზებვის!

1943

ირაკლი, მომგები ასი ომის

ყოველი მხრიდან  
ბერაედა ქარი,  
მაგრამ ქართველი  
ქედს არ იხრიდა,  
ოდეს სამშობლოს  
გარს ერთუა ჯარი  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან.

და ხმალს ფერაედა  
მეფე ირაკლი,  
და იგი ხმალი  
ელვაებერ სჭრიდა.  
ერთ მებრძოლს ასი  
ეხვია მტერი  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან.

ლომო ირაკლი,  
იბრძოდი ისე,  
შენს ხმალს არასდროს  
ბედი არ სჭრიდა,

და გაოცებას  
იყო მსოფლიო  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან.

მრისხანე სტენა  
იმა ხმალისა  
მტერს და მუხანათს  
შიშის ზარს ჰგვრიდა.  
და ქება ქუხდა  
ირაკლის ძალის  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან.

გამარჯვებული  
ბრუნდებოა ჯარი,  
მე ელვარებად  
იფრქვევა ციდან  
შენი, სამშობლოვ,  
შენი, ირაკლი,  
ყოველი მხრიდან,  
ყოველი მხრიდან!

1941



### მრავალშემიერ ბუბუნებდეს ხმა

მრავალშემიერ გუგუნებდეს ხმა  
„მუშლი მუხასა“ და „ლილოსი“,  
ეს გმირთა ჩვენთა არის სიმღერა—  
ეს სიმღერაა საქართველოს!

მოაპობს მკერდით ზღვის მეზღვაური,  
გესმის არაგვის ხმა საცნაური?  
გესმის თერგის და მტკვარის ხმაური? —  
ეს სიმღერაა საქართველოს!

მთარღვევს რისხვა აწყვეტის ავის,  
რომ არ უღრკება ქვეყნად არავის.  
გესმის გრიალი მთებიდან ზევის? —  
ეს სიმღერაა საქართველოს!

თავისუფლებისმოყვარე ერებს,  
ვით ზღვის, ვერა რა ვერ შეაჩერებს.  
მთა რომ იმღერებს, ტყე რომ იმღერებს —  
ეს სიმღერაა საქართველოს!

აქ გამარჯვების დროშად წერია:  
სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია,  
თუ რამ სიმღერა გულს უმღერია —  
ეს სიმღერაა საქართველოს!

გმირებით სავსე, სამშობლო მხარევე,  
დღეს გამარჯვების გულით მღელვარევე,  
იღიდე! ამ ხმას სხვაში ვერ გარევე —  
ეს სიმღერაა საქართველოს!

1945 წ.

### დილა ბამარჯვებისა

გახსოვს, წინათ, შარშანწინ,  
როგორც თავის ლელოზე,  
შავ ფრთებს თვითმფრინავები  
შლიდნენ საქართველოზე?

გახსოვს უდაბურება  
შენიღბულთა ღამეთა?  
დღეს კი სხივმა ყოველგვარ  
ღონეს გადაამეტა.

სდგანან კავკასიონის  
მთები მონაფერცხლები,  
გამარჯვების სიახლით  
ახმაურდნენ მერცხლები.

მოჰყევე, შავო მერცხალო,  
რა მზე, რა ჰაერია...  
გხიაროდეთ: სამშობლო  
ვერავ მტერს მოურია!

აჭიკვიკდი, მერცხალო,  
მართალია თუ არა —  
ოთხი წლის მრისხანებამ  
ჩვენს გზებს გადაუარა.

არ დააცხო, მერცხალო,  
ხმები ფქრთვასართველი:  
სხვებთან ერთად თავს სდებდა  
მეომარი ქართველი.

ბეგრი იყო იმ ომში  
ჯარი და ჯამათი,  
ოთხნი ძმანი, ზოგანაც  
ექვსი, შვიდი და ათი.

გმირთა იმათ, მერცხალო,  
ჰპოვონ მხარე სიმართლით,  
ვით შენ ჰპოვე უცნებო  
ბუღე შარშანწინდელი.

და... სტალინის, მიოხარო,  
გული ვით დამშვიდდება,  
სინათლით არ შემოსოს  
ჩვენი ქვეყნის დიდება.

აქ ახლა ქეაც არ არის  
უხმო, უნაპერწყალო,  
აჭიკვიკდი, მერცხალო,  
უშხიანო მერცხალო!

1945 წ.  
\* მაისის დილა

ღ ი ღ მ ბ ბ

ღიღება კიდევ  
ქალაქს და სოფელს.  
გმირულად შეხედეს  
შობილი მშობელს:  
აღდგენა ცეცხლით  
გადანწვარ მხარეს,  
სიკვდილი ხალხის  
შეურაცხყოფელს!

ცამდის ასული  
ბოლი ღუნდება,  
ტოლი და სწორი  
შინ დაბრუნდება.  
სიბნელისა და  
სისხლის შორეებზე  
სხვა განთიადი  
აგუგუნდება.

ასე გულწრფელის,  
ასე დამწვარის  
ყველა შეილი ვართ  
სამშობლო მხარის,  
მისი, რომელიც  
უძველეს დროით  
წმიდათა წმიდის  
დაცვას იჩქარის.

იგი სიმწარის  
ფილას სკლიდა,  
მაგრამ თვის დროშას  
სხეებზე არ სცვლიდა.

გუშინაც კარზე  
მომდგარი მტერი  
გაიანდგურა  
კალმით და ხმლითა.

ენედანეთ უნდობარ  
დროის სულბლომას,  
თავისუფლების  
სხვაგვარად მდომიარ  
საკუთარ სისხლით  
სამშობლოს დამცველს.  
ჩვენ გამარჯვებულს  
შეგხედეთ მეომარს.

გაქანებული  
უახლეს სიბრძნით,  
დროშებიანი  
ეტლი ჰქრის გრგვინვით.  
მისმან ცხრაშან  
დღენი გამოცდის  
მას შეუცვალა  
დაფნის გვირგვინით.

გამარჯვებულო,  
სამშობლო მხარეც,  
სულ დღესასწაულთ  
გზებით იარე.  
დიდება სტალინს!  
დღევანდელი დღე  
ბრწყინვალეა და  
სხივმსხმოიარე.

1945 წ.  
9 მაისი

ნახა ევროპის ქალაქები სხვანი და სხვანი,  
როდესაც მტერი ძირს განერთხო ნილაბახდილი.  
ახლა საყვარელ სამშობლოში ბრუნდება სვანი,  
ბრუნდება სვანი სამშობლოში, ომგადახდილი.

შერიკრავებულ შორიზონტზე მიმონათება  
ცის ერთეული ვარსკვლავების დაიბნიდება,  
შერიკრავებულ გამჭვირვალე ნისლში ხვეული  
თავისუფალი მთების ხედება მთელი დიდება.

სანახაობა დიდებული თვალწინ იშლება:  
ტალღისებური გრეხილები მთავარი ქედის,  
უძვევნიერეს მწვერვალების გულგაშიშვლება  
მუღმივი თოვლით ლაქვარდოვან სივრცეში შედის.

უშმა, თეთნულდი, იაღბუში მძლე მყინვარებით,  
მიუღგომელთა ციციბო კლდით მშვენიერება,  
სუნთქვისშემგვრელი უფსკრულები ამლევარებით,  
ჩაბნელებულან ფერდობებზე ვრცელი ტყეები.

ო, რამდენია მათში ასე უცხო სინაზე!  
აღჭაფებული თოვლის მსგავსი, ყინულებრ ცივი  
ყვირის ნაკადი, ჩანჩქერებად გადადის მთაზე,  
და ქარიშხლიდან მდინარეში იჭრება მკვრივი.

იგი მდინარე გზას მიიკვლევს გრიალით, ხვევით  
უზარმაზარი ხეობების ცივ ნაპრალებში,  
სუსხი, სიცივე განთიადის თან მისდევს რხევით.  
ჯერ კიდევ სძინავთ ნაზ ფრინველებს შშობლიურ მთებში.

ტყე ღუმს, გზაცა ღუმს, ისვენებენ ადამიანნი,  
მხოლოდ ხმაურით დაუცხრომლით შფოთავენ წყალნი.  
დაიქროლებენ ფერდობებში მსუბუქნი ქარნი,  
მშფოთყარე წყალზე მაშინ განგაზს სტახენ ფიჭვნარნი.

გარემო მთების უპასუხებს გამოძახილი.  
მიყვარს ეს მძლავრი პარამონია ახოვანების!  
იგი მოისმის, ვით უეცრად გამოსახული,  
ხმა მრავალ ათას მუსიკალურ ახმოვანების.

ღრუბლენი, სხივთა მაცოცხლებელ ალით გამობარნი,  
იწვევენ მალღა ფირუზისფერ სიმაღლეებით.  
მშვიდია მათი შეჯგუფება გისაოცარი,  
გამოცურავენ ისევ მზისა და ქარის ნებით.

აჰა, ანლოდნენ ფრინველები! რუხი ბაჭია  
გამოტყვრა მზეზე გასათბობად, ჩქარი ფუსფუსით;  
ქვლავ დაიშალა გამალებით, განცხრომაშია —  
ლერი, ფოთოლი, ტოტი, ლინდი, ჩრდილი, ბუსუსი...

ორნი არწივნი, დასტოვეს რა მაღალი ბუდე.  
ხაზავენ რგოლებს, ტრილიტბენ: უნდათ გათვალონ —  
გარემო ქედებს და მწვერვლებს დასცქერენ მრუდელ,  
რომ შეამჩნიონ, რომ იქ მსხვერპლი დაითვალთვალონ.

მათ მძლავრი ფრთები გაუშლიათ მეფურად, ფართოდ;  
ამოძრავებენ ისე წყნარად, ნელა და მდორედ,  
ისე მსუბუქად. მაგრამ მძიმედ და სანავარდოდ,  
აქ სიახლოედ ქცეულია სიშორიშორე.

ხან აიწევენ მაღლა-მაღლა, ხან ეშვებიან,  
მილივლივებენ, ახლა ღრუბლებს არ ეშვებიან.  
დარწმუნებულან რა თავიანთ სიძლიერეში,  
დიდია მათი ეს სიმშვიდე და იერიში.

ბრუნდება სვანი სამშობლოში ოჩგადახდილი...  
აქ თვალწინ ვრცელი გაიშალა დაბა-სოფელი.  
ამაყ სიმშვიდით გარშემორტყმულ კლდინი მთების  
ვით ეხამება სულს მაღალი ეს სამყოფელი!

თეთრად მოჩანან ქვის მაღალთა შენობათ მცველი,  
ფანჯრების წილ რომ ახლავს სოფლებს სათოფურები;  
ამ გამაგრებულ ციხე-კოშკში ცხოვრობდა ძველი  
ხალხი, რომელსაც ვერ აკლებდნენ რას მონხდურები.

ადამიანი აქ მგრძნობარე და ამაყია.  
ის წინათ გრძნობდა, რომ არ იქნა და ვერ გახია  
საკუთარ ძალით საუკუნეთ ტყვეობის რკალი,  
მაგრამ მრისხანე მთის მომემდ სხვა აღმოჩნდა ძალი.

ხეობაში, რომ გზა მიიწევს მიხვევ-მოხვევით,  
აქ დაამარცხეს სტიქიონი ნაამბოხევი.  
ამ გზით შეიკრა მწვერვალგზში რადიო, ავტო...  
მათი იქ შისვლა მთლად ახდენილს სასწაულს ჰგავდა.

მხარემ, რომელმაც დაინახა სულ სხვა ბორბალი,  
მხარემ, რომელმაც შეიყვარა ცა ნაჭორვალი,  
გამოიღვიძა, მიიხედა და მოიხედა —  
ისევე დგანან მშვემებანი ძველთა ციხეთა!

და მსწრაფლ შეუდგა თავის ახალ ბედის შენებას,  
და ცხოვრებისა ახალისა გრძნობს გათენებას.  
ისევე იგია მშუქნიერი ღრუბლების კალთა,  
ხოლო იქიდან ახალი გზა გამოსრიალდა.



ბნელეთის ღემონს დაეჯახა, გაინადგურა,  
და ძვენად ერთა სიყვარული დაასადგურა.  
ბოროტნი სულნი ხეობების იქით გარეკა,  
გამოცოცხლების, გაღვიძების ხარი დარეკა.

ტკივილი ძველი დააყუჩა და დააიამა  
ახალმა სივრცემ და ახალმა აღამიანმა.  
ორ არ წივს. ცაში მოფრიალეს, შეჰხარის გრძნობა...  
წინსვლა წარადის! სიყვარული! სალამი! ძმობა!

ნახა ევროპის ქალაქები სხვანი და სხვანი,  
როდესაც მტერი ძირს განერთხა ნიღაბადილი.  
ახლა საყვარელ სამშობლოში ბრუნდება სვანი,  
ბრუნდება სვანი სამშობლოში, ომგადახდილი.

1945

იმ დღეებს ძებლი უნდა ავუპოვო

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,  
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,  
ვუსმინო ყაზბეგს — ხევის ბეთხოვენს  
აფუგუნება კაიშაურის.

მე მშობლიური არაგვი შირჩევს,  
წინასწარ ვიგოდნო, ვიცოდე მარად.  
ქართველის გულს თუ რისთვის ირჩევს,  
ომში სიცოცხლე ჩასთვალოს არად.

იმ დღეებს ძებლი უნდა ავუგო,  
უნდა აღვმაროო წყებათი წყება,  
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო.  
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება!

1943

ბამარჯვების დღემ ირიქარაშა

დღეს გამარჯვების  
აღმნიშვნელი  
ძვირფასი დღეა,  
დღეს მათი დღეა,  
ვისიც ქვეყნად  
დიდი დიდება —  
უბრწყინვალესი,  
უმაღლესი  
არის იღეა,  
უსპეტაკესი  
სიმართლე და  
ქუმარიტება.

მე ამ მაისის  
სულ ახალი  
ვიგრძენ ნათელი,  
კარგი ნათელი,  
მხნე ნათელი  
შინაგან სიღრმის...  
მოლურჯო მთების  
მშვენიერი  
მოჩანს კალთები;  
მფარველნი ჩემის  
ბავშვობისა  
და ჩემის სიყრმის.

მათ იქით კი შორს,  
 ძალიან შორს,  
 ვით ლალი ქედი,  
 უხარმაზარი,  
 უბოლოოდ  
 თეთრი ლივლივით,  
 აღმართულია  
 კაეკასიის  
 მთაყარი ქედი,  
 გაბრწყინებული  
 მარად უღნობ  
 თოვლიან სხივით.

მისი სილალე,  
 საოცარი  
 მისი მშვენება  
 ფეროვენებით  
 თვით უმაღლეს  
 ცისკარს მიჰგავს.  
 გაიბნა ნისლი,  
 და ყაზბეგის  
 ამოსვენება  
 უდიადეს მზით  
 გულსაც იმავე  
 სიალით დაგავს.

იმ მაღალ შთებზე,  
 ბედისწერით  
 მონახვეტარი,  
 მიფანტ-მოფანტეს  
 შაეი ნისლი:  
 მტერს შერგენება!  
 აი, მიუშვებს  
 მთლიად გაფრენილს  
 მერანს მხედარი,  
 და უსივრცოა,  
 ოცნებაო,  
 მისი ჭენება.

ის ძაუგიდან  
 მირგაედა  
 და მისდევდა მტერს,  
 კვალდაკვალ სდევდა  
 შემოსეულ  
 მტარვალთა ურდოს,

მოულოდნელი  
 შიშის ხარით  
 უხარგავდა ფერს  
 ვარეწარ მომხდურს,  
 ვისაც ჩვენი  
 დაპყრობა სურდა.  
 საშშობლოისა  
 საყვარელის  
 მგრძნობი სიმართლის,  
 ჩვენი არმიის  
 უღმობელი  
 დარტყმა მწარეი,  
 ვაიმარჯვა მან,  
 როგორც მეღვარ  
 არმიას მართებს:  
 ეს თავისუფალ  
 ხალხთა ფუძე  
 და ჯაეარია.

მძლავრია ჩვენი  
 მშობლიური  
 წითელი ჯარი:  
 არა მონური,  
 არა მშვიდი,  
 არა გვიანი,  
 არამედ სწრაფი,  
 ვეფხვისებრი  
 და ბოზოქარი —  
 მასში მღელვარებს  
 და მოჭმედებს  
 აღამიანი  
 გზამ ძაუგიდან  
 ბერლინამდე  
 გაიგრიალა.  
 ჩვენს თავდადებულ  
 და საყვარელ  
 არმიას ვაშა!

ქართველმა დროშა  
 რაინსტაგზე  
 ააფრიალა:  
 პირმშვენნიერმა  
 გამარჯვების  
 დღემ ირიტრაეა.



დღეს გამარჯვების  
 აღმნიშვნელი  
 ძვირფასი დღეა,  
 დღეს მისი დღეა,  
 ვისიც ქვეყნად  
 დიდი დიდება —

უბრწყინვალესი,  
 უმაღლესი  
 არის იღეა,  
 უსპეტაკესი  
 სიმართლე და  
 ჭეშმარიტება!

1945

ბამბარჯვების პირველი სალუტი

დაუფიწყარი  
 და ძვირფასი  
 არსებობს წუთი:  
 ჰა, გაისმის  
 უმძლავრესი  
 ხმა შორი ტეხის—  
 ეს მეთორმეტე  
 გრილია  
 ას ოც ქვემეხის,  
 ეს ჯარისაღმი  
 სამშობლოის  
 არის სალუტი!

ამ ხმაში ისმის,  
 როგორ სწრაფად  
 გაიჭრა ნება  
 ხმლის მოქნეულის  
 სიბასრით და  
 ისრის სისწრაფით.  
 განულოს მანძილი,  
 აფსებული  
 ყინულთა ჭაფით,  
 მზარისკენ, რომელს  
 ეწოდება:  
 „მაშ გამარჯვება“.

თავზარდამცემად  
 ევლინება  
 იგი ხმა ბოროტს,  
 მაგრამ სიმაღლეს  
 მისას მოამე  
 რომელი არ გრძნობს?  
 დაუფიწყარი  
 ცხოვრებაში  
 არსებობს წუთი:  
 ეს უმძლავრესი  
 ჭუხილია  
 ბორკილის ტეხის —  
 ეს მეთორმეტე  
 გრილია  
 ას ოც ქვემეხის,  
 ეს ჯარისაღმი  
 სამშობლოის  
 არის სალუტი!

მზარისკენ, სადაც  
 სიყვარულის  
 გრძნობებით მკვიდრით  
 გადაიშლება  
 ზღვა თბილი და  
 ცისაფით წყნარი,  
 ვერცხლებრ ბრწყინვალე,  
 როდესაც მას  
 აშუქებს მთვარი  
 და ნაპირები  
 ასწლოვანთა  
 ხეთა სიმდიდრით.

ამ ხმაში კიდევ  
 მშობლიური  
 და დიდებული  
 მოჩანან მთები —  
 ვის უნახავს  
 იმათი ჭკნობა?



როგორ არ ირის  
საოცარი  
მათი სრულყოფა,  
ცის სიდიადე  
სიმაღლემდე  
შეკიდებული.

სმენა დარაჯობს  
უსაყვარლეს  
მღინარეთ ხმაურს,  
ჭაერში დასდგეს  
სურნელმათ  
სხვადასხვა ზევეი,  
ნაპირებიდან  
საამური  
ჰქროდეს ნიავეი,  
ყოველ მოგზაურს  
ხიბლავდეს ის,  
ყოველ შეზღვაურს.

კოკისპირული  
წვიმის ღვარი  
და ქარის სტეენა

ვერ დააყრუებს  
შენს მშვენიებას,  
ამ ხმის ბუნება!  
შენში ხმაურობს  
საუკუნეთ  
აგუგუნება,  
მომჯადოებლად  
მკერამეტყვილობს  
სიმაართლის ენა.

დაუვიწყარი  
და ძვირფასი  
არსებობს წუთი:  
ეს უმძლავრესი  
ქუხილია  
ბორჯილის ტეხის —  
ასე გრიალებს  
ბეთჰოვენი  
ას ოც ქვემეხის,  
ასე გრიალებს  
სამშობლოს  
ჩვენის სალუტი!

1945

მ მ უ ხ ა რ ე წ ე ლ ი

გათენდა ცხრაას  
ორმოცდაექვსი —  
ახალი წელი,  
ახალი წუთი,  
დავითარიღე  
ახალი ლექსი  
შეცდომით: „წელი  
ორმოცდახუთი“.

ეს ინერცია  
როდია მხოლოდ:  
ჯერ არნახული  
ამბების მთქმელი,  
მატიანეში  
შვეა სიმბოლოდ  
ზღვა მრისხინეებით  
მქუხარე წელი.

1946

ქ მ ღ მ ლ ი

კედელს, დახშულს რაიმეთი  
ბრზად გათიშულ ერთა შორის,  
გააშუქებს ღრმა იმედი  
სიყვარულის და ამბორის.

სიზმარი ნუ გეგონება,  
რომ იქნება არა ნგრევა,  
ყვილა, ყვილა ეროვნება,  
ერთ ოჯახად გადიქცევა!

1940

არტილერიივ,  
 ტრანშეებში ჩაფლულთ ჯარო,  
 ყველა ქვეყნებში  
 თქვენის სისხლით გაწითლდა ველი.  
 გინდათ თუ არა,  
 რომ ამოწარეს  
 ეს სისხლის წყარო?  
 მაშინ ძირს ომი!  
 ჩამოართვით ერთმანეთს ხელი!  
 ცხენოსანთ ჯარო,  
 მოთარეშეე ქარის სისწრაფით,  
 თქვენ არ ხართ მტრები,  
 თქვენი მტერი ხანაა ძველი.  
 გინდათ, რომ ძმობა  
 გაიქიმოს მაგარი ძაფით?  
 მაშინ ძირს ომი!  
 გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი!  
 არტილერიივ —  
 უძვარი ცეცხლით ძლიერო,  
 გაუბიცი და  
 მორტირების გრიალი მწველი  
 იქ მიამუტრეთ,  
 სადაც უნდა სამაგიერო,  
 აქ კი ძმებია,  
 გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი!  
 ჯავშნის გმირებო,  
 უძლიერესს რომ უძლევი ტანკებს.  
 შემოაბრუნეთ  
 ჯავშნიანი მატარებელი;  
 ნუთუ ვერ ამჩნევთ  
 ამ თბრილებში თქვენს ამხანაგებს,  
 რომ მოგიწოდესთ:  
 ჩამოვიართვათ ერთმანეთს ხელი!

ავიატორო,  
 გამბედავო ესკადრილიავ,  
 ციდიან ტყვიების,  
 ყუმბარების და გაზის მღერელი,  
 გზა თქვენეი დედის,  
 თქვენეი დების სისხლის ჩრდილია.  
 ძირს მწარე ომი!  
 გაუწოდეთ ერთმანეთს ხელი!  
 ინჟინერებო,  
 თქვენი მწარე ტექნიკა ომის  
 შხამია, რითაც  
 ისუსხება ქვეყნად ყოველი.  
 ის ანადგურებს,  
 რაც ნაყოფი რამ არის შრომის.  
 მშრომელებსკენ!  
 ჩამოართვით ერთმანეთს ხელი!  
 დივიზიებო, კორპუსებო!  
 უცდით ბრძანებას,  
 როდესაც შტაბი,  
 მუქთახორა ტახტების მცველი,  
 მოითხოვს თქვენგან  
 თავგანწირვას და გაქანებას —  
 მაგრამ არასდროს!..  
 გაუწოდოთ ერთმანეთს ხელი!  
 რადიო, ფოსტა,  
 ტელეგრაფი, მორზეს ანბანი  
 ბატალიონებს  
 უმაღლესა სად იყო გველი...  
 დღეს აგვისტოა —  
 მსოფლიოში ისმიან ხმანი:  
 ძირს მწარე ომი!  
 გაუწოდოთ ერთმანეთს ხელი!



რაღ ჯაკეთდა და კეთდებო,  
 უფრო ენამკვერია,  
 მაგრამ საქმის კეთებასთან  
 ხელის შეშლაც ბევრია.  
 საგმიობია შოუინისტი,  
 ის მწამლავი შხამია,  
 იგი ყველგან  
 ცნობილია,  
 როგორც კაციქამია.  
 მისი ბრძოლის  
 მეთოდები —  
 პროგრესი, წინმსწვლელობა.  
 ძველისძველი,  
 რუტინული  
 მისი მსოფლმზედველობა,  
 ეროვნული  
 საკითხები  
 დღიდან-დასაბამიდან  
 დულს და  
 ვადმომდინარეობს  
 მხოლოდ კაცის ქამიდან.  
 მაგრამ კერძი  
 ამ თამადას  
 თვით გაუხდეს შხამადა,  
 კაცის ქამამ  
 ვერ ივარგოს,  
 ვერ გამოდგეს ქამადა!  
 უთხრეს: ამას  
 ნუ მივიღებთ.  
 წესადა და ადათად:  
 მეზობელი  
 მეზობლად ვცნოთ —  
 არა სუკის მწვადადა.

თუ ყვითელი  
 ქადაგება  
 მარტოოდნე შეუღლია,  
 მასთან შებმა  
 უნდობარი  
 ბრძოლის ერთი მუხლია —  
 ასე ამბობს:  
 სულ ერთია  
 ჩვენი მთა და სერები,  
 ერთად,  
 ძმურად შეეკავშირდეთ  
 ეკვასიის ერები.  
 არ ვართ ბრმები,  
 მოქალაქე,  
 შენში ნუთუ ექვია,  
 რომ კულტურა  
 კაცის ქამს  
 უკვე გადაეჩვია.  
 დამწეულხარ,  
 ასეთ შშიერს  
 ველურციტ რომ აჰყვება,  
 ორივემ თუ  
 ვაიციანა,  
 ავ თვალს არ ენახება.  
 თუ ასეთი  
 ბრძევი კაცი  
 უშვი თავის ნებაზე,  
 თვით სატანა  
 ახარხარდეს  
 ასეთ ვაინენებაზე.  
 ნუ უყურებ,  
 მოქალაქე,  
 სხვების ცას მოკამარეს —  
 შოუინისტი  
 თავის კბილთ  
 ითხრის თავის სამარეს!

1928



### ბავშვს ღიმილი არ უტრება

ბავშვს ღიმილი არ უტრება  
 და მისი ზრდა  
 მზის ნერვია,  
 ამოოდ გზა ემუქრება  
 და ატომის ენერგია...

მწერტენლო! ბავშვის  
 დაიფარე  
 თვალთა ელვა და გიზგიზი,  
 მისი რწმენა მოელუარე,  
 მისი მღერა და კისკისი.

არ მოაკლდეს  
 ბავშვებს ზრუნვა,  
 არ შეეხოს ქართა ღელვა.  
 რისხეა მათ,  
 ვინც მოისურვა  
 ყვავილების გადათელვა...

თქვენ კი,  
 ვინაც ასე უვლით  
 ჩვენს მომაუილ  
 გმირთ და მტველებს,  
 ქებას გიძღვნით  
 მთელის გულით  
 და მაღლობას  
 უბულწრფელესს.

1949

### ჩვენი ჯარის ძლიერია

ქვეყნად ბევრი არმიია —  
 სულ სხვადასხვა ფერია:  
 ზოგან ლურჯი, ზოგან თეთრი,  
 ზოგან ყორნის ფერია:  
 ნისლში მიღის, გზას ვერ იკვლევს,  
 ხეობებს ვერ ეგნება,  
 რისთვის იბრძვის, რისთვის ომობს  
 არ აქვს ამის შეგნება.  
 შეუგნებელ კაცის ბრძოლას  
 მაღლი როდი ექნება,  
 თუმცე სამარის ბევრი სველი  
 მიწა გაღიბეკნება.  
 ნამღვილად კი მათ დროშაზე  
 მასის ჩაგვრა წერია —  
 თაფიდანვე ამ არმიას  
 ბედი არ უწერია.  
 ჩვენი ჯარი ძლიერია,  
 მაგრამ სხვა სიძლიერით —  
 შეგნებული დისციპლინით,  
 შეგნებული იერით.  
 იცის რომელ მხარეს იცავს,  
 იცავს სისხლით, იარით,  
 მტკიცედ ესმის დავალება  
 მხარის შრომისმიერით!  
 ჩვენი ჯარი ძლიერია  
 და ბრძოლებში მაგარი,  
 რომ დაიცვის პროლეტარულ  
 შრომის ნაამაგარი!

1929

### დარჩენ ძვიშანი

იმ გაზაფხულს საესე ფილა  
 გაღმოიტობა.  
 რა ნიაღვარის იყო გრიალი,  
 რა წყალდიდობა!

მაგრამ დარჩა იმ გარემოიდან  
 რამე ნიშანი? —  
 წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ,  
 დარჩნენ ქვიშანი...

ასწი ფილა, საესე ფილა!  
 აქა მშვიდობა!  
 რა ნიაღვრებმა გადიგრაილა,  
 რა წყალდიდობამ!

რამე თვითეულს გარემოიდან  
 შეგვჩა ნიშანი? —  
 წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ,  
 დარჩნენ ქვიშანი!..

მაგრამ ურიცხვი  
მთელი წყდებოდა,  
მუხა რჩებოდა.  
ასე მუხისთვის  
ღამე დგებოდა,  
ღღე თენდებოდა.  
ბევრჯერ ვიგრძნობდი  
სიკვდილის ბგერას  
და ტანჯვის დუღაბს,

მაგრამ სიკვდილი  
გვაკლებდა ვერას,  
ვით მთელი მუხას.  
მრავალ სიმღერას  
მღერის ქართველი,  
ეს ხმა კი სხვაა:  
იგი მძლავრი და  
მარად ძვირფასი  
ჩვენი მუხაა.

1941

მაინი და მშვიდობა

ჩემი პირველი მღვლეარე ხმა ხუთში გაისმა,  
ლექსი გამოთქვა ანთებულმა წითლად მაისმა  
უმეზნებარესი...

შემდეგ, როდესაც მოგრაილდა ცხრაას ჩვიდმეტი,  
მაისი ჩვენი ბრწყინვალეა, ვით ჩვენი ბედი  
და ასპარეზი!

უტევს მაისი — ვისაც ომის სურს გაჩაღება,  
და თავგადაცვლით ენატრება აჭახუხება  
ტყვიამფრქვევების;

ვალერსება — ვისაც სწყურის ქვეყნად მშვიდობა,  
ისმის ძახილი დამპყრობლობის და გულდილობის  
არმიტევების!

მოდის მაისი, სიყვარული მოაქვს შენდამი,  
მხარეე, რომელსაც გმირული და მსნე ვიეტნამი  
გქვია სახელად!

ახარებს მაისს ჩინებული საქმე ჩინეთის —  
მღერის მაისი, გვიგეთ ის, მოისმინეთ ის  
თვალთვასახელად!

ბრწყინავს მაისის ელვარებით იგი ჩინეთი.  
„წინ! გაუმარჯოს პირველ მაისს!“ — ქუხს კონტინენტი  
ახლის შეგნებით...

ყოველი სიტყვა ქლერს მშვიდობის დიდი ქარტიის,  
სხვა გერმანიის და სახალხო დემოკრატიის  
ყველა ქვეყნებით!

იცის მაისმა — თავის შუბლში მიირტყამს ატომს,  
ვინც სხვის აწინებს და მერე თქვას — რისთვისო, რატომ?  
დიახ, ამ ხმაში



გაახსენდება გზა მბოროტები მწარე ომებით.  
 გაახსენდება დაზვერვები და ატომებით  
 ჟრცები წანტაჟი!

მაისმა იცის — მტრობამ როგორ მაღლა ასწია  
 თავისი პრესის მლიქვნელობა და სენსაცია,  
 მაგრამ ვით სხივი,  
 მაისი მღერის: გინდა სურდეს, გინდ არა „ტიამს“  
 გზა განუხრელი ისტორიის — თან მისდევს მაისს  
 ლოკომოტივი!

მაისი ხედავს მისწრაფებას ბნელსა და მალულს,  
 დიპლომატიას ტოტალურს და ირატოტალურს  
 იუდას, კაინს!

იქ ვატიკანის შავი გულიც თუ აგეთია,  
 გავარვარებულ საბერძნეთის ღრმა ტრაგედია  
 აღელვებს მაისს!

მშვიდობისათვის მოძრაობა უფრო იზრდება,  
 საყოველთაო ის მიზანი სძლეეს, განმტკიცდება  
 დიდი მშვიდობა.

მშვიდობის ჩანგია, რა თქმა უნდა, მდიდარს არ უნდა.  
 მისი ჩანგია, ბორკილები თუ აცლარუნდა  
 და ბედითობა!

ხალხი კი მაისს ეგებება მფეთქავ გულებით,  
 „ინტერნაციონალის“ ხმამაღალი აგუგუნებით,  
 მოსულს მზისაგან...

ხალხის, რომელსაც მშვიდობისაკენ უჭირავს თვალი,  
 დღეს ერთი ხმაა: „ვით გვიძლოდი, გვიძლოდე, სტალინ,  
 მშვიდობისაკენ!“

1950

მშვიდობისათვის

გავკაფოთ გზა მშვიდობისა.  
 გზაზე მშვიდობით ვიაროთ,  
 მშვიდობისათვის გულისთქმა  
 ერთმანეთს გაუფხიაროთ!

დიდი მშვიდობისაკენ  
 შურება ჩვენი დილია,  
 მომავალ კაცობრიობის  
 ის გამძლე გზა და ხილია.

ხმა აღიმაღლე, მსოფლიოე,  
მტრისთვის პასუხისმგებელი,  
ვაშა მშვიდობის მძიებელს,  
ძირს ომის გამწაღებელი!

მშვიდობა თქვენდა, ქვეყნებო,  
მომავლით უდასასრულო!  
აქა მშვიდობა, სამშობლოე,  
გზა მშვიდობისა, წარსულო!

მამე, მშვიდობისთვის იბრძოლე,  
პირველად ის აღიარე,  
თუ ომი გადაიხადე,  
აწ მშვიდობის გზით იარე!

ხმა აღიმაღლე, სამყაროე,  
მტრისთვის პასუხისმგებელი!  
ვაშა მშვიდობის მძიებელს,  
ძირს ომის გამწაღებელი!

რა კარგი რამ ხარ, მშვიდობაე,  
მოპოვებული ბრძოლითა,  
მშვიდობიანო შრომითა,  
სიესეე სინათლის ქროღვითა!

იმა სინათლის აღმუროთ  
მთელმა მსოფლიომ იალოს  
და ღიდი ბედნიერების  
დროშები ააფრიალოს!

ხმა აღიმაღლე, იბრძოლე,  
იყავ პასუხისმგებელი!  
ვაშა მშვიდობის მძიებელს!  
ძირს ომის გამწაღებელი!

მალე ჩვენ ვიტყვით: კარგ ბედით,  
მიწის ხმით, ცის ვარსკვლავივით  
გზაზე მშვიდობით გავედით,  
სამშვიდობოზე გავედით!

გაეკაფოთ გზა მშვიდობისა,  
გზაზე მშვიდობით ვიაროთ!  
მშვიდობისათვის გულისთქმა  
ერთმანეთს გაეუზიაროთ!

1950

რძრდრ, მშმმმმმმ


კვლავ კიდევ  
და კიდევ  
ახალდ  
ზნელს რიდრ!  
იდიდრ,  
მშმმმმმმმმ,  
იდიდრ!

გრდრმმლს სცემდრ  
თუ მკიდრ,  
მუნანათს  
შემს ჰვრრდრ!  
იდიდრ,  
მშმმმმმმმმ,  
იდიდრ!

მთის კიდრდ,  
ზლერს კიდრდ  
სახალზო  
გმირთ ზრდრდრ!  
იდიდრ,  
მშმმმმმმმმ,  
იდიდრ!

სინათლის  
სიწმინდრს  
ვარდრბად  
გვრწვდრდრ!  
იდიდრ,  
მშმმმმმმმმ,  
იდიდრ!


1953





ბადანახული

ღრუშები



### ბადანახული დროშები

ვდგავარ კლდეზე... მწუხარების  
პლიერია ფიქრთა დენა.  
სადღა არის ის სასახლე,  
აქ რომ ხალხმა ააშენა!  
ის გადისწევს... და გრიგალი  
ფერფელს მიაბნევეს ზენა, ქვენა,  
საძირველიც ოღნავე ჩანს,  
წახდა... მორჩა, მოისვენა...

ვდგავარ კლდეზე — აქ ოდესმე  
ბალი იყო სანეტარო.  
გადამხმარა ჩვენი ბალი,  
ამომშრალა ჩვენი წყარო.  
ვამბობ: „ვაი, ჩემო ბალო,  
ვაი, უბედურო ქნარო“...  
მხოლოდ მკენარი ფოთლებია  
და გრიგალი უსახლკარო.

ვდგავარ კლდეზე. შემოდგომის  
დღე მაგონებს სხვა გაზაფხულს.  
აქ დროშებით უმღეროდნენ  
რწმენას მათზე გამოსახულს.  
ვდგავარ კლდეზე და ვდარაჯობ  
დროშებს, მრავალბრძოლიანახულს,  
დროშებს, მომავალისათვის  
საიმედოდ გადანახულს.

1908

ახლაც თელწინ იგივე  
ათას ცხრბას ხუთია —  
მახსოვს, როცა ქალაქებს  
ცეცხლმა შემოუტია,  
და დამარცხდა დროებით  
დროშა სისხლით ნაღები,  
დაცხრა რევოლუცია,  
დაცხრნენ ბარბაცადები.  
მიგრამ გმირმა დაქრილმა  
იმ განწირულ გზიდანა  
დროშა მტერს არ დაუთმო  
და ჩვენ გამოგვიტანა,  
და ის კენესით ამოზღადა:  
აბა, ჩქარა ცხენები!  
იმ მთის იქით, ტყის იქით  
რომ არიან ჩვენები,  
დროშა გადავუტანოთ  
მრავალბრძოლანახული,  
საიდუმლოდ, დროისთვის  
ჰქონდეთ გადაიხალღი.  
და ჩვენ ორი იმ წამსვე,  
ლამის ფრთხილი ფიქრით.  
ძვირფას დროშის ამარა

ბნელი ღამით მივქრივართ...  
ბნელი ღამით მივქრივართ,  
მწარე სურათებია:  
დამსჯელ რაზმებს სოფლისთვის  
მიუტურადებია —  
გზაზე სახლი, ბეღელი,  
ყველაფერი სრულიად  
გამხეტებულ ილისგან  
განადგურებულია.  
ბნელი ღამით მივდივართ.  
მწარე სურათებია.  
დამსჯელ რაზმს შევეტყუევიართ,  
დაუყურადებია:  
„ჩუ, ვინ მოდის? ესროლეთ;  
ისინია? ისინია!“  
ყურთან, თავზე, გარშემო  
ისმის ტყეის სისინი...  
ჩვენ მივუშვეთ სადავე,  
მოვიხარეთ, აი, და  
ამ ტრიალო მინდვრებში —  
ჰაიდაა! ჰაიდა!  
ჰაიდა!..

1927

### პირველი მაისი

პირველი მაისი,  
პირველი მაისი,  
პირველი მაისი  
მოვიდა ამაყი —  
წითელი ყაყაჩო  
თუ იასამანი,  
ხავერდის ვარდები  
და თეთრი ზამბახი...

მეფეს კი, მეფეს კი  
ქართ და გრიგალით.  
თითქო არაფისა  
და არარაისი,  
ციხეში, ბორკილში,  
შიშშილში, ომებში  
სურს ჩაქლის მუშათა  
პირველი მაისი.

დრო მოვა... და ისევ  
პროლეტარიატი  
მაისის ვარდებით  
სიცოცხლეს აივსებს.  
სალამი იმ დღეებს,  
სალამი იმ ბრძოლებს,  
იმ ნათელ გაწევას,  
იმ პირველ მაისებს!



### ატმის ყვავილები

რტოებში ავობს ბებერი ქარი,  
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.  
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,  
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

და ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს,  
ვარდისფერ ღილებს შეატყო გრჯოლა,  
ფრთა დაატოლა გაუსულელ ღილებს,  
დაწვედა ბილილებს და აათრთოლა.

ატმის ხე იღვა თაიფულივით,  
იქ მას მიღვეით უთრთოდა სული,  
შორით მოსული გაზაფხულ-სხივით  
და ნამთა მძივით გარემოცული.

ატმის ხე იღვა, ვით ნაზი ქალი,  
ვით ღვედოფალი უტხო მხარეში;  
სინარნარეში სწევდა მზის ძალი  
და გრძნობათ ალი სიმწუხარეში.

ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,  
როცა ღელავდა მზით აღჭურვილი,  
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა  
და ხშირად მწევდა ტრფობის სურვილი.

მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი  
და ფრთა მელგარი შემოახვია,  
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,  
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.

როგორც პებლები მშვიდი და ფრთხილი,  
შემდეგ აშლილი და აფრენილი —  
გადაცვნილი ატმის ყვავილი  
იყო დაღლილი და მოწყენილი.

ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა —  
მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიკი,  
ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა  
წითლად დაჰფარა ბალის ბილიკი.

ბალის ბილიკზე მიედევარ და თან  
გაძრცვნილ ატამთან ზღვები გროვდება,  
სალამოვდება და მზის ჩასვლასთან  
თანდათან მწუხრი მიახლოვდება.

მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?  
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი,  
მეფობს საკედლი — ქნობის მსურველი!  
გაქრა სურნელი, დაქცა ყვავილი!

1915

### გულში ცეცხლია

გულში ცეცხლია, ტყეშიც ცეცხლია  
მიუდგომელი, გაურკვეველი,  
უჩინარია, სანამ სიჩუმით  
გარემოცული არის ტყე-ველი.

მაგრამ, როდესაც ყაჩაღურ სტვენით  
აგრიალდება მინდვრებში ქარი,  
ცეცხლი იფეთქებს, ტყეს მოედება  
დასწევას, დანაცრავს დაუდგარი.

ჰანგთა სისწრაფეს და სიძლიერეს  
ნუ მომაგონებთ ძველი რიცხვებით.  
ჩვენ რასაც ვმღერით, მას გული მღერის,  
ისევ ცეცხლოვან თავდავიწყებით.

1916



ბუარდის მთებზე

წინ, მიეტლევ!

ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!  
მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე,  
მსურს, რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა  
ოკეანე...

წამიყვანე!

მთები! რიგორ ჰშვენივს მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი,  
როგორ ჰშვენივს ველზე ნამი, გამჭვირვალე, როგორც ბროლი.  
ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,  
რომ ანგელოზს დანახავს მოდარავე კაცის თვალი.  
კიპარისი ისე ღელავს, ისე ღელავს, ისე ღელავს,  
ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს...  
წყარო, კლდეში მოჩუხჩუხე, წვეთანაკარა, ვით ცის ვნება,  
დაფნის ბუნქთა მწვანე ჩარზოს ეომება, ეხეთქება.  
და ჩანჩქერი მთით ნახსლეთი, დაფერილი დილის სხივით,  
ძირს ეშვება და იფრქვევა და გადადის რძის ქაფივით.  
ვდგავარ მთაზე... და სიჩუმის ილუმალი მესმის ენა,  
და მიტაცებს სწრაფი ფრთებით პოეტური აღმადრენა.  
ვხედავ სურებს, ვხედავ დაუნარს, ვხედავ მღუმარ ნასაკირაღს,  
ვხედავ სოფლებს სიცოცხლისა, განახლების თვალთ მზირაღს.  
ჩემად! ვილაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტყბილ ხმაში!..  
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,  
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ეინი, ბრძოლის ქარი,  
არსად ისე არ გადმოხეტქს უკმარობის ნიაღვარი,  
და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით,  
ისე ცეცხლით, ისე ეინით და იმგვარი ვატაცებით,  
ვერსად ისე ვერვინ გაგხევეს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,  
როგორც ლერწამქალწულები — აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში!

და, მიეტლევ,

თუ მათ აღერსს ვერ ველირსე, გეთაყვანე,  
საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე...  
მაშ გარტყე ეგ ცხენები,  
საღმე შორს, შორს წაიყვანე,  
გამაქანე,  
გამაქანე!

არა სასახლე,  
ოჭროს ჩარდახი,  
სიმღიდრეების  
რომ სადგურია,  
შენი გურია  
არის პარტახი.  
პალიატომი  
არის გურია!

არა დათმობის  
გზა საზიზღარი,  
არა დანდობა  
და შერიგება,  
არამედ ბრძოლის  
გვინდა ცისკარი,  
გმწუწურია შეგმა  
და შურისგება!

მის წასაკირალს  
სახალხო ჯანყი  
აღძრავს, აღლუგებს  
და აპირქუშებს,  
მისთვის მებრძოლი  
ჩაგრული ხალხი  
ვერ თვლის კრილობებს,  
ველარ იშუშებს!

უნდა გაირღვეს  
ეს გარემოცვა...  
ძირს შეფეხები,  
ყენი, თაშა!  
მიმაგაღს წასვლად  
გზათა დალოცვა,  
მომაეღას ჩვენი  
მხურვალე ვაშა!

1914

### შავი ყორანი

გზა გავიარე... მსურს მოვიხედო  
და დავინახო მთისა ქედები;  
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:  
„ნუ იხედები... ნუ იხედები!“

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო  
გასაფლელი გზის სივრცე უცვლელი;  
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:  
„შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!“

მაგრამ სადა ვარ? გზა იღარა ჩანს,  
ამ სიბნელეში გაქირდა გავლა;  
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,  
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა...

გადაიფრინა და მომაგონა  
დრო, უბედობის გვერდით მხლებელი,  
ქაჩი — ყველაფრის მქნელ-გარდამქნელი,  
სივრცე — ყველაფრის მიმტევებელი.

1911



რბ მშენიერი იყო ნამი

... რა მშენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე!..  
მზე სხივს აფრქვევდა. ათასფერად ღვიოდა ნამი.  
შიგ იხატვოდა, როგორც ამაყ ზღვათა უწყსრულზე,  
ზეცის მშენება, ზეცის სხივი, ზეცის კამკამი.

...რა მშენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე!  
ცა ვარსკვლავებით მოჭედელი ზე დასცქეროდა,  
თითქო ცის შვილის ყოფნას ვარდზე და სიყვარულზე  
განცვიფრებოდა — თვალს ლულავდა, არა სჯეროდა...

დღეს აღარ არის! წაპყვა მზის შუქს აფერადებულს,  
დალია სული სიყმაწვილის ნაზ გახაფხულზე,  
მაგრამ მკოსანი კვლავ იგონებს მის ნეტარ წარსულს...  
...რა მშენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე!

1913

მე დავიბადე განთიადისას

სხივი ტალღებში

მე დავიბადე განთიადისას,  
როცა მთის წვერზე დილა მისის  
თვალებს ახელდა... და ნაზი იყო  
ელვა-ელფერი მტრედისფერ სიერცის...  
შემოდგომაზე, მახსოვს, ვიბრძოდი,  
ცხარედ ვიბრძოდი ყმაწვილურ ჭინით.  
მაგრამ დაცინვით მომიკლეს რწმენა,  
და ძირს დავემხვე კენესა-ქვითინით.  
ეცხოვრობდი ზამთრის ყინვა ქარბუქში,  
სსოვნა არ იყო ჩემში ზაფხულის,  
და ნელა-ნელა მიჰქნობდა დღეებს  
სიცივე სულის, სიცივე გულის.  
დღეს კი, როდესაც შავი ბურუსი  
მისპობს და მიკლავს ოცნების კუთხებს,  
ჩემ გაჩენის დღეს ვწყვეტი იღუმალს  
და ელოცავ ყოფნის აღსასრულის დღეს.  
ბნელი ღამეა... მაღე ინათებს. .  
ჩქარა, სიკვდილო, ოპ, გვედრები!..  
გადმოვივლინე ტკბილი ოცნება,  
გადამათარე შეგნელი ფრთები!

სულ ერთი არის, სულ ერთი არის,  
უნდა ვიშრომოთ, წინ მივიდიოდეთ.  
გუშინ ცხოვრება არ გვიბრალებდა  
და გზა მოუტული იყო წყვილიადით.  
წყვილიადი იგი გადაიფანტა,  
სხვა აღტაცება მოვიდა ოდეს,  
პოეტის მარად, დაუღალავად  
უნდა შრომობდეს, უნდა იბრძოდეს.  
გვიხმობდა ცეცხლი და აღელვება,  
ის გვიხიბავდა სულ ახალ მხარეს,  
სადაც უწყსრულში შთამბერებტი ცქერით  
წინასწარ გრძნობდნენ ხანას ელვარეს.  
შენ გადალახე ბრძოლით მთა-ბარი,  
თავისუფლება დიდხანს ეძებე,  
შენ არ ყოფილხარ ცის თანაბარი,  
არც უსაგანო და მეოცნებე.  
შენ არ იცოდი გზაჯვარედინი,  
ველინებოდი მტერს დამამხობლად,  
შორს რომ მოჩანდა გზა სასურველი,  
ახლა იგი გზა არის მიხლობლად.

1915

1927

ტოკავს ქარი, ნაზ-ნარნარი, და დაფნარი ტოკავს. ტოკავს...  
და ზღვის ტალღა, ტალღა ჩქარი მათფრი ღრენით სალ კლდეს ლოკავს...  
ჰორიზონტი ალისფერი, ჰორიზონტი ცის ფერადის,  
ზღვიდან ცამდის, ციდან ზღვამდის მზის აღმუერი ჩადის... ჩადის!

ვღგავარ მთაზე, ვღგავარ მარტო, ვღგავარ ერთი, ვღგავარ ობლად...  
შორეული არვინა ჩანს, არვინაა არც მახლობლად.  
მხოლოდ ერთი იალქანი, ვით დამის ფრთა გარბეული,  
დაჭანაობს ქარისაგან დაფლეთილი, დახეული...

ჩუ, ძახილიც ისმის ზღვიდან: «ვილუბები, ჰაუ-უუ... ნავი!»  
აღბათ, ვინმე ილუბება... ზღვია კუბო და საფლავი.  
და ზღვა ხარობს... ზღვის უფსკრული თავგანწირულ მებრძოლს ელის...  
მაგრამ აქ თავს ვინ გასწირავს? ან შენავეს ვინ უშველის?

ვინ გაიგებს მომავლადის განუსაზღვრელ ბოღმა-ნაღველს?  
ვინ რას ეძებს გედის ჰანგებს — სხვა ოცნების გამომსახველს?  
სად არიან შეგობრები, ნუთუ ყველა ზღვამ დაჰფარა?..  
ზღვაზე კაცი ილუბება, შველა უნდა, ნავი, ჩქარა!

მაგრამ კმარა! აღარ ისმის არც ქვითინი, არც გოდება,  
დაიღუბა! სივრცემ შთანთქა ის ამაო მოწოდება...  
ტოკავს ქარი, ნაზ-ნარნარი, და ნაძენარი ტოკავს, ტოკავს...  
და ზღვის ტალღა, ტალღა ჩქარი, სალ კლდეს ებრძვის — ღრღნის და ლოკავს!

1912

### მკაცრია ამ დროს

უეცრად ტალღა აღშფოთებულნი  
ქუხს და გრიალებს,  
ზღაპრული ნგრევა აგორებულნი  
ფრთებს ატრიალებს.  
ჩიხსება ქაფს იყრის და მრისხანებით  
ჰაერში არხევს,  
ვით ცეცხლის მარცვლებს, საზარელ სმებით  
შიშის მთებს არყვეს...

გაღახვეული აფრა ანძაზე  
მიმოფრიალებს,  
სტიქიის სული განვაშებს ზღვაზე,  
ღრეობს, ღრიალებს:  
ვერა, ვერ ითმენს იგი მონობას,  
ყოფნასთან აფთრობს —  
ომში, გრივალში, ათავსებს გრძნობას...  
მკაცრია ამ დროს,

1911

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს —  
 ზამთარს ბილიყი დაუტანია...  
 „დიდი ხანია?“ — მივმართავ ტყეებს,  
 და ტყე გუგუნებს: „დიდი ხანია“...

შეხაესებია კლდეები კლდეებს,  
 იქ ვილაღ კენესის დიდი ხანია.  
 „ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს,  
 და ტყე გუგუნებს: „ამირანია!“...

ეს მძაფრი კენესა მიწამლავეს დღეებს,  
 ის გული ისევ ჩემი გულია...  
 „დაკარგულია?“ — მივმართავ ტყეებს,  
 და ტყე გუგუნებს: „დაკარგულია“...

შეხაესებია კლდეები კლდეებს,  
 იქ ვილაღ კენესის დიდი ხანია.  
 „ამირანია?“ — კვლავ ვკითხავ ტყეებს,  
 და ტყე გუგუნებს: „ამირანია!“...

გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,  
 მზე ჩაეა, ჯერ კი შორსაა ბინდი...  
 ფერები ქვერი ირევა ბეერი,  
 ლაღების ტვერი — ლილა და შინდი...

ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით,  
 და ცა ალუბლით სავსეა... კმარა.  
 ყვაილთა ციდან კალათებს სცლიდნენ,  
 დარიალიდან ზარავდა ზარა...

სულ ერთი წამით, განსაცდელ ქამად,  
 შეხვედრა ჩემი მე შენად მერგო.  
 მოგონებები, რაც ჩემს გულს ანთებს,  
 იმ ძვირფას ლანდებს გადაეცე, თერგო!...

1915

ს ვ ა მ ი ლ ე ბ ი

ყვაილეებისას გვირგვინებს ვწნავდი,  
 სატრფოს საფლავეზე მიტანა მსურდა...  
 უცებ ნიაგმა წამომიჭროლა...  
 რისთვის წამართვა, რატომ შეშურდა?

მინდვრად ყვაილთა კონა შეკვარი,  
 ჩემთვის გვირგვინის შეკონვა მსურდა,  
 ოცნება იყო... და სინამდვილეშ  
 ესეც წამართვა, ესეც შეშურდა.

კუბოს ფიცრები ყვაილით მოვრთე,  
 გულში კაეშანთ გუნდი აცურდა...  
 სიკვდილს ვეჭებდი, ის არსად ჩანდა...  
 ყვაილიც ჩემთვის მას შურდა, შურდა.

ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვაილი  
 რომ დამბარე, ვერსად ვერ ვპოვე,  
 ბედნიერება ჩემთვის არ არის,  
 ბედკრულობ შეილი გამომიგლოვე!

1911



### არწივებს ჩასძინებოდათ

ჩასძინებოდათ არწივებს,  
 თვლემდნენ მუხათა ტოტები,  
 ბნელ ღამეს ააქარცივებს  
 მკვიანი მკვიოტები.  
 არწივებს ჩასძინებოდათ,  
 ბედი არ თვლემდა ცბიერი:  
 შორით შორს ალი ჩნდებოდა,  
 ცეცხლი გორავდა ძლიერი.  
 ტყეს ცეცხლი ეკიდებოდა,  
 როგორც მნას შემოდგომისას.  
 არწივებს ჩასძინებოდათ,  
 სიზმრებს ხედავდნენ ომისას.  
 ცეცხლი, ხავსებით დახალულს,  
 გზებს აღით შემოამძივებს,  
 იქ გაჩნდა, სადაც დაღალულთ  
 ჩასძინებოდათ არწივებს.

გამოეღვიძით არწივებს...  
 ცეცხლი! — შესძახეს წივილით,  
 ცეცხლი! — მიდამოც გასწივის,  
 ცეცხლი! — ტყე ამბობს ტკივილით...  
 არწივებს გაკიდებული  
 ფრთებს ცეცხლი გადაეყარა,  
 ფრთებზე ცეცხლწკიდებული,  
 შორით გაფრინდნენ ვეღარა.  
 იქვე დაეცნენ სამზირად...  
 გულს თუმც გაფრენა სწადიან,  
 დალილნი, არაგვის პირად  
 ფრთადაკიდულნი დადიან:  
 „არწივი ენახე დაჭრილი,  
 ყვაე-ყორნებს ეომებოდა,  
 ეწადა ბეჩავს აღგომა,  
 მაგრამ ვეღარა ღგებოდა“...

1916

### შავი ღრუბელი

სქელი ღრუბელი,  
 შავი და ბნელი  
 სამშობლო მხარეს გადაეფარა,  
 სხივთა მფენელი  
 მზისა ნათელი  
 ჩვენ სანუგეშოდ ჩანდა აღარა.

მაგრამ რა გააქრა ელვამ სივრცეზე,  
 მიკლავნ-მოკლავნ თვისი სხივები,  
 სამარადისოდ შე მომეჩვენა  
 გარდმოვლენილი ცით ნაპერწკლები.

ელვა მსწრაფლ გაქრა,  
 ისევ დაფარა  
 სამშობლო მხარე უკუნმა ბნელმა,  
 ცას ცრემლები სდის,  
 ტირის მარადის,  
 გული წაიღო ისევ ნალექმა!..

1908



თბევანწირულად მინდორ-ველად  
მიმატრენს ცხენი.  
გზაფუხელია... სიო დაჰქრის  
კილითი კიდე;  
მზე სხივებს აფრქვევს, ქვეყანაზე  
შვების მომთენი,  
არე-მიდამოს ლეთებრივი  
ატკობს სიმშვიდე.  
ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე  
ვერც სიტკბოება,  
და ვერც რაიმე სასიცოცხლო  
და სანეტარო.

დაჰქროლე, ქარო... მე არ მიყვარს  
ვგ მყუდროება,  
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,  
დაჰქროლე, ქარო!  
ბედნიერებას მე არ ვეძებ  
ამ ქვეყანაზე,  
შვების ძებნაშიც ვტყუებდებოდი  
ქვეყნად ყოველთვის,  
და, დეე, მოვეკედე, თუნდ ვიცოცხლო  
ქარიშხლის ხმაზე,  
როგორც მოხდება... ყველაფერი  
ერთია ჩემთვის!

1909

უკმარობის ნიაღვარი

სიცოცხლეო, როგორა ვქნა,  
თუ კი ღელავს გულში გრძნობა —  
არ აფუხსნა სიხარული,  
არ შეეჩიელო უკმარობა?  
ო, დაჰქარი. დაჰქარი ჩაქუსს,  
თავს ნუ იგრძნობ ახლა ობლად.

რომ აენტოს ნაპერწკლები  
აღელვებულ წუთისოფლად.  
ცეცხლი ცეცხლზე გადინდება,  
დაუბერავს მცაცრი ქარი,  
და მოივლის ყოველ მხარეს  
უკმარობის ნიაღვარი.

1929

ბავრი ჩიხი, ბავრი ხეშული

ჩვენ მივდიოდით, ჩვენ მოვდიოდით,  
როგორც ტილღები ზღვაზე რხეული.  
ვიდოდით ბნელში, ველოდით ბრძოლას.  
ბევრი ჩიხი და ბევრი ხეშული  
გადაგვილახავს, ბევრი სიკვდილი,  
ბევრი შეცდომა და დაბრკოლება,  
რომ შემდეგ ისევ გადარჩენისთვის,  
სიცოცხლისათვის გვემღერა ქება.

1929

სიცოცხლის გმეხვენი

ხელში გეპიროს სიმართლის თასი,  
მასში მტყენები გრძნობის ჩასწურე.  
რასაც არა აქვს სიცოცხლის ფასი,  
დალწე, დასწე, გაანადგურე!  
ხელისშემშლელი გაჰკეთე ბინდი,  
ხავსს განშორების ცეცხლი აპქურე,  
გათენებათა იყავ რაინდი —  
დასწე, დალწე, გაანადგურე!

1930



### ოცნება კლდეზე

ცა ვარსკვლავებში შემოიჭედა,  
 წყნარად აცურდა ნარნარი მთვარე.  
 ძილს მისცემია მშვიდი მინდორი,  
 და დაფიქრებით დგას მთა მდუმარე.  
 როცა ნიავე მთით მოწყვეტილი  
 ტყის მწვანე კალთებს შეებარება,  
 მაშინ ირლვევა გამეფებული  
 მკვდარი სიჩუმე და მდუმარება.  
 მე მომეჩვენა, ვითომ ოცნებას  
 თავისუფლების შესხმოდა ფრთები.

მე ახლაც ნახსოვს მისი მშვენება.  
 მისი ღიმილი, მისი თვალები.  
 სად გაქრა-მეთქი — ვკითხავდი ნიავს  
 და შორს გაგებედ მთების მწვერვალებს;  
 იქ, კავკასიის კლდეზე, ვამჩნევდი  
 მოღლილ-მოქანცულ და მიმქრალ თვალებს.  
 ოცნება კლდეზე მიჯაჭვულიყო,  
 ოცნება სისხლში თრთოდა და კენესდა,  
 სქელი ღრუბელი თავს ევლებოდა,  
 და ყოჩიანთ გუნდი მის სხეულს სწეწდა.

1912

### კ ო ლ ხ ი დ ა ვ ი

იქ ნაკადული მთის კალთიდან გადმოჩქრილებს,  
 იქ დიადემა მთის მწვერვალთა მზეზე ბრუკვილებს.  
 იქ ფრინველთ ჰანგში ჩაქსოვილა ლხენა და შვება,  
 იქ ყრიაშული ცის კამარას ეთამაშება.  
 იქ ბუნებაა, ჩემო კარგო, მხოლოდ ბუნება,  
 იქ არის მხოლოდ სანატრელი თავისუფლება.  
 იქ ტყვედქმნილთა მზე—ოცნებაა, სხვა არაფერი.  
 ის კი ფრთას გაშლის უზრუნველი და ბედნიერი.  
 მუზა იქ ცხოვრობს, პოეზია მეფედ იქ არი,  
 იქ გესმის ასულთ მწუხარე ხმა ნაზი, ნარნარი,  
 დაუგდვ ყური, შენ მოისმენ ჰანგსა ნალღვიანს...  
 იცი, რა აკრთობს, რა აწუხებს იქ აღამიანს? —

„თავისუფლება დაგვარგეთო, თავისუფლება,  
 შეისმინევი, ჰე, ბუნებაჲ. მუდარა ჩვენი!  
 გრძნობა გვეკარგვის, სული მფოთავს, გული წუხდება —  
 რად არ წყდება ჩვენი კენესა, ტანჯვა ესდენი?  
 მზე დაგვქათთებებს... ყვაილთ გუნდი გველერსება,  
 ტანჯვა არისო ყველაფერი მოსავონებლად,  
 თავისუფლება აღარა გეაქვს, თავისუფლება!  
 იტირეთ, ძმებო! ცრემლი დაგერჩა მანუგეშებლად“.

როს ვფედვ ყურს ამ ამოძახილს, მეც ვიტანჯები,  
 ფქრი გულცივად და თან მშვიდად მესაუბრება:  
 „მითხარი, რისთვის ნეტარებენ საშობლო მთები,  
 მითხარ, რად ცელქობს ფრთავაშლილი ტურფად ბუნება?“.

1909



მიმღმირ რამე!

როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის  
 დარჩა ჩემს გულში წარუშლელი და მოკამკამე.  
 იმას იგონებს დაღონება დაღალულ გულის...  
 იმ სიყვარულის მიმღერე რამე!  
 ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიციოცხლის დილის  
 ბურუსებს იქით ვადიარვა... როგორ ვეწამე!  
 ახლა თავს მადგას მკმუნვარება მომავლის ჩრდილის.  
 იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე!  
 დიდი მიზანი, ბრძოლა იყო ახალ დღეების,  
 არ დაეცემულივარ, მაგრამ გესლით მე მოვიწხამე.  
 აი, ნაყოფი ქარიშხლიან სიციოცხლის ვნების.  
 მე იმ ბრძოლების მიმღერე რამე!  
 ახალგაზრდათა ბრძოლის შემდეგ დაუძლურების  
 და წარუშლელი მწუხარების გავხდი მოწამე,  
 მოწამე გავხდი ცეცხლისა და ჯანადგურების...  
 გემუღარები მიმღერე რამე!

1910

ნ ბ ე უ ს

მინც სწამდა ბამარჯმება

ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში,  
 გრგვინვა-ქუხილში, კენესა-წუხილში  
 ფრთხილად მოისმის ბულბულის სტვენა,  
 ნაზად, ნარნარად, ისე ვით ძილში.  
 ხანდახან მტვრიან ქალაქის ქუჩებს,  
 სადაც ქვითინებს და კენესის ყველა,  
 როგორც ჩვენება გასაკვირველი,  
 ფრთხილად აპყვება თეთრი პეპელი.  
 ასე, ნუგეშო, ჩემს მშფოთვარ ყოფნას  
 შენ მოუვლინე სხივი პირველი,  
 როგორც სიმღერა მოულოდნელი,  
 როგორც პეპელა გასაკვირველი!

მრავალისთვის მკაცრ ბრძოლის დროს  
 გაუგმირავთ ტყვიით გული.  
 გმირს სიციოცხლე შეუწირავს.  
 რომ დაეხსნა ძმა ჩაგრული.  
 მრავალს სოფლის უკულმართი  
 ბრუნვა ვერას აზინებდა,  
 დლით არ თვლემდა შურისგება  
 დღამით არ აძინებდა.  
 მრავალს ჰქონდა წინაგრძნობა,  
 რომ სიკვდილს ვერ გადარჩება,  
 მაინც იღვა ბრძოლის ველზე,  
 მაინც სწამდა გამარჯვება!

1912

1927



შინადა-შინადა

შე ახ ყველაფერს ვატარებ

ძე ხომ სხვა ვარ — დღე ცისმარე  
მხვეილს ვფერავდი;  
შენ კი გჭონდა დღეთ სიზმარი  
ფერად-ფერადი.

მიყვიარს ამ ხმის გავონება,  
რადგან ვერათი  
ვერ წავეწაღე მოგონება  
ფერად-ფერადი.

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი  
ბედისწერამდი,  
სიღ არ დამდევს მისი ჩრდილი  
ფერად-ფერადი.

იყოს ისე, როგორც დარჩა  
ამიერამდი —  
ჩემთვის ძონძი, შენთვის ფარჩა  
ფერად-ფერადი.

ო, ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,  
რომ სულ დავმარბე ოცნება წრფელი —  
განადგურების ეკლიან გზაზე  
გულს ბევრი რამ აქვს ხელუხლებელი.

ველი, ვიბრძობ... მე ამ ყვეალებს  
ვატარებ, სინამ მექნება ძალი,  
რომ არ შეეხოს მას სისასტიკის  
ხელი შავნული, ხელი მუხთალი.

და მუდამ გულში გავზრდი იმ იმედს,  
რომ სადაღე არის ისეთი მზარე,  
სადაღ ედემი ჰყვავის მზიანი,  
სადაღ არ არის სული მწუხარე.

წინ მელის ბედი... რაც იყო — იყო,  
ის წარსულია განუქრნელი...  
ხელუხლებელი გულს ბევრი რამ აქვს,  
სულს კიდევ დარჩა ოცნება წრფელი...

1912

პ ო რ ტ მ ტ ი

თავბრუდამხვევი იყო წამები!  
როგორც მზურვალე კოცნა პირველი,  
მე სიყმაწვილეს არ ვეწამები:  
რომ იყო ცივი და გამწირველი.

მე არა ერთხელ მინახავს ვაჟი,  
რომელიც მღერის ცეცხლის მოდებით,  
ცისფერ ხომალდით მიცურავს ზღვაში.  
ზღვა კი ვრიალებს თავგამოდებით.

და ვენახები, მოსილი ვაზით,  
საწინახელების ლურჯი ნავებით,  
ვაჟი, რომელიც ღვინოს სვამს თასით,  
თასი კი ელავს საწამლავებით.

თქვენ არა ერთხელ ისინდით ამბავს  
ვაჟისა, ღამით რომ არ იძინებს,  
სიგაჟით ყნოსავს ვარდებს და ზამბახს,  
სადაღ ღამე და გველი სისინებს.

ო, ვინ გაიგებს გაუგებარ დარღს,  
ფიქრებს მღელვარეს, ენებას მღულარეს!..  
ვაჟი, რომელიც გულზე იბნევს ვარღს,  
ანდა მუსიკას ისმენს მწუხარეს.

ის, ახალგაზრდა, მიღის სცენაზე.  
მაგრამ მკორე ფანჯარას აღებს  
და გადაჭურებს გამოფენაზე  
მთვარით დაფერილს მინდვრებს და ბაღებს.

მის წყველად მისდევს აგერ მრავალი  
ხელისა ფენა და ტამბაცემა,  
მისი ცხოვრება გარდამავალი  
უენახესი არის პოემა.

ახლა ის მიჰკრის შიშველი ხმალით!  
მეორე ედებს სიცოცხლის ძალას,  
მაგრამ მოკლული ოცნებით მალით  
დასცქერის წიგნს და ხელ თავის ქალას.

ცხოვრება გასწყრა და გააღჭაჯდა,  
მინდვრებში გატყუდი ოცნება მწყემსისი,  
ის ბორკილებში ზის, ახალგაზრდა,  
ის, ახალგაზრდა, ციხეში კვენისის.

ან, მოწამლული, დაეცა ბაღში,  
ან, თავის მკვლელი, იღებს რევოლვერს.  
და მხოლოდ ღამე თავის წიაღში  
საიდუმლოსთვის იწყევს ორივეს.

ახლა ის მიჰპრის ხრიოკზე ცხენით,  
შუბლი მოკული აქვს მღვრიე აზრით.  
ის გადისროლა მერანმა წყენით  
და ბილიეგზე მიათრევს ბაწრით.

იგი სვამს ღვინოს, ვით ქარს და წვიმას,  
მზე კვლავ უყვარდა, გზა არ დალოდა.  
მოშორდა თოვლებს, გასცდა ცუსიმას  
და ბარიკადებს მიუახლოვდა.

1909

### სინამდვილეში ოცნებისას

დაე, ვცდებოდე, მატყუებდეს ოცნება ჩემი,  
აუსრულებელ იმ ოცნებებს კვლავ მივეცემი.

ჩემს შორ გაზაფხულს უღარაჯებს სიცოცხლის ვენება,  
იმ შორ გაზაფხულს, ძლიერად რომ გამობრწყინდება.

სინამდვილეშიც ოცნებისას ავანთებ კანდელს,  
იმ შორ გაზაფხულს ფეხქვეშ ვუგებ ყოფნას დღევანდელს.

1908

### მხოლოდ იღვა

ვანა ჩვენ გესურდა ქვეყნად სიმდიდრე?  
ჩვენ ხომ ვებრძოდით ძალმომრეობას,  
ჩვენ გქადაგებდით მშრომელთა შორის  
მხოლოდ სიმტკიცეს, მხოლოდ მხნეობას.  
ჩვენ ახლაც გვინდა დაუნდობელიად  
ვკიცხოთ საიციხი და საძაგები,  
ქვეყნის ნათელზე გამოვიყვანოთ  
ყველა შარავზის ავაზაკები.  
სარდაფში მუდამ შიმშილი გვდევდა  
და არ გვინდობდა სიცივე ავი,  
მხოლოდ იღვა გვასულდგმულებდა —  
აი, რა არის თავი და თავი.

1929

### ჩვენ ავდიოდით სახარკობელაზე

ოჰ, როგორ გვებულდა ჩვენ ბოროტება,  
გვებულდა მტარვალი, გვებულდა მჩაგვრელი,  
მუდამ ვიყავით დამონებულის,  
დაცემულ მოამის მწყე და მფარველი.  
ჩვენ შევებრძოდით უსამართლობას,  
არ შევეუშინდით მტრების მუქარას,  
გმირმა არც ერთმა შებრძოლებაში  
არჩეულ გზას არ გადაუხარა.  
ამხანაგებო! გვწამდა — თანაბრიდ  
გაიშუქებდა მზე სულ ყველანზე,  
ამ რწმენით, სულით დამშვიდებულნი.  
ჩვენ ავდიოდით სახარკობელაზე.

1929



### აღლოდნის რევოლუცია

ახალგაზრდობა, მომავლის ძალა,  
წუხდა ჯვარედინ ფიქრში გართული,  
მათ ჰქონდათ გული იმ უღრმოების  
მწუხარებაში გამოკეართული.  
მაგრამ ელოდნენ რევოლუციას,  
ყოველთვის ახალ გრძნობას რომ ბადებნ,  
და თავგანწირვით უერთდებოდნენ  
სიმაართლისათვის ნებრძოლ ნაკადებს.

1928

### მაღარობაში

შევედით ვიწრო გამოქვაბულში,  
სადაც მზის შუქი ვერ მოატანდა,  
მაღე მაღალი შემაღაროე  
სანთლის კიაფში გადაილანდა.  
მომეცეთ — გვითხრა, და ჩვენ გავეცეთ.  
ლოდები იდგა სულთამბუთაფი.  
აგერ მუშები და წერაქები,  
მრავალ სინათლედ აღი მბეჭუტაფი.  
მქუხარედ, როგორც რევოლუცია,  
გადმოდინდა ქვები ლოდებად,  
რომელთ ქვეშ მალე დაიმარხება  
კაპიტალიზმის გაბოროტება.

1930

### სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით

ჩვენ შევეჩვიეთ ბრძოლაში ყოფნას  
სიცოცხლით მთელი შემოქმედებით,  
თავზე ტყვიები დაგვეარაფატებდა  
და გატაცება ფოლადის ფრთებით.  
ჩვენ შევეჩვიეთ ქარს და ქარიშხალს —  
ბავშვობიდანვე ჩვენი ცხოვრება  
იყო მარტოდები რევოლუციის  
მქუხარე ძალთან დამეგობრება.  
რომ გაგიყვებას ჰგავდა დღეები  
მრავალფეროვან წამთა ფერბულში.  
წინ მივდიოდით და იმედები  
გამარჯვებისა ჰბრობდა გულში.

1927

### მარადისი იმედი

იმედთა ძებნა გულის სიღრმეში  
მე არასოდეს არ მომწყინდებდა,  
მგონია, არვინ არ გამოიღივებს,  
შუქრად: შუქი გამობრწყინდებდა.  
მადლობელი ვარ, ჩემო ვარსკვლავო,  
სხვა ვარსკვლავები შენთან მკრთალია,  
ჩემთვის ეს შუქი მოულოდნელად  
აღმოჩენილი კაპიტალია.

1928

### მოელზარი ზვით

ჩვენ არ გვაკრთობდა შური და მტრობა,  
წყურვილთა ვნება არ გვიცხრებოდა,  
ყველა წაშალა ბრძოლის სურვილმა  
და სიხარული მხოლოდ რჩებოდა.  
არ გვეშინებდა წვიმა და ქარი  
ჩამონელბუღელ ეკლიან გზაზე,  
არც ქარიშხალი, არც ნიაღვარი,  
არც ბოროტება დედამიწაზე;  
არც წამთა რბენა სხვადასხვაგვარი,  
მრავალფერობა, გიგი ოცნება,  
არც გარდასული ყრმობის სიზმარი,  
არც მოგონებათ აზღვაოსნება.

1916

### ბაზუნი, იარა!

კმარა, ნუ ფიქრობ უბედობაზე,  
გასწი, იარე და არ დალონდე,  
ნუ დაგიმონებს მგლოვიარება,  
თუ ულოდნელად ასალამოვდეს.  
იქ უნდობლობა, კაცხუა და დღენა  
მუდამ ახალი აღით ინთება,  
სადაც კი დიდი მიზნისთვის ბრძოლის  
ნათელი შუქი გამობრწყინდება.

1927



ხვალ მისია. წითელ დროშებით და ყვავილებით გამოვა მისა, ის ღირსი იყო გამარჯვებისა, მისმა გრძობა ვაჟულმისა. გახსოვთ? რა ქარმა ვადაიარა ველი ბრძოლისა მძლავრად, ფარახდით, რა სიძლიერით ყოველმა მხარემ დაიგრიალა: შეიარაღდით! თითქო საზღვრები გადაიშალა. ორი ქვეყანა გიგანტის ტოლა გაიყო ორად და გაიშალა ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა. მახსოვს ბრძოლისგან ნანთები სახე და ავარდნილი ზეცამდე ალი, მწარედ დაჭრილმა მე თვითონ ვნახე ბარიკადებზე იბრძოდა ქალი. ვინ იფიქრებდა იმნაირ დროში: ყინვა, ქარბუქი და ცეცხლის ალი... რიგებში ხელში წითელი დროშით ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

გადიშალეს ცეცხლის ზოლთა ეამი ბრძოლით შელახული, სიმტკიცე და სვე მებრძოლთა ჩვენს გულშია შენახული. გულს თუ კარი დარაზოდეს, გადაქცეულს ბრძოლის ხმადა, არ მსმენია არასოდეს მე იმგვარი კანონადა. ასე გასკრას ჩვენმა ბედმა, თუ არ არის ძველებური, დამილოროს კიდევ გეღმა. ცეცხლი გადაჭენებული, რალა დარჩა ძველ სამყაროს, მეგობრად რომ მოაქვს თავი და სურს ჩუმად გაგვითხაროს ფეხქვეშ მიწა და საფლავი? ო, სირცხვილო, თუ მონებად შეგუქმნივართ ჩვენს წინაპრებს, ვანა კი ღირს მოგონებად, თუ დავეშვებთ ბრძოლის აფერებს\* კარგო ქალო, ხსოვნა შენი სხეულთან არ დამარხულა, საგმიროთა საქმეთ მენი ხალხის გულში შენახულა.

ვინც გიგონებს, ასე ამბობს: გამარჯვება დარჩა გულსო, იგი გვანთებს, იგი გვათობს ქარიშხლებით დაღალულსო. შენ მუდამ ხარ და და დედა, ახლა აღარ შეწყუბდები, თუ ქვეყანას გადახედავ და ახალი გესმის ხმები. ქალებს ახლა იგივე აქვთ საამაყო შვის მშვენიება, ის გმირობა კიდევ სწამთ და იგივე ძლიერება. მათაც შერჩათ ის, რაც ძველად გიტაცებდათ, ცეცხლში გხვევდათ, ჩვენი დროის საფუძველად მუდამ გგრძნობთ და მუდამ გხედავთ.

ის ქარხნის, შრომის ერთგული შვილი ხალხისთვის გულსაც კი ვაიპობდა და მანქანების გრიალი ტკბილი ქალის ფიქრებთან მუსაიდობდა. თითქოს მუსიკის პანდების შრიალს მოტორი მხრებზე გადაიფენდა, ლედეების რბენას, ბორბლების ტრიალს უსმენდა და მანვს მშობლურს ისმენდა. მაგრამ ელვარე ხმაღმა გალესა შვილის და ყველა შვილების ბედი: უცებ გაისმა ხმა გრიგალისა — ქარხნებს მიაწვდა ცხრაას ჩვიდმეტი. «გასწიე. წადი — ისტუმრებს ის შვილს — მტერს ნურასდროს ნუ შეუშინდები, და უნანებლად იღებ იმ ადვილს, სად შენი ძმების გაისმის ხმები. რა სიჭიროა! მდიდრის ქალებზე არ გაიცვლება თავისუფლება — ყოველი გმირი ბარიკადებზე, ყოველი გმირი დროშისთან კვდება\*. ქუჩაზე იდგა... თოვლის ფენობებს ხმაური სდევდა მძაფრი და მრღვევი, სულ ახლო ცეცხლი ელო შენობებს და კაქანებდა იქ ტყვიამტრქევეი. ქალის სახეზე იყო შთენილი იმ ქარიშხალთა ძლიერი ბრუნვა, ფიქრი მის შუბლზე გადაფენილი და ერთადერთი საქვეყნო ზრუნვა.

მებუთე დღეა, რაც განცდის შუქში  
 მებრძოლი შვილის სახე ტრიალებს —  
 უმაგალითო ბრძოლის ქაზბუქში  
 სხვათ მისწრაფებებს ის იზიარებს.  
 ვინ იცის, იქნებ, სასირცხოვრ შვილი  
 გასაჰირის ასცდა და მიიშალა?  
 როდესაც მის წინ იდგა სიკვდილი,  
 იქნებ ლაჩრულად დაეკარა ძალა?  
 არა და არა... მტერთან ბრძოლაში  
 არ შეშინდება იმ დედის შვილი —  
 იგი მუშაა, ქურების აღში  
 შირინახული და გამოწოთიობილი.  
 რა არის მასთან სხვა ძლიერება,  
 თუნდაც ვაება, თუნდაც სიკვდილი?  
 სულის სიმტკიცე და სრული ნება  
 სიყრმობიანე აქვს თანდაყოლილი.  
 ასე ფიქრობდა ქალი, როს ფერთა  
 შემოიხვია საღამომ ჩრდილი,  
 სახლთან საკაცით უცებ გაჩერდა  
 ძველი საბარგო ავტომობილი.  
 დედის საკაცე სისხლში მოსვრილი  
 შვილის სიკვდილზე ეუნებოდა,  
 ბარიკადებზე დაცვა შვილი:  
 იცოდა, ასე რომ მოხდებოდა.  
 ქალი იგონებს გულგანგმირულ შვილს:  
 არ სჭირის, გული განაგრძობს დაგვას,  
 ო, როგორ მწარედ გრძნობს იმის სიკვდილს,  
 ო, როგორ მწარედ გრძნობს ამ დაკარგვას!..  
 გრძნობამ, რომ იყო ის დირსეული,  
 დედის თვალთაგან გაფანტა ნისლი.  
 არ წყდება ბრძოლა ცეცხლმოიდებული.  
 ბარიკადებზე იღვრება სისხლი.  
 პირველად, როცა მოგვისწრთ მტერმა,  
 და ქარიშხალი დაატრიალა,  
 ჩვენი სიმტკიცე რომ იგრძნო ბერმა,  
 თითქო, ასე ჩნდა, დაკარგა ძალა.  
 მაგრამ, როდესაც მან შეამჩნია  
 ჩვენი სიმტკიცე და სიკეთევე,  
 მოკრიბა ძალა, რაც ეო გააჩნდა,  
 და ცეცხლი ისევე გაჩაღდა მწვევე.  
 რაღას ვიზამდით—ოცი ერთ მუშას  
 მოპირდაპირე ხედებოდა მტერი,  
 რას დააკლებდა მტერი ამ გროვას,  
 თუნდ უმტკიცესი, თუნდაც ძლიერი.

მებმება ენა... მას, ერთგულ გუშაგს,  
 არ ასცდებოდა ტყვია, ცხადია,  
 რადგან ის იყო ნამდვილი მუშა,  
 მუშის მიზანი კი დიდია.  
 ვერ-რა გაეაწყეთ... როგორც აფთარი,  
 მძიმედ დაჭრილი თვალს აცეცებდა,  
 ბევრს უიმედოდ დასცა თავზარი,  
 თავს არ ზოგავდა, ხსნას არ ექებდა.  
 ბარიკადებზე ჩვენი ამაღა  
 დგას ამ ცეცხლებში და კარგავს იმედს,  
 ელვია საზრდო, ტყვია-წამალი,  
 ბირდაპირ უცქერს აუცდენელ ბედს.  
 მტერს, რა თქმა უნდა, ის ველარ დასძლევს,  
 თვით დამძლევა ის, ვალმოხდილი,  
 ის გამარჯვებას სიციოცხლს აძლევს,  
 მაგრამ სილაპარეს არ აქვს ადგილი.  
 ბარიკადებზე ბრძოლაა რთული,  
 გაცხარებული, აღამსახველი,  
 ცეცხლს ეტანება სიციოცხლე, გული,  
 ცეცხლში ტრიალებს ტყვია, მიხვილი.  
 გზიდან ყუშმარამ გადისრილია,  
 სახლების თავზე გაინაფარდა,  
 ცახე ძლიერა ზოლი ვაშალი  
 და შუა რაზმში მძიმედ ჩაეარდა.  
 ხმლები ეხვევა სისხლიან აღმებს,  
 სისხლში მრავალჯერ ამოვებებული,  
 ბევრს წუთისოფელს გამოასალმებს,  
 საბოლოოდ სცემს მომაკვდეთ გული.  
 ბრძოლა... შორით გამოჩნდა ცხენი,  
 მტრის რაზმს, ზღვადქეცულა შუაზე აპოხს,  
 ხან თოფის კვამლის ედება ფენი,  
 ხან ყუმბარების აღში კიაფოხს.  
 ხან მიაწყდება, რომ მოდებული  
 გადაარღვიოს აღყათა რკალი —  
 დაუზოგველი, თავდადებული  
 ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.  
 იქიდან რაზმმა დაიგრიოლა:  
 ჩვენი — იცნეს მხედარი ქალი...  
 „მიეშველენით! — მოსწყდენე ადგილებს —  
 გადაერეთ, ჰკა მავათ ხმალი!“  
 აღფრთოვანებულინი, ხმალთა ედიდან,  
 მებრძოლნი წამის დაკარგვის შიშით,  
 გადაეარდნილნი ბარიკადიდან  
 მტერზე მიდიან აწ იერიშით.

რა დააკავებს შეტევას ძლიერს, თავს დაატეხენ მებს და სიავეს, ბარიკადს იქით გამაგრებულ მტერს გვეთენენ, მოსპეს, გაანიავეს. შებინდებისას დაჰქროლა ქარმა და და ლეარა სუნთქვა შეგბისა, სიმართლისათვის მებრძოლმა ჯარმა გაშალა დროშა გამარჯვებისა. აღმოხდა შუქი და გაანათა უსწორო ბრძოლით განვილი კვალი. დაცლილი იყო ადგილი, სადაც ბარიკადებზე იბრძოდა ქალი. თოვლმა და ქარმა თხრილი დასილა და აირია ქვიშა სადები.

შუალამეა. თოვლით ავისილა მიტოვებული ბარიკადები. ეძებენ დაჭრილთ ამხანაგები საკაცებით, ვრცელი ჩრდილებით, სავსეა თხრილი და ბანაკები დაჭრილებით და დახაოილებით. ღონემიხდილი, დაჭრილი ქალი თხრილებისაკენ კვლავ მიდის ნელა, უკანასკნელი მას აწვევს ვალი, თუ კიდევ ძალუძს ვისიმე შეგლა. და შეიძლება იპოვოს შეილიც, უკანასკნელად მიიკრას გულზე, ის არ ინანებს სიტყვისუთქმელად მოკლდეს ამ ბედზე და გაახფხულზე. ავერ იპოვა კიდევც ის. ხელებს მაგრად უჭერდა იარაღს მკვდარი, სახეზე აჩნდა საშინელ ბრძოლის იარა, სისხლი და ნატყვიარი...

აწითლდა შორით აღმოსავლეთი, დაჭრა საყვირმა განთიადისამ, ქარხნებმა ცისკენ აუშვეს სვეტი, და განახლება კვლავ იგრძნო მიწამ. ბევრმა დალია სული გამირივით, ახლა ქალაქებს ეალტებლება ამდენი მსხვერპლით და თავგანწირვით მოპოვებული თავისუფლებით. ვინ არის მთვლელი მათი ამაგის, შემქმნელის დიდი მომავლისა, რწმენის, სიმტკიცის და სიამაყის.

გრძობას მირადის რომ ახალისებს? პროლეტარიატს თუ აფოლადებს და ერთის რწმენით უღუთქავს გულს და წინ მიიწევს, ისევე მხოლოდ ეს — თვის კლასისადმი მძლე სიყვარული. ბრძოლა მარადი, ბრძოლა მზადებით. სად კი ქალაქი და ხეგვბია, თუმცა არ არის ბარიკადები და მხოლოდ მათი ნანგრევებია. და იქ, სად ტყვეით გულალმაკერად გამოიბლია რკინა და რკალი, ამართულია ძველი წარწყმეტი: ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

რევოლუცია! ვინ მოსთელის რამდენს შენთვის გულიდან სისხლი უღერია, პროლეტარიატს ამ ახალ გზაზე არასდროს ქედი არ მოუხრია. ცხრაას ხუთიდან ჰანგებს ეძებდა დროის შესაფერს მებრძოლი ქნარი, მაგრამ არასდროს ის არ ყოფილა მზალი, უძლური და მოწმწარი. რამდენჯერ ბრძოლით დასუსტებული იდგა მებრძოლი გულდამაშვრალი. და ამ დროს, როგორც სეშთაგონება. ბარიკადებზე იბრძოდა ქალი. ახლა მოვიდა დრო განახლების, კვლავ ძალა დასცემს მოსეულ ძალებს, მაგრამ აღდგენილ. თავისუფლებების დროშა იქნება და იფრიალებს. ძალას ეპოულობთ ქარიან ხმებში, ჰანგი სულს ხიზლავს და გულს იმონებს. და გვიყვარს, როცა ჩაქურით ხელში, მებრძოლი წარსულ დღეებს იგონებს. გამირული სული ცხრაას ჩვიდმეტის რომელ ტილოზე არ დახატულა? ვაუშარჯვნია იღურთოვანებას, სასოწარკვეთა ბნელში შთანთქმულა. დაფიქრებული ამბობს მოხუცი: რას ფიქრობთ, მე კი არა ვგრძნობ, განა. რამდენი ახალ გამარჯვებისთვის გამოიცივალა ზენ და ქვეყანა? გვინდა ეს შუქი და არემარე, გვინდა ცხოვრება, გვინდა ბუნება.

რაკი ხუნდები დამსხვრეულია,  
და მომავალი გვესალბუნება.  
გვინდა მარადი ძმობა-ერთობის  
ჰაერში დროშა დაფრიალებდეს.  
გვინდა სიმტკიცის და სიამაყის  
ჟვედავი სული მხარეს აგზნებდეს.  
იქ, სადაც ერთხელ უმეტესობას  
ერთი დიადი რწმენის აქვს გული,  
აფორადებდეს სულსა და გრძნობას  
მომავლისადმი მძლე სიყვარული.  
სადაც ერთხელვე ბრძოლა და შრომა

ემბლემად მშრომელ მისას რგებია,  
არგინ არ ნანობს წმიდა ტაძრების  
ნაცვლად თუ მხოლოდ ნანგრევებია.  
მაშაქაცემო, დედაქაცემო!  
მზემ გააშუქა, ასწიეთ თავი!  
მზემ გააშუქა, წინათ რომ რისხვით  
ელაიგბოდი სულთამუთავი.  
გვინდა ეს გრძნობა და გულის ძგრა.  
იყოს ახალი, იყოს უმანკო,  
იმღერეთ, ხალხო, ეს ბედისწერა,  
სასიხარულოდ აედღერდი, ჩანგო!

1927

რ ი მ ო მ ე ნ ა ზ ი !

ჩემო მენავე! შენი ფიქრი  
და შენი ზრუნვა  
ვაუზიარე შენს მეგობარს —  
მშფოთვარე ზღვასა.  
ნუ შეგაზინებს მის ტალღათა  
მრისხანე ბრუნვა,  
გულს ჩაუკვირდი და მიზეზებს  
სხვასა და სხვასა.  
ნუ გამაგონებ ნურასოდეს  
ჰანგებს მწუხარეს,  
ნუ ითვალთმაქცებ ცხოვრების წინ.  
ნუ დაეცემი.  
დიდი ხანია გზა ბრძოლისკენ  
ვადაუხარეს,  
შენ მათ ფიქრიდან ისევ ლელვას  
ვადაეცემი.

ვარსკვლავთ ციმციმი  
და ზღვის სუნთქვა დღეს არ დეატკბობს,  
არ გაგიტაცებს  
მყუდროება დაიარგულ ცისა —  
შენი სიმღერა  
სხვანაირად გულებს გაათბობს.  
როგორც სიმღერა  
ვანწირულის და მეგრძოლისა.  
თქვენაც, ტალღებო!  
ეს ოცნება თქვენი ნერგია:  
საქირო არის,  
თუ არ არის სინათლეთ ღვარი,  
მეტი სისწრაფე,  
მოძრაობა და ენერგია —  
თავი და თავი  
დღევანდელ დღეს, ია, რა ირი!

ი ბ ო ბ ო ტ რ ე !

იბობოქრე, ცხოვრების ზღვავე, ჩემ ირგვლივ,  
იბობოქრე, მე რა უნდა დამაკლდეს!  
პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა,  
რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს?  
ბევრგვარ გრიგლს ვადუვლია ჩემს გულში.  
ბევრს ჰარისხალს ურბენია ქვითინით...  
ბევრი ტალღა აღტყენილა ვარშემო,  
დაეუსჯივართ შურით, ეკლის გვირგვინით.  
ბევრჯერ ჩემი იალქანი დაშლილა,  
არ მეჯეროდა თუ სადმე გამოყვანდა.



ბევრჯერ, ბევრჯერ მწარედ ავტირებულვარ,  
როცა შეველა არსიდან არ ჩანდა.  
ყველაფერი ამ ბრძოლაში დავლუპე:  
იმედები, უმართლობის მზილება...  
რაც დავკარგე, ხომ დავკარგე სამუდამოდ,  
დამრჩა მხოლოდ მწიარე გამოცდილება.  
და რაც დამრჩა, მას ვერაეინ წამართმევს,  
უიმედოს, ბედისაგან განამეტს,  
და ვიბრძოლებ სტიქიური გულისთქმით,  
რაც დავკარგე, რას დავკარგავ იმის მეტს?  
იზობოქრე, ცხოვრების ზღვავ, ჩემ ირგვლივ,  
რას გახდები, ან რა უნდა დიმაკლდეს?..  
პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა,  
რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს?..

1911

შ ა რ ი

თავგანწირული  
მოჰქროდა ქარი  
სისინით, შხამით.

შორეულ სახელს  
მე ვიჭერ სმენით,  
ხმამ მიმიტაცა.

კოკისპირული  
წვიმა და ღვარი  
მოვარდა ღამით.

ვიღაც მეძახის  
მშობლიურ ენით.  
მეტებს ვიღაცა.

მოედღივარ, მკრთალი  
სანთელი გაჭრა  
ჯერ ისევ გზაში;

მეგრამ, ო, არა.  
ეს მგლოვიარე  
ქარი ცახცახებს.

ელვამ კლდეებზე  
სინათლე გაჭრა  
და ჩაქრა მთაში.

მედგრად იარე,  
აქ შენ არავინ  
არ დაგიძახებს.

იქ საარაკო  
ქოხის საბური  
ხომ არა ჩანდა?

კოკისპირული  
წვიმა და ღვარი  
გადივლის ღამით.

არა! გორაკი  
რამ უდაბური  
ელვამ გალანდა.

თავგანწირული  
ჩადგება ქარი,  
ჭვრტნობდღე სიამით!

## მიმზარს მარტო ქარიშხალი

მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი, განთიადის შუქით ძღვეულს,  
 მოსწყენია საწყალს ცაზე, უიმედოს, ფერმილეულს.  
 არ შევნატრი ყომრალ ღრუბელს, ცას რომ ფარავს ფრთათვტვტვია,  
 ასტკივდება ხოლმე გული და ცრემლები სცივია, სცივია.  
 მე ნელ ტალღას არ შევნატრი, კლდის ნაპრალს რომ ეტმისნება.  
 მას ხომ გული აღარა აქვს, აღარა აქვს ცეცხლის ვენბა.  
 მიყვარს მარტო ქარიშხალი, თვალშუწმენელ ზღვიდან ზღვამდე,  
 მთიდან მთამდე, ციდან ცამდე თავისუფლად მონავარდე!  
 მიყვარს იმის ნანგრევებზე ახალ გრძობათ შეება-ლხენა,  
 მასში ცოცხლობს ფიქრთა ჩემთა იღუმალი აღმაფრენა!

1910

## მე და ზამბახი

ზნელ დამის დროს წყნარი ძილი, რომ ეწყვევა თვით ზამბახებს,  
 მათ ნარნარი შთის ნიაგი უაღერსებს, აცახცახებს.

დასჩურჩულებს: სიზმრად ვნახე თქვენი სახე მომხიბლავი,  
 და მოფრენა განვიზრახე, გენაცვალოსთ ჩემი თავი!

მზეს ნუ ელით... დღე დიდია, სიზმარს უნდა ყურის გდება,  
 ხანმოკლეა ეგ სიზმარი, გაკოცებს და გაფრინდება...

გაფრინდება... მერე ცეცხლის მზე ამოვა, დღე მწვავდება,  
 და გგონია თითქო იგი არასდროს არ გათავდება!

მეც, მეც ასე მიჩურჩულებს იღუმალი ფიქრთა გროვა —  
 დავიფიწყო, ვინაც ჩემში გრძობათ ცეცხლი ამოსწოვა...

მაგრამ მაინც ჩემი სული, ვით ზამბახი მინდორ-ველის,  
 შვის ამოსვლას უღარაჯებს და სიყვარულს ელის, ელის...

1909

## კვლავ ტალღებს ელის

ყველა დასრულდა! ვით გრივალის შემდეგ ტყე-ველი.

განადგურებით სავსე არის ეგ ჩემი გული.

ცაზე მისცურავს ბადრი მთვარე შუქთამფრქვეველი,  
 და ცის უდაბნო უდაბნოა სევდით მოცული...

ფეხქვეშ მიგდია დამსხვრეული სწრაფეთა ნავი.

მაგრამ იმედი მაინც ცოცხლობს კვლავ მომხიბლავი —

კვლავ ტალღებს ელის... ვით გრივალის შემდეგ ტყე-ველი.  
 იმავე გრივალს ელოდება დაუძლეველი.

1914



ზევით ასვით მზე, ზევით!

მზეს შეენატროდით, ვკენსოდით,  
ცრემლს ვღვრიდით შუღამისას.  
მხიარულება არ ჰქონდა  
დაწყვეტილ სიმებს ჩანგისას.

მზეო, დაუდე საზღვარი  
მწუხარე ფიქრთა ქროლისა.  
-მზეო, ამოლი, ამოლი,  
ნუ ეფარები გორასა-.

მზეს შეენატროდით, მზე გვესურდა.  
მზე ცხოველსხივებიანი —  
თავისუფალი, ძლიერი  
ახალი, განგებიანი.

უსასოობა, სიკვდილი  
ნადგურდება და იხრწნება.  
სადაც კი შენი ღიადი  
ბორბალი ამობრწყინდება.

მზეს შეენატროდით და ისიც  
გაბრწყინდა სისაფლაოზე,  
დისკოგადახრით აენტო  
წყვდიადით მოკულ ქაოსზე.

შორს ჩვენგან, ღამის წყვილიაო,  
შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო!  
თვალის ამხევეად შექმნილო  
და ბორკილებად ქცეულ!

დავკარგეთ... ისევ ისევე  
ცრემლებს ვღვრით შუღამისას.  
ისევ დუმილი ამწუხრებს  
დაწყვეტილ სიმებს ჩანგისას.

ჩვენ მზე გვესურს... ხალხო, შეერთდით —  
ზევით ასწიეთ მზე, ზევით!  
მის აღდგომისთან მნათობის  
სხივებად გადაექცევით!

1910

ა მ ო ვ დ ი ვ ა რ!

ვაფერმკრთალდა სავეს მთვარე და გაყუითლდა შექთა ცხრილი.  
ცის გუმბათი მოვერცხილი მე ზღვის სიღრმეს შევადარე.  
ვარსკვლავთ გუნდი მოელვარე თრთის, ნელდება ვით ღიმილი.  
ფერმიხილი, მოწყენილი, ნახი, ფრთხილი, მოელვარე...

ნისლში მყოფი არემარე ნანგრევების არის ჩრდილი.  
არის სივრცე და დუმილი, მარტოობა არის მწარე.  
ყოველი ხე და სიმარე, ხევეულებში მოუენილი,  
არის უღეთოდ მოწყენილი.

ამოვდივარ!.. ღამის ნაკვთებს მალე გაჰკვეთს ჩემი ფრთები.  
ბუნებაო, შენ ნუ კრთები, კეშანი ნუ აგანთებს,  
მთის მწვერვალო, მაგ შენ კალთებს ნუ ელტვიან იმედები.  
მთაგ, დაბლა ნუ იხედები, ნისლი უღელს ნუ დაგადებს!

ამოვდივარ!.. გულისნადებს ნუ წაგართმევს ღამის ხმები,  
როს მომავლის მზის სხივები კანდელოვით დაგქათქათებს!..  
მალე, მალე ველებს და მთებს ტიტანივით მოვევლები,  
ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შემოსილ მთებს!..

1910



### ბანახლდა ბული

განახლდა ბული... დღეს ის აღარ ვარ.  
 რაც უწინ ვიყავ — ფერი ვიცვალე...  
 გზა დამიცილე, შავო ბურუსო,  
 წყევულო ღამე, გზა დამიცილე!  
 წინ ვივლი, სანამ დავმინდებოდე,  
 ბედს კი მაინც არ შევურიგდებდი.  
 წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო,  
 წყევულო ღამე, წინ ნუ მიხვდები!  
 ნუთუ არ მეყო, რაც დასაბამით  
 გაუნღებელ ცეცხლში ვიწვალე?

ჩამომეცალე, შავო ბურუსო,  
 წყევულო ღამე, ჩამომეცალე!  
 ვივიწყებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილეს  
 გამოთხოვების ცრემლებს ვაპყურებ,  
 გავანადგურებ ხელისშემშლელ ნისლს.  
 წყევულო ღამესაც გავანადგურებ...  
 წამების ცეცხლში განახლდა ბული,  
 ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე-  
 გზა დამიცილე, შავო ბურუსო,  
 წყევულო ღამე, გზა დამიცილე!

1911

### წმინდი მებობრებისადმი

ო, როგორ მინდა, მებობრებო, რომ თქვენთან ერთად  
 მივიღო ჩვენთა წინაპართა ელვარე თასი! —  
 ბებერი რამ არის მათ გრძნობაში კეთილშობილი,  
 მათი ნხურვალე ოცნებებით მსურს ვიამაყო.  
 მაგრამ სხვაგვარად ჩვენი ღროის მემბრანე  
 ფოლიანტებში სტრიქონების გროვას შეიტანს,  
 რომ ათასწლოვან ადგილიდან მოსწყუნენ კლდეები,  
 საქართველოზე სამუშებმა გადაიარეს.  
 და სანუშებთან იყო ქნარი ვიგანტიფიკი,  
 ქართული სულით მეოცნებე ბოეტის ქნარი.  
 ო, როგორ მინდა, მებობრებო, თუნდაც ერთი დღით  
 ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება!  
 ო, როგორ მინდა უფრო მძალავრად გაეშალო ფრთები!  
 განა არ არის საშინელი საცოდობა,  
 ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა,  
 რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?  
 ვულკანიური ორკესტრით უნდა ისმოდეს  
 გრძნობათა ჩვენთა და ოცნებით ძლიერი ქნარი.

1916

### მაინც ვიცი...

დღეს მებალემ სარებს ვაზი  
 მოაკონა, მოაკონა.  
 მზემ მიღამოს მშვენიერი  
 გაზაფხული მოგონა.  
 ახმაურდეს ყველა ჩანგი  
 და გამაფრდეს გულთა ძგერა,

ვერ დამაცხრობ, ვერ დამძალავ,  
 ვერ გამისწრებ ვერა, ვერა...  
 მაინც ვიცი მაინც ვიცი...  
 ვერაფერი შესცვლის შევბას,  
 აღტაცებას იმედისას  
 და მსოფლიო გამარჯვებას.

1930

კვლავ სიწუმეა გამეფებული,  
 ზღვა არ ბობოქრობს, ტალღა არ იძვრის.  
 წყალზე რა ნაზად ფერს ილამაზებს  
 ლაქევარდი სახე გაწილი სივრცის!  
 ვდგავარ ნაპირზე და იალქანი  
 ნათლად ფრიალებს, მზის სხივით ტკბება.  
 ოჰ, აღელდება ნეტავი კიდევ,  
 თუ არასოდეს არ აღელდება?..

ვეგებებოდით ნაცნობ ჭარბნახლს  
 და აღტაცებით გვიძგერდა გული,  
 მოვა დრო, ისევ მივეგებებით,  
 დიდი ხნით იმას დაშორებულნი.

საბრალო ნავი! გულშეშარავი  
 ტალღა შეასკდა იმის სუსტ ნაპირს,  
 ტალღას გადასყვა აბობოქრებულს,  
 მისთვის უტეარს, შეუტნობს, სხვაფერს!  
 ცხრაას ჩვიდმეტის ზღვა შეხვდა მწარე,  
 ბრძოლაში მოკვდა სიმშვიდით, წყნარად...

ჩემს სულს, ბრძოლაში ქცეულს ფოლადად,  
 კვლავ ასხივოსნებს ოცნება მძაფრი —  
 იგი, მოვა დრო, ისევ იფეთქებს  
 დიდი ხნის გზნებით უხვად გამთბარი,  
 გაანგრევს კლდეებს და გაღალტკავს  
 ის სწრაფი ტალღა და ნიაღვარი!

1918

შინ რაღას იტყვი?

ატყდა ვაზუმის კვირტი,  
 ცრემლის დაგუბდა წყარო,  
 წუხდა ლიახვის ზვირთი —  
 შენ რაღას იტყვი, მტკვარო?

იყო ზვირთების მებლა  
 თერგის ნგრევის და რიზის,  
 შენ რაღას იტყვი ახლა,  
 ქედო მშობლიურ ლიხის?

მთიდან დაეშვა ლამე  
 და დაიბინდა მდელი.  
 შენ მაინც მითხარ რამე,  
 ვრცელო ალაზნის ველო!

თრიალეთიდან ვნახეთ  
 ლამის მსუბუქი ქვარტლი.  
 მე ვეკითხები კახეთს,  
 თუ რაზე ფიქრობს ქართლი.

იქნებ მოისმენს გმინვას  
 ვინმე ჩუმი და ავი.  
 ასე დაბინდულ მყინვარს  
 ზღვა რად შეელეავს შავი?

რაზე ღრიალებს ფაზი,  
 და ისტორიის ჩრდილის  
 მზე ეფინება ნაზი  
 ქუთაისისა და თბილისს.

მაგრამ... თენდება. ყავრად  
 მთებს ეფინება თებო.  
 ჩემი სალამი — მძლავრო  
 კავკასიონის მთებო!

1920

პრასდროს ისე არ მინატრებდა

პრასდროს ისე არ მინატრებდა  
თავისუფლება, ვით გაზაფხულზე,  
როცა ბუნება ახმურდებდა  
დედამიწისა გაყინულ გულზე,  
როცა მიდამო ვარდ-ყვავილებით  
ლურჯ ხავერდით მოიქარგებდა,  
როცა ბულბულის ხმები რაკრაკით  
ბუჩქნარს ედებდა და იკარგება —  
ვიღაც მეძახის სიცოცხლისაკენ,  
სიყვდილის გზაზე თრთოლით მიმავალს...  
ვაგლახ! ვერავის ირგვლივ ვერ ვხედავ  
და ისევ ცრემლი მახუჭვინებს თვალს...

1910

ბ ა მ რ ს ა ლ მ ე მ ბ ა

პირიშუე, რატომ ჩაფიქრებულხარ,  
პირიშუე, ჩრდილი რაზე გფენია?  
მტკვარო, შენ მაინც მითხარ, რას წუხხარ,  
შენ მაინც რაზე მოგიწყენია?  
ნუთუ გგონიათ, რომ ჩემი გული  
ახლა სიესეა მწამლავ გრძნობებით,  
რომ ვერასდროს კვლავ ველარ გიხილავთ  
და სამუდამოდ გემშვიდობებით?  
დამშვიდდით! მუდამ თქვენთან იქნება  
ჩემი სიმღერა და წრფელი ნანა,  
შემოგწვირავდით ერთად ყველაფერს,  
მაგრამ სხვა რაა სიმღერისთანა?

1910

ს ა ლ ბ ა შ რ ა ?

თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვა მთის გრებილი უხმო, შორი  
და მღელვარე გაზაფხულზე ფიქრს მიეცა ველ-მინდორი.

თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებდებლართული  
და მღელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული.

გაიყინა ცის ლაქვარდი, გაიყინა ქვეყნის გული,  
და მღელვარე გაზაფხულზე ტყე გარინდდა დაბურული.

სად, სად გაქრა მშენიერთა ყვავილთა და ფოთოლთ კრება? —  
იქ, სად მეფობს გაზაფხულის ოცნება და მოსიზმრება.

იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენიებას!

ცაზე ლეგიონი სტურაეს ვარსკვლავების.  
მთებში ეღვიძება ხეთა ათასეულს,  
სფინქსის ეპარება ფიქრი გამკლავების  
ლანდებს, გრძელ ხიდების სიგრძივ გადასეულს.


სადღაც დაიძახებს ზორი მდინარიდან  
რაღაც ფრინველია, რაღაც ხმა კისკისა,  
და კვლავ სიჩუმეა... მაღალ მყინვარიდან,  
აბა. ვარდისფერმა აღმა იგიზგიზა!


აი, სანახავი, თუ გასურს დიდებული,  
მართლაც, მშვენიერი, კარგი სანახავი:  
ღამე, კოცონებად შემოკიდებული  
აღი, მდინარეზე გადანასახავი.

ვიცნობ ამ ნაპირთა ასავალ-დასავალს,  
მაგრამ ყველაფერი ერთ არ იტყმება,  
როსმე მოვიყვები მათ თავგადასავალს,  
და თმა, გათენებავ, ყალყზე დაგიდგება.

სანამ შენს თანადარს გზები დაუფარჩოს —  
შუქთა შეკაზმევს და ალთა გაქენებას...  
იმ სწრაფს, იმ სინატრელ მერანს გაუმარჯოს.  
იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას!

1921





გზაჯვარი



გ ზ ა დ ა გ ზ ა

I

ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას.  
ისმის ნაცნობი ერეოლა სიმინდის.  
ზუზუნნი გააქვს უბინაო სკას —  
ოპ! სამუდამოდ დაწყვეტილ სინდისს.

სულს ენატრება ძველი ზღაპარი...  
წარსული წმინდა იყო ამ ქალის —  
როგორც სოფელში სამრეკლოს ზარი.  
როგორც ყანებში ელვა ნამგალის.

როდის მოვიდა ცოდების გროვი  
და ჯოჯოხეთი... მითხარი, როდის?  
დაბრუნდა სული და ვედარ ჰპოვა  
რამე, გარდა გზის და ცივი ლოდის.

II

მინდვრები, მთები და ზღვა ყანები  
მზეზე ელვარებს ნამებით სველი,  
კვლავ უზრუნველად მივექანები,  
უჩვევად კარგი და ფეხშიშველი.

მოკლული ვიყავ უცხო ზმანებით,  
დამწვარი ვიყავ ქალაქის ქაფით —  
ხელები არ თრთის ხელთათმანებით,  
სული არ ტირის შავი ნიღაბით!

III

მწვანე ქალებში აფრინდა მწვეერი,  
გაფრინდა ღალა, მიჰქრის ტორილა.  
მწვანე ტალღების მიღის მეწყერი,  
ისმის ჯეჯილის მარაო-ქროლა.

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები,  
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,  
სადაც იქნება ცოფი ნაკლები  
და უფრო ნაკლებ ადამიანი.

ცა ლაქვარდია... დღე არის თბილი,  
მზე არის მწარე... გზა არის ცხელი,  
კმარა! მოვშორდი შფოთიან თბილისს,  
არც მსურს მახსოვდეს მისი სახელი!

IV

და ერთადერთი, ნაზი დარაჯი —  
გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის!  
არამქვეყნიურ უზუნდარაში  
გაიყოლებს სულის სიბერეს.

არ დაბრუნდება ამ მხარეს ცეცხლი  
წარსულთა დღეთა სხვანაირ მხარის;  
ახლა უმინოდ მიდის სიცოცხლე  
და დაბრუნება მინც მისხარის.

მხოლოდ ხანდახან ქარი შეარყევს  
ოდნე გაღებულს კარებს ბაღისას,  
შრიალი გააქვს ძველებურ არყებს:  
სხვა ცხოვრებისთვის თითქოს მალეძებს.

V

აქ მრავალია ცისფერი ფერი!  
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,  
როგორც ქალწულის სახელი მერი  
არის ცისფერი და მწუხარება.

გახედე შორს მითვის! გახედე სერებს!  
გახედე ტალღებს ჩაქსოვილს ტბაში!  
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს  
სამოსელს დღეთა ელვარებაში.

სული ეძახის იმ ჟინიარ ტყვეს,  
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,  
ისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს  
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს.

1915

მ. ბიკოძე!

შთის ასული სერზე შედგა იღუმალი ხმით გართული,  
შუბლს გვირგვინი უმშვენებდა დაუნის ფოთლით დახლართული.

და ოქროსფრად, და ოქროსფრად ელვარებდა თმა სხივნარით,  
და სიოზე ირხეოდა გამჭვირვალე თეთრი კვართი.

და თითები რითმებივით ჩამოქნილი, ჩამომდნარი  
ქნარს შეეხო და აღელდა უჩვეულო ლღვით ქნარი.

სიომ იგრძნო და აღელდა და გაიბნა წარმტაც ხმებში,  
თვით პეპლებშიც უცნაური ფრენა იწყეს ყვავილებში.

ყვავილებიც კი აღელდნენ და აღელდა ირგვლივ ყველა,  
არემარე შთაგონების წმინდა ტრემლმა დაასველა.

ამ დროს გაჩნდა ქალწულთან ყრმა, სიყვარულით, წრფელი სახით,  
დაიჩოქა და ხორცსხმულ სულს უთხრა თრთოლვით და ცხცახიო:

„ო, გიპოვე! მე მიყვარდა შორეული შენი სახე,  
დიღხანს გძებნე და გიპოვე... დიღხანს გძებნე და, ჰა, განახე!“

ცეცხლად იქცა ორთა გულში სიახლოვის მწველი ვნება:  
ერთი იყო სიყვარული და მეორე — ხელოვნება.

1910



შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!  
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კედლში.  
სანდომიან ცის ელვა და ფერი  
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!

აფეთქებული და მოცახცახე  
იწვოდა ნათელ ალთა კრებულში,  
მაგრამ სანთლებზე უფრო ევ სახე  
იყო იღუმალ გაფითრებულში.

იწვოდა ტაძრის გუმბათი, კალთა!  
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,  
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა  
სხვა არის ლოცვა განუყურნელი.

მესმოდა შენი უჯონო ფიცი...  
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...  
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:  
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?

ლოდებთან ვილაც მწარედ გოდებდა,  
და ბეჭედების თვლებს ქარში კარგავდა.  
იყო ობლობა და შეცოდება,  
დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.

ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი  
სად მატარებდა... ხედვა მიმომიდა!  
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი  
და განუწყვეტლად წვიმიდა და წვიმიდა...

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,  
თავი მივიანდე ფიქრს შეუწყვეტელს...  
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე  
ღონემისილი მივაწიქე კედელს.

ასე მწუხარე ვიდგეი დიდხანს,  
და ჩემ წინ შავი, სწორი ვერხვები  
აშრიალეზდნენ ფთოლგებს ბნელხმიანს,  
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

და შრიალეზდა ტოტი ვერხვისა,  
რაზე—ვინ იცის?! ვინ იცის, მერი!  
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,  
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.

ვთქვი: უეცარი გასხივოსნება  
რად ჩაქრა ასე? ვის ვეფდრები?  
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,  
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ან ცას ღიმილით რად გაეცქეროდი,  
ან რად ვეპერდი შუქს მოკამკამებს?  
ან „გურიის მთებს“ რისთვის ვმდგროდი,  
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე ღა ღამეს“?

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი  
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული,  
და ... მე ავტირდი, ვით მეფე ღირი,  
ღირი, ყველასგან მიტოვებული...

1915

სადღაც მინახავს

სადღაც მინახავს ქალის სახე, კარგი და წრფელი.  
არ მშორდება ის, დღეა ბადრი თუ ღამე ბნელი.

აღერსის სიტყვებს ჩამჭურჩულებს ახლომდგომელი,  
მაგრამ მარადის დაფარული, მიუწვდომელი.

ოჰ, დიდხანს, დიდხანს ვძებნე იგი და ვერსად ვპოვე,  
ვიცი შორს არის, მაშ, რად მტანჯავს ეს სიახლოვე?

1914



წინანდალელი ნათელა

ჭავჭავი ხანი

წინანდალელი ნათელა  
ულამაზესი ჭალია.  
ო, ზემო ციციანათელა,  
ჩემო ციხე და ვალია!..

ხანი გავიდა, გადამავიწყდა  
სიმღერა სადღაც, ოდესმე თქმული,  
სანამ არ ეპოვე მეგობრის გულში  
ღრმად ჩაქსოვილი და შენახული.

მთელი საღამო შევჯერდი:  
რა არის ქალის სინაზე,  
მაგრამ უცერად შევწერდი  
მზგენიერ თინათინაზე.

ერთხელ, როდესაც გზად მივდიოდი,  
მე მოვისმინე იგი ნალღველი,  
პირველ ოცნებით გატაცებული,  
ყმაწვილურ ვენებათ გამომსახველი.

ბრწყინავდა სააარაო ცა,  
მთვარე დაბრუნდა ბინაზე,  
როს შექმა ღრუბელს აკოცა  
ყველა ქალების ჯინაზე.

და, ვერ ვივიწყებ ქალწულის სახეს  
სადღაც, ოდესმე ფიქრში ზმანებულს,  
შემდეგ ახდენილს სინამდვილეში,  
მაგრამ... რა ძლიერ დაგვიანებულს!..

1912

1910

თ მ ა ლ ე ბ ი

თითქო სიოს ფრთის შეხებით ჩამოცვივდა ყვავილს ნამი,  
დაიძირა ლაქვარდმა ტბამ დახნექილი ტბის ლერწამი.

თითქო ბნელი შექოდგომის წეიმის ზურმუხტ-მარგალიტმა  
ღამის ნისლში ააქვნესა დადუმებულ ქნართა რითმა.

თითქო მთელი უკვდავება ტრიალებდა ლაქვარდ ცაზე  
და ლაქვარდის ამოკვნესით კრთოდა თვალთა სილამიზე.

ო, თვალები! არ მინახავს მე თვალები უკეთესი,  
მათში კვნესდა კაეშანი, სინაურლის ცეცხლის მითესი.

მათში ფეთქდა უკვდავების უზილაგთა ტალღათ კრება,  
რაც არასდროს არა ქრება, რაც არასდროს არა ყვდება!

და როდესაც მე ტყვედ ვყავდი იმ თვალების ჯადო-გრძნებას,  
მწარე კვნესით ვიგონებდი რაღაც უცხო მოგონებას.

1912



### შენს ცინფერ თვალებს როცა შეეხებდავ,

უსაზღვრო სევდას მე ვამჩნევ მათში...  
და ფიქრი ფიქრზე თითქო სცურავენ  
უსიტყვო ტბაში, უხმო კამათში.

და ხშირად მინდა გკითხო, თუ რისთვის  
ასე სასტიკოდ გმტკნევა ბედი,  
რისთვის წაგართვა სპერტაქი რწმენა,  
რისთვის მოგიკლა ნორჩი იმედი.

მაგრამ, როდესაც წარმომიდგება,  
რომ კენჭისთვის სიტყვა არ არის,  
მე მხოლოდ გიკეპრ, გიკეპრ და ვწუხვარ,  
ჩემად მიმონებს დარდი სამარის.

ასე, ორ გულში ერთი ნალეული  
გაუწენებლად იწვის და იწვის,  
ასე იტანჯვის ორი არსება  
და ვერ-რა უთქვამთ ერთმანეთისთვის.

1914

### ჩემი მარსკვლავი

ემი ვარსკვლავი, სატრფოო, ცის თაღზე შუქად რომ აღის,  
შენი ღიმილის შუქია, გამათბობელი მარადის.  
ჩემთვის სიმღერა, მშვენიერა, შენი ხმა არის ნარნარი —  
დიდება სიყვარულისა, ცის სამსხვერპლოზე დამდნარი.  
და მე, შენს მგოსანს, იქ ძალმიძს მარადეაშს ვიბედნიერო,  
იქ ძალმიძს მხოლოდ ვიცოცხლო, სადაც შენა ხარ, ციერო!  
და, რაც კი შეეყნად ამ ჩემს თვალს უეცრად მოეჩვენების,  
არტოდენ ანარეკლია მაგ ღვთაებრივი მშვენების!

1913

### ღამე ღღეს ზიხვდა

ღამე ღღეს შეხვდა, აღდგენილს მკვდრეთით,  
და გადაჰკოცნა აღმოსავლეთით!

დილით გაწითლდა მორცხვი სახე ღღის,  
მას შემდეგ იგი ღამის ჩრდილს უფრთხის.

ასე, მე მახსოვს კოცნით ნაალი  
შენს ლაწვთა ეშხში წითელი ხალი.

პატარა ხალი, სულ უეცრად რომ  
დააჩნდა სახეს და წაშალა ღრომ.

კოცნების გროვით გადიდდა ხალი,  
ზაგეს ძლიერი სცემს ნაბერწყალი.

მოედო — ასე თვით უმალღეს მთებს  
აგრორა ძლიერ ცეცხლით აანთებს.

და შემდეგ ოხერით უგონებს გზნებას  
განცილდ უღადეს ბედნიერებას.

ღამე ღღეს შეხვდა, აღდგენილს მკვდრეთით,  
და გადაჰკოცნა აღმოსავლეთით!

1912



### მიტყირა თვალში

მიტყირე თვალში,  
 შენ დადუმდი?  
 იგრძენი განა?..  
 იდექი წყნარად  
 და ბინდიან  
 თვალში მიყურე...  
 ნურაფერს შეტყვი —  
 მე არ მინდა

არავის ნანა.  
 გინდ აღმიდგინე  
 ისევ გული,  
 გინდ დამიხურე.  
 მიტყირე თვალში.  
 ო, ჩემს თვალში  
 საშინელება  
 იგრძენი განა?!

1915

### ლიმლი

ბევრი ღიმილი მინახავს ქვეყნად,  
 ბევრჯერ დამწვია ღიმილით გული.  
 ერთში დაგმობა გამოითქმოდა  
 და მეორეში კი — სიყვარული.

მე ვიცი სახე, რომლის ნაკეთებზე  
 მხოლოდ სატანის სული კრთებოდა,  
 შხამით და გესლით უშგერდა გული,  
 იგი კი მაინც იღიმებოდა.

ახლა შენ გახსოვს მისი ღიმილი,  
 მთრთოლვარე, როგორც მაისის ვარდი.  
 შენ არ უყვარდი და მაინც ისე  
 იღიმებოდა, თითქო უყვარდი.

ხომ არის ხალხი: თვალწინ უწყვიათ  
 ცხარე ბრძოლაში მოკლული ძმები,  
 ამ დროს ვინ უნდა იღიმებოდეს? —  
 მხოლოდ იუნდა და გამცემელი.

არის ნაღველი. ის მეფობს გულში,  
 ყოველ ფიქრთა და ნატურათა მძლევს.  
 მხოლოდ ნიღაბი ჰფარავს ამ ბოლმას —  
 ეს ღიმილია ნაძალიდევი.

დადის ღიმილი საბედისწერო,  
 ეს ღიმილია ახლა ჩვეული,  
 ის ისევე ნისლს მიეფარება,  
 ნისლიდან ოდნავ გამორკვეული.

გაფიქრებს ბევრი იღუმალება,  
 გაშინებს რაღაც, მაგრამ თან გზიბლავს.  
 იგი სავსეა შიმშილდევლობით,  
 რომ შემდეგ გული უფრო მოვიკლას.

ჩვენ კიდევ ბევრი ვიცით ღიმილი —  
 არც მხიარული, არც მოწყენილი,  
 თითქო მტრეღია მართლა უმანკოდ  
 და გულუბრველოდ შემოფრენილი.

გულს ჩავგრჩენია ერთი სიცხოვლე,  
 ვერ წაშლის თვითონ სტიქიის ჩრდილი,  
 და არასდროს არ დაგვაფიწყებდა,  
 რადგან ის დედის არის ღიმილი.

1916



შენათქმის სხვადასხვა

აჩონჩხილო შენობა,  
მშვენიერო შენობა,  
მომკლავს მე უშენობა!  
დღემ კოშკების ამაღლა,  
ხან ეთერში ამაღლა  
და ქარივით ამაღლა.  
ცვივა ლურჯი ფარული,  
მოგონება ფარული,  
ფართან ლანდი ფარული.  
ყველაფერი სადაა,  
მაგრამ მითხარ, სადაა  
ის, რაც აღერსადა?

ველი წამით ნაწამებს,  
პოეზიით ნაწამებს,  
რასაც იტყვის ნაწამებს:  
ღისთა უცხოდ დასობას,  
თვალთა ქროლევით დასობას,  
ხანჯლის გულში დასობას.  
მარმარილომ და თასმა,  
შადრევენებმა ათასმა,  
ლავეარდები ათასმა.  
აჩონჩხილო შენობა,  
მშვენიერო შენობა,  
მომკლავს მე უშენობა!

1919

მ მ ს ა ფ ლ ა ვ ე

მესაფლავე, შენ ამბობ, რომ  
ქვეყანაზე ვინც კი კვდება,  
იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?  
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც...  
მომბახვრე კიდევ თავი,  
და შეწვიტე, თუ ღმერთი გწამს.  
ეგ დაცინე გულსაგლავი.

ვარდის თვია, მანისია,  
ნორჩ ბალახებს სიო არხვეს.  
ხეებს ყვევალთ თეთრი გუნდი.  
როგორც თოვლი, ისე აწევს,  
მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს  
და სითბოში მთა-ბარს ახვევს,  
ყვევილებით მოქარგულა  
არემარე მომხიბლავი.  
ვერა ხედავ, იმ საფლავეზე;  
როგორ ტირის ობლად ქვრივი?  
რარივ შევინის ახალგაზრდა  
ქალს ეგ სევდა ღვთაებრივი!  
ვანა გუშინ არ იყო, რომ  
ამ მოკლულმა დარდით ქალმა  
ცრემლი ღვარა, როცა სატრფო  
ცივ სამარეს მიესალმა?

დღესაც იგი იმ სამარეს  
გულმოკლული დაჰჭეითინებს,  
დღით არ იცის მოსვენება  
და ღამითაც არ იძინებს.  
მოვა ხოლმე და დაჯდმე  
ცივ სამარის ვაშლილ ქვაზე.  
დარდით არის გაქვნილი  
მისი უღვთო სიღამაზე;  
თმას გაიშლის, დაემზობა  
და ცრემლები სცვივა, სცვივა...  
სულს მიწვითებს ეგ ჭეითინი,  
გული მტკივა, გული მტკივა!  
მაგრამ რა ექნა? მესაფლავე,  
ჩუმად იყავ, უხადე ყური...  
გესმის, გესმის, როგორ კენესის  
დაღლილი და უბედური? —  
+გაქვრე ისე, როგორც ნისლი,  
როგორც ღამის მოწვევება,  
არ მეღირსოს კვალარეულს  
სიმშვიდე და მოსვენება,  
შენი სახე გულს კაწრავდეს,  
როგორც ვიყო, სადაც ვიყო,  
თუ როდისმე არ მახსოვდემ...  
თუ როდისმე დავივიწყო!  
მესაფლავე, კიდევ იტყვი,

რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,  
იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

აი, თუნდაც, ვალენისას  
მესაფლავე აღებს კარებს;  
ახალგაზრდა ვინმე ვაჭი  
კიდევ სატრფოს ასამარებს.  
გულმოკლული ძვირფას კუბოს  
არ სცილდება, არ შორდება,  
განა როსმე სხვა ამგვარი  
სიყვარული ზეოარდება?  
უსაზღვროა მისი სევდა,  
უსაზღვროა მწუხარება,  
და გაღმოსჩქეფს გულმოკლულ ვაჟს  
თვალთგან ცრემლთა მღულარება.  
ფიციით ამბობს: „ოჰ, შეშფოთდეს  
სამარეში ჩემი ძვლები,  
არ ათბობდეს ჩემს სამარეს  
გაზაფხულის შშის სხივები,  
გავქრე ისე, როგორც ნისლი.  
როგორც ღამის მოჩვენება,  
არ მეღირსოს კვალარეულს  
სიმშვიდე და მოსვენება,  
შენი სახე გულს კაწრავდეს,  
სადაც ვიყო, როგორც ვიყო,  
თუ როდისმე არ მახსოვდეს,  
თუ როდისმე დავგიწყაო!“  
მესაფლავე, კიდევ იტყვი,  
რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,  
იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

ის ქალი კი, წოდან რომ ვთქვი,  
ისევე მოღის თმაგაწლილი  
და სამარეს დაუვიწყარს  
თავს ადგება, ვით აჩრდილი,  
ხელში ვარდის მთელი ბუჩქი,  
ჯერ ისევე დაუმკნარი,  
მოაქვს, რომ შით დაამშვენოს  
სამარისა თეთრი ჯვარი.  
ოჰ, ეს ქალი, ალბათ, დარდით  
ყვავილივით ქნება, ქნება...  
სეუდას სახე დაუფარავს  
და სიყვითლე ეპარება.

საცოდავი! თვალბასც კი  
დასჩნევია უძილობა —  
ასე ხდება, როცა ღამით  
მოგონებებს იწვევს გრძნობა!  
ახლა, ახლა კიდევ იტყვი,  
რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,  
იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

და ის ვაჭი, გუშინწინ რომ  
შიაბარა სატრფო საფლავს,  
არ სცილდება სასაფლაოს,  
სევდიანს და გულმოსაკლავს;  
სახე თავლის სანთელს უჭაგას,  
სანთელივით დნება, დნება,  
თავს დასცქერის დაუვიწყარს,  
გლოვის სიტყვის ეუბნება.  
მის თვალბასც დასჩნევია  
ღამის თვეა, უძილობა —  
ასე ხდება, როცა ღამით  
მოგონებებს იწვევს გრძნობა!  
მესაფლავე, ახლაც იტყვი,  
რომ ამქვეყნად ვინც კი კვდება,  
იმ წუთშივე მისი ჩრდილი  
ყველა ჩვენგანს ავიწყდება?

დღეს იმ ქალმა გულმოკლულ ვაჟს  
უნებურად მოჰკრა თვალი;  
გაიფიქრა: „ისიც ჩემგერ  
ტირის ცრემლებშეუმშრალი;  
უძიროა კაცის სევდა,  
უძიროა კაცის გული,  
რას არ ითმენს სიყვარულის  
ცხოველ ნათელს მოკლულელი“, —  
ასე ამბობს სევდიანი  
ქალის ცისდერ თვალთა ცქერა.  
ალბათ, ვაჟსაც ამ უსიტყვო  
ცქერამ გული აუძგერა...  
ასე იცის თანაგრანობამ.  
შენ კი ისე იღიმები,  
თითქოს მართლა იმემზოდეს  
იმათ შორის ის სიმები,  
რომლის ძლივით ორი გული  
სამუდამოდ შეერთდება...  
ეჰ, არ მჯერა მე ეგ რაღაც,  
ქვეყნად ვგერ რიდი ხდება.



როცა ფიცით აცილებენ  
მიცვლებულს სამარემდე,  
ფიცს არ სტეხენ... ფიცს არ სტეხენ  
უკანასკნელ ყოფნის დღემდე.  
გამოვინე, მესაფლავე,  
შენ არ იცი კაცის დარდი,  
თორემ რაა, ჩემს თქმაზე რომ  
სულელივით ახაზბარდი?!

რა ვუყოთ, რომ იმ ვაჟმა ქალს  
მოუტანა ნორჩი ვარდი,  
და ნწუხარედ ჩასჩურჩულა:  
„შემიყვარდი, შემიყვარდი...  
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება.  
შევეერთოთ სულთან სული...  
გამომეყვი, ქალო, ცოლად...  
ძლიერი მაქვს სიყვარული...  
მართალია, ის სატრფონი  
არც შენ, არც მე აღარა გვეყავს.  
მაგრამ მათი მოგონება  
ვერ გააზღვევს უბმო საფლავს.  
დავივიწყოთ ის წარსული,  
სატირილი, სავალლო,  
და ახალი შეგქმნათ ყოფნა...  
გამომეყვი ცოლად, ქალო!“  
დაუტყდა, მესაფლავე,  
თუ რა პასუხს მისცემს ქალი.  
შენ გგონია, რაკი ვაჟმა  
დაივიწყა თავის ვალი,  
ქალიც ისე მოიქცევა?  
მე მგონია — არა, არა...  
განა გუშინ არ იყო, რომ  
სატრკო მიწის მიბაბრა?  
მკვდრის აზრდითან ვინ იცინის,  
მკვდრის აზრდითან ვინ იხუმრებს?!  
აი, ნახავ — ახუნარ ვაჟს,  
რა პასუხით გაისტუმრებს!

მაგრამ ქალი, ლმერთო ჩემო,  
მორცხვად თავს ზრის და ჩურჩულებს:  
„თანახმა ვარ! ერთადერთი  
მომავალი მასულდგმულებს...  
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება,  
ნუ ვიგონებთ ღროს უბედურს,

მე შენი ვარ სამუდამოდ...  
წამიყვანე, სადაცა გასურს!“...  
მესაფლავე, ახლა კი ვაქვს  
ნება, რაც გასურს, კვლავ იგი თქვა...  
სამუდამოდ ასამარებს  
კაცთა ხსოვნის სამარის ქვა.  
აღმათ, ქალ-ვაჟს დღეს ერთი აქვს  
ბინა... ხედავ, ვადის ხანი,  
არ ნახულობს სსსაფლავის  
დღეს არც ერთი იმათგანი,  
საფლავთგან მტვერს და ბალახს  
დღეს არაიენ არ აცილებს,  
და მოვლასთან ერთად ფერი  
წართმევით ვარდ-ყვავილებს...  
განისვენეთ, განისვენეთ,  
დავიწყებულ არსთა ძვლებო!...  
თქვენს ყოფნაში არ ერევა  
ცოცხალთ ფიჭრი საარსებო...  
განისვენეთ, ძლიერი და  
უქვდავია თქვენი ძილი...  
რალად უნდათ, რად სჭირით  
თქვენს საფლავებს ვარდ-ყვავილი?  
ან რას გარგებთ მოკვად კაცთა  
სამუდამო ცრემლთა ფრქვევა?  
ძილით ველარ გამოგარკვევთ  
ვერ-რა ძილა, ვერც შემთხვევა...  
ასე ხდება ქვეყანაზე —  
ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება,  
და ვიი მის, ვის სიკვდილი  
სიცოცხლეშივე ავიწყდება!..

ზარსა სცემენ... იმ ორს, რომელთ  
დაივიწყეს ბედი მწვევე,  
იმ ორს, ერთად გადავერცხლილს,  
კუბოში სუენს მესაფლავე...  
სუნდს და რილაც მწარე ფიჭრზე  
თან ველურად ილიმება —  
იცის, იცის მესაფლავემ,  
როგორც უნდა... როგორც ხდება...  
განისვენეთ, განისვენეთ,  
დავიწყებულ არსთა ძვლებო,  
თქვენს ყოფნაში მე ბეერი მაქვს  
მწუხარე ეამს საოცნებო!



მოვა, მაგრამ როდის?

შორეული ქალის ეშხი  
მოვა, მაგრამ როდის?  
სიყვარული სიცოცხლეში  
მხოლოდ ერთხელ მოდის!

ასეთია თითქოს ბედი,  
ბედი რჩეულ ფერის —  
სიცოცხლეში თეთრი გედი  
მხოლოდ ერთხელ მღერის!

ზრდილი, ნაზი და მეფური  
ჩემი ძველისძველი  
ლექსი იყო უნებური  
სიზმრით შემოსველი.

შორეული ქალის ეშხი  
მოვა, მაგრამ როდის?  
სიყვარული სიცოცხლეში  
მხოლოდ ერთხელ მოდის!

მხოლოდ თეთრი შადრეგებით  
მოკისკასე ბროლი,  
მაცდურ თელის გადრეგებით,  
მტანჯავს მსუბუქმჭროლი.

აჰა, ეხედავ — ლურჯა რაში  
მიჰქრის საწიშ-ჩქარი,  
და ბილიკთა ლურჯ ქვიშაში  
მიჰქვს მძაფრი ქარი!

მიჰქრის დალაღადაყრილი:  
ლოვინ, დოვენ, დოვლი...  
თოვლის ფიფქი და აპრილი,  
ვარდისფერი თოვლი.

1916

ბ ა ხ ს ო ვ ს ?

ვახსოვს, როცა შეხვდნენ, მერი,  
ზღვად შენი და ჩემი ნაევი? —  
ნორჩთა დღეთა გულთმიერი  
მიარხევედა წყალს ნიაევი.

შენ ციმციმი თვალთა მტყორცნე.  
თან ტყბილი და თანაც მწარე,  
მოგებზეიუ... ვადავკოცნე  
მე იმ სახის არემარე.

ეჰ! დრო იგი დარჩა მიღმა —  
ტალღა მოსკდა, როგორც გორა,  
ზღვას შეშურდა — ჩვენ სასტიკმა  
ლელვამ დავეაშორიშორა.

ძნელი როდი არის პოენა,  
რაც რამაა დაკარგული —  
რადგან, რასაც ჰყარავს ხსოენა,  
ლრმად ინახავს ჩვენი გული.

1947

მისმინე დანატრულ ხმას

ალვა მწვერვალსა ჰხრის,  
ნაზი ტანივით სწორს,  
მთიდან ნიაევი ჰქრის  
შორს, უბოლოოდ შორს...  
შევხვდით ისევე ჩვენ,  
გზით მიმავალი გზად,  
კვლავ მოგონებებს მდენ,  
მაგრამ არ ვიცე: რად?  
მზე გიოქროვებს თმას,  
ვით მონიავე რულს,  
ვისმენ დანატრულ ხმას  
და ვერ ვიმწვიდებ გულს.  
ფრთადალაღული დღე  
სცდება დისავალ ცას,  
გარინდებული ტყე  
ფიქრობს, არ ვიცე: რას?

1916



მერის თვალებით

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე  
დახურულია გული, როგორც სიყვანი რამე.  
თითქო უშიშმეს კარებს კუბრის დაედო ლუქი,  
გულში ვერც ზეცა ატანს, ვერც სიხარულის შუქი.  
გაუდაბურდა ჩემი ყოფნის ყოველი წამი,  
ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე.  
აჰ, მომეცალეთ, კმარა! მხოლოდ სიკვდილი მინდა...  
არც პოეზია მატკობს, არც მეგობრობა წმიდი.  
ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე,  
არე-მიღამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი.  
ჩამოიბუროს ზეცა, მისიცი აღარა მჯერა...  
მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!

1914

რაც უფრო შორს ხარ

რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები!  
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,  
ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი.  
მიუწვდომელი, როგორც ედემი.

და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,  
მე დღეს არ ვნადგლობ, დაე, ვცდებოდე!  
ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების  
თეთრ ანგელოზად ეველინებოდე.

დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,  
ცრემლით აივსოს ზღვა-საწყაული,  
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა  
და სიყვარულის დღესასწაული.

1908

მ ა ნ ე ბ ი

გამოჩნდა რხევა მაღალი ტანის,  
ნამგალით მკლავზე, მავალი ობლად.  
მისი სიმღერა ხმა არის ყანის,  
სადგურის ახლო მივარდნილ სოფლად.  
სიმღერა სულით ემშვიდობება  
ვადამწყვრივებულ ზღვისკენ წეროებს.  
მზე ეხუჭება, როგორც ობობა,  
ნახად დაქსელილ ხის კენწეროებს.  
სულმა არ იცის, რა არის მონა.  
ვზებზე ნახიბი ისევ ბრუნდება...  
კრავებს მირეყავს სოფლის მაღონა,  
მაღონა ქოხებს დაუბრუნდება.

1916

მ ა ლ ბ ე

გულო, ოცნებას მაღავ,  
ცაო, ლურჯდება ზოლი.  
ვაევი: — დაიცა, ქალავ!  
ქალი: — დაგიბრმა თოლი!  
შორით ბრუნდება წყალი,  
ნისლი იცრება მთაში.  
— არა — ჩურჩულებს ქალი.  
— კარგი! — ამშვიდებს ვაევი.  
გულო, ოცნებას მაღავ,  
ცაო, ლურჯდება ზოლი.  
ისევ: — დაიცა, ქალავ!  
ისევ: — დაგიბრმეს თოლი!

1916



# ბ ა მ ნ ა კ ლ ი ს რ

ცეკვაში თითქო ფრთებია  
შენი ხელების მტყვნები;  
მე თვალს გადავივებ. მე მხოლოდ  
ოცნებით დაგედევნები...

და ფრთები, მხოლოდ ფრთებია  
შენი ხელების მტყვნები,  
ეგ სიხარული, ეგ ღიმი, ეგ  
ბალი, ეგ შადრევნები.

ახალგაზრდობა შენს ირგვლივ  
ფერად ფერხულში ჩაება,  
შენთვის უცხოა დარდი და  
გულგამყინველი ვაება.

სხვისთვის კი ბედმა არც ვარდი,  
არც გაღიმიება იჩნება,  
გიტკებ და გულწაღვლიანად  
წარსულზე გამეცინება.

ახალგაზრდობას შენს ირგვლივ  
საამური აქვს მსელელობა  
(სადღაც კი თვალებს აცეკვებს  
გულგამყინველი მკვლელობა).

რად ვერ ისწავლეს ღიმილი  
და თავის თავის დანდობა,  
საქუთარ ხელთ რად მოკლეს  
თავისი ახალგაზრდობა?

ახალგაზრდობას, რომელშიც  
შენ ალტაიება დაგაჩქება,  
არ განუცდია რა არის  
გულგამყინველი დაქარგვა.

გიტკებ და ვფიქრობ, მზიანო,  
გიტკებ და გულით ვევივები —  
რომ ფრთები, მხოლოდ ფრთებია  
შენი ხელების მტყვნები.

1910

# ს ა რ ე ტ ე ლ თ ა ე

ნათესაეები და მეგობრები  
ჩემს სარეკელთან ახლა გროვდები.  
ყველა გრძნობს, თუ რა მწარე ღიმილით  
სიკვდილის ჩრდილი მიახლოვდება.

მე არ ვიციოდი შენსა გარეშე  
რა იყო ღმერთი, რა იყო ზეცა,  
მე ვლოცულობდი და შენზე ლოცვამ  
ვინი, სურველი გამიორკეცა.

მომიახლოვდი შენც, ჩემო კარგო,  
ხელი შემახე ციური გრძნობით,  
მსურს მხოლოდ ერთი რამ სიტყვა გითხრა,  
უკანასკნელად გითხრა: მშვიდობით!

და ასე მიმაქვს ციე სამარეში  
ეს ჩემი გრძნობა გამოუთქმელი...  
მომიახლოვდი, ჩემო ნუგეშო,  
უკანასკნელად მომეტი ხელი.

მე შენს სიყვარულს დიდი ხანია  
მფარველ გენიად დავატარებდი,  
არვის ვუმხელდი ჩემს საიდუმლოს,  
უნებნადაც არ ვაკარებდი.

უკანასკნელად მემოღეს შენი  
ზეცივენიური, უკვდავი ხმები,  
რომ თავზე მადგე განსვენების ქამს,  
ვით ანგელოზი სულის მიმღები.

არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს,  
შენზე ლოცვაში აღმონაცენი,  
ის თვით სიკვდილის შემდეგაც მაინც  
სამარადისოდ შენია, შენი!

1910

ლანდი არაქვეყნიური

როცა შუქი ვარდისფერი, ვარდისფერი, მორცხვი, ნაზი  
დაიღვარა განთიადზე,  
როცა სხივმა ოქროსფერად მთა აანთო ბუმბერაზი,  
და ბაღს ახლად აყვავებულს გადააქლო ოქროს ხაზი,  
და ყვავილებს, მორცხვ ყვავილებს მოახვია ოქროს მტვერი,  
და წერწეტა ხის მწვერვალებს ფრთა შეახო ოქროსფერი,  
და ტოკავდა დილის ხმებზე წვეთანქარა ოქროს ჩქერი —  
მაშინ, ტურღავ, გადაბურულ ხის რტოცში ისე ჩანდი,  
ო, საოცრად შემოიყვარა შენი ლანდი, შენი ლანდი!..  
ვერ ვარჩევდი, სიცოცხლეო, მე იმგვარად გარდაგქმენი,  
რომ მეგონა, თუ ხორცსმული იყო ლანდი იგი შენი.  
მაგრამ რისთვის გამეჭირვალედ გახდა ლანდი, ჩრდილი, ანდა  
რისთვის შორად, ზეციურად, მიუწვდომლად მომელანდა?  
ხელუხლებელს, პაიროვანს სხეულს ხელი ვერ შევახე,  
და ვიგრძენი, რომ თანდათან იშლებოდა ლანდის სახე,  
და ვიგრძენი, რომ, როდესაც მომეხვია მსურდა ხელი,  
მხოლოდ ეთერს უსხეულს ჩრდილი რთავდა შეუცვლელი.  
ღნება, ღნება ოქროს ლანდი!  
ღნება ლანდი,  
ქრება ლანდი...

ვღგაეპარ გრძნობამორთული,  
მოგონება სევდის მაქსოვს,  
მაგრამ მახსოვს, მუღამ მახსოვს  
ლანდი წმინდა, მოწყენილი,  
ლანდი არაქვეყნიური, ლანდი უცხო, შორეული!

1911

ცამეტი წლის ხარ

ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვე  
ქალარა გულის ზმანება ავი,  
ჩააწყვიტო რიგში ცამეტი ტყევი,  
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!  
გაივლის კიდევ ცამეტი წელი,  
მოახლოვდება გზა ოცდაექვსი —  
მოკელავს მაღალ ზამბახებს ცელი,  
ატირდება დრო და ჩემი ლეჭისი.  
ოჰ! როგორ მიდის ახალგაზრდობა —  
დაუნდობელი სურვილი ლომის!  
და ყოველივე როგორ ნაზდება,  
როცა ახლოა მზე შემოდგომის!

1915



ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი  
და ტყეს მთებისას გაიფრენს აფრად,  
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი  
აშრიადდება უშორეს ზღაპრად.

ზღაპარი იგი ნათრობს და მზიბლავს  
ძველი ღვინის სმით, უგონოდ, მძაფრად,  
სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს.  
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...  
სად, როდის, რისთვის? არ ვიცი, არა!  
იყნენ ოდესღაც და მიეძინათ...  
ლელავს ფოთლების მწყოპრი კამარა.

მას შემდეგ ბედი და იალქანი  
ქარის სიმძიმით გადაიხარა,  
შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?  
რისთვის, ან ვისთან? არ ვიცი, არა!

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ.  
ეს იყო ვერხვის ფოთლებს კენესა.  
ღრომ ყვაილებით დაგვაგვირგვინა.  
მე პაეი ვიყავ, ის კი — პრინცესა.

1912

აღვებდი თოვლში

შენ ზღვის პირად

დაათრობს მთვარე თოვლიან ალევებს  
ივლისისფერი ყინვის თასებით,  
სითეთრე ჰშეენის მაღალ მწვერვალებს,  
ვით სასძლოს ფარჩა და აღმასები.  
მოკრიალეებულ ჰაერში ოდეს  
გულცივად ბრწყინავს ფარჩა ნათელი,  
ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს  
გაღანეჭილი სიზმრების წელი!  
მკრთალი ვარდები დასცვივა ხელებს,  
ჩამოიშლება შუქი-პირბადე,  
და უქნობ ღამის შორ საეუროხვევს  
უნდა ვუხმობდე განთიადამდე.  
დგას გაყინულთა ოცნებათ კრება:  
მთა თეთრი, როგორც მაღალი რაში...  
და უჩვევ ნათელს ეალერსება  
ჩვეულ სიცივის მიწნარებაში.

1916

შენ ზღვის პირად მიდიოდი, მერი.  
სხივქვეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი.  
და გფარავდა მწვანე სუროსფერი  
ცაცხვისა და ალვის ხევიანი.  
შენს ღიმილში მწუხარების ჩქერი  
მოულოდნელ სიყვარულად ეცანი,  
როგორც მთვარის შუქი აღმაცერი.  
როგორც სიოს უცხო მიმოხვრანი.  
ამ ღიმილში კარგი, მშენიერი  
გამოკრთოდა სევდა-კაეშანი,  
როგორც სხივზე ყვაილების მტერი,  
ცისკრის ნამით თრთოლვილ-განაბანი.  
იმ ღიმილზე, იმ სევდაზე ვმლერი,  
ბანს მაძლევენ ყვაილნი და მთანი.  
მერი, ჩემო, შორეულო მერი,  
შენკენ მოჰქრის ბედის იალქანი.

1915



### სინათლის შვავილი

ძველი ჰადრის ქვეშ რომ  
სუფრა გაიშალა,  
ყველა, ყველა სუფრის  
ხსოვნა წაიშალა!

მეტრის სიუაჭიხით,  
გმირულ სინაზითი,  
უფრო ლამაზდება,  
მღერის აფხაზითი.

ჰადრის ჩვენ ხომ ისეც  
ვიციხ ხნოვანება;  
აფხაზს ძველებური  
შეენის ხმოვანება.

მას კი უსრულდება  
დღეს ას ოცი წელი.  
მართლაც უჩვეულო  
გვეყვს დღეს მასპინძელი.

და, რაც მთავარია,  
იქ ზის ქალიშვილი,  
ხნიერ მასპინძელის  
შვილიშვილიშვილი.

იტყვი: მზის შუქია,  
ოხერა დაისრულთა!  
წელი მეტხრამეტე  
მას დღეს შეუსრულდა.

„ძვირფასო სტუმრებო,  
არ დამარჩეთ თხიზელი“, —  
გულით მზიარულით  
იტყვის მასპინძელი.

„ძვირფასო სტუმრებო,  
მიირთვიო, გვიშველეთ“, —  
მსგავსი მზისა დარის  
დასძენს ქალიშვილი.

„ძვირფასო სტუმრებო,  
გჭერტდეთ პირმკინარეს,  
მიირთვიო... მაგრამ ეს...  
მაგრამ ეს... ვინ არის?!“.

უცრად მოვიდა  
კაცი ხანდაწმული,  
მხარზე ვეფხვის ტყავი  
ჰქონდა გადაცმული.

თავზე თმა დაჰყოდა  
თოელის სითეთრეთი,  
არაფერს ამბობდა,  
არავის ჰყვებოდა.

შეხედეს — კაცია,  
მოხუცი კაცია,  
დღევანდელს წარსულით  
გამოუტაცია!

ქალიშვილს თვალეზით  
ეპირდაპირება —  
ამბობს: ავასრულე  
ჩემი დაპირება!

და ვარდი, რომელსაც  
„სინათლე“ უწოდა,  
ქალიშვილს მღელვარე  
ხელით გაუწოდა.

კვლავ თქვა: „მიბოენია,  
თუმცა გაენაპირდი...  
აი. ის ყვავილი,  
გუშინ რომ დაგპირდი!“

გუშინო? — ვერ იგებს  
ასეთ მისალმებას;  
გუშინ ხომ ზღვა იყო  
და ჩრდილი პალმების...

გუშინ?.. მაგრამ გუშინ...  
შემერთალმა ოცნებით,  
ბოლოს ქალიშვილმა  
ძლიეს თქვა გაოცებით:

„გუშინ ჩვენს მინდორზე,  
მთელის ამალეებით,  
დაფენას ახლადჩაყრილს  
ვრწყავდი გამალეებით,



გუშინ ფორთოხალსაც  
ვერეფდი ჩემს ტოლებთან,  
ველი მთლად ავეკრიფეთ,  
ვაქციეთ ტონებად“.

გაოცდა სუსველა,  
ვერაგინ ხედებოდა—  
მოხუცი აგრე რად  
მოიხედებოდა.

არათუ გუშინა,  
ჰკითხეთ თუნდ ჰადრის ხავსს.  
ეს კაცი არასდროს  
აქ არვის უნახავს.

მოხუციც ვერმცნობი  
თვალით იჩრდილება,  
სახეზე დაეტყო  
უქმაყოფილება.

და ასე დაიწყო:  
„ხსოვნას რა დაჩრდილავს.  
მეგი! სწორედ გუშინ,  
სწორედ ამ ადგილის,

და სწორედ ამავე დროს,  
მაინცა და მაინც  
ამ ჰადრის მახლობლად  
ჩვენ შეგხედით ერთმანეთს!

შენ, მიხვდი?—უეტრად  
მკერდს დილი აგიწყდა...  
ნუთუ ეს არ გახსოვს?  
ნუთუ დაგაეიწყდა?..

პოვნა ყვაეილისა —  
„სინათლის მონთება“  
შენ რომ დამაგაღე,  
რად არ გაგონდებამ?

გითხარ: ხვალეე-მეთქი.  
შუბლი გაიხსენი...  
ნუთუ დაგაეიწყდა?  
აბა გაიხსენე!

მეგი! სწორედ გუშინ,  
სწორედ ამ ადგილას...  
როგორ ვერ იხსენებ  
ასეთ სინამდვილეს?!“ —

თქვა და დაეინებით  
მეგის მიაჩერდა.  
ქალი იმ უცნობის  
სიტყვებით გაშტერდა.

მან გაიმეორა:  
„გუშინ მე და ცირა  
ბაღში დაუნას ვკრეფდით,  
სხვა არა ვიცი-რა!“

ყველამ იგრძნო რაღაც  
აზრი ჩაკეტილი,  
ყველა ფიქრში იყო  
და ხმაგაქმენდილი.

მაშინ ფეხზე ადგა  
თვითონ მასპინძელი:  
„თამსირ! ძლივს შეგიცინე...  
მომეც შენი ხელი!

თამსირ! სად ატარე  
შენ ეს ასი წელი?  
თამსირ! ვერ შემიცანი?  
მე ვარ, მასპინძელი.

სტუმრებო, ამას გთხოვთ.  
სმენა მომპყარით —  
გითხრათ სინამდვილე  
და არა ზღაპარი.

ეს არც ოცნებაა,  
არც რამ ციურია,  
ჩვეულებრივია,  
ამქვეყნიურია!

\* \*

ტყეებს მოსდებოდა  
ფერი ოქრო-ქარვისს,  
იღვა შემოდგომა  
რეაას ორმოცდარვისს.

რეაგს ორმოცდარვა!  
შევრს ის აღარ ახსოვს,  
ამბავს რა გამოლევს  
წარსულს გადანაქსოვს!

ერთ დღეს ხმაურობდა  
ეზო განიერი,  
ქუხდა ძველებური  
„მრავალგამიერი“.

ქარგი ღბინი გეჭონდა --  
სუფრას პატრისაკემს:  
აქეთ — მანდილოსნებს,  
იქით — მამაკაცებს.

ქალნი ცალკე იხსდნენ —  
ასე იყო წესი —  
რაც კი განდებოდა  
სუფრად უკეთესი,

რასაც უმჯობესია  
რასმეს იართმევენენ,  
ყოველის უპირველესს,  
ქალებს მთარმევენენ.

ღვინო კი... ოჯალეშს  
სახელს ვინ წაართმევს?  
ამას უვიცობად  
ნურვინ ჩამომართმევს.

ზოგს ძველი ერზინა,  
ზოგს კიდევ — ახალი,  
ზოგს — ის ოჯალეში  
და ზოგს — გორმალალი.

მახსოვს: სუფრის ბოლოს  
იჯდა ახალგაზრდა,  
უწნდა მორიდება  
უფროსთა და ქალთა.

ღვინოს არა სევამდა,  
ფიქრებს მისცემოდა,  
მაგრამ თამადის თვალს  
რამე ასცდებოდა?

„კმარა, თამსირ, კმარა,  
ეს სულ ზღაპარია,  
გამჩნევ, გულისცემა  
შენი სხვაგვარია!“

შენ სად გადამალე  
ყანწი, მასპინძელი?  
დე იმ ახალგაზრდამ  
შესვას სადღეგრძელო!

შენს წინ გარინდებულ  
ქალის მშვენიერის  
შესვი სადღეგრძელო,  
ხედავ, ვით გიციქვრის?\*

ადგა ახალგაზრდა  
ფიქრთა ნოძალებით,  
ყანწი ჩამოართვა  
ღიღის მოკრძალებით.

თქვა: „ცვირან დილისას  
ფოთოლ გაშლილისა,  
მე ესვამ სადღეგრძელოს  
ძვირფას ყვეილისა.“

ჭყევის, ყვეილია  
სწოროდ ამოება,  
მაგრამ ძნელი არის  
მისი მოპოება.

სახელს ყვეილისას  
ვიტყვი: სინათლეა.  
იგი ზღაპარია,  
მაგრამ სინართლეა“.

ღმით დაატანა  
მამინ თამადამა:  
„მაგვარ ყვეილებმა  
მომკლა, განათავა“.

„არა!“ — უპასუხა  
ყრამამან მოწიწებით —  
„იგი სინათლეა,  
ჩემს შუეს გეფიცებთ“.

ბედის არ აშორებდა  
მეგი მშენიერი:  
„ნეტა ვიქნებოდე  
ისე ბედნიერი“...

და მის უცნაურად  
გულის მღვებარებას  
ახლა არ შეეძლო  
მეტი მღუშარება.

და თქვა გაბედულად:  
„იმას ნეტარება,  
ვინაც ყვავილს ჰპოვებს,  
შუქს რომ ეღარება!“

ვაქმა უბასუხა,  
ქმნილმა მგზნებარებელად:  
„ხელეე მას მოგართმევთ,  
მევი გეპარებათ?“

იგი სინათლეა,  
დიხ, იმ თავიდან“...  
ვაქმა გამოკალია  
ყანწი. გადავიდა.

„ხელეე, დიხ, ხელეე!  
ფერი რად გერთმევათ?  
ხელეე ამ ჭადართან  
იგი მოგერთმევათ!“

აღვა ახალგაზრდა,  
ბოდიში ითხოვა,  
დაემშვიდობა და  
ცხენი მოითხოვა.

ქალი ახალგაზრდა  
გაბჟვა: მიაცილა  
ეზოს ჭიშკრამდე და  
ჰკითხა მეტად ფრთხილად:

— თამსირ, რა თქვი შენა,  
მიტარ, ამისხენი.  
— მე ვთქვი, რომ მიყვარხარ...  
ნუთუ ვერ იგრძენი?

იცის ჩემი გრძნობა  
მზემ და მდინარემა,  
მის ვერ გამოხატავს  
ქმუნვა, მცინარება.

იცის ჩემი გრძნობა  
ამ მთამ დღიარულმა.  
რამ, რამ დაბადა ის? —  
მხოლოდ სიყვარულმა!

იმას სხვა გრძნობები  
არ უნს თანატოლად.  
რა, რა აცოცხლებს მას? —  
სიყვარული მხოლოდ!

ხედავ ა იმ ნაკადს?  
გესმის მისი მღერა? —  
იგი სიყვარულის  
არის მხოლოდ ელერა!

ვით არ დამიმონოს  
ელერამ აოფარულმა,  
რამ, რამ წარმოშვა ის? —  
მხოლოდ სიყვარულმა.

გესმის იაღონის  
სტეცნა მოხარული,  
და რა აცოცხლებს მას? —  
მხოლოდ სიყვარული!

საიღუმლოება  
თქვეს რა თავ-თავისი,  
გულნი მგზნებარენი  
იყვნენ ორთავისი!

განა მეორდება  
როსმე ის გრძნობები? —  
„ვერა, ძვირფასო, ვერ  
დაგემშვიდობები!“

გეტყვი: მაშ, ხელამდის!  
მე თუ თამსირი ვარ,  
სიტყვა ბეჭედი,  
სხვაში არ ირევა.

ასე, მაშ ხელამდის...  
ხელზე, მეგი, ხელზე  
იმ ყვავილს მოგართმევ! —  
თქვა ეს და უმაღვე

თუ კი გაგვიმართლდამ,  
ლხინი მაშინ სცანი...  
და ტყეს მიეფარა  
სამი ცხენოსანი.

ცხენი გააქანა  
და ხეცს მიეფარა.  
„მეგი! კარგს მუსაიდს  
რა სჯობია, არა?“ —

ვერ-რა გაეიგე-რა,  
მაგრამ წინაგრძობა  
მეტყოდა თუ სხვათა  
სხვა ცხენოსნობა!

ვუთხარ მე ქალიშვილს,  
რომ გამოველ ჩრდილით.  
გაიოცა: „რაო?“  
ვტყებები მე ზღვის ხილვით!...

ტყიდან გამოვედი.  
გზაზე სამი მნათი  
ქალის გაიმართა  
ბეჭობა-მასლაათი.

„თანაც ვუთხარ: დღეა  
ციხტრად შენაფერი...  
ვიცი, ჭაბაბტონო,  
ვიცი ყველაფერი!“

ძალზე ხმაურობდნენ,  
ვთქვი, თუ რა აჯაერებთ,  
თითქო რაღაცგვარი  
რისხვა მოაჯარებთ.

შენაც მეგი გქვია,  
მეგი ერჭეა მასაც,  
შენებრ ასრულებდა  
გადაწყვეტდა რასაც.

მე კი სახლისაკენ  
სწრაფად გავექანე,  
მიველ და რას ვხედავ? —  
ზღვია მოქაქანე.

იგი, მშენიერი,  
მართლაც შენა გგავდა,  
მაგრამ ბედი შენებრ  
მას არ ინახავდა.

ლელვა, განგაშია —  
„მეგი მოიტაცეს!“  
სახლვარი არა აქვს  
რისხვას და სიმკაცრეს.

ვისიც ხელვას ვგრძობდით  
გულში ისრად მწედომარს,  
აწ ხშირად ვსევამთ მისი  
სულის შესანლობარს!

თურმე მეგი გარეთ,  
ტყისპირის რომ მოხვდა,  
ტყეში მიმალული  
შენობი გამოხტა.

და რა მოხდა შემდეგ?  
სწორედ იმავე დღეს  
გაუცილ ეზოს კარებს,  
მივყევი დაბურულ ტყეს.

ცხენზე აიტაცეს  
მეგი გულწასული.  
თურმე სამნი იყვნენ  
ასე თავგასული.

და იქ სამი კაცის  
სიტყვებს მოეკარ ყური:  
„ეჭა, რა ღარიბი, —  
თქვენს მათ:—საიმური!“

შეკრბნენ მდევრებიცა,  
„მივყვეთ კვალდაკვალ“ —  
მკაცრად გაიძიხდნენ:  
„გერსად წაგვიხვალო“.

მაგრამ რა ეშველა  
ამ სიკაიკაცეს?  
მეგი დიკარგა...  
მეგი გაიტაცეს!

გული მაინც სხვია,  
რაც არ უნდა იქნეს...  
თამსირ, გულს ნუ იტეხ...  
ცოცხალია, იქნებ.

ეჰ, ვინ არის მთვლელი  
წელთა და ან თვეთა!  
გარდასულან დღენი  
იმა სიმძაფრეთა.

იმ რისხვათ და ამბობთ  
გაღიარეს ღვართა.  
არ-რა რჩება ქვეყნად,  
სიყვარულის ვარდა.

ეს ამბავი, თუმცა  
ასი წლის წინ მოხდა,  
მე არ მაგიწყდებია:  
გულს ის მკვეთრად მოხვდა.

რეაას ორმოცდარეა!  
რეა საკვირველი?  
როგორც ასი წუთი,  
გაქრა ასი წელი!

მეგი! იგი მეგი  
სწორედ შენა გგაედა!  
აღბათ, გრძნობაე მისი  
შენში შენკაილდა.

აბა, მითხარ, თუ რას  
ხედაე აქ გასაკვირს,  
თუ იმ მეგის სახით  
ენეენები თამსირს?

გატაცებით, ძებნით  
დღეზე უფრო ჩქარა  
ასზე მეტი წელი  
ტყეში გაატარა!

თამსირ, სად ატარე  
შენ ეს ასი წელი? —  
კვლავ უცნაურ სტუმარს  
პკითხავს მასპინძელი.

„როგორ? ასი წელი?!  
მე ტყეში წაველი,  
მე მსურდა მეგისთვის  
მეპოვნა ყვავილი“.

და მეგის თვალებით  
ეპირდაპირება.  
ამბობს: „აუასრულე  
ჩემი დაპირება!“

ტყეში მიპოვნია,  
თუმცა გაენაპირლი.  
იი, ის ყვავილი,  
გუშინ რომ დაგპირლი!

მეგი! სწორედ გუშინ,  
სწორედ ამ ადგილას,  
როგორ ვერ იხსენებ  
ასეთ სინამდვილეს?“

„გმადლობთ ყვავილისთვის,  
გმადლობთ, დიდად გმადლობთ...  
დიდხანს დაედიოდით  
ასე, უსინათლოდ“ —

უბასუბა მეგიმ,  
ვერ დიფარა ლეღვა.  
უცებ საგანგებოდ,  
თითქოს ციდან ეღვა.

მოგეინა ეზოს  
იმ სინათლის შუქი.  
შუქი სანატრელი,  
ელექტრონის შუქი!

მაშინ ფეხზე აღდა  
მთელი ის წვეული,  
ერთხმად ადღეგრძელეს  
შუქი ღირსეული!



თქვეს: „თუ სიყვარულის  
სიმღერაა გულში,  
საქმეს ასი წლისას,  
დაე ერტეას — გუშინ.

სწორედ უთქვამს მგოსანს  
ას წლად წამიერი...  
აბა! კიდევ ერთი  
მრავალწამიერი!“

1947

მერსად, მერსადროს

ემოგზაურობდი... მე მინახავს მუღმივი თოვლით  
შემოსურდრული კავკასიის ამაყი მთები,  
იმათ აღერსნი მსურდა შენი გადავიწყება,  
მაგრამ, აჩრდილო, წუთითაც კი არ მავიწყდები!  
თერგის მშფოთვარე ხმაურობას მე ყურს ვუგდებდი,  
და შევაჯერე დარიალის ბილიკ-კორღები —  
განზორებითა მსურდა შენი გადავიწყება,  
მაგრამ შენს აჩრდილს, სიციცხლეო, ველარ ეშორდები!  
და ემოგზაურობ... კიღით კიღე, ზღვა და ხმელეთზე  
მიჭკრის, მიტაცებს მწუხარების ამაო ფრთები,  
მაგრამ ვერასდროს ვერ გივიწყებ, და ისიც ვიცი,  
ვერსად, ვერასდროს, ვერც ერთი გზით ველარ შეგხვდები!

1912

მ შ ვ ი ღ ო ბ ი თ!

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,  
მწუხარე თვლებით მიწას დაჰურებდა...  
მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე,  
ელვარე საღამოვ აღმას საყურეთა!  
ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,  
უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!  
გრაალის კოშკები, ზმანებათ სამრეკლო  
შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა...  
ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი  
ოცნება, ნახახი სავანთა უარით,

ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი,  
რომელსაც აზიის ცით გადაუარეთ...  
ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,  
და ფოთლებს ისროდა სიჟითრე ბარათის...  
ამაოდ დაგენდე, და ჩვენ ერთმანეთი  
ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!..  
ქარვათა მორევენი დაეშვა ფარდები —  
სალამო კანკალებს შიშით და რიღობით,  
სალამო ნელდება და კვდება ვარდები...  
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!..

1915



უსიყვარულოდ  
 მზე არ სუფევს ცის კამარაზე,  
 სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება  
 სასიხარულოდ...  
 უსიყვარულოდ არ არსებობს  
 არც სიღამაზე,  
 არც უკვდავება არ არსებობს  
 უსიყვარულოდ.  
 მაგრამ სულ სხვაა სიყვარული  
 უკანასკნელი,  
 როგორც ყვავილი შემოდგომის  
 ხშირად პირველს სჯობს,  
 იგი არ უხმობს ქარიშხლიან  
 უმიზნო ვნებებს,  
 არც ყმაწვილურ ძინს, არც ველურ ხმებს  
 იგი არ უხმობს...

და შემოდგომის სიცივეში  
 ველოდ გიზრდილი,  
 ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს  
 სულაც არა ჰგავს...  
 სიოს მაგივრად ქარიშხალი  
 ვალერსება.  
 და ვენების ნაცვლად უხმო ალერსს  
 გარემოუცავს.  
 და ჰქნება, ჰქნება სიყვარული  
 უკანასკნელი,  
 ჰქნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ  
 უსიხარულოდ.  
 და არ არსებობს ქვეყანაზე  
 თვით უკვდავება,  
 თვით უკვდავებაც არ არსებობს  
 უსიყვარულოდ!

1914

ძარი ჰქრის

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,  
 ფოთლები მიჰქრის ქარდაქარ...  
 ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ჰხრის,  
 სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?..  
 როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,  
 ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!..  
 შენი მე სახება დამდეგს თან  
 ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..  
 შორი ცა ნისლიან დიქრებს სტრის...  
 ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

1920

ც ხ რ ა თ ი მ ა ლ ა

ელვარე და ლომფერი  
 იყო ცხრა ოქტომბერი.  
 მაგრამ თვალმა დათვალა  
 მზე ბევრი და ცხრათვალა...

ოჰ, მზით გაღანაცხარო,  
 ცხრამუხა და ცხრაწყარო!..  
 რუსთაველი ხანია —  
 ისიც ცხრა ანბანია...

ვნება იყო ღვირღული —  
 ზემი ცხრა სიყვარული.  
 ოდეს გნახე, ლომფერი  
 იყო ცხრა ოქტომბერი...

1915



საბ შკრეხე შხეხას?

საით მიეყავარ ჩემს მოწყენილ გზას,  
სად ვპოვებ შეგბას მიუსაფარი?  
რას მომცემს ისეთს მე საქართველო,  
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?

არ ვიცი... მაგრამ უმიზნო ღღებებს  
ვითვლი და ვითვლი ყმაწვილურ კინით,  
ყოველ დღეს გულსტიკვილით ვხვდები  
და ვეთხოვები მწარე ქეთიანით.

მარტოდმარტო ვარ... ვისაც ოცნება  
ელემის ციურ ხატებად სთვლიდა,  
ვისაც სიყრმიითვე მე თაყვანს ვცემდი —  
ყველა მომცილდა, ყველა წავიდა.

აუბღენელ ფიქრს ვინ არ იგონებს,  
ძველ ოცნებებზე რომელი არ წუხს?  
გწუხვარა, ვეძახი ჩემს სიყმაწვილეს,  
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

საით მიეყავარ ჩემს მოწყენილ გზას,  
სად ვპოვებ შეგბას მიუსაფარი?  
რას მომცემს ისეთს ჩემი სამშობლო,  
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?

არ ვიცი... მაგრამ უმიზნობაში  
ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლიად მონაქუხს...  
გწუხვარა... ვეძახი სიცოცხლის მიხანს,  
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

1914

ღბო ზარი

ღამით მივედი სასაფლაოზე  
და ვინახულე ძველი ტაძარი,  
ფრთხილად ავედი ძველ სამრეკლოზე,  
ფრთხილად დაფრევე მთვლენმარე ზარი...

მსურდა, რომ ყველას გაღვიძებოდა.  
ვისაც სძინავდა ცივ სამარეში,  
ვისაც მიყვარდა ან პატვის ვცემდი  
ჩემს განუსაზღვრელ სიმწუხარეში;

რომელთაც სწამდათ ქვეყნად სიცოცხლე,  
და დღეს საფლავის ფარავდათ ლოდი,  
მათ მოეუხმობდი სასოწარკვეთით,  
ზარის მწარე ხნით მათ ვეძახოდი...

და ქვეყნელიდან თითქო ამავე დროს  
მიცვალბებულთა რეკავდა ზარი,  
და ეძახოდა მათ, ვიაც აქ დარჩათ —  
მათ, რომელთ სწამდათ ყოფნის ზღაპარი.

კუბოს ფიქრებზე ძღვლების რახუნით,  
მკვდართა გუგუნით თრთოდა ქვეყნელი,  
შეერეოდა ცოცხალთ ძახილი  
და მკვდართა მოთქმა უკანასკნელი...

და შუაში კი სივარდილედ  
ჩაბნელებული უფსკრული შავი  
ბნელი თვალივით იცქირებოდა,  
სამარადღამოდ დაუნახავი...

და ორი ზარი საბედისწერო,  
ერთმანეთისთვის მიუწვდომელი,  
დაცინვა იყო, ვით ორი სული,  
ვით ის ქვეყანა და ეს სოფელი...

და დიდხანს, დიდხანს ვისმენდი გუგუნს,  
და დიდხანს, დიდხანს ზარი ჰგოდებდა...  
მაგრამ ამაოდ მოგუწოდებდი  
მათ, ვინც ამაოდ მიმიწოდებდა...

1911

### მთაწვილის მთვარე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!  
 მღუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი  
 ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ბეებში აქსოვს...  
 ასე ჩუმში, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!  
 მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,  
 და, მის შუქში გაბეუული მსუბუქ სიზმარივით,  
 მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოღუარე...  
 ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!  
 აქ ჩემ ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეთურ ძილით,  
 აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,  
 ეფინება ვარსკვლავების კრთომა მზიარული,  
 ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...

და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,  
 ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა.  
 თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,  
 და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;  
 თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხეფერებს  
 მომაკვდავი გედის მანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,  
 თუ როგორ ეგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა...  
 სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის ვარდა;  
 რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,  
 რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმში ღამე,  
 რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,  
 რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,  
 რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...  
 ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

1915

### ჰმითიელი ფოთოლი

შემოდგომისა ველურ მანგში  
 ჭკნება ფოთოლი;  
 ყმაწვილი გულიც უნდგეშო  
 ფიქრებით დნება.  
 მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს  
 კვლავ გაზაფხული,  
 და სიყმაწვილე კი არასდროს  
 არ დაბრუნდება!

ქვითინებს ქარი, თან წაიღებს  
 ჟაუელთა ჩურჩულს...  
 მანვი საზარი სულს მიმფოთებს  
 და გულში მწვდება —  
 რომ ეერასდროს ვერ ველირსება  
 მე იმ გაზაფხულს,  
 და სიყმაწვილე კი არასდროს  
 არ დაბრუნდება!

1914

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი.  
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!  
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი.  
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.

მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში  
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!  
ცეცხლი არ კრთის თვალეშში, წვეხარ ცივ სამარეში  
წვეხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.

შემლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!  
სიზმარიან ზეენებით — ჩემი ლურჯა ცხენებით  
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!

იჩქარიან წამები, მე კი არ შენანება:  
ცრმლით არ ინამება სამუდამო ბალიში;  
გაქრა ვნება-წამება, როგორც ლამის ზმანება,  
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.

ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!  
ყვაელინი არ არიან, არც შეება-სიზმარია!  
ახლა კი სამარეა შენი განსასვენები!

რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?  
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?  
ვერაფინ განუგეშებს საოცრების უბეში,  
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმიერებს!

მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:  
მშრილ რიცხვების ამარა უდაბნოში ლელდება!  
შემლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში  
ზევით თუ სამარეში, წველით შენაჩვენები,  
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!

მე და ლამე

ახლა, როცა ამ სტრეიჭონს ვწერ, შუალამე იწვის, ღნება, სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.

მთვარით ნათენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს, სიო არხეეს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი, ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.

საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუღრული, ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ლამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ, არ ვუმფლავებთ ჭეფეწად არვის, ნიავსაც კი არ ვეკარებ.

რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნალევს იტევს გული, ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი, საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვეწა და ალერსი;

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა, და ვერც თასი ღვინით სავსე, ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში მოვათავსე.

მხოლოდ ლამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ, იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ლამემ.

იცის — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვეწე და ვეწამე, ჩვენ ორი ვართ ჭეფეწანაზე: მე და ლამე, მე და ლამე!

1912

სასაფლაონი

სარკოფაგიდან დგება მუშია... რა სიჩუმეა... პაერი ლურჯი აბრეშუმია...

ორხიდეები ეციმა ნილოსს, როს მხურვალემა ქვიშაზე კენესის, უნდა, რომ სული არ მიისილოს, უნდა სამარე ჰპოვოს რამზესის...

ის იყო მეფე. ახლა მტვერი. რომ საუკუნეთ რიგი გარიყოს, არ შეუძლია იყოს პირფერი, არ შეუძლია მტვერი არ იყოს... და საუკუნეთ რიგს სთვლის მუშია: მზიანი დღეა თუ სამუშია.

1916

უღბლო

სიყმაწვილეში მე ვეკუნებოდი, როგორც ფოთოლი,  
ობოლი ვიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი.

ქაში მიჰქროდა ახალი დღით განრინებული,  
არ მშვიდდებოდა ჩემში მაინც გული ვნებული.

დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა.  
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.

მოგვეღე და გული ვის დაეწყვიტო, ვინ დავაობლო?  
ან გამიხსენებს კი ოდესმე ჩემი სამშობლო?

რად მინდა მიეწვდე მიუწვდომელს, გრცელს და უსაზღვროს? —  
ვერ გავსცილდები ჩემს უდაბნოს მაინც ვერასდროს.

მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში  
მარტო ვიქნები და რა ვპოვო მარტოობაში?

ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა? —  
წუთით მიტაცებს, სამუდამო წყლულს კი ვერ შლის, ვერა!

და თუ შორს ვინმე ტყუება ჩემი სვედიან ხმებით,  
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის მივყევი ჩემის წამებით?

ან მეგობარის თუ მომესმას ნეტარი ხმობა,  
შემეძლება კი სიყვარული და მეგობრობა?

არცათუ მცირედ შეუღდა გულს სვედა-ნალველი,  
რომ კვლავ შემეძლოს ზეცისაკენ აღვაპყრა ხელი.

ო, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,  
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო!

1913

ოცნებაო, მოიბოძე...

მოიგონე ძველი მეხი,  
ცეცხლის დილა, ცეცხლის ბინდი,  
ფოლად უზანგს მოსდე ფეხი  
და კვლავ მერანს მოაფრინდი.  
ოცნებაო, მოიგონე,  
დღეები რომ მკაედნენ ზვირთებს,  
ის მერანი ისევ გიხსნის,  
სადაც უნდა გაგიჰიროდეს.

1920



თვლემს ტყის ნაპირი თავჩაქინდრული,  
 უხმო ალერსით ეკერის ტოტი ტოტს.  
 დასძინებია ალერსიან ბაღს,  
 დასძინებია სევდიან წაღკოტს...  
 ვარსკვლავიანი შუალამე ბრწყინავს,  
 შუალამე იწვის, დნება ნელ-ნელა...  
 მოგონებათა ელვარებს სარკე,  
 მაგრამ ჩემს გულში ისევე ბნელა.  
 ვეძახი სულს და ხმას არვინ მადღევს,  
 უხმო ალერსში ეკერის ტოტი ტოტს,  
 დასძინებია ალერსიან ბაღს,  
 დასძინებია სევდიან წაღკოტს...

1913

ბ ა მ მ ა

წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა

ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში  
 შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლავება,  
 ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები  
 ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკედება.  
 შორს იალქანი მოზანს მცურავია,  
 ლაღად გაშლილი, ვით გედის ფრთები,  
 და დაუცხრომლად ატოკებს ამ ფრთებს  
 ხან ქარიშხალი, ხან ზღვის ზვირთები.  
 გემს კი ზღვის სუნთქვა გახშირებული  
 ხან ძირს დაუშვებს, ხან ასწევს მაღლა.  
 მაგრამ რა არის გემისთვის შიში,  
 რა არის ბრძოლა, რა არის დაღლა? —  
 იგი ვერც წარსულს გამოაბრუნებს,  
 და ვერც მომავალს ვერ მიეწევა...  
 მისთვის ერთია ზღვაზე სრიალი  
 და ზღვის ტალღებზე ნაფოტად ქცევა.  
 ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში  
 შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლავება,  
 ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები  
 ეხლება გემს და ვაგებით სკდება...

1913

წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა,  
 და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა;  
 მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,  
 მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა.  
 ხან კარებს უკან ატირდებოდა,  
 ხან დარაჯობდა საარკმელის წინა.  
 გადამიშალა თვალწინ წარსული,  
 და მწარედ, მწარედ ამაქვითინა.  
 მისებრ პოეტი ვიყავ უცნობი —  
 ვეხეტებოდი სევდიან ღამეს,  
 რამდენ ტკბილ ფიქრებს მოედო ბოლო.  
 რამდენ ოცნებას, რამდენ სიამეს!  
 წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა,  
 და როცა დილით გამომეღვიძა,  
 ყვირულ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს  
 მიმოვფარათ ყამირი მიწა.  
 ბაღში გავედი... იქაც ბილიკზე  
 ფენილი იყო ფოთოლი რბილი,  
 და დიდხანს, დიდხანს ვეხეთიაობდი,  
 წარსულ სიზმრებში გადაფრენილი.

1910



### ს ა ნ თ ლ ე მ ბ ი

შორს, ზურმუხტისფერ სივრცის იქით, სანთლები ჩანდა.  
 დასასვენებლად მიიწვედა იქ ნეზღვლური-  
 ერთხელ ზღვი გაწყრა, აირია, გაეჩინიანდა—  
 ტალღებმა შექმნეს ვაი-ვაიში, აურზაური...  
 და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა.  
 მას აქეთია იალქანი ზღვაზე მიფრინავს.  
 მისთვის ერთია, სად დახუტავს ოცნება თვალებს,  
 მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს...  
 როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!

1911

### მ ე ზ ლ ვ ა შ რ ს

გატყდება ნავი მშფოთოვარე ზღვაზე,  
 ატყდება კენესა-ოხვრა საზარი,  
 და ამ დროს. როგორც ლანდი, ჩვენება,  
 შორს გამოჩნდება დამხსნელი ჯვარი...

წინ. მგზავაჟრო! თუ იგი ჯგარი  
 მართლა დამხსნელი არ არის შენთვის,  
 მასზე წამებას და მწარე ჯვარცმას  
 მაინც იპოვი მუდამ, ყოველთვის!

ასე ხანდახან ცხოვრების ზღვაზე  
 რაღაც სპეტაკი, უცხო მშვენიება  
 ქარიშხლიან და ბობოქარ ღამეს  
 თეთრი ლანდივით მოგეჩვენება...

წაჰყე. მგოსანო! თუ იგი ტრფობა  
 მართლა დამხსნელი არაა შენთვის,  
 მშვენიერ ტანჯვას და ვნების წამებას  
 მაინც იპოვი მუდამ, ყოველთვის!

1913

### ა რ მ მ ო მ ც ა ფ რ თ ი მ ბ ი ...

რომ მომცა ფრთები, ავფრინდებოდი,  
 გადავცდებოდი მე ბედის საზღვარს —  
 თავისუფლებას მივანიჭებდი  
 ფიქრთა ლეღვას და გრძნობათ ნიაღვარს...

ზღვის ქარიშხალთან მძინეარე ტალღებს  
 შევებებოდი თვალდახუჭული.

რომ მომემინა, თუ როგორ ისმის  
 საშინელ ხმაში მშვიდი ჩურჩული.  
 მწვანე მანტიით შემოსუდრულ მთებს,  
 სად ღუმილს აფრთხოვს ზეფირის ფრენა.

მივაშურებდი მე ბრძოლის შემდეგ,  
 დაღალულ სულს რომ იქ მოესვენა.

შუადღის სიციბთ მუხების ჩრდილქვეშ  
 გამიტაცებდა ოცნებათ ზოლი,

და მოვისმენდი, თუ ჩემად როგორ  
 ესაუბრება ფოთოლს ფოთოლი.

1910

გუგუნებს ალი მზიარულ ბუხრის,  
მადიჭრებს ალი და ვწვავ წერილებს.  
კიდევ ეღება გედები მწუხრის  
გედებს ცეცხლისკენ გადაღერილებს.

რაც უფრო შორს ხარ, ძვირფასო დროო,  
უფრო საესეა გზა ამ გედებით,  
და სიყვარული, ვით ვატრელოო,  
მოფენილია ამ იმედებით.

სხვა მხარეები უხსოვარ ხნიდან  
მაწვალებს, მათრობს და შეფურება.  
თვით საშარემდე მათ ლანდს მივიტან,  
რადგან ვერ ვპოვე ბედნიერება.

სულ ერთი არის: ღვინით ან ქალით,  
ან ყვავილებით — გაჭრენ ვნებები.  
შუბლზე გადავისვამ ხელებს კანკალით,  
რომ გაიფანტონ მოგონებები.

1913

შემოდგომის დღე

შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!  
დღე ნაღვლიანი, ღონემიხდილი;  
როგორ ეკვრება ცას ბნელი ჩრდილი,  
როგორ ირხევა გაძარცული ტყე...  
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!

სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი,  
გაყვითლებული, უდროოდ მკეწარი;  
დაბერაეს რისხვით, დაბერაეს ქარი.  
გაყვითლდა მდელი, გაყვითლდა მოლი...  
სცვივა და სცვივა ხეებს ფოთოლი.

სავსე ვარ რაღაც იღუმალ გრძნებით.  
გამოლუტქმელი მიტაცებს შვება.  
რა არის იგი — ბედნიერებით  
გამოწვეული უბედურება,  
თუ უბედობა სიმწარე-ვნებით?

დამშვიდდი, გულო: შეგიყვარდება  
ვინმე ამქვეყნად... დამშვიდდი, გულო!  
წავა დღეები უსიხარულო,  
ისევე აღდგება გამჭრალი ვნება,  
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო!

მაგრამ ის გაჭრა... ვერ შევეკითხე,  
რისთვის გამშორდა, რისთვის წავიდა...  
ის იყო სულის ოცნება წმიდა...  
ილულება მზე, იძარცვება ტყე...  
შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე!

1912



ახალი წელი

... და კვლავ იწყება ახალი წელი და ისე. როგორც ძველი, თავდება. დღე მომავალი, დღე ხვალისდელი გუშინდელ დღისგან არ განსხვავდება. ირგვლივ კაცთ სახე დაღონებული ხვალისდელ დღესაც არ განმორდება. მოწყენილობა და წუთების თვლა ხვალაც იგივე განმეორდება. ძლივს შესამჩნევი სხვადასხვაობა ვერ შეცვლის ერთ მთელ არარობას... აი, ცხოვრება! მე მასში ვრაცხდი დიდს, განუსაზღვრელ სანახაობას. ვრცელ ასპარეზად მიმაჩნდა იგი მოქმედებისთვის ფართო და სრული.

ნამდვილად... იგი ბილიკი არის ვიწრო. ეკლებით შემოსაზღვრული. მე მჯეროდა, რომ შედნიერება სუფევს კაცთათვის გაჩენილ დღეში, და ნამდვილად კი ბედნიერ დღეებს სულ ათს თუ დათვლი ჩემს სიცოცხლეში. მე მჯეროდა, რომ შეება სუფევდა უზინრად სადმე; ქვეყნად თუ ცაში, ნამდვილად იგი არსად არ სუფევს, არც ცის სიერცეში, არც ქვეყანაში. დავასამარეთ ფუჭი ოცნება, მოწყენილობა დარჩა უცვლელი, ძლივს ძველი წელი საფლავს მივეცი, მაგრამ კვლავ მოდის მსგავსივე წელი!

1912

ბედს იძიეთ

დავხუჭე თვალი, გულის სიღრმეში რომ დამენახა რამე ნათელი, და მოვიგონე ნეტარნი დღენი და გაზაფხული უკანასკნელი.

რა აღრე მოკვდა. რა აღრე მოკვდა!— ახლა დამეა... ქვეთინებს ქარი, რომ გამახსენოს ტკბილი წარსული და მოგონების სახე ნეტარი.

მაგრამ ვის ველი ან რად ვლონდები, განა არა მაქვს წინ მომავალი? რად ზაფხულო გზის უმინობა, რად ავარიდო სიცოცხლეს თვალი?

ვის შევუშინდე? რას შევუშინდე? დაეწყებულ სად არის ჩრდილი? დაბრკოლებები? — უამისოდ ხომ არც გმირობას აქვს ქვეყნად ადგილი!

წავალ, გაგყვები წრფელ უახლეს გზას. ზღვათა ქუხილით, მთათა ბილიკით... და დაეამკვიდრებ ახალ სიცოცხლეს შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით!

1914



იასამანთა გროვად გროვდება  
 გულში ვედრების ზღვა ნელი-ნელი.  
 როცა ერთმანეთს უახლოვდება  
 მყუდრო საღამო და ღამე ბნელი.  
 გაწმენდის შუქი სულს ეფარება,  
 როდესაც პანი დაპქრის ტყე-ველად  
 და ღამე სწრაფად მიჩქარება  
 დღის ელვარების მოსახვეველად.  
 და, აი, ფერთა შეზაფხვაში,  
 როცა შურივით იფრის ოცნება,

ასე გადადის უკვდავებაში  
 სივრცე, დუმილი და გაოცება.  
 ასე, ნელობა ზაფხულის ველის  
 და ჭარიზხალთა ცივი მშვენება  
 მწვავს, როს გოიას და ბოტიჩელის  
 სხუადასხვა ლანდი მომჩვენება.  
 სულ სხუა მძლავრი გუგუნე ზარის  
 და მზის სხივებზე დამქვანათა ია,  
 დემონი ეკვით საესე მხატვარის  
 და სეგანტინის „Ave Maria.“

1912

ს ტ რ ი ძ ო ნ ე ბ ი

უბრძანე არწივს მთის მწვერედილიდან  
 დაეშვას დაბლა და განადგურდეს,  
 უთხარი ირემს მთაზე იმ ზთიდან  
 ნუ ხეტიალობს, სიკედილი სურდეს.  
 უთხარი ცამდე ამართულ მუხას,  
 მუდამ იხეიოს ნისლი გრძინული,  
 ახლა უბრძანე ამ ბობოქარ ზღვას  
 იყოს პატარა და იკნეული.

არ შემძლია. შენში გულისთქმა  
 უფრო მძლავრია, ვინმე ზღვის ფსკერი,  
 სილამაზისა კვლავ გიტაცებს ხმა  
 დაუზრტეული, როგორც ჩანჩქერი.  
 ყოველთვის, როცა ხედავ ან ისმენ  
 სამაოადისოდ რასმე მიწიღველს,  
 შენ სიხარული აღგაფრთოვანებს,  
 ვით მწუხარება უდაბნოს ტიტველს.

1922

მიბრძანე უდიდესი ბედნიერება

გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი,  
 მცაცრ თვალთცქერას გაქცეს ვერსით,  
 და გაგიწვება ფეხებთან კედლომით,  
 დამონებულა მშვიდი აღერსით —  
 გულში ტროპიკის შუადღით ცხელა,  
 ოცნება ნიქტრის ველურ ცხენებით,  
 და მოკლულია ყოველგან ყველა  
 დაუნდობელი გადაჭენებით.  
 ცხოვრება — ბედთან გადაქცეა ბრძოლად.  
 სულს კი მარადის სურს ციერება:  
 გამარჯვებათა მე ვიგრაძენ მხოლოდ  
 ეს უდიდესი ბედნიერება!

1915



ზღვა ახმაურდა

ზღვა ხმაურობდა  
ყრუ ხმაურობით,  
ანძა გრივალის  
მეთაურობით  
მოგზაურობდა.

ძარღვებს თანდათან  
ეს ჟღერაური  
სწეწდა, არღვევდა  
აურზაური —  
ზღვა ხმაურობდა.

ძარღვებში სისხლის  
წვეთი ყოველი.

იმ სიმონიის  
ვერდამტოველი —  
გრივალს სწყურობდა.

დენის ყოველი  
მცირე ატომით,  
ძალგამეტებით,  
ძალგადაკედომით —  
ზღვა ხმაურობდა.

და მე ვივრძენი  
ჟეტრად, მკაცრად.  
არა ჩემ გარეთ,  
არა რამე სხვად,  
არამედ ჩემში  
ახმაურდა ზღვა —  
ზღვა ახმაურდა.

1940

ცინის ნანგრევებთან

სიღამო წყნარი, არე მშვიდი და იღუმალი.  
უკანასკნელი მუშები ურჩი,  
გაირინდებული ბილიკები და ილუმბალი,  
ცა ლურჯი, ასე უსახლგროდ ლურჯი.  
გემშვიდობებით, მშობლიურა ჩვენო გორებო,  
თქვენც — ნანგრევებო ბაგრატის ტაძრის.  
გემშვიდობებით! შექნელება ეს განმორება,  
როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის...  
შენ რაღას მეტყვა, მქუხარეო ზეირთოკრიონის?...  
ყურს ვუვღებ ხმათა შენთა ელერებას:  
რა ამბავს გატანს ჩემთან მთები კავკასიონის —  
უბედობას თუ ბედნაერებას?  
არ ვიცი იგი მომავალი რას შექალება...  
რაზე საუბრობს ქარაი ზეკარის?  
სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მგებატება,  
აღამიანი ზეცას შეჭხარის.  
შორით მოსიმის ცეცხლის ხმა და ხმალთა წყრილი  
და შეშფოთდება ოცნება — სული...  
გაიღვლის თვალწინ ამღერეული დროის ტრიალი  
აღქაფებულა. აზვირთებულა...

1915

ტყის პირად

ტყის პირად, შორსა გზას მიმავალი,  
 მივწევი და ძილს წიგუცი თავი,  
 ჭადრების ჩრდილი მესვია საბნად  
 და ნანისმთქმელად — მხოლოდ ნიაფი.  
 მბინარეს თავზე დამტრიალებდა  
 ფოთლები ტყისა და ყვეილები,  
 და ძილში ოდნავ ჩამომესმოდა  
 უცხოოდ მომღერალ ფრინველთა ხმები.  
 მესიზმრა ამ დროს, რომ მოვიპოვე  
 სიმღიდრე დიდი, ქება-დიდება,  
 და ყველაფერი, რაც ქვეყანაზე  
 ფულით იმხოდა და იყიდება.  
 სამაგიეროდ მთელ ქვეყანაზე  
 მოსიყვარულე ვერ ვპოვე გული.  
 გამომეღვიძა. საღამოს ნისლით  
 იჩადრებოდა ტყე დაბურული.  
 თვალი მოვაველე და დავინახე  
 ჩემი სიმღიდრე — გზა, მინდორ-ველი.  
 ეთქვი: ვისთვის მინდა მე, ამის ვარდა,  
 აწ სხვა სიმღიდრე დაუღუკველი?  
 დღეს ტყვა ჩემი თავწესაფარი,  
 ხვალ — უდაბნოელ დარაჯის კერა.  
 ზევ — ისევ ცისქვეშ გავათვე ღამეს  
 და მუდამ მიწობს ჩემი სიმღერა!

1912

შ ე რ ი ბ ე ბ ა

ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,  
 თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთები,  
 და წაველ ქარში, როგორც მოცარტი,  
 გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით.

დღეს ყველგან მზეა, ახლა ამ ბაღებს  
 და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეჰეს,  
 მაისი ალით ააზამბახებს,  
 ვით შეყვარებულს და მეოცნებეს.

ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,  
 ღამაში შუქთა მარადი ნთებით:  
 მე — მსუბუქ დაფნის ფოთლებით საესე,  
 მყინვარს — უმძიმეს იაგუნდებით.

ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე  
 მწვენიერების ღექსით მქებელი —  
 დღეს ყველგან მზეა და სიღამაზე,  
 სიკვილითან ჩემი შემრიგებელი!

1915



ბახსოვს ის ქარბუქი?

რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

გახსოვს? გახსოვს ის ქარბუქი,  
რომ ფანტავდა ფოთლებს დილით.  
დილით... ახლა კი სიცილით  
ცის დასავეალს, როგორც ლექი,  
გადაეკრა ნორჩი შუქი,  
შემორტყმული ნაზი დილით,  
აფერადდა ყუავილივით  
სილაგვირდ მუქი... მუქი...

1927

კვლავ მიხარია ძველი კორდიდან  
რიონის ზვირთთა თვალის ღვეწება,  
დაუცხრომლობა გაზაფხულისა  
და ფერადების აზარდენება.  
რალაც ახალის და კარგის ნახვით  
ამიღელდება იმედით გული.  
ო, მომავალზე მიმდევნო ფიქრო,  
რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

1927

მ რ თ ხ მ ლ...

წვიმა და ქარი ერთხელ ღამით, შემოდგომისას,  
მძინვარ ქარიშხლად გადაიქცა და იწყო ქროლა.  
დაიგუგუნა შუალამის შავმა გრიგალმა,  
მიაწუდა ხეებს, ააქენესა და აათრთოლა.  
კარი, ფანჯრები, სარკეები მთლად ამაგმაგდნენ,  
სანთელთა შუქმა ქარიშხალთან დაიწყო შეგმა,  
მიიხრ-მოიხრა მოელვარე დიდი კანდელი,  
და რეკა იწყო მისმა მწვენი მინის მძივებმა.  
მე ვკანკალებდი... უცნაურ ძალს ტყვედ ჰყავდა მაშინ  
ქარის აქორდად ვარდაქმნილი ჩემი არსება.  
როგორ მწყუროდა ქარიშხალთან ერთად გაფრენა,  
ბრძოლა, სიცოცხლე, სიყვარული, სიამე, შვება!

1914

ა ვ ღ ა რ ი

რა საშინელი ტალღები,  
რა საშინელი გრიგალი,  
ცასაც ჩაუცვამს თაღები  
ტყვისფრად ჩანარვალნი.  
ნამირთან გადატყდომის დროს  
ჭრიალებს ფიქვი მაღალი,  
ელვამ კვლავ უნდა იელვოს,  
გრგვინვამ ჰკრას მეხი ახალი.  
ტყე ტყვისფერი ნატბორის,  
გაქანებულად მგლოვარე,  
ხანდახან ღრუბელთა შორის  
გამოანათებს მთოვარე.

და განათდება უეცრად  
გაოხრებულნი, პარტახნი,  
უეზოოდ და უეწროდ  
ოხრად შთენილი ჩარდახი,  
სადაც მთებისა და ხევის,  
გზით წამოვსულვარ ყარბი,  
ელვათა შუქი მუხვევის,  
ქარს მე ხსნას ვემუდარები.  
ნამირთან გადატყდომისას  
ფიქვი მეორე ჭრიალებს,  
ცა ელვას ისერის წყრომისას,  
გრიგალი ისევ გრიალებს.

1916



ქილუღუნებენ ზვირთნი მტკვარისა

მიღუღუნებენ ზვირთნი მტკვარისა...  
სანამ თბილისი შორით იგრგვინებს,  
სამხედრო გზაზე ოქროსთმიანი  
აღფრთოვანება მაწეღის გვირგვინებს.  
მე პოეტი ვარ, ვერა-რა ძალა  
შენს ოცნებაზე ფიქრს ვერ გამოიჭრობს:  
„საით წაიღებ შენ ამ გვირგვინებს?“—  
წარსული ამბობს, წარსული ფიქრობს.  
ახალ ეპოქის ვარ მე მხედარი:  
ღრო საეპარისი მიჩნს უქმარისად...  
გზად იშლებიან თმანი ქარისა,  
მიღუღუნებენ ზვირთნი მტკვარისა.

1929

ღღე გაფითრდა იაგუნდის

ღღე გაფითრდა იაგუნდის,  
ღგას ღრუბლების ჯგუფები.  
რაგინდ ღიღი გული გქონდეს,  
მანც დაიღუპები.

არ გადილო წვიმამ, გზამღე  
ტალახებს ვერ დაეშულდი,  
და თავიდან ფეხებამღე  
მასხა, ძლიერ დავსველდი.

საშინელი მოსკდა წვიმა,  
როს მცხეთაში წაუღდი,  
სად აზიდა სერაფიმმა  
მწირის ცა, ვარსკვლავები.

მე გაუციედი. ავადა ვარ,  
ძლიერ, ძლიერ ავადა.  
ისე მწარე ღღე, გსურს თუ არ,  
მოგა თავისთავადა.

ღღე გაფითრდა იაგუნდის,  
ღგას ღრუბლების ჯგუფები.  
რაგინდ ღიღი გული გქონდეს,  
მანც დაიღუპები.

1915

### მარდისფერი საფეხურები

აჰყე კიბეებს, საღაც სფინქსი ჰვებს ეფერება,  
და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება —  
ოჰ! რამდენია სიციხულეში ასეთი წამი!  
სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი,  
და ვან-დელიკის ლანდებივით მწვანდება ღამე —  
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი რამე!

აჰყე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყე ისე,  
რომ შენ წინ სხივზე ლანდალ იდგეს ყრმა დიონისე;  
გრძნობდე, რომ ისე უკვდავია თქვენი მსგავსება:  
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთაფსება;  
ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და სითამამე —  
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი რამე!

აჰყე ოცნებით მარმარილოს თლილ საფეხურებს,  
საღაც ყოველ მხრით პრაქსიტელის თვალი გიყურებს —  
ცა სიყვარულის და სიციხულით ძვირუასი თასი,  
და ყოფნა ასე, მოლანდება ასი ათასი,  
რომ შენს გვირგვინზე წაშლილია შავი ნაპრალი —  
ოჰ! რამდენია, რამდენია ამგვარად მთვრალი!

1916

### მიოცნება აფრებიტო

სად ოდესმე შეოცნებე აფრებით,  
ათასფერი იმედით და ზაფხურებით  
ავასფერის მიმოქროდა ხომალდი,  
მეზღაურის სულთან გათანაბრებით...  
როგორც ზვირთთა ქაფიანი მოღება,  
ფაგოტების მიტაცებდა ვოდება,  
მაოცებდა უმძლავრესი მუსიკა,  
თმის მიწეწდა ქარის გაბოროტება...  
დატვირთული მრავალ ჭამინდობით,  
კიდევ დიდხანს ვიჭანაფებ კიდობნით,  
აღტაცებავ სიყმაწვილის დროისა,  
სამუდამოდ, სამუდამოდ მშვიდობით!..  
ის ირლევება, ის ოცნება ბერდება  
და ხომალდი ნაპრალებთან ჭერდება,  
საიდანაც მარად ესმის მსოფლიოს  
ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება.

1912

ზღვა წყნარია ნამეტანი,  
თითქო სძინავს.  
და ბრინჯაო — ბაგშვის ტანი  
მზეზე ბრწყინავს.  
მებადური მოსდევს ბადეს,  
ქრეოლავს წყაღი.  
აღტაცებას ბაგშვში ბადებს  
თევზთ ფართხალი.  
გაქანება და დაცემა  
ისმის მისი,  
ისმის მისი აღტაცება  
და კისკისი.

ნამირებზე თეთრი ნაფი  
ხედავს კარვესს,  
როგორ არბევს წყალს ნიაფი,  
გულს იჭარვესს.  
იღრუბლება ეფირები,  
ნისლით მთებზე:  
„მგონი, ავდარს ეპირება!“ —  
წუხს მეფეზე.  
ქლიავისფრად შლილნი ფრთანი  
ჭვენან ნინას...  
ზღვა წყნარია ნამეტანი,  
თითქო სძინავს.

1936

ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ბ

ვაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს.  
ვაზის ტრემლებით აივსო ზვარი.  
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს  
ფეხებს გასუსხავს ეს უხვი ცვარი.

შორით კი ხვამლი მოჩანს ცისფერი.  
როსმე ის ჩემი იყო ზმანება.  
გაივლის თვალწინ იგი სიზმარი,  
და რაღაც მწარედ დამენანება!

კარგია, როცა რიერაფი მოსდებს  
სიმინდს და ხეებს ნამების ლივლივს;  
საკემარისია შეეხო ტოტებს,  
და ნამი თავით კოქამდე გაივლის.

ხე ფოთოლს ისხამს, ხე ფოთოლს ისხამს,  
ქლაქის ბალი და სოფლის ზვარი.  
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს  
მაცოცხლებელი ეცემა ცვარი!

1915


ეფინება სიხარული

ვაზაფხულზე ყვეილები  
იმღერებენ ქებათ ქებას  
და ნაკადი უზრუნველად  
მოიმღერის ვამარჯვებას.  
ყველაფერი, ყველაფერი  
მაისისას ერთვის ჰიმნებს,  
ეფინება სიხარული  
მრავალ ვარდებს და გვირგვინებს.

მოგონებები ატოკებს  
ტბის ლელით მოსილ ნამირებს,  
ლალ-იაგუნდებს, ზურმუხტებს,  
თვალმარგალიტებს, საფირებს.  
მოგონებები ამბობენ:  
დასტკები და გაიხარეო,  
ცის კილით კიდემდისინა,  
მრავალ მრავალ მხარეო.

1932





საბავშვო ლიტერატურის ცენტრი

საქართველოს



რაც ღაღიწყებით არ იბინდება

ჟღერებლო მწვერვალს დიდი ხანია,  
ჩენი ზრუნვები ვერ ეკარება.  
მხოლოდ ხანდახან ჟღერა ამბად  
ტურისტის მხრებში შეეპარება.  
ის თბილისიდან ფიჭრობდა მასზე —  
ახლო ენახა მთების დიდება,  
რომელიც არღვევს საუკუნეებს  
და დავიწყებით არ იბინდება.

მთებში, სიმშვილით გარემოცული,  
განმარტოებით შენ ისევ მღერის,  
ერთი მხრით — ვრცელი ტყე დაბურული.  
მეორე მხრით კი — ძეწვნა და შქერი.  
სალამი მთებო, ტოტებგაშლილო,  
სალამი შორო და მწვენი მდელო,  
მუნაო, დროთა ფიჭრში გართულო,  
კლდეებო, ირემ-ჯიხვთ სამფლობელო!

1914

მწვანე ზოლი მთის

მზე მოელვარე, ლაქვარდი ცა, მწვანე ზოლი მთის  
დღის მოკამკამე მშვენიებაში თრთის.  
გრილი ნიავე მწვანე ბუჩქებს, დაბურულ ბაღებს.  
ციხფერ ყვავილებს, მინდვრის ბალახებს  
სძრაეს, აცახცახებს!..  
ნორჩთა მცენარეთ მსუბუქ ორთქლით, ყვავილთა სუნით  
შეზაგებული სუნთქავს ეთერი,  
და გაზაფხულის პირველ სხივებს წყნარი ზუზუნით  
სდევს უთვალავი პებელა-მწერი,  
შუქ შუქად აღგას ყვავილთა მტვერი!..  
ქვებს და ბალახებს, სიმალიდან ჩამოწოლილ მწიკს,  
ხეებს და ტყეებს, საოცნებოს, რასაც კი ხეღავს.  
ხელის შეხება რისთვისაც ჯერ ვერ გაუბედავს —  
აღამიანს სურს. რომ თაყვანი სცეს.

1914



მზე დასავლით იღველდება, ღამის ბინდი ხლართავს ჩადრებს,  
 ლურჯ ცის ფსკერზე სხოვი კედება, სალამს აძლევს ჩონჩხებს და მკვდრებს,  
 ფიქრში თავი დაღუბრით სასაფლაოს დარაჯ ქადოებს  
 და ხმა ესმით უხილავის სურნელოვან ალენდრებს:  
 „მე სული ვარ შემოქმედი, შეუზღუდველ სულთა თანა,  
 სამუდამო, ვით ატომი, დაუძლევი, ვით სატანა;  
 ყოფნამ ყოფნას უკვდავება უხილავად დაატანა,  
 თქვენ, მიწაზე. უკვდავება გიკვირთ განა, შეგშერთ განა?  
 ერთი ხელით ხომლს დავხატავ, მთვარეს მოვხვევ ოქროს სხივებს,  
 სიბნელისგან მისი შუქს გავეყოფ, ოქროსფერად ანამძივებს;  
 ერთი სუნთქვით დედამიწის გადავაფრქვევ ნახ ყვაილებს,  
 მთას გრივალი დაუბერავს, ააკვნესებს, ააკივლებს...  
 უხილავი ყველგან სუფევს, უხილავი ყველგან გეძებს,  
 უხილავი გაგახარებს, უხილავი აგაკენსებს...  
 დედამიწავ! სული არის, შეუზღუდველ სულთა თანა,  
 სამუდამო, ვით ატომი, გაბედული, ვით სატანა“.  
 დედამიწას ვაბინდებულს რომ ეხვია ფიქრთ სამოსი,  
 აწ სიცოცხლის ხმით შეირბა მშვიდი სუნთქვა მიდამოსი.

1912

დაბინძურება...

ეძინებათ ცის ვარსკვლავებს... ეძინებათ ტბის ფერიებს...  
 მთვარის სხივი ცაზე ღვლავს, თითქო ღრუბლებს იგერიებს.  
 ეძინება ყვაილთა გუნდს, არემარეს ეძინება...  
 დაქანცულ ველს, მღვმარე მთებს ღამის სუნთქვა ეფინება.  
 დაიძინე, ტყის ფოთოლო, დაიძინე, ქვეყნის სევდავ!  
 დაიძინე, არემარეც, დაიძინე, შემოხედგავ!  
 დაიძინე, ცის კამარავ, შენც, ყვაილის ცეცქო მუმლო...  
 დაივიწყეთ ხევხუეებში მიმალული საიდუმლო...  
 დაიძინე, დაიძინე, ფიქრთა შორის, შავო მთო!  
 ნანას გეტყვის ნელი სიო და მღვმარე სასაფლაო...  
 ჯერ არ იცი, რისთვის ცოცხლობ, რად არსებობ, ვისზე ფიქრობ...  
 ჯერ სიჩუმის მტანჯავ ძალას ვერ გაფანტავ... ვერ ჩაიჭრობ...  
 როცა ნისლი დაგაწვება, არ დალონდე, ჩემო კარგო!  
 მსურს მომავლის სიხარული შენს სერებზე შემოეკარგო!

1911



ვარსკვლავი იწვის, ვარსკვლავი ბრწყინავს,  
 ვარსკვლავიანი კამარა ელავს,  
 მოდის, მოცუთრავს შუალამის ბინდი,  
 და ჩრდილი ჩრდილზე მიდის, მიღლავს...  
 რძისფერ სინათლით ვარწმუნობვეულს,  
 ბავშვური ძილით ქვეყანას სძინავს...  
 ვარსკვლავიანი კამარა ელავს,  
 ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს...  
 მომზიბღველ ჯადოს მუდროებისას  
 ქვეშ მოჰყოლია მაღალი მთები,  
 და მუდმივ თოვლით გადაფარულნი,  
 სხედან ამაყად, როგორც დღეები.

და, ყინულისგანქანდაკებული,  
 მათი გვირგვინი ბრწყინავს და ბრწყინავს.  
 სიჩუმეს არღვევს მხოლოდ ნიავე,  
 ტყისა ფოთლებში როცა დაჰტრინავს,  
 და მისი სუნთქვა, ვით ღელის ნანა,  
 მძინარე სოფელს თავზე ევლებია,  
 ალერსიანი ნიავე დაჰჭრის,  
 ალერსიანი ნიავე კვდება...  
 ვდგავარ მთის წვერზე განმარტობით,  
 გულშივე ვიკვებ მომსკდარ სიმღერას —  
 ვარსკვლავიანი კამარა ჯაჭვავს  
 სმენას, სიმღერას და თვალთა ცქერას...

1914

ძველი წიგნები

უცნაურ ბინდში გუთნეული მიჰყვება ქალას,  
 ქარი არ არხევს ოქროსფერი მინდვრების ჩალას.  
 ამოდის მთვარე, სადაც ქოხში იღუვებს კვარი,  
 იქ, სადაც არავის უფროდება მდინარე მტკვარი,  
 სადაც ცუარი სეამს ზამბახების საფესი ფიალას —  
 შეგვიანებულ გზით გაივლის ხეცსური მწყემსი,  
 და მისი სული, ვარსკვლავების სულზე უფრცხისი,  
 ოცნებობს მთვარის სითერთეში, ვით ქანდაკება,  
 მას თან მიჰყვება უბრალოთა მშვიდი ვანგება...  
 ლურჯ ზღაპარივით ხავსი ჰფარავს დაწეწილ წისქვილს,  
 წყალი იძტვრევა ვადაკეცილ ბროლის რკალეზად...  
 და სინათლეში სიღამაზით საფეს ალები,  
 კოჭამდე თმებით, შადრევანზე აირგვიან —  
 არის კვილი. მღელვარება, ცეკვა, სიცილი  
 ასი ათასი და მრავალი ათასი ალის.  
 ამაოდ შიშით შეიშლება გვიანი სული.  
 აღფრთოვანება-გავიყვების ხმა არ შეწყუდება,  
 სანამდე რაზით არ წამოვა წმიდა გვირგვი!  
 ხმოზა ნელდება, ცა ფითრდება და მზე ამოდის,  
 წელში მოხრილი ზვირთივით დგას ძველი წისქვილი.

1915

ნიაგმა წყნარად წაისისინა,  
ბევში შეიჭრა და მიიძინა;  
შეწყდა, ნუგეშო, ბულბულის სტეენა,  
მზე ჩაესვენა...

მარტოკა ერთი, იღუმალ ვნებით  
მთის ხრიოკებში რაკრაკებს წყარო.  
გაეღვნილია ტკბილ სურნელებით  
მთელი სამყარო...

დაღე დაქანცული, ღონემიხდილი  
ასეარცხლებულ მთებს იქით კვდება.  
გაფერმკრთალებით ცა მოწმენდილი  
ტბაში ფერფლდება...

და გამჭვირვალე ბინდბუნდი ღამის  
ქვეყნად მოსცურაეს მსუბუქი ფრთებით;  
ჯგჯილი ველზე ისე დგას, ღამის  
ბინდში გადადნეს იღუმალეებით...

თავბაქინდრული არ შეირხვევა  
არც ცაცხვის ტოტი, არც ალვის ტანი,  
გარინდებული ტყე არ ირყევა,  
არც კაეშანი...

შეჯადოებულ მიდამო-არეს  
წამწამზე უთრთის ნეტარი ძილი,  
კიღით კიღემღე მიწას მთვლემარეს  
იხვევს დუმილი...

აცურდა მთვარე, აცურდა წყნარი;  
ვერცხლისფერ შუქში გახვია ველი,  
ტბას დააფრქვია შუქი ნარნარი,  
შუქი შიშველი...

თითქოს მიწიდან სურს ამოაშროს  
უშინვეი ფიჭვი და ცრემლთა ფრქვევა.  
და ეს დუმილი, ვფიქრობ, არასდროს  
არ დაირღვევა....

1911

ცას არ მსმის

მთის მწვერვალებს, მთის მწვერვალებს  
მთის არწივი უგზნებს თვალებს.

მთის მწვერვალებს სხივი ანთებს  
და მათ კალთებს, და მათ კალთებს  
აეღვარებს, აქათქათებს...

კენესა ისმის: „შეინახეთ...  
და ვერ ვპოვეთ, ვეღარ ვნახეთ.  
რაც დავამხეთ, რაც დავმარხეთ“...

ცას არ ესმის. ის ცეცხლს ანთებს  
და მღუმარე მთების კალთებს  
დაეღვარებს. დაქათქათებს.

1914

სიმფონია ფსევდის

თუ დაემხოზი მიწაზე რწმენით  
და ყურს დაუგდებ არსთ ყოფნის სიოს.  
მუღამ მოისმენ მახვილი სმენით  
შეუღარებულ ამ სიმფონიას.

სიცოცხლე მრავალ ათასი ფესვის  
შეიშმუნება მიწის ქვეშ ქლერით—  
ეს სიმღერაა დარგვის და თესვის,  
ჰანგით ფარულით და მშვენიერით.

ასე, ბუნებას ვერ ჰკითხავ: რატომ?  
ოღეს მრავალი და თანატომი  
ეხმაურება ატომი ატომს  
და უერთდება ატომს ატომი.

1943



ღამის წყვილადს ბოროტ გულში  
 განთიადმა სტუორცნა შუბი.  
 წითელ სისხლით შეიღება.  
 კვდება ღამე...  
 საუკუნეთ იღუმალი,  
 სხივი გულში დანაგუბი.  
 ეის ტატნობზე გიიშალა  
 მოკამეკამე...  
 ხრიოკში კი მიბნედილი  
 და სისხლისგან მთლად დაცლილი,  
 დაკლანქილი, როგორც ზოლი,  
 კვდება ღამე...  
 მდღეარ მებრძოლს, ნორს განთიადს  
 მალა ნაძვებ-აგარცხნილი  
 სინხარულით ეგებება  
 დღის სილაში.

1923

აპა, თენდება! ოქროსფერ სხივით  
 ენთება შენი ზარაფანდელი,  
 მტრედისფერ ცაზე სინხარულია,  
 მტრედისფერ ცაზე გამონდა გელი.  
 მზისკენ, ვარდისკენ, მისი სხივებით  
 ანთებული დი ფრთანათუთქარი,  
 ამოსაწეწნად მიდის ღრუბელი —  
 ლურჯი ფუტკარი.  
 ისარივით ზე აინაგარდა  
 და ახმურდა ცად პრომელერი,  
 მზის სადიდებლად გუგუნი ისმის —  
 განახლებული მღერის სოფელი.  
 ზეციდან ქვეყნად ეშვება ნისლი,  
 ქვეყნიდან ზეცად მიილტვის გული.  
 ო, ბუნებაო, რა ჯაღო არის  
 შენს სიმღერაში დამკვიდრებული!

1926

ს ა ლ ა მ ო

მთის გაგიჟებულ რუებს  
 ლეით, ძენძით და ქვიშით.  
 გრიგალი დააურუებს  
 მაცხოვრისადმი შიშით.

და დედოფალი აღვა  
 ელვამ დაღუნა ცივმა.  
 ასე გავიდა გვალი,  
 ასე მოვიდა წვიმა...

ჯვარი, ლომი და კურო  
 ფარშეანგების არის.  
 თვალთა ანგელოზთ შურო,  
 შენ, ლეთისმშობელო კარის!

ზარით ატეხილ გრიგალს  
 დავით ნარინის ჯვარი  
 მარმარილოთა ფიქალს  
 გადააფარებს მძლავრი.

ან გავცეზებას, რასაც  
 მარად ანთებს ძელი.  
 ისევე დაადებს რაზას  
 შემოღამების ცელი.

ან, როგორც ასომთავრულს,  
 მულამ შევამზნევე ცაზე,  
 სხვისთვის უხილაფ-ფარულს  
 მე რად გელოდი ასე...

ჯვარზე გაკრული ელვა —  
 ეს ჩემი დაა ლურჯი,  
 ლურჯ ყვავილების თელვა —  
 ახალგაზრდობა ურჩი.

ჯვართან მისული სურო —  
 მარტოობაა ქნარის...  
 თვალთა ანგელოზთ შურო,  
 შენ, ლეთისმშობელო კარის!

1915

დანამულ ბალახებს მიძინარე ტბის პირად  
 მსუბუქი ზეფიური ათრთოლებს ხშირ-ხშირად.  
 ზაფერდი ცის სივრცე, ლაქვარდი და მუქი  
 ქათქათებს, ელვარებს, როს სწყდება მზის შუქი.  
 და ჩრდილი ბინდისა, წერწყტა ხის ჩრდილი,  
 ეცემა ბილიკზე შემკრთალი, დაღლილი.  
 და ისმის ციური გალობა ნარნარი:  
 საღამო სიცოცხლის, საღამო დამტკბარი...  
 ვინ იგრძნო სიცოცხლე ამო, უმიზნო,  
 ან შვება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო...  
 დანამულ ბალახებს მიძინარე ტყის პირად  
 მსუბუქი ნიავი ათრთოლებს ხშირ-ხშირად.

1911

## მუსიკა უმცარი

ახალი ხმა შემოიქრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი,  
 და ჰანგებად დაიღვარა, ვით სურნელი, ვით ქარბუქი.

დამის ათრთოლეა იღუმალი გარინდებით ამ დროს თვლემდა,  
 და ნაზი ხმა მის სივრცეში ლივლივებდა, ლივლივებდა!

თითქო ორთქლად ეფრტვეოდა არემარეს ეს ცის ხმები,  
 და ცურავდნენ ამ ლურჯ ორთქლში ვარსკვლავები, ყვავილები!

მაგრამ ჰანგი გაიზარდა და თანდათან შეიცვალა,  
 ახმაურდა მასში გრგვინვა და სტიქიის რალაც ძალა.

ამ დროს თვალწინ იშლებოდა ჯვრღმულები და ხეები,  
 იმედთა და რწმენის ზღვაზე მოცურავდნენ ნამსხერვებები.

ჰანგთ ნაკადში ინთქებოდა კაცთა გული, კაცთა თვალი,  
 იყო რალაც საშინელი, იყო რალაც იღუმალი...

ტბათა ფსკერზე თითქო ელვის დაიკლანა ბილიკები,  
 მაგრამ, აბა, სულ შეცრად შეიცვალა ისევ ხმები:

ლაქვარდოვან ტბის სარკვეზე გასრიალდა ვერცხლის ნავი,  
 ოღნავე დასწვდა წყალს ნიჩაბი, ვით ნიავი, ვით ნიავი...

მთიდან ნისლი ჩამოცურდა, ნისლი ბნელი, ნისლი შავი,  
 და გაშალა ტბის სივრცეზე თმა-გიშერი, თმა-ნაწნავი.

და ისმენდა ამ სიმღერას, და ტოკავდა, როგორც ნავი,  
სანამ კვლავ არ შეიკვალა ჰანგთა ტალღა მომხიბლაი.

ახლა თითქო ღრუბელთ ზევით დაოცნებობს ფიჭვი წყნარი,  
ცის ვარსკვლავებს აგროვებს და ზღვას სთივაზობს ნიაგჳარი.

მღუმარე ზღვის ლიდ სივრცეზე ნისლად იღვა ის სიმღერა,  
და ტოკავდა ზღვის ქალწულთა მოხიბლული გულის ძგერა.

მწველი იყო ის სიმღერა, ვით შუადღის ბრწყინვალეება,  
სადაც გრძნობა გზას პოულობს, სადაც ცეცხლი იმალეება.

და ისმოდა ეს სიმღერა, და ლეიოდა თვით ამ ხმაში,  
და ნარნარად იკათავდა გზას უსაზღვრო ქვეყანაში.

იკვალავდა გზას და თრთოდა უსაზღვრობის სიღრმე-წყულულში,  
იკვალავდა გზას და რეკდა გარინდებულ ცის ჯურღმულში.

ერთხელ კიდევ ჰანგთ კამარა მიძინებულ ქვეყნის გულში  
მიატარა-მოატარა და გაიბნა შორს, უფსკრულში..

1909

### ცად აზიდულა

ცად აზიდულა, ვით მარშარილო,  
მყინვარის თეთრად ნაცვეთი თაგი;  
ცურავს მთოვარე, ცურავს შუქ ცაზე,  
ვით ოკეანის სივრცეზე ნავი.  
დარიღლისა ვიწრო კლდეებში  
ბნელ ღამეს ითეეს ბურუსი შავი,  
და ისმენს თერგი, თუ ცაზე როგორ  
ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი...  
მეუღრო ღამეში მოხეტიალე  
ბედუინის სიზმრად მინახავს მხარე,  
სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი  
სიღამაზე და სინარნარე,  
სადაც ქვეყნიდან უცხო საზღვარზე  
წყდება კაცთ ოხვრა გულმოსაკლავი,  
სადაც იდუმალ-მარადიულზე  
ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი.

1912

ტყემა წამიყვანა

წამიყვინა ტყის ჯურღმულმა, ტყის სიმწვანემ წამიყვანა.

გადმიშალა ხის რტოთა და ბალახების წწვანე ყანა...

დაუბერა ნელმა სიომ, ვარდს მოჰპარა ცის მანანა,

და რტოები, ხის რტოები მიაქანა, მოაქანა:

„ნანა, ნანა!“..

აღუანდრას ბალახებში ძეწნამ ტოტი დააფარა.

ველარ დასწედა და მწუხარემ ისევ სიოს დააბარა:

„ნუ ცახცახებ, არ განახებებ მზის თეთრ სხივებს... არა, არა!“..

აღუანდრა ისევ შეერთა და ცრემლუბად დაიღუარა:

„ქმარა, ქმარა!“

შემდეგ ცელქმა ტყის ფერიაჲ, ღმერთო! რა არ განიზრახა:

ჯერ გაშიშელდა, და როდესაც ტბაში თავის ტანი ნახა,

სულ გაკვირდა... მერე მოსწედა, და როდესაც დამინახა,

შეჭივლა და მიიშალა და ჯაგიდან დამიძახა:

„ხა, ხა, ხა, ხა!“

მუხის ჩრდილქვეშ მიშეძინა და ფოთლები პეპლებივით

მეცემოდნენ მთელ სახებზე, აღზნებულზე სიზმრის სხივით...

და მესმოდა ფოთოლთ ჰანგი: „ჩვენ არ ვკვენსით, ჩვენ არ ვჩივით...

ნიავეით, ნიავეით ტყეში ვცხოვრობთ, ტყეში ვღვივით,

ნიავეით!“

ვიყავ ჩუმი, ვიყავ ჩუმი, და ვხედავდი ცის ლურჯ ტატნობს,

და ვფიქრობდი ნათელ ფიქრით ფიქრებს ძნელად გამოსაცნობს,

და ფიქრობდა ნათელ ფიქრს ტყე, და იღუშალ ნაფიქრ-ნაგრძნობს

ჩემს ფიქრებში მოგონება ახლა აფრქვევს, ახლა აღნობს

ნაფიქრ-ნაგრძნობს...

ვიყავ ჩუმი, და მესმოდა იღუშალი სიმთა ეღერა,

სეფდიანი იყო ჰანგი და მეც გული ამიძგერა.

დავიმღერე: „მესმის, მესმის... და ვერ დავთმობ, ვერა, ვერა“

და სიჩუმემ ნიავეით გამომძახა: „მჯერა, მჯერა

ეგ სიმღერა!“

1912

არ მინახავს შენი არა...

არ მინახავს შენი არე,

გადის ბეერი წელი.

შორი გზები მოვიარე,

კიდევ სხვა გზებს ველი.

მზე გავცვალე? მაგრამ ვისში?

არა, არა, არა...

სიხარულში მარადისში

გაწოლილა შარა!

ბუნება მოქანდაკმა

კლდე აჭარისა, თიხა ხანდაკის.  
ხელსაწყო ბეგერი —  
ყოველ ხელხეობას ამ მოქანდაკის  
ჰქვია შედეგრი!  
ხედავ ორფეოს, ნიმფას, დიონისს.  
ნიჭით მლოცვარი —  
შორს რელიეფი კავკასიონის  
გასაოცარი!  
ოთქო სიმშვიდე ცისკრიან ტერზე  
ბასრი და მჭეგერი  
კრთის გრიგალიდან — ყოველ შედეგზე  
დიდი შედეგრი!

1948

ცაზმი ღრუბელთი ძრებულთა

(ხაწვეტი პოემიდან „აკავი წერეთელი“)

ცაზმ ღრუბელთ კრებულთა.  
მთები ჩიფიქრებულთა.  
მზე შუა ცას გადასცილდა.  
გადაწუადლებულთა...

რა ვრცელია და ძლიერი.  
დიდებული, მშვენიერი,  
უბოლოო, მრავალფერი  
ღრუბელთა ცვლა და ელფერი!

ისინი ხან უზარმაზარს  
მოჩვენებით ჰგვიანს ტაძარს.  
როცა მიღულებულ შექში  
მოიკიდებს ცეცხლი ნაცარს.

ისინი ხან ზვინებია,  
ქარს რომ მიუძინებია,  
ოქროს ნისლში უბვევია  
და ქედს მიუცილებია.

ისინი მზეს სწყურდებიან,  
ჩუმად გამოსცურდებიან,  
შეთბებიან, გზას იცვლიან  
და ქედს დაუბრუნდებიან.

ხოგი, როცა მზით ღვივდება,  
შორით ამოტივტივდება,  
აენთება, გაბრწყინდება  
და სადღაც შორს გაცივდება.

მრავალნი გზის პირებიან  
ნისლში ჩაიძირებიან,  
ინთქებიან თითქო სადღაც,  
და კვლავ მოიმზირებიან.

ანდა ახლა მზად არიან,  
რომ ღველუფიან-ლადარნიან  
ჰაეროვან ბურუსებში  
ელვარება გადარიონ...

ხან იიან-ვარდებიან  
გზებით მიიმართებიან,  
ცაში კლდოვან მწვერვალებად,  
გულტჩეოებად მყარდებიან.

მზად არიან მუქით თან-თან  
მიიფანტონ, მოიფანტონ,  
მზის ჩასვლაში შეეჩიონ,  
მტრედისფერად გაილანდონ.

1940



ცეცხლი ფიქრებს როდი უფრთხის,  
ცეცხლი ფიქრიანია —  
იგრიხება ალი ბუხრის,  
ისიც აწ ფრთიანია.

ნაკვერცხლებო, თქვენც ზიარის  
მოგონებით ენთებით —  
სიცოცხლის ხის, ნათელ მთვარის  
და მზის ორნამენტებით.

თქვენ დაგტერით მოსახება  
ვაზის ნელი სირმების,  
და მედგარი დაჯახება  
ჯიხების და ირმების.

იგრიხება ალი ბუხრის,  
ისიც აწ ფრთიანია —  
ცეცხლი ფიქრებს როდი უფრთხის,  
ცეცხლი ფიქრიანია.

ეჰ, ოცნება არ გაივლის,  
რა არ გამახსენდება...  
ვტოვებ ცეცხლთან, და აივნით  
ცას შევიტყერი — თენდება!..

აქაც მხედება ალი ბუხრის,  
ისიც აწ ფრთიანია —  
ცეცხლი ფიქრებს როდი უფრთხის,  
ცეცხლი ფიქრიანია.

ზეცა დაწუნარებულია,  
ველს ნამი ესხურება.  
ბუბა გაცხარებულია,  
ბუბა მიეშურება.

შემოსილი ლაგვარდით და  
შუქით უკვდავყოფილით  
დგება შოდა-კედელას მთა,  
რუსთაველის პროფილით!

მსურს შევალო სახლის კარი,  
და შეცრაოდ დაედექი:  
ო, ეს კარი კი არ არის —  
ცისკრისა და მდგეი!

თითქო ნაბღიანი მგერი  
ორნამენტად ეგება,  
„მობრმანდიო“ — მისი ეგრე  
მესმის შემოგებება.

და იღება, ხმებიანი  
ჰანგით თანამოგვარე,  
კარი ჩუქურთმებიანი,  
კარი სტუმართმოყვარე.

1947

ცისარტყელა

წყალს, გადაშეებულს ტბიდან, ანაზღად  
ცისარტყელათა დაადგა ზოლი,  
გადაფუნგულა ორმოტრიალი,  
ტურბინებიდან გადანასროლი.  
მაღე მზე ჩაუა და დასაეალი  
ფარშვანგებად შემოიმწყკრიეებს  
აუწყრელად დიად ფერადებს —  
ჩამავალ დისკოს, ჩამავალ სხიეებს!

1928

შრიალღებს ჩალა

შემოდგომა... შრიალღებს ჩალა,  
იჩალღს ჩალა, ზიდაეენ შეშას,  
როგორ აფიქრებს სამშობლო ჰალა  
მინდგრის ყვავილებს, დანისლულ ნეშოს!  
შემოდგომა... დაყრუედა შარა,  
მოვიდა წემა, დამიიმდა ზეინი...  
მოვა თუ არა, მოვა თუ არა? —  
ოხერით კითხულობს ცეცხლის შიშინი.

1914

უმაღლეს მწვერვალთა მსუბუქო ღრუბელი!  
შენ, როგორც კლდეებზე მერაინი უბელო,  
მიგაფრენს მუსიკის მღელვარე ნაკადი,  
ხეცების ქარის ხმა, ნამჭერთა დაღაღი.  
რა გრანოზა მომესმის, რა ცეცხლი, რა ნიჭი!  
ეს არის დღეს ჩემთვის ახალი ნაბიჯი,  
ქარბუქი, ნიაფი, ხანძარი თუ შუქი  
შენ უნდა გბაძავდეს და იყოს მსუბუქი...

1925

თეთრი და მზიანი გათივდა დღეობა.  
ახალი გრივალი მთებიდან ტრიალებს.  
ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს,  
სივრცეთა ზღუდვა და სულის ტყვეობა.  
იალებს და ქრება და ისევ იალებს...  
ასე რომ ჭკივიან, რა უნდათ ტიალებს?...  
მომაკვდავ დემონის ხრიალით ხრიალებს  
გაჩნეული ხეობა...

1918

### ღილა სვანეთში

მთივარ სულს ძლივს ითქვამს  
ყრუ ღამე ხევების  
და სუნთქვა მთებისა  
სუნთქვაა დღეების.

ციცქარმა უშმაზე  
გაშალა ალამი,  
დიად დღეს სალამი,  
სალამი, სალამი!

იფეთქებს ნაღმივით  
მზის ალთა კიდება,  
მალალ მზეს დიდება,  
დიდება, დიდება!

ლალი გზა, გზნება და  
სიციოცხლე მათ მიერ  
ჟეკდავ არს და მრავალ  
და მრავალქამიერ!

წაშავდი, სიბნელებ,  
წაშავდი, სინისლებ,  
ნახვამლის, ო, ღვინოვ,  
სალამი — სიფხიზლებ!

1930



სული კვიის და ველები,  
სურნელება დაღვა თივით,  
თივას თიბგენ მთიბველები.  
ცა ლურჯია გუმბათივით.  
დროს არ უყვარს დიდხანს დგომი  
და ყვაილებს ართმეგს დიბას,  
მალე მოვა შემოღობა  
და ყველაფერს გადათიბავს.

1926

სიცივემ ნამეგს ძონძი გახადა.  
მოვიდა წელი ქარვის ფერები,  
მკრთალმა მზემ კაობს გადაახატა  
გაყვითლებული აღვის ლერები.

სულში სიმშვიდე არის ისეთი,  
თითქო დროებით ართმეგს დროებას  
ამ შემოღობის სიმისეთი  
მოცემულ სითბოს და მყუდროებას.

1911

ი ბ რ ი

იყო დილა მშვენიერი,  
დილა ფერადი,  
მაგრამ უცებ წამოვიდა  
ცაიერადი.

ასე იყო შენი დილაც  
ბედისწერამდი,  
სანამ ყოფნის არ დაგკრავდა  
ცაიერადი.

რომ იშეკა, გზა დაურუვდა  
სერით სერამდი,  
და მაისის წამოვიდა  
ცაიერადი.

ეჰ, წამოდი, ჩემო წვიმა,  
მგონი, მელირსა,  
მოთმინებით მეგრძნო რისხვა  
შენი მეხისა —

რომ შენს ელვას შეუერთდე  
ლურჯი მერანი,  
ცაიერადს ჩემი ჩანვის  
ცაიერადი.

იყო ჭროლა მარადისი,  
მაგრამ ვერრათი  
ვერ დააცხრო დროთა ჩვენთა  
ცაიერადი.

1915

რბ ცბაბ!..

შეხედე, რა ცაა!  
ეს არის, რაცაა!!

შეხედე ამ მხარეს! —  
ზღვით დილა გვახარებს!

შეხედე, რა ზღვაა!  
ო, ეს ზღვა სულ სხვაა:

გულია, მიწაა!..  
რა ცაა, რა ცაა!..

1946

მუხა პირველი იგოანობს აღიონს  
და პირველ სოლამს განთიადისას,  
ამაყად გასცქერს მთას კავკასიონს,  
მეფურ დუმილით დაჰყურებს მიწას.

მუხა პირველი მეხს ეგებება,  
შეუშფოთებულ და მილაერ რტოებით.  
შეუშფოთებლად და მძლავრად კვდება.  
ველზე მდგომარე განმარტოებით.

უანებში სადღაც ატირდა ლალდა...  
ძირს-ძირს ეშვება მოხუცი მუხა,  
ნაკადს დაეცა, ნაკადმაც ტალღა  
ამმულეგარა, აანუხუნა.

წაიღებს ხსონას ეამი პირქუში,  
გასცდება დღეებს, განაპირდება;  
მარტოდენ ქოტი მუხის ძველ ღრუში  
დაისადგურებს და ატირდება!..

1914

### კაჰკასიონი ჩანს მიმზიდველი

კავკასიონი ჩანს მიმზიდველი.  
განთიადის ეამს  
მის შორთა ყინულთ ფრთები ტიტველი  
იწუებენ კამეამს,  
და სიზმარივით ცივი, მსუბუქი  
ნისლეების კრება  
ძნად მოხვეული შემკრთალი შუქით  
ირღვევა, კრება.  
რომ ცისფერია ის ყელსახვევი.  
გულმა ვით არ სცნოს,  
რადღაც სარკეა იქ შორეული...  
მიყვარს ის ამ ღროს.

1913

### ჰეზათა ჰეზა ნიკორწმიდას

მაჰეს მკერდს მიღებული  
ქნარი, — როგორც მინდა—  
ჩენთვის დიდებული  
სხივი გამობრწყინდა.  
მკვიდრად ააშენა,  
ენიაც ააშენა  
და ცით დაამშვენა  
დიდი ნიკორწმიდა.

გზნებით დამკარგავი  
გრძნეულ ზღუქრთმებით.  
ქარვით დამკარგავი  
ნაზი შუქურ-თმებით,  
ნეტა ვინ აზიდა,  
ან როგორ აზიდა,  
რა ხელმა აზიდა  
მალღა ნიკორწმიდა!

რა განძი გვექონია,  
 რა მზნე, რა მდიდარი,  
 ელერს ქვის ჰარმონია —  
 დარობს რამდე დარი.  
 კარგად გამოჰკვეთი,  
 ვინაც გამოჰკვეთა,  
 სიბრინით გამოჰკვეთა  
 მძლავრი ნიკორწმიდა.

აქ რომ თაღებია,  
 სვეტთა შვეკონება,  
 ისე ნაგებია,  
 სიზმრის გეგონება.  
 ნეტა ვინ ააგო,  
 რა ნიჭმა ააგო,  
 რა მადლმა ააგო  
 სვეტი — ნიკორწმიდა!

გრძნობ, ვით დიადია  
 თორმეტი სარკ-ელი;  
 ხაზებში ანთია  
 ცეცხლი მისარქმელი:  
 ნეტა ვინ აანთო,  
 რომ გრძნობით აანთო  
 და წლებს გადაანდო  
 ნათლად ნიკორწმიდა!

ზეეულთ დიადება  
 ვხედავ — რა უხვია,  
 დრომ მას დიადება  
 კრძალვით შეუხვია.  
 ნეტა ვინ მოჰქარგა,  
 და როცა მოჰქარგა,  
 შიგ მოჰქარგ-მოჰქარგა  
 გზნება — ნიკორწმიდა!

მკვეთრი და მოქნილი  
 ხაზთა დასრულება  
 არის ამოღქმნილი —  
 ნატერის ასრულება.  
 ეს ის სიმკვეთრეა,  
 ეს ის სიმდიდრეა,  
 რაითაც მკვიდრია  
 ძეგლი — ნიკორწმიდა.

შენის სულმნათისად  
 ასვლა ეროვანი:  
 ყელი გუმბათისა  
 მაღალეროვანი,  
 ცამდის აღერილი,  
 ნებით აღერილი,  
 სათნოდ აღერილი  
 გშეენის, ნიკორწმიდა!

მზერა ქართულია  
 სივრცის დაუნჯებით.  
 თვალი გარო უღია  
 ფრთიან ფასკუნჯებით:  
 ფრთები, ფრთები გინდა  
 კიდევ ფრთები გვინდა,  
 გინდა დაეწფლო  
 სივრცეს, ნიკორწმიდა!

შენ, ფრთამოღულუნეს  
 ეამთა სიმადლეზე,  
 ჩვენი საუკუნე  
 გიცავს, უახლესი:  
 მძლავრი ხელოვნება,  
 ხალხის ზელოვნება —  
 ბრწყინავს საქართველოს  
 ქებად ნიკორწმიდა!







### კომბი-ტრიბუნა

როდესაც მასის წრფელ აზრს და მიზანს  
ფეხქვეშ სთელავდა გაბოროტება.  
როდესაც მხარეს ამირანისას  
აესებდა ხალხის მოთქმა-გოდება;

როდესაც ციმბირის მიმავალ გზაზე  
დღე-ღამე ისმოდა ბორკილთ ელარუნთ.  
როდესაც მტარვალს სახარხოველაზე  
აჰყავდა გმირნი უანგარონი;

როდესაც ფეთქდა ზეალმამფრენი  
იმ ძველი ქვეყნის არშეცოდება —  
მაშინ გაისმა სიმღერა შენი,  
როგორც ძახილი და მოწოდება.

და ხალხმაც დიდი განძი გაჩუქა,  
თვით სიცოცხლეზე ძვირფასი, ტკბილი:  
ცხრაას ჩვიდმეტის მზით გააშუქა  
ყველა მგოსანი და ბრძოლის შეილი.

მტერს გულს უკლავდა აღფრთოვანება,  
გამოწვეული ჩანგის ელერიითა,  
მიდიან წლები და ხმოვანება  
გუგუნებს მეტის სიძლიერითა.

კვლავინდებურად ნერგავ მხნეობას,  
შენ, ტრიბუნაზე ხელაღმართული,  
და ასე იხდის მოვალეობას  
დღეს პოეზია დიდი, ქართული!

აღვისო უხვთა ვაზთ სხივოსნობით  
გიორგობისთვის კარზე მოდგომა...  
გამოიხედე გარეთ, მგოსანო,  
ეს სიზმარია თუ შემოდგომა?!

ზღვა ხალხს ახარებს საშვილიშვილო  
ჩანვთა სიწმინდე, გულთა სიწრფედე,  
ქარიშხალთა და გრივალთა შვილო,  
იცოცხლე დიდხანს და იღვრებდე!

### პოეტი არის მებრძოლი

პოეტი არის მებრძოლი,  
ახალი ქვეყნის მშენებელი,  
წინა ღვას ცხარე ბრძოლებში,  
როგორც ქვიტკირის კედელი!  
რატომ შენ არა გჯერა,  
რომ მრავალია ჯერა  
მტერი გარეთ და შინ?  
წინ, პოეზია, წინ!  
ვშედოთ რკინად, ვშედოთ რკინად  
გული ჩვენი ზიარული,  
იღარ ვარგა, როგორც წინათ,  
ძველი გულით სიარული!  
გული თუმც არც ყინულია,  
არც დამწვარი მღვდლარებით —  
იგი შემორჩინულია  
დღეთა ჩვენთა მქუხარებით!

1929

### პოეტი

რამდენჯერა ვთქვი, თუ ვისთვის მინდა  
სევდიან სიმთა მწუხარე ელერა,  
რამდენჯერ ექვი მეწვია წყნარი,  
რამდენჯერ ხელში ავიღე ქნარი,  
რომ დამემსხვრია და არ მემღერა.

ამ დროს მწყუროდა, რომ მიმეშალა  
ის სხვა ქვითინი და სიმთა წკირა...  
ხალხისთვის, ჩემში რაც ძლევის კმნიდა —  
ჩემი ოცნება და წმიდათ წმიდა,  
დაუბრუნებლად, მთლად შემეწირა.

მეც ვშთანთქმულიყავ მწყურალ ტრიამულში,  
ამენთო გულის ვედრება წრფელი...  
ხოლო სიმღერის გადავიწყება,  
ჰანგთა დამარბვა და დამიწება  
ვერ შევიძელი, ვერ შევიძელი!..

სიმღერავ, უხმე დალილოთ, დაქანცულთ,  
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,  
დაე ისმენდნენ ჰანგს დაუცხრომელს,  
დაე იცოდნენ, რომ ყოფნის მგმობელს  
მათდამი დიდი აჭვს სიყვარული!

1910

### ჩვენ, პოეტები საქართველოს

გულში იმავე გრძნობით ბრუნდები  
და მოლოდინი დარტყავს ჩუმი,  
რომ არაერთხელ აგუგუნდები  
დედამიწაზე კიდევ საბუმი.

აჰ, ქიმიური ომების წყება  
სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში.  
ახალი ლპობა პოსპიტალების,  
ახალი ცრემლის ღვარი და თქეში.

იქ, ტრანშეების ლაბირინტებში,  
ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი...  
ხევიდან ხეზე იკიფლებს მები,  
ხევიდან ხეზე წაეა ქუხილი,

და გიგანტური მუხლუხია — ტანკი,  
შეუწყვეტელი ტყვიის ფანტელი,  
პროექტორებმა პაერში იგრანეს  
აერობების კორიანტელი.

წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად  
ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი,  
ხევიდან ხეზე გადიგრილიებს  
ხევიდან ხევის გამოძახილი.

გააფთრებული ომის გენია,  
ძველი ეანგივით ყვირთელი ფერის,  
გადეფარება მეწამულ ზეცას,  
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.

იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა  
აღმოსავლეთის დღეების თბილისი,  
გადმოანგრეოს მტკვარის ხეობა  
და ასაკლებად მოადგეს თბილისს.

ვართ პოეტები საქართველოსი,  
რომელთაც გვახსოვს დღე უარესი,  
ჩვენ ახლავ გიცით, სად დადგებიან  
კლოდელი, თამში, სიუარესი...

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალი,  
და სისხლიანი დგას ანგელოზი,  
ახალ გრივალეს ვწირავთ სიცოცხლეს  
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!...

1923

### ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ

არათუ წლები გადემევა ტყდომად,  
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ...  
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ —  
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ!

ბევრი მიეცა ტალახსა და ლექსს,  
ბევრის ნაბიჯი არის ტატი...  
დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს —  
ეს წელიწადი, დღე და საათი.

არათუ წლები გადემევა ტყდომად,  
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ...  
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ —  
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ!

არათუ წლები გადემევა ტყდომად,  
ყოველი ლექსის ყოველი პწყარი  
არის გაქრილი კლასობრივ ომად,  
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.

ეპოქა არის ნამგლის, ქურების,  
ეპოქა, რამაც ძველი შეთოვა,  
ეპოქა ძველის განადგურების,  
ინდუსტრიული დროის ეპოქა.

1927

შცხომალ კომეტს

ზეენში: „გაგვიძელ, ბერო მინდიაე,  
მუხლი მაიბი მგლისაო“ — მღერდნენ.  
თქვენში კი — ერთობ სხვა ამინდია.  
მგონსებიც თქვენი გადასხვაფერდნენ.

რა სასწაულით, რა საწყაულით  
პოეტი უნდა შეიქნეს მოგვი —  
მუხლები თუ აქვს გადატყაული  
ბატონების წინ ხეწენით და ჩოქვით.

არვინ არ ენდოს ამგვარს იოტიო!  
პოეტი მართლა პოეტი თუა —  
არც ერთ მლიქვნელის და იდიოტის  
სწრაფვას იმისი არ აწყვეს კეჟა!

1935

მარკა სხედს ხელოვანს

საბჭოთა ხალხის გმირული  
აქ ეპოქა სქედს ხელოვანს —  
იგი გმობს, გულმოპირული.  
სიცოცხლეს არსახელოვანს.

კარგია ლექსი მაშინ, როს  
ნათელია და ხალხური,  
არ მოაკლდება არასდროს  
მისის მღელვარე თვალყური.

სიმაართლე, წრფელი იდეა —  
აი, რა არის პირველი,  
გრძნობა კი დიდი ხილია  
აზრთან ბჭით გადაამკირველი.

მაშ, შენი ზვირთი რას იცდის,  
სიმღერაჲ გულში ფარულო,  
აქუხხდი! მოგვეც არტისტის  
განცდები სასიხარულო!

1928

თვითთული კომეტი ახლა ინჟინერია

თვითთული პოეტი  
ახლა ინჟინერია,  
ახალ დღეთა აგება  
მის დროშაზე წერია.  
სწორზე უსწორესი დროს  
დანთებული ვადითა,  
არ ჰგავს იმ მდინარებას  
სიმწეიდე რომ აღიდა.  
შექმნა, ვამოვონება  
თუმცა ძნელზე ძნელია.

ახლანდელი პოეტიც  
გამომგონებელია.  
თვითთული პოეტი  
ნამდელი საქმეს აქეთებს —  
ის შლის ლექსთა ფართობებს,  
მიტოვებულ ნაკვეთებს.  
იგი რევოლუციურ  
დროის ბარომეტრია.  
თვითთული პოეტი  
ურბადლების ცენტრია.

თუმცა ეს ყურადღებამ  
 მუნჯი არის, ფარული.  
 მასში თანავარსებია  
 ჩვენი, პროლეტარული.  
 თვითთული პოეტი  
 მებრძოლია მშრომელი,  
 მუდამ შეგნებული და  
 მუდამ დაუცხრომელი.  
 ის მშრომობს და არ ჰყვედრის  
 გარემოს უენობას,  
 მშვენიერს და უმაღლესს  
 როცა აგებს შენობას.  
 ეს შენობა ძლიერი  
 მისი აგებულია,  
 მაგრამ იქ მინადარი  
 მხოლოდ მასის გულია.  
 თვითთული პოეტი  
 გრძნობს, რომ ეს ნერგია  
 მილიარდ ვიტაეტების  
 ერთი პირში ნერგია,  
 იგი ზღვა ელექტრონის  
 ლამპების ციმციმია,  
 მისი შეგობარია  
 ტექნიკა და ქიმიკა.  
 ლექსი შემოკლებული  
 სივრცე არის დროისა,  
 მკვეთრი გამოძახილი  
 ახალ სამყაროსა.  
 როცა კლასი თავისად  
 ჩასთვლის გამოგონებას,  
 ზოგიერთი უწოდებს  
 დანაგვრას და მონებას —  
 შეეკმენიო შევენება  
 დიდი, ხელუწვდომელი  
 და ჩემს შემოკლებულს  
 თვისად სთვლისო რომელი?  
 თვითთული პოეტი  
 გრძნობს — ეს არის დარება  
 უმაღლესი, ნამდვილი  
 მისი აღიარება.  
 ზოგს სხვაგვარად ჰგონია  
 და მხოლოდ ეს ახელებს.  
 მასა მის ხმას იყენებს,  
 მას კი არ ასახელებს.  
 რა დროს ვისმე აგნება,  
 ძეზნაში ვინ გაერთო,  
 ზენიც, ჩემიც, იმისიც,

ყველასია, საერთო!  
 გონიერი პოეტი  
 გრძნობს — ეს არის დარება  
 უმაღლესი, ნამდვილი  
 მისი აღიარება.  
 თვითთული პოეტი  
 პირში გაგრძობისა  
 არის ახალთახალი  
 კაცი ახალ დროისა.  
 ახალ აღამიანში  
 უდიდესი ისაა,  
 რომ ის არა თავისი,  
 არამედ მასისაა.  
 და ეს არის ახალი  
 დარის გამოდარება —  
 უდიდესი, ნამდვილი  
 მისი აღიარება.  
 თვითთული პოეტი  
 ძველით მით განერჩევა,  
 რომ ის მასობრივობას  
 თანდათან ეტყევა.  
 მასას არ ენატრება  
 ნისლი ძველ სიმბოლოსი,  
 ძველი არც იხადება  
 დიდება და კოლოსი.  
 იგი არც საჭიროა  
 ცივი, მიეთ-მოეთი,  
 საზიზღარი რუტინა,  
 შურიანი პოეტი.  
 შური, გაუტანლობა  
 ძველი დროის, სხვა არის.  
 მაგრამ დამკერელობა და  
 შეჯიბრება სხვა არის.  
 აქ ზოლივით იწლება  
 მიგნებათა მორევი,  
 აქ არ გამოიხარებს  
 გრძნობა წამეორევი.  
 ეს კარგია, როდესაც  
 კვდება ძველი ციურები.  
 მაშ, ძირს შური! საქმისთვის  
 საქმეს შეეჯიბრები.  
 თვითთული პოეტი  
 ახლა იწყინებია,  
 ახალ დღეთა აგება  
 მის დროშაზე წერია.

მისდევს რგოლს რგოლი. ასე: ტოლ-ტოლი  
 ცვივა ფოთოლი ჩენი თაობის  
 სხედანსხეგვარი, გზაა მდაგვარი  
 ამ მრავალგვარი სანახაობის.

ჩენი თაობის გამებდობას  
 სხვა მოძრაობის ეღვა მოტორი.  
 ეპა! რა და რა ქარში გვატარა  
 დიდი, პატარა, ტოლი და სწორი!

ნათელი სევდით ლექსებს ვუსმენდით,  
 საღ მონუმენტი იღვა მთაწმინდის,  
 მიმყავდა გემი და ნუგეშმდენი  
 ხმა ქუხდა ჩემი ეფემერიდის.

სად მრავლობითი იღვა კოპიტი  
 უარყოფითი შრიალით საესე,  
 წარსული სტირის არავისპირის  
 და ჩემი გმირის თავგადასავალს.

გგონია, იქნებ გზას ვაგვიგნებდით,  
 გზას ვაგვიგნებდა წყვედიდში თვალი,  
 უკვდავი მიზნის რომ არა ჩანდეს  
 დიდი იღვა, მზე, მომეფილი.

მის მეოხებით სხვა ამბოხების  
 ფარჩა-ნოხებით იცელება თალბი —  
 ყოველი ღვრის და გარემოს  
 ქეშმარიტ პოეტს ვაივებს ხალბი.

1925

აქაკის ლანდი

მდუმარე მხარეს შორი მთებისა  
 დაჰხარის ლამე და ანდამატი.  
 ჩრდილი ნუგეშის და მშვენიებისა —  
 გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი.  
 თეთრი ჰალარით მოსილი თმები  
 ელავდა ელვის ელვა-ციმციმით,  
 და მოხიბლული იყვნენ მთიები  
 დიდებულ სახის ლეთაებრივ ღიმიით.  
 მძიმე და დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა  
 ელი-ნელ მსვლელი ღრუბელი ჩუმი,  
 და მოძრაობდა ლამის მნათობთა  
 აღლვებული ელიზიუმი.  
 გრძნობდნენ თანაბარ მოახლოებას  
 ვანცვიფრებული და დიდი მთები,  
 შეუცნობ-ხშირი შრიალით შეკრთნენ  
 მშობლიური ტყის მწვანე ზვირთები.  
 მაშინ ბავშვით მიჩუმა შექერი,  
 შეწყდა მდინარეთ ზვირთების მღერა,

ალის სიღმე გზა მრავალგვარი  
 ნაპერწკლის დროშით ააელფერა,  
 და საიდუმლო შუქით შემოსა  
 მიწყნარებული გზა იშვიათი.  
 ჩუმაღ... დაღლილი, სანთლებით მოღის  
 იმედის ლანდი... მაღალი ლანდი...  
 ოჰ! ასეთია დღეს განსაცდელი,  
 და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,  
 რომ არ აანთოს ისევე სანთელი  
 დავიწყებული ხატის მახლობლად.  
 იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,  
 იქნება ჩვენთან მარად და მარად,  
 ჩენი სიზმრების სიღიაღში,  
 ჩენი ღიქრების ლურჯ ნიექარად!  
 მადლს არ მოგვაკლებს და შუქს უსიტყვოს  
 მისი, პოეტის, მაღლით ანთება...  
 კურობეულ იყოს, კურობეულ იყოს,  
 კურობეულ იყოს ეს მოლანდება!..

1915

## ღიღებულ ზოთა

შენ სიყრმიდან იცნობ ომებს,  
გიჟვარს ხმალია სტყენა,  
ყვავ-ყორნების არ გაშინებს  
შაფხე შავი ფრენა.  
ომთა გრჯინვა და დროშები  
თამარ შეფის ორბთა  
შენ ბრწყინვალედ გამოხატე,  
ღიღებულ ზოთა!

ახსოვს იმ შენს ოქროსფერ წლებს,  
გორს, ასპინძას, მცხეთას,  
თუ რამდენჯერ სიკვდილისთვის  
თვალში შეგახედავს...  
სიკვდილმა ვერ ისიკვდილა —  
უჭკნობ დაფნის რტოთა  
უკვდავებით მტარებელი,  
ღიღებულ ზოთა!

მხოლოდ გმირთა თავდადების  
გზა იყო და არის  
ღირსი დიდი სიყვარულის  
მშობლიური მხარის.  
და იმ „ვეფხისტყაოსანით“  
ბეგრი, აოა ცოტა,  
გამარჯვების დღე ყოფილა,  
ღიღებულ ზოთა!

თვით ქაჯეთის არ არსებობს  
ციხეები შავი,  
ამად შეფიტულ მეგობრების  
რომ არ ლეწდეს მკლავი.  
მათ საზღვარი გადალახეს  
ათასნაირ შფოთთა,  
და გვინათის შენი სახე,  
მზეთა მზეო ზოთა!

თინათინის და ნესტანის  
სიყვარულის ღირსი  
მხოლოდ გმირთა უკვდავება  
არის მარადისი.  
შენ გარშემო ყველა დროის  
მღელვარება რბოდა,  
უსაყვარლეს სამშობლოს  
მშვენიერ ზოთა!

მარგალიტთა დიდთა მტევნად  
და ოქროდა ჰქროდა  
სიტყვით შენთა შადრევანი,  
ცემა ჩოგანთ შნოთა.  
შენი გული უსასრულო  
სიყვარულით თრთოდა,  
შოთა, ერის სიქადული,  
ღვთაებრივო ზოთა!

1940

## ალბრა ბეჰავს ილია

ძმებო, ამხანაგებო!  
ალბრა გეყავს ილია:  
მისი შუბლი მზიური —  
ტყვიით გამოზილია...

ფიცი დაფლოთ: განვაგრძოთ  
ილიას გზა ნათელი,  
მტერზე შურისძიება —  
ეს იქნება ნამდვილი!

ფიცი დაფლოთ: სამშობლოს  
მიცემთ ჩვენი ცხოვრება —  
მკვლელზე შურისძიება  
ამით გვემასხოვრება!

ძმებო, ამხანაგებო!  
ალბრა გეყავს ილია:  
მისი შუბლი მზიური —  
ტყვიით გამოზილია...

1907

მისხის ზამოხედვა

ის გამოხედვა მზიური  
შვილთა ვალი და სესხია.  
შეგრძნება ტიტანიური —  
იტყვი: ნამდვილი მესხია.

იმ გამოხედვით არეებს  
უკვლავი ცა მიესხურათ.  
ვეფხვების შემოგარეებს  
სხვა ვერვინ იტყვის შესხურად.

ის გამოხედვა სხვა, წრფელი,  
ვერავის ვერ მოესყიდა,  
და ამაცობდა ქართველი  
იმ ერთი ვინმე მესხითა.

არის ტალღათა მოხეტქვა  
ძლიერი, არ უნებური,  
მითხარით: სხვა გამოხედვა  
სად არის მესხისებური?

გრიგალია თუ სეტყვია.  
არ მეშინია მე სხვისა:  
ქართველში გამოხედვაა  
იმ ერთი ვინმე მესხისა.

1940

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით,  
დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით?  
გადიარეს გრიგალებმა, დღეს ის წიგნი არეინ იცის,  
და ქამთ მტვერით იფარება წიგნი ცის და დედამიწის.

დიღხანს ეწერდი, დიღხანს მწვავდა შთაგონების ცეცხლი მწვავებ.  
ეწერდი ჟინით, ეწერდი ვენებით... და, ჰა, იგი დავათავებ,  
და ვფიქრობდი: ზენს შავს წიგნში თუ არს-მეთქი რამ ისეთი,  
რომ არ აჩნდეს მწარე გესლი. რომ არ აჩნდეს სისხლის წვეთი...

და მეწვია შემდეგ ეჭვი, და მომწყინდა იგი მცნება.  
ვთქვი: „სხვას რას აქვს ფასი ქვეყნად, რომ არ იყოს ხელოვნება?“  
მაგრამ ზემში საუბრობდა მეორე ხმა, ხმა ფარული:  
„ხელოვნება — ეს ოქროა მიწის გულში დამარხული,

ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ჰფარავს შეუცვლელი,  
რას იშვიათ თუ მიწვედება კაცის გული, კაცის ხელი...  
არის წმინდა ჰოვზია და მუსიკა არის შორი,  
მაგრამ ქვეყნად არ არსებობს ის ალერსი, ის ამბორი.

არის საღეთო ბილიკები ამ სიერცისკენ მიმავალი.  
აირჩიე მათგან ერთი, აირჩიე ერთი კვალი!“  
შავი წიგნი არ თავდება. შავი წიგნი შუა წყდება...  
მას იქით კი კაცის გრძნობა და გონება ვერ-რას წყდება.

1910



ზღვაში გაღვივებო ბედითი ბადეს,  
რომ ოქროს თევზი მოჰყვეს ცებრი,  
მისი დანახვა მრავალჯერ სცადეს,  
მე კი ნამდვილად ვარ ბედნიერი.  
ზღვაში ჩავაგდებ საოცარ ანკესს,  
აჰა, სირენას ამოჰყვა გული,  
იგი მომასწავს მწვენიერ ჰანგებს,  
და მე ნამდვილად ვარ მოხიბლული.  
დღე გატუნთილა ქროლით მზიანით,  
საღლიც, სხვა მხარეს ვადანატანი,  
ზღვა დღეაგ ისევ ხალსიანი,  
დღე ელაეს, როგორც ცეცხლის მადანი.  
მისკურავს გემი, ტრიალებს ზეირთი,  
ჩვენ გაეყოფეთ ხომალდებს კვალი—  
იქ პოეტების ფრიალებს დროში,  
და დრომას წერით გასცქერის თვალი.

1912

მეუღრო ნაპირზე, სადაც ზღვის წინწყლებს  
ათამაშებდა სუნაქვა სიოსი,  
აღურთოვანიულ ფიქრებში იდგა  
ყრსა მეოცნებე და გენიოსი.  
და მას ზღვის ტალღა ეუბნებოდა:  
„ოჰ, რატომა ხარ ეკრ თაგებდი,  
რომ ფიქრობ, თითქო გასცილდი საზღვარს,  
რისაც კაცთათვის ამყარებს ბედი?“  
ყრმა კი ამაყად უპასუხებდა:  
„საიდან იცნობს ეგ გულცივიობა,  
თუ რა ძალია შემოქმედისთვის  
საკუთარ ძლიერ სიმღეოსის გრძნობა!“  
ტალღა კვირობდა: „რა შოპს ამ გრძნობას.  
ჟენაურ ძალს რომ ესაბამება?!“  
და ყრმა ამაყად უპასუხებდა:  
„ამგვარ გრძნობებს ქმნის მხოლოდ წამება!“

1909

3 ა რ დ ბ ბ

მე, ზამთრისაგან ჯაჭვაწყვეტილი.  
ნაცნობ ბაღისკენ მივემართები,  
სად ფერად უცხო, ყნოსვად კეთილი  
ზამთარ და ზაფხულ ჰყვავის ვარდები.

დე, ჰომიროსის და ჰეზიოდეს  
ფეთქდენენ ვარდები მადლა ახრილი,  
მათ ვერ დამარხავს სასტიკი ლოდი,  
სამუდამოდ ვარ ბორკილაყრილი.

დაე მაისის ხატადღეს ხელი  
ფლორას, გოაცოებს, მუზებს და ეროსს.  
რომელი იყო პოეტს წრფელი,  
რომ სიყვარულზე არ დაემღეროს?

ვარდები იგი ელლადის გემმა  
დაფახტა, როგორც ძვირფასი ჩრდილი,  
როგორც სახება და დიადემა  
სილამაზისა და სინამდვილის.

რომელი ღვინი იყო უფარლო,  
და ან — რომელი დღე საცნაური,  
ან ანაკრონის ვინ განუმარტოს,  
რატა უფარლოდ დღესსწაულო?

სახეთა ფერი და ნეტარება,  
ბაგე, თითები თუ ყოფნა მზარდი,  
პოეტს ყოველთვის აქვს შედარება:  
მაისის ვარდი, სიცოცხლის ეარდი.

მარად იზრდება ვარდთან ჰინკარი,  
როგორც ოდესმე უთქვამს ოვიდის.  
დაე, მოვარდეს სეტყუათა დვარი,  
და ცეცხლი ჩემზე გარდამოვიდეს.

ნეტავი ჩემთვის წუთებს არ ეკლოს,  
აივინდან რომ მესერიან ვარდებს,  
ვარდებს ეკლიანს, ვარდებს უიკლოს...  
ოჰ, ამ დღეების სიმღერა მშაოთებს!

ოჰ, სიწმინდეო და სიჟაჭიზე!  
შენ ვერ მოასწარ, ისე დაწყნარდი,  
როცა მზიანი იყავი ისე,  
როგორც უწვიმარ რიერაქში ვარდი.

და ორნამენტით აკრთობდა დემონს  
იმ მშვეხიერი წიგნების ძალა,  
წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო  
ვარდით შორთული ჩნდა თავის ქალა.



ბოტიჩელს ვარდთა წვევდა დღე იგრ,  
რაფაელს იგი ფარავდა ლხინში,  
სადაც ჯიოტო და ვინ-დვიკი  
და ლეონარდო იყო დე-ვინჩი.

იხილებოდა სული დიადრტ,  
რომ სიმძალეებს სწევდებოდა არსი.  
რუსთაველს მარად შვენიოდა ვარდი —  
ისეთი ჰქონდა ვარღს შინაარსი.

ვიგონებ თაღებს, ვიგონებ სვეტებს,  
და ყუავილებით მოქარგულ ფარდებს,  
მაისს, კოლხიდას, ძვირფას პოეტებს  
და კათედრასთან მინოურილ ვარდებს.

1927

საშუაბრი ლირიკის შესახებ

(პოემიდან)

დასაბამიდან მოლივლივებს  
ლირიკის შუქი,  
იგი არ არის უბრალო რამ,  
რამე მსუბუქი.  
შენა ნიქს გარდა, გემოვნებას  
მისას ეწინება  
თაღისებური გამოსახვა  
და შეშეცნება.  
მისი ტექნიკა, მრავალფერო  
ხალის მქსოვარი,  
მიღწეულ იქნას ურყველი,  
შეუპოვარი,  
გულდადებული მუშაობით  
შემდეგ სიტყვაზე.  
ლირიკა ასე იქედება  
და მხოლოდ ასე!  
მართალი არის, რომ პოეტი  
ამბობს თაობის:  
„გრამი შოენისა ნაყოფია  
წელთ მუშაობის,  
მოღებულ იქნას და ერთ სიტყვად  
უნდა გადადნეს  
ათასეული ტონა მთელი  
სიტყვიერ მადნის“.  
ზეშთაგონება — აწვეა  
შემოქმედ ძალის,

შედეგი ხანგრძლივ აღტყინების,  
შრომის სიალისი,  
მონგრევა გულში ნაგუბარის,  
გახსნა, კრიზისი,  
დიდი ხნით გულში შენახულის  
რამე მიზეზი,  
იღვები და სახეები  
თითქმის მზადქმნილი,  
ერთბაზად მხატვრულ სიძლიერით  
გადმოხეტქილი  
ფიქრი, ოცნება გრძნობა, სმენა  
და გაგონება —  
აი, ლირიკა, აი. მგონის  
ზეშთაგონება!

პოეტს, რომელსაც სურს იპოვოს  
გამოძახილი,  
უნდა შეეძლოს სიტყვას მისცეს  
გრძნობის მახვილი,  
უნდა იცოდეს აზრისა და  
ხისის შეხამება,  
ერთგვარ წესრიგში მოიყვანოს  
დღე, შეღამება,  
რათა სიტყვათა მათ ცოცხალთა  
თანაბერება  
თან სდევდეს და შიგ გაისმოდეს  
ის ძლიერება,

რაიც აცოცხლებს და აღელვებს  
 შკითხველს და მსმენელს:  
 ის მიუთითებს, მოქმედების  
 არეს უჩვენებს,  
 ის წამყვანია, მებრძოლია,  
 ანდა, პირიქით,  
 ის ანუგეშებს და ამშვიდებს  
 იმავე ღირიკით.

მთავარი ძარღვი პოეზიის  
 ზომაა, რითმა;  
 მისით მარადის გაივლის  
 შუქმა ბედითმა,  
 მაინც იმაზე უმთავრესი  
 სხვა დედაარსი  
 არის მშვენიერ პოეზიის  
 იდეა, აზრი.

მათში იხსნება მგოსნის ძალა  
 და მოქმედება,  
 ისეთი, ყველას სიხარულად  
 რომ მოედება  
 და მოჭყარავს გზებს ვარდით, დაფინით  
 და ალოეთი.

იდეა, აზრი, ზომა, რითმა —  
 აი. პოეტი!

ის იდეური უნდა იყოს  
 მაღლით ფენილი,  
 მისით სულდგმული, შთაგონებით  
 აღმოჩენილი,  
 ტემპერამენტის სიდიადით  
 არეს ავსებდეს,  
 აღგვამალვებდეს, გვიტაცებდეს,  
 მოგვათავსებდეს...  
 სხვა გზით იქმნება ეს ისეთი  
 „შედეგრი წმინდა“,  
 რომელიც პოეტს ირონიულ  
 ღიმილსა ჰგვირდა:  
 „ლექსებში ხშირად ყველაფერი  
 თავის რიგზეა —  
 სახე და ფორმა, რიტმიც თითქო  
 საკმარისია,  
 მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი:  
 ყოველი წესით  
 თითქო ლექსია, მაგრამ მაინც  
 არ არის ლექსი!“

რად უწოდებენ საქართველოს  
 მგოსანთა მხარეს? —  
 მის მთებს და ქალებს, უღრან ტყეებს,  
 ღამაზ ხეობებს,  
 მის ძველ ნანგრევებს. ციხე-კოშკებს,  
 შემოგარეებს,  
 მის ჯირითობას, ბურთაობას,  
 ხალხურ დღეობებს  
 უძველეს ხნიდან პოეზია  
 სდევდა ზეპირი  
 (აღრე, სანამდის შუფუყარდა  
 ხალხს პერგამენტი),  
 მძლავრი, ვით ქარი, ნახი, როგორც  
 მთების ზეფირი.

ომის დრო იყო თუ უღრუბლო  
 იყო ამინდი,  
 უძველეს ხნიდან დაწყებული  
 რუსთაველამდე,  
 რუსთაველიდან ჩვენამდე რეკს  
 ივერთა ჩანავი.

მასთან უძლური იყო ცეცხლი.  
 ასული ცამდე,  
 ათასი ჩინვის, მაჰმალ-ხანი  
 და თემურლანგი.  
 ახლა კი ჩემთვის ნათელია,  
 თუ ივერიის  
 მცირეზე მცირე რიცხობრივად,  
 პატარა ერი  
 მარად, ყოველმხრივ შემორტყმული  
 უამრავ მტერთთ,  
 მაინც გადარჩა, და გადარჩა  
 ის, როგორც ერი —  
 აქ პოეზია იყო მისი  
 შექვიდროება,  
 ანკარა წყარო, მომჩქეფარე  
 იმ ხალხის გულით,  
 მის სასიცოცხლო ძალთა ძალა  
 და საზრდოება.

აი, ღირიკა მთელი მისი  
 დიდი წარსულით,  
 აი, რად უყვართ საქართველო  
 მსოფლიო ქნარებს,  
 რად უწოდებენ საქართველოს  
 მგოსანთა მხარეს!



სამხრეთის მზის ქვეშ, მთის ჰაერში  
 ჰუევიან ვარდნი —  
 ფერად-ფერადნი, მშვენიერნი,  
 სურნელით წმინდა,  
 არ ეშინიათ არც გრივალის  
 და არ თოვლვარდნის.  
 მათში ძალა და სიბარული  
 მოსკვივის მზიდან:  
 უძველეს მიწას, უძველეს ერს  
 ლაქვარდი ცის ქვეშ  
 მძღავრი, გმირული პოეზია  
 უნათებს თვალებს,  
 წარსულისადმი უდიდესი  
 მაღლობის გრინობით  
 რუსთაველისას კვლავ ვახსენებთ  
 სახელს ბრწყინვალეს.  
 პოემა ვეფხვის — პოემა  
 გრძნობის მზიურის,  
 სიყვარულისა, თავდადების,  
 გმირობის, სიბრძნის!  
 მას იმეორებს მკაცრი სვანი,  
 გმირი ხეცურთი,  
 მთლად საქართველო, როდესაც ის  
 შრომობს ან იბრძვის.  
 თუმც ბევრი სისხლი, ჩვენო მიწავ,  
 მიმოიღვარა,  
 მაინც, როგორც წენ, ვერ ამცდენმა  
 სიმწრის ფილისი,  
 ამაყი ქედი პოეზიამ  
 არ მოიხარა  
 შემოსეულთა, დამპყრობელთა  
 წინაშე ძალის.  
 ღრმა მწუხარება მშობელ მხარეს  
 მოდებულ ჩრდილის  
 იყო გულწრფელი მელოდია  
 გურამიშვილის.  
 ვით ახალგაზრდა კაპიტანის  
 რომანტიკულ სულს,  
 სამშობლო მხარის დამპყრობელის  
 სიფერაგე სძულს.  
 რომ თვით ჯაღათებს, გადიქეულთ  
 სმენად და ქვრტად.  
 მცოდნეთ რა ძალა, რა სიმტკიცე  
 ლეივის გზნებისთვის,  
 შიშის ზარს სცემდა პოეზია  
 უფრორე მეტად.

ვინემ ფერმკრთალი შეთქმულდება  
 აჯანყებისთვის.  
 როგორ მიჰქროდა ის მერანი  
 ფაფარგაშლილი,  
 რომ გადღება ღლენი ბნელნი,  
 გზანი-უორენი,  
 იკაწრებოდა ხალხის ბედით  
 ბართაშვილი,  
 იმ ხალხის, რომელს თვალბედითი  
 სღვედა ყორანი.  
 ცხარე ბრძოლის ხმა ეპოქასთან  
 გადაზრდილია,  
 ხმა სიყვარულის, ხმა მონობის  
 წინაღმდეგი,  
 ცეცხლი — აკაი, გმირი — ვაჟა,  
 ბრძენი — ილია...  
 რამდენი გმირი და რამდენი  
 კიდევ ყაზბეგი!  
 მათი ხმით ზარი ვალეიძების  
 კვლავ დაირეკა,  
 ხალხის ზრახვებს და წინაგრძობებს  
 მათ მისცეს მხარი —  
 აი, რა მიზნებს ისახავდა  
 ჩვენი ღირიკა,  
 რად ეწოდება საქართველოს  
 მგოსანთა მხარე!

ოდეს მომწიფდა აღლევებულ  
 ხალხში ნათესი —  
 აზრით და საქმით ოქტომბერი  
 უდიადესი,  
 კაცობრიობის ჯერ არნახულ  
 მზის ამონთებით  
 თვალუწვდენელი გაიშალა  
 ჰორიზონტები.  
 უკეთესი შორის უკეთესი  
 ამ ხნით იქნება  
 ღირიკის სული, მისი ხალხთან  
 გადაწიგნება.  
 შეურჯეველი ნემისყოფა  
 და მრისხანება  
 ძღვევის პათოსით; სიყვარულით  
 მიეკანება  
 ლექსით, რომელსაც ჰქვია „ანტერ-  
 ნაიციონალი“,



ერთაშორისად მოკეთილი  
და ეროვნული  
მილიონების მისწრაფების  
თანაზიარად,  
იგი გენის უმძაფრესად  
ვაღიქვს ქნარად.

ერმა თავისი უშიშარი  
მონახა ბინა.  
ბელორუსია, საქართველო  
თუ უკრაინა  
ერთმანეთს შეხედნენ პოეზიით  
მოგიზგიზეთი.

აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი  
და ყირგიზეთი,  
სიმღერით მოღის ის სომხეთი,  
იგი რუსეთი...

არ არის ძველი ჯოჯოხეთი  
და ბურუსეთი,  
არამედ ვრცელი, მშვენიერი  
გადასახედი.

თურქმენეთია, უზბეკეთი  
თუ ყაზახეთი —  
მომღერალია უძლიველი  
თექვსმეტი დროშის,  
ყველა თავის ხმით, ისე როგორც  
საქართველოში.

ამ მეგობრობას სამუდამოდ  
ვამქრალ ღრუბელით,  
ახალ ქალაქით, ახალ სოფლით,  
ახალ ყანებით

გრძნობდა და ვიგრძნობ ჩემი ჩანგის  
თავისუფალის

თავისუფალზე თავისუფალ  
აღფრთოვანებით.

ყოფნა კავშირში, ყოფნა ძმობა -  
მეგობრობაში

ურყვევლ გრძნობად ყველას გულში  
გვჭონდეს წრთობილი  
და საბოლოოდ მიღწეული  
იქნება მაშინ

მიზანი ღე-სის, გულწრფელი და  
კეთილშობილი.

თუ საზღვარს იქით ბოროტებამ  
გააზნათობა

და დაითოვა არემარეს  
ბრმა ძლიერება,  
თუ უმართლობა, სიბერჩავე  
და ძალადობა,  
გაუტანლობა, სიხარბე და  
ბიწიერება

ანებვიერებს და ამოძრავებს  
დიდ ფუფუნებით,  
ოქროთი მოსილ უსიბრცველო  
ღარბავთ ზნეობას,  
და ეკლესია კვლავ გუგუნებს;  
ვით გუგუნებდა,  
კაპიტალს, მდიდართ მორჩილებას,  
პირმოთენობას;

თუ მონას, ვისაც ჯოჯოხეთით  
ამწუხარებდა  
ჩაგრულ მხარეთა შიშზე შრომის  
და მოწოდის გზა,  
არ ახარებს კვლავ ვით არასდროს  
არ ახარებდა,

არც გაზაფხულის, არც ზაფხულის  
მშვენიერი ცა,  
თუ ხეთ სიგრილეს სიყრმიდანვე  
გადაჩვეული,  
შემოხებული ქართა ქროლით,  
ნისლთა ობობით;

ხალხი სნეული, უსახლკარო  
და დამწყული,  
ხელდაცარული, მოკლული დგას  
შემოდგომობით,

თუ ვერ გრძნობ ისე, ვით ვერ გრძნობდა  
სიბბო-სიმშვე-დეს,  
როცა ზამთარის დაიქროლებს  
სიცივე ავი,

თუ ცით დასცქერის, ვით დასცქერდა,  
კილითი კილეს

საბედისწერო, უღმობელი  
შავი ვარსკვლავი  
დიდი ხანია, რაც ვარსკვლავი —  
ჩვენში გაბრწყინდა,  
დიდი ვარსკვლავი მეგობრობის,  
ძმურ სიყვარულის,  
ფრიალებს დროშა ქვეყნის მხსნელი,  
გრძნობათა წმინდა  
ზეფი აზვინდა პოეზიის  
ცეცხლის ფარულს.



ღროა, სიმღერით რომ მოსავლის  
 ზღვა მოაჭურო,  
 ღროა, სიმღერით რომ დაზგები  
 ააქანკალო,  
 გულმხიარულად და სიმღერით  
 დაპქარ, ჩაჭურო,  
 გულმხიარულად და სიმღერით  
 მიდი, ნამგალო!  
 ოქროს თავთავი, მეგობრებო,  
 ავიართავთ სამკაღს  
 და სამკ. ულად ეპოქისთვის  
 დაეწნათ გვირგვინი,  
 გვირგვინი იგი გარს მოაგვლოთ  
 ჩაჭურს და ნამგაღს,  
 რომ გზა შეამკოს პოეზიის  
 ნათელი ბრწყინვით.  
 გზებით, გაშლილით მომავლისთვის,  
 მეომარ ღეჭსით  
 აქეთ, აღიდეთ ჰუმანიზმით  
 გატანა კვალის.  
 გზებით – წარსულში ანთებულით  
 მარქსით, ენგელსით —  
 მომავლისაკენ მიუყვართ ჩვენ  
 ლენინს და სტალინს.  
 აქეთ, აღიდეთ სამშობლოს —  
 ბედნიერების  
 მეცნიერებით სასწაულნი,  
 მზე და კანდილი,  
 გმირთ სიმახაცეთ მარადისი  
 ჩანგი იქლერებს,  
 რომ სძლიეს ყინულთ და ღრუბელთა  
 კორიანტელით.  
 ახალი ერა, მისი ახლად  
 ანტყვევლება

თან გდევდეს, ოდეს სამოძრაოდ  
 ცად შევიარდები,  
 იყუნენ დღეგრძელნი, მე, მიმულო,  
 შენი მცველები,  
 მგონსებთან ერთად, დღეგმირები  
 და შევიარდენი,  
 ახალგაზრდობა, ყვავილები.  
 და მწვერვალები,  
 შენი ქალები, მშვენიერი  
 შენი ქალები;  
 ჯარი დღემანით არისოდეს  
 არკმაყოფილი,  
 მტრის უნდობელი, მტერთან მტერი.  
 ძმისთან კეთილი,  
 რევოლუციის მოგუგუნე  
 ცეცხლში შობილი,  
 ცხარე ომების ქარიშხალში  
 გამობრძმედილი,  
 სასო, იმედი მსოფლიოის  
 ყოველი ერის,  
 ყოველი ერის მოერთგულე  
 ფარ-მუწარადი,  
 შესრულებული გარდღევალი  
 და დიდი ვალის,  
 თავისუფლების დიდებულის  
 მცველი მარადი,  
 სიმღერით მოდის, არ გადუხვევს  
 რჩეულ გზისაგან,  
 სხვა გზა უცნობი ვერასოდეს  
 ვერ შეირიგოს.  
 იგი ისწრაფვის კომუნისმის  
 გამარჯვებისკენ...  
 მაშ, გაუმარჯოს სიძარღლისთვის  
 მებრძოლ ლირიკას!

3 მ ზ შ მ ი

1940

მხოლოდ მთა იგი... იღვა მთა იგი,  
 დემონის ხელით მძლავრად ნახატი.  
 იწვა კლდე კლდეზე, იღვა ქვა ქვაზე,  
 და იყო მხოლოდ ქვათა ლაღიდი.

ქვას გული არ აქვს, როგორც შენ არ გაქვს,  
 ამაოებავე, დაუვიწყარო...  
 უცებ ქვა გასკდა და მის სიღრმიდან  
 ამოჩუხჩუხდა ცეცხლების წყარო.

ასე. პოეტის ბედიც: დუმილი  
 დიდხანს აწვალებს ქვათა სიმძიმით...  
 უცებ მოსკდება გრძნობათ ნაკადი,  
 და სიბნელეში შედის ციმციმით!

## ახალი მკვლევ

კარგია, გრძნობით ნთებული, ბრძოლების შეცარი ჯახება  
და შემდეგ გამარჯვებული სიმღერის შემოძახება.

ეს მე ვარ — რწმენამახელი ნებისყოფა და ძალ-ლონე,  
ბევრი ჭიარისხლის მნახველი, ბევრი გრიგალის გამეგონე.

ჩემი ხმაც სმენამჭვერია, გული წმინდა და მაგარი.  
საქმე კვლავ ბევრზე ბევრია... წინ, გაბედულად დაჰკარი!

მშრომელო! მარად გიყვარდეს, ვით გიყვარს შრომის სიღღ.  
პოეტო, ბასრი კალამი ხმალივით დაატრიალე!

## ზღვის პირად მდგარი

ვნახე მგოსანი ზღვის პირად მდგარი...  
ტალღა ტალღაზე თრთოდა, დგებოდა.  
სტიქიის ბრძოლა დაუღვევარი  
მგოსნის თვალეში იხატებოდა.

გრგვინვა-ქუხილით ზღვის ზედაპირი  
ეხეთქებოდა ნაპირთა კლდეებს,  
და ქაფი ზღვისა ისე წარმტაცად  
ემწკრივებოდა ჭავლს და კიდეებს.

მოვა... მქუხარე, მგზნებარე სიტყვით  
ძალას აღუძრავს თვედახრილ მონებს...  
და დავიწყებულს, მაგრამ ნამდვილ ხმებს  
კვლავ გაიხსენებს, კვლავ მოაგონებს...

1914

## პოეტი

ნუ გგონია, რომ სიმღერას  
შენსას ვერვინ გაიგონებს,  
ვერ გაარღვევს მწუხარებას  
და ევრავის დაიმონებს.  
არა, მუდამ ახალია  
და ძლიერი შენი სიტყვა,

იგი წინათ ხალხის გულში  
დაფარულად გამოითქვა.  
ძლიერია ჩანგის ხმაზე  
ბევრი წრფელი ღამის თევა.  
და იღუმალ სიმღერაზე  
სულის ცეცხლად გადაქცევა.

1914



მიყვარდა ჰანდი გრძნობით გამთბარი.  
 ყვაგილებივით ნახი და ჩუმი,  
 ხან მოშრიალე, ვით აბრეშუმი,  
 ხან მოთამაშე. ვით ნიავექარი,  
 სიმღერა გულში და გულზეშული,  
 ხან ნიავეით, ხან შეშლილივით,  
 როს ვერ იტყვდა სიღრმეში გული,  
 ვადმოდიოდა ფერად ლივლივით.  
 ვმღეროდი დაძთერალ ყვაგილთა მტერეში,  
 ვმღეროდი ტრფობის ან მტრობის ხმაზე —  
 მსურდა ყოველში და ყველაფერში  
 მუსიკა, გრინობა და სიღამაზე.  
 მუსიკა, იგი! ჰოი, მგოსანებო!  
 მართალი არის იგი თქმულემა,  
 რომ უფრო დიდი და საოცნებო,  
 უფრო მაღალი დანიშნულემა  
 არ არის, როგორც განაწმენდის ხმაში,  
 ვით ცეცხლის აღში დააქსრო ენება,  
 რასაც არ ჰქვია რთიმათ თამაში,  
 არამედ განცდათ ტანჯვა-მშენება.

1912

სული გეჰონდეს უსპეტაკეს თოვლისა!  
 მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება  
 მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:  
 პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ  
 გზად დაღლილი არეის არ უნახავარ,  
 მარად მანითებს შუქი სვეტის ცხოვლისა:  
 პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი  
 მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა —  
 ყველაფერში შუქით შემოატურვილი:  
 პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,  
 მე მოკვდები, როგორც პოეტს შეტერის:  
 სიმღერები ხალისის და ბრიოლისა,  
 პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

1920

### ისევ ეფიმირა

რა ამოძრავებს კიბარისის ტანს,  
 ჩუმი შრიალი საიდან არი?  
 ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს,  
 მაინც მწვერვალებს ედება ქარი.  
 დუმილი ვახდა ვიწრო გაღია,  
 დაუძინარი და უჩინარი,  
 მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია,  
 მარად და მარად ტყდება ჩინარი.  
 როგორც ჩინარი, ისე პოეტი:  
 მისთვის სიმაღლე არის წამება —  
 არა ღიმილით და ალოეთით  
 დაჭფარავს მტერთა ცილისწამება.  
 ის — მაღალია, დიდია მაინც!  
 მისთვის მოისმის ზარების ზარი:  
 ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს,  
 მაინც მწვერვალებს ედება ქარი.  
 პოეტს მაისის სიხმარების ხილვით  
 ესარკებოდა პარიზის რკალი.

მაგრამ უეცრად ქარტყილივით  
 მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი.  
 დემონიური არევე-ღარევი  
 ყოველი ნხრიდან ივარდა აღი.  
 სულში დაჰჭროდა ქალი ქარივით:  
 და შეშლილივით ჰკიოდა ქალი.  
 ჰო, ლელიანი მაშინ დაქანდა,  
 ვით მწვერვალდან მერანი მაღი.  
 კუბო მიჰქონდათ, არეინა ჩანდა  
 და არ ტიროდა არც ერთი ქალი.  
 ოჰ, სიყვარული ზღვების ქაფია!  
 მიეციო წარსულს ელვა ან ხმალი,  
 რომ ამოკვეთოს ეპიტაფია:  
 „მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი“.  
 და შეგანიინცი... ორგის ბადეს...  
 მაცეტრო თასით გადაჭყარავს ლეინოს;  
 ესტრადა ნათელ იმედად ბადებს  
 აწლილ ვალტორნებს და პიანინოს.

ის დინდობილი იღებს კიანურს  
 და სასახლეებს პაერში მოღებს,  
 რომ მხარეები შეაქიანოს  
 და ლეგენდები შორით ისმოღებს.  
 არა! არაა იმედი სიმად,  
 ქალნი ლანდობენ თლილი თითებით,  
 სიმებთან ერთად იტიარებს იმათ  
 თვალების ნაზი ქრიზოლიტებით,  
 მათ მეოცნებეს რომ ვარდი არგეს,  
 ის ნებას აძლევს სულს ითარეშოს,  
 ის ხედავს ახლო გაბზარულ სარკეს  
 და უიმედო საპირფარეშოს.  
 როცა ქარხნები ისვრიან დორბლებს,  
 ვერპარნი, დროის ახალი დანტე,  
 თუჯის ზელებით სძრავს მძიმე ბორბლებს,  
 ვიგანტი ცეცხლით მოანდამატე,  
 და ტრიალებენ ბორბლები ჩქარა,  
 და ინთებებიან ორთქლში გვერდებით...  
 ვერპარნი! — გაისმის მათი ხარზარა,  
 ნუთუ არასდროს არ შეგჩერდებოდა?  
 დადგა დრო, რკინამ აიდგა ენა!  
 ის ითხოვს პასუხს, როგორც მკვლელობა,

და სისტეგია, როგორც გვენი,  
 მისი სისწრაფის უღმობღლობა.  
 და აბრჩობს თავის ცხელი თითებით  
 მასვე, ვინც იმას სული შთაბერა,  
 მოკლეს ვერპარნი! მაგრამ დიდებით  
 მას მოიგონებს ზედის სხვა წერა.  
 და დისტოციეცი... მას თითქო ასჯერ  
 ნისლიან ღამით, ნისლიან ღამით  
 მას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა  
 და ის ეგოდა წამით-წამით  
 ჯალათს შემოსულს ციხეში წყნარად.  
 რალაც ამაზე ღრმა. უფრო მეტი  
 გაუშუქებლად დარჩება მარად —  
 ასეთი არის მისი პორტრეტი.  
 იგი არ სინჯავს გამომხსნელ საქვს,  
 ეფინებოდა რა სახეს ჩრდილი,  
 სიკვდილით დასჯა მას მიუსაჯეს,  
 ვინ იგლოვოს ის! რაა სიკვდილი!  
 ეშფოტრიდან უყურებს შორს პანს  
 დღემდე თვალების გამხდარი რეტი —  
 ასეთი არის მისი პორტრეტი...  
 ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს..

1918

შ ე მ ო ტ მ ე დ ე ბ ა

მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს  
 ვანუსაზღვრელი,  
 ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში  
 არა მყავს ტოლი.  
 ვმრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება  
 ნიავე ნელი,  
 ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა  
 ვერხვის ფოთოლი...  
 მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ  
 ყოველისმოქმედი,  
 არე მიდამო ნეტარების  
 ცრემლით ივლება,  
 ჩემს ზელში არის მაშინ ჩემი  
 მძვინვარე ბედი,  
 ქვეყნად ყოველი არის სული  
 მემორნილება.

ეს მაშინ არის, როცა აწრი  
 მიჰქრის შორს, შორს, შორს,  
 და ლტოლვა გულში დაგუბული  
 ეძლევა შეებას...  
 ირგვლივ ვერ ვხედავ ჩემ თანაბარს  
 და ვისმე ჩემ სწორს,  
 რომ ამგვარადვე ეძლეოდეს  
 ტკბილ ჩეტარებას...  
 ვხედავ მიფრინავს, იქ, სადღაცა.  
 ნისლი უსახო,  
 ვგრანობ, რომ მის ტალღას,  
 ერთხელ ჩემ მძლევს,  
 ვააბობს მეკრდი...  
 ო, უძლიველო დიდო წამო  
 შემოქმედების! —  
 ახლა ყველაფერს, ყველაფერს ვქმნი  
 ახალი ოცნათა!

1910

აწმყოს ღიღება ღიღი

ჩემო ლექსებო, მარად  
გქონდეთ მსუბუქი ფრთები...  
აყვავებული მღვლო,  
გასაოცარი მთები!

განადგურებულს ძველი  
ყინვით, სუსხით და თოვით,  
აწ მარგალიტად გთვლიან,  
სხვა ქვებში რომ ვერ ვარევი!

რუსთაველი და მშვიდი?  
დამშვიდება და ვაჟა?  
აწმყოს ღიღება ღიღი  
და ღღეს მომავალს ვაჟა!

გალაქტიონი ხედავს,  
რა სასწაულებს ახდენს  
ის გამარჯვება, რითაც  
სუნთქავს მშობელი ერი,

ჩვენი სტალინის მარად  
ძღვევამოსილი დროშით  
წინ, ახალ-ახალ ნათელ  
გამარჯვებისკენ, მხარევი!

იმ უბოლოოდ მედგარ  
და საიმედო საყრდენს —  
წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევეს  
ვერავითარი მტერი!

1946

ჩემი ხმა

მაღე ფერგადაშლილი  
ამწვანდება ტყე-ველი,  
გაიშლება ყვავილი,  
სურნელების მფრქვეველი;  
გაცოცხლდება დაფნარი,  
მთის მწვერვალი, ტყის პირი,  
და დაივლის ნარნარი  
გაზაფხულის ზეფირი.  
წყნარი სევდა მეწვევა,  
წამილებს სიმთა ეღერა,  
ნისლით გამოერკვევა  
ჩემი გულის სიმღერა.  
ქვებს, ბალახებს დაატკბობს  
ჰანგი თავისებური,  
მკაცრი, მაგრამ ლამაზი,  
ნაზი, მაგრამ ველური.  
როდი მიყვარს გულისთქმა,  
თუ ნაღველს არ ერევა,  
ათას ხმაში ჩემი ხმა  
ამ ხმამ განაცალკევა.  
როდი მიყვარს გულისთქმა,  
თუ გულზევე არ ჰპოვა.  
ათას ხმაში ჩემი ხმა  
ამ ხმამ განამარტოვა...

1910



როცა აბტეონი — ძეგ არისტემს  
 ლაღად მიდიოდა ტყეში სანადიროდ,  
 უცებ დაინახა თეთრი არტემიდა...  
 თავის ნიმფთა შორის იგი ბანაობდა  
 ძველი პართენონის მუსუბუქ ნაკადებში.  
 შედგა აბტეონი. თვალნი დაებინდნენ.  
 იგი მოჯადოვდა უცხო სანახავით.  
 მაგრამ ის დასაჯა იმე ლეთაებში:

იქცა აბტეონი ირმად მშვენიერად,  
 ძალღებს აბტეონი მსხვერპლად შეეწირა —  
 იგი დაეფლეთათ ძალღებს იმისსავე,  
 ვიცან, მომღერალო, შენში აბტეონი:  
 შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული;  
 შენგნით დაწვრთნილები—ყფენ მთესვენერად  
 ისევე შენ მიმართ — ავი ის ძალღები.

1918

ისემ ლურჯა ცხენები

(ანწჷმბი ლექსიდან „ფეხურა“)

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები  
 ჰქროდნენ უმეორებელ და ფერადი ქარებით.  
 იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები  
 გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.

ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე წერია  
 ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები...  
 ბედი ქროლის ვარეშე ჩემთვის არაფერია,  
 ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.

ბე, მერნებით გაფრენილს ქარი დამედევნება  
 ძახილით: „გალაქტიონ!“ და სწყურია მიგნება —  
 სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტეენები,  
 იქ უკვდავი მაგის მარმარილო იქნება.

რამდენი ქარავეანი, მთებზე გაღამართული,  
 გაიშლება გამრღევი მღვრიე უღაბნოეთის...  
 არაფერია არ არის ჩემში არაქართული,  
 ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.

ო, რამდენი დაცბრება შორს ვერმჭვრეტი თვალები,  
 რომ მარად იმარჯვებენ, იღუმალი მშვენებით,  
 ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები,  
 ცხენთა შეჯიბრებაზე — ისევ ლურჯა ცხენები!

1916

სამყარო იგი აღარ არის... მეფის რუსეთში  
სახარობლები არ ყოფნიდა დასჯილთა რაზმებს.  
მაგრამ სიმართლის ხმა მრისხანე — ხალხის ნუგეში  
გმუქრებოდა ციხის კედლით მეფის დარბაზებს.

თვალს მადეგნებდნენ... კოშკში ვიჯექ ხავსით ბურულში,  
ვიმალებოდი, ვამთაგრებდი წიგნს არსაიამს  
წყვეულ დროებზე, წამებაზე, ტკივილებზე, გულში  
რომ ვგრძნობდი მრავალწამებული სამშობლოს გამო.

ეს ჩემი შრომა შემთავრებდა დიდი ხნით... ერთხელ  
მხარბეჭზე ნაბლით, ყაბალახით პირშებურვილი  
ჩემის გარეშე გამოვედი, ღამეს ვეახელ —  
ფერთხილობდი ძე-კაცს არ ვაეგო ჩემი სურვილი.

მალღობებს ღამე დასწოლოდა პირქუში, კრული,  
ხეში ღმულოდა, ხეებს გლეჯდა გრიგალი ქარი...  
აღმართს მთებისკენ მივყვებოდი ფიქრით მოცული...  
უცბად შორიდან, ვხედავ, მოდის ჩემკენ მხედარი.

მან შემომძახა იტყუებთ: „რევოლუცია!“  
არ დავიჯერე, ერთ ადგილას ვაჩერდი... ახლა  
ხელი ვუტაცე აღვირს, თვალებს ჩაეხედე მზიანს.  
ვირწმუნე, როცა კიდევ ორჯერ წამოიძახა.

ღა მომეჩვენა, რომ ქედები კავკასიონის  
მოვარდნილ ეხოს დაქუხებით შეეხმარუნენ.  
ხალხი გამოჩნდა... თითქოს იგი ქარიშხლის ღონის  
გაღმონატყორცნი სტიქიაა ბრძოლის მოსურნე.

მყისვე შემიცნეს... როგორც ტალღამ ზღვის მოქცევისა,  
„თვითმპყრობელობა — ყოყინებდნენ — აწ აღიგავა.“  
მსწრაფლ ამიტაცეს, სიხარული დიდი მეღირსა,  
როს მოედანზე გამიყვანეს. ღა, იი ვღგავარ...

ვღგავარ მალღობზე... მოუსმინეთ პოეტს ხმა-ლითონს!  
წარმოეთქვი: „უფე დავამსხვრეთ ტახტი ბოროტთა...  
ღა ჩვენ წინაშე აელვარდა, მხედ ამოენთო  
თავისუფლების შუქი — მნათი მომავალ ღროთა.“

ჩვენ მოვიპოვეთ გამარჯვება რიგით პირველი,  
მაგრამ წინ გველის გადასწყვეტი ბრძოლა უცილო,  
ჟბადლო გმირთა გაგვიძღვება ნაცადი ხელი,  
იქნება ბრძოლა უწმიდესი, მტრის სასიკვდილო!

როდესაც მშრომელთა ყველა ჯგუფის მტრის აღგვივით სახეს,  
დავთრგუნაეთ, მოვსპობთ, გავიმარჯვებთ — გაეულებთ კარებს  
თავისუფლებას!... და პასუხად ერთხმად შესძახეს:  
„სწორია, ვიცით ვინ მტერია და ვინ მოყვარე!“

როგორც სპილენძის საყვირის ხმა, გაფრინდნენ დღენი,  
ეს მოწოდება აერთებდა მთელ ქვეყნის ხალხებს,  
ქუხდა სიზარტლევ და მსოფლიო უსმენდა ლენინს,  
მტურნით იღებდნენ მშრომელები ზამთრის სასახლეს.

მე მივეცებოდი გაჟღერებულ სულისკვეთებით  
ახალ ეპოქის საფეხურებს მძლე იდეათა,  
შთაგონებული ხალხის დიად შემოქმედებით  
სიმღერას ვქმნიდი ხალხისათვის უფრფველეს ხმათა.

და საამაყოს იმ წოდებას — სახალხო პოეტს,  
სწორუბოვარი რომ მეძახის ახალი ხანა,  
მიტომ ვატარებ, რომ ეგ ჩანგი უმღერდა მომენტს,  
რეჟოლუციის დროს ხელთ მეპყრა, როგორც შაშხანა.

შენ, ჩემო ხალხო! სიყვარულით გამომარჩიე,  
რადგან დაეხატე ძლიერება შენთა იმედთა,  
ის ნებისყოფა, რომლის ძალით მტარეულებს სძლიე,  
რომ ოქტომბერში პირმწიფი ვიყავ ოქტომბრის დღეთა.

გულთ ვიგრძენი მე იქამად ჩაუქრობელი  
წყრილა ხმები ჩემი ჩანგის, გამმუქი თალხის.  
როცა მგზნებარე სიმთა თრთოლვით ახლის მშობელი  
აღტაცებათა მზით გამთბარი ხარობდა ხალხი.

ოცდაათი წლის დიდებულთა მანძილთ განქვრეტით  
ბეცრი შექმენი ლექსი ლალი და სასიმღერო,  
ყველაში ისმის მძლავრ საბჭოთა სიმშობლოს ხმები,  
შენი ქუხილი და გუგუნე, მძლე ოქტომბერო!

1947

## დარჩება ხსოვნად შთამომავლობას

ჩემმა ახალგაზრდობამ,  
დღემან პირმომცინარემ  
განელო, ვით გაზაფხულის  
შფოთიანმა მდინარემ.

მაგრამ ხანგადასული  
გული ისევ გულია,  
არ ვფიქრობ, რომ ყოველი  
უქმად დაკარგულია.

მეგობრებო, ჩვენი გზა  
გასწევს წელთა მრავლობას,  
იგი მუდამ დარჩება  
ხსოვნად შთამომავლობას!

1945







არაგვი	77
კუმისი	77
მშვენიერი აღზახეთი	78
შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად	78
არა აქვთ ზღვა	79
მხარეე, გეთაყვა	79
ესტონეთს	80
მოსკოვი	81
კრწხლა	81
სალამი ახალგაზრდობას	82
ისევ ახალგაზრდობას	83
ღროშები მალა	83

**ჩვენში და მათთან**

ჩვენში და მათთან	87
მოკონება მშობლიური მხარის	87
ფიქრები სამშობლოზე	89
პანრი პარბიუსი კონგრესზე	88
იმ დღეს პარიზში	89
ეიფელის კოშკზე	90
"ლუმანიტი"	90
სიკდილი უმუშევრისა	91
ბაჭღალეფი	91
პარიზი	92
რეიმი	92
ბაღთან ძველა	92
ვესტრეთი ესპანეთს	93
გვადალკვირი	93
ნეპოლში	94
რუტა	94
რადიო	94
ლანკაშორში	95
მოსხუცი ჭალი	95
უცხოელი ბავშვი	96
უბინაო დედა	96
ბანანები	96
იჭრა	97
მისა ბუნება	98
თვითმფრინავით	98
და მაინც ვკენსდე	99
ვეროპის დიპლომატი	99
ვეროპის უფერული დღე	99
ჩემს სამშობლოს აჭიბ	100
მრავალი სული მონათესავე	100
ბრმა ეალი თვალით	100
ინგლისი და შეერთებული შტატები	101
ინდოელების იყუ მიტინგი	101
დღე დღეაწინალო	102

**სამშობლოსათვის, მშვიდობისათვის**

სამშობლოსათვის	105
მამულო, სიცოცხლეო!	107
პე, მამულო!	107
თასი	108
კეშარი გულთა შორის	109

ჯარი სიმღერით მიღის	109
მშობლიური მოწოდებით	110
თავდაღებული მილიონები	111
მღრინავა	112
იანანა	112
მეტეხის ზიდანი	113
ვისი არის ეს გუგუნო?	114
ღნეპრი	114
სტალინგრადთან	115
სევსტოპოლის დამცველს	115
ბათუმი	116
ხარკოვს	118
კავკასიონის კლდეებზე	118
ყაზბეგის მხარები	119
რიალი მომგები ასი ომის	119
მზავი-კავიერი გუგუნებდეს ხმა	120
დილა გამარჯვებისა	120
ლოდეა	121
ღაბრუნება სვანეთში	122
იმ დღეებს ჭეღვი უნდა ავტო	124
გამარჯვების დღემ ირატრავა	124
გამარჯვების პირველი საღუტი	126
მჭუბარე წელი	127
კაღალი	127
გავეწოდით ერთმანეთს ზელი	128
მჭურად შეგაკვშირდეთ	129
ბავშვს დიმილა არ უჭრება	130
ჩენი ჯარი ძლიერია	130
ღარინენ ქვიშანი	130
მშული წყდებოდა	131
მისი და მშვილობა	131
მშვიდობისათვის	132
იდიდე, მშვიდობაე!	134

**გადანახული ღროშები**

გადანახული ღროშები	137
ათას ცხარას ხუთია	138
პირველი მაისი	138
ატმის ყვაილები	139
ბულში ცაცლია	139
გუჩიის მთები	140
ნასკორალთან	141
შავი ყოჩანი	141
რა მშვენიერი იყო ნამი	142
მე დავიბადე გაჩინაფისას	142
სხივი ტალღებში	142
ამოი ძახილი	143
მკაცრია ამ დროს	143
იმ ვილაც კენესის	144
ყვაილები	144
არწივებს ჩასინებოდათ	145
შავი ღრუბელი	145
მეზაერის სიშლეჩა	145
უკმარობის ნიაღვარი	146
ბეჭტი ჩიხი, ბეჭტი ხეველი	146



სიკოცხლის მტევნები	146	ქალაქ	176
ოცნება კლდეზე	147	გამაგალები	176
კოლხიდაში	147	სარეცელთან	176
მიმღებრე რამე	148	ლანდი არაქვეყნიერი	177
ნუგეშს	148	ცაშეთი წლის ხარ	177
შინც სწამდა ვამაჯუგება	148	ვერხეები	178
ფერად-ფერადი	149	აღუები თოვლში	178
შე ამ ვაფიოლებს ვატარებ	149	შენ ზღვის პირად	178
პორტრეტი	149	სინათლის ვეფილი	179
სიანმდელიღვი ოცნებისას	150	ვერსად, ვერასდროს	185
მხოლოდ იდეა	150	მშვიდობით	185
ჩვენ ავდიოლით სახრინობელანგ	150	უსიყვარულოდ	186
ელოდნენ რვეოლუციას	151	ქარი ჰქვას	186
შარდისი იმედი	151	ცხრათვალა	186
შალაროებში	151	სად ვივხვებ შეგებს?	187
შოულვარე გზით	151	ჩარი ხარი	187
სიკოცხლო, მივილი შემოქმედებით	151	მთაწმინდის მთვარე	188
გასწივი იარე!	151	ყვითელი ფოთოლი	188
ბარიადებზე იბრძოდა ქალი	152	ლურჯა ცხენები	189
ჩემო მენავე	155	შე და ღამე	190
იბოტორე	155	სასაფლაოში	190
ქარი	156	ელაბნი	191
მივფარს მართო ქარისხალა	157	ოცნებაო, შოიგონე	191
შე და ზამბახი	157	ღასძინებია ალერსთან ზღს	192
კვლავ ტალღებს ელას	157	გემზე	192
ზევით ასწივი მზე, ზევით!	158	წუხელი ღამით ქარი დაქროდა	192
ამოვდივარ!	158	სანთლები	193
ვანახლდა გული	159	მეზღვიერს	193
წერილი შეგობრებისადმი	159	რომ მომეც ფრთები	193
შინც ვიცი	159	ღვება შემოღვება	194
ფიქრი ზღვის პირას	160	შემოდგომის დღე	194
შენ რაღას იტყვი?	160	ახალი წელი	195
აბაანდროს ისე არ მენატრება	161	ზეღს იქით	195
გამოსასლმებია	161	ბარაულედი	195
სად გაქრა	161	სტრაილონი	196
იმ ცეცხლს გაუმარჯოს და ამ განათებას	162	ვიგრძენ უდიდესი ზეღნიერება,	196
		ზღვა აქმურდა	197
<b>გ ზ ა დ ა გ ზ ა</b>		ციხის ნანგრევებთან	197
გზადაგზა	165	ტვის პირად	198
ო, გიშოვე!	166	შერეგება	198
შერი	167	გახსოვს ის ქარბუქი?	197
სადღაც შინახავს	167	რა წარმტაცი ხარ, რა დიდებუდი!	199
წინანდალელი ნათელა	168	ერთხელ	199
გავიდა ხანი	168	ავღარი	199
თვალუბი	168	მიღუღენებენ ზვირთნი მტკვარისა	200
შენს ცისფერ თვალებს	169	ღღე გაფოთრდა იაგუნდის	200
ჩემი ვარსკვლავი	169	ვარდისფერი საფეხურები	201
ღამე ღღეს შეზღდა	169	შეოცნებე აფრებით	201
მიცქირე თვალში	170	ზღვა წყნარია ნამეტანი	202
ლიმილი	170	გახაჯხელა	202
უცნებური სასახლე	171	კვირება სიხარული	202
შესაფლავე	171		
მოვა, მგზამ რთლის?	174	<b>რაც დავიწყებით არ იბინდება</b>	
გახსოვს?	174	რაც დავიწყებით არ იბინდება	205
ვისმენ დანატრულ ხმას	174	შეწანე ზოლი მთის	205
მერის თვალუბი	175	უხილავი	205
რაც უფრო შორს ხარ	175	ღაძინდე!	206



ვაჩხვალაიანი კამარა ბრწყინავს	207		
ძველი წიგნები	207		
ღუმილი	206	პოეტი-ტრიბუნი	221
ცას არ ცხვის	208	პოეტი არის მებრძოლი	222
სიმჭონია ფეხების	209	პოეტი	222
განთიადმა სტყორცნა შუბი	207	ჩვენ, პოეტები საქართველოს	223
ამა, თენდება	209	ნუ მიატოვებ ლევის უთვისტომოდ	223
საღამო	209	უცხოელ პოეტს	223
საღამო ტბის პირად	210	ეპოქა სჭედს ხელოვანს	224
მუხიკა უცხოში	210	თვითელი პოეტი ახლა ინკინურია	224
ცად აზიდულა	211	მისდევს რგოლს რგოლა	226
ტყემ წამიყვანა	212	აკაის ლანდი	226
არ მინახავს შენი არე	212	დიდებულ შოთა	227
ბუნება მოქანდაკეა	213	ალბა გუყავს ილია	227
კახე ღრუბელთ კრებულთა	213	მესხის გამოხედვა	228
ბუხართან	214	ხელოვნება	228
კისარტყელა	214	იქ პოეტების ფრიალებს დროშა	229
შრიალებს ჩალა	214	ჩაა ეს გრძნობა?	229
მსუბუქი ღრუბელი	215	ვარდები	229
ღამე ზეობაში	215	საუბარი ლირიკოს შესაბენ	230
დილა სვანეთში	215	ვეხვები	234
ცელი კვიის	215	ახალი მემკლე	235
შემოდგომის მოტივებიდან	216	პოეტს	235
ღერი	216	მიყვარდა მანგი	236
რა ცაა	216	პოეზია უპირველეს ყოვლისა	236
მუსა	217	იქვე ვფიქვრა	236
ვაკისიონი ჩანს მიწხიდველი	217	შეპოქმედება	237
ქებათა ქება ნიკორწმინდანს	217	აწმყოს დიდება დიდი	238
		ჩემი ხმა	238
		ექტონი ძეი არისტესს	239
		ისევ ლურჯა ცხენები	239
		განვერცთა ოცდაათი წლის	240
		ღარუნება სსოვნად შოამომავლობას	242

შემდგენელი: ბ. ჩიქობავა

რედაქტორი რ. ორჯონიძე  
შატავარი ლ. გრიგოლია  
შატავარი რედაქტორი ვ. გორდეღაძე

ტექნიკური ან. ღვინიაშვილი  
კორექტორი ქ. შარაშენიძე  
გამომშვები შ. ძიწენიძე

---

ბელოწერილია დასაბეჭდად 19-XI 54 წ. შპ 17366. ანაწილის ზომა 9 X 11 1/2. ქალაქი  
ზომა 84 X 108. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 15.5. ტირაჟი 10.000. შეჯ. № 572.

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიამოცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი შარჯანაშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской  
ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Г. ТАБИДЗЕ

**ИЗБРАННОЕ**  
(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР

Тбилиси  
1955



